

# რეტენატუნა და სეროფნება

N2  
2/2007

1522  
2007



ქალბა ქალბა

გურამ თამარ  
დოჩანაშვილი გოლშვიძე

თაყაიშვილი თინათინა

ვერიკო ზურაბ  
ანჯაფარაძე რატიანი

თაყაიშვილი თინათინა

ნოდარ ჯემალ  
მამისაშვილი კახალაშვილი



ჯემალ კუხალაშვილი

პეიზაჟი



ჯემალ კუხალაშვილი

ძველი აივანი

# ლიტერატურა და სეროვნება

ISSN 1512-3189

N2(14)  
02/2007

ყოველთვიური ჟურნალი  
Author and publisher of project:  
VAZHA OTARASHVILI  
Literature And Art

დამფუძნებელი, პროექტის  
ავტორი და გამომცემელი:

**ვაჟა ოთარაშვილი**

მთ. რედაქტორი

ტარიელ ხარხელაური

პასუხისმგებელი  
მდივანი

ზურაბ თორია

რედაქტორი

ვერიკო ზამთარაძე

მხატვარ-დიზაინერი

მალხაზ თავაძე

გარეკანის მხატვრობა  
ჯემალ კუხალაშვილი

რედაქციის მისამართი:

რუსთაველის გამზ. 42


ტელ.: (+995 32) 93 18 69;

(+995 99) 25 60 14.

E-mail: vajao@mail.ru

Web: www.litandart.com.ge

გამოცემის სპონსორია



მ ა გ თ ი ა ო მ ი

## ს ა რ ჩ ე ვ ი

### ქროშა, ქოჭია

- 3 გუჩამ დონანაშვილი - ჩაც უფრო მახსოვს,  
და მეტად მაგონდება /ჩემი/
- 28 თამაზ ბოლქვაძე - ლექსები
- 30 ვაჟა ჩოხელი - შადიკო, სიყვარული და  
ელექტრონის ბოძი
- 38 დავით შემოქმედელი - ლექსები
- 40 ელჩხე უკუაძა - ლექსები

### ფრანსუაზური

- 42 ზუჩაბ ხატიაძე - თვითმკვლელობა

### თარგმანი

- 54 ვილელა ჯაფარიძე - BOUM-BOUM  
/თახტანა ხუსეიანი ხეივანი/
- 57 ეკვანოე პოეზია - /თახტანა მანა და ზაურ ჩქვანაძე/

### ქროშა

- 59 თამილა გოგოლაძე - ნეტა მათხატლით გამაქივირა  
ზაფხულის დაფუძილი ცა  
(მატი უნტი)

### ფრანსუაზური

- 62 ნოდარ მამისაშვილი - ქართული ცეცხვა ელის სიცოცხლე

### თარგმანი

- 69 ნათელა უჩუაძე - სსოვნის სახეში  
(ვეიკო ანჯაფაძე)

### მუსიკა

- 75 თამაზ მიქელაძე - ჩა ბტვივა ქართული სიმღეჩავ


### მხატვრობა

- 79 მახინე ცხველიაშვილი - „ზა ზენიტისკენ,  
მე მეგონა დედის ნანდავი“...  
(ჯემალ კუხალაშვილი)


- 84 ფოტოგრაფიები

საქართველოს  
საგარეო  
საგარეო

ქაბუა ადრეადა, ზაქარა ზაქარა, ზაქარა ზაქარა,  
მუხარა ზაქარადა, მუხარა ზაქარადა, მუხარადა ზაქარადა,  
ზაქარადა ზაქარადა, ზაქარადა ზაქარადა, ზაქარადა ზაქარადა,  
თაქარადა ზაქარადა, ზაქარადა ზაქარადა.



ქართული „ლიტერატურა და ხელოვნება“ არც ერთ  
პოლიტიკურ მიმდინარეობას მხარს არ უჭერს და მხოლოდ  
ქართული სულიერების, კულტურის, მწერლობისა და  
ხელოვნების აღორძინების საქმეს ემსახურება



ზატორულად მკრეფავები გაპუარები და ბიძია  
გასო; ის თავიდან „პითონ“; ბიძინა ლოლოპარი-  
კის მორიგი „ჟულიკოვა“ და თუ როგორ ვინილა  
ერთსადიმავე დღეს ორი თან სხვადასხვა და  
თანაც ერთნაირივით „ლაშაუჩის კაცი“; ბიძინი  
ღუღუღები.

მგონი, არაა სწორი ვინმეზე პატივისცე-  
მით რომ იტყვიან – როგორი ობიექტური-  
ა-ო; ადამიანი სუბიექტური უნდა იყოს, მე  
ასე მგონი...

ოღონდ ე.წ. სუბიექტურობა არ უნდა გაი-  
გვიდეს თავხედობასთან, თავმოწონებასთან,  
ცერცეტიულაულ ბოროტებასთან...

მაგრამ ვინლა იქნებოდნენ ბახი და მო-  
ცარტი, „სუბიექტურები“ რომ არ ყოფილიყ-  
ვნენ, ანდაც ჩვენი სათნოებანი – ვაჟა-ფშავე-  
ლა, ფიროსმანი... გალაკტიონი! და როგორ  
სწამდათ – ფიროსმანსაც-ხომ უცილობლად  
რადგან როგორ უყვარდა ის-ყოველივე რა-  
საც რომ წმიდა სამება-გამოვლილი იმათი  
ხელი რა-რთულად მართალ და თითქოსდა  
მისანვდომ და ამასთანავე როგორ-ძალიან  
მიუწვდომელ ნახატებს როგორ ახატინებ-  
და დიდამბავი თუ უსახლკაროს, მსმელს...  
იმა-თავისიც დაკოჟრილად ნატიფი-როგორ,  
ხელით, ვის ჰყვარებია ადამიანთაგან ბალა-  
ხი ისე მათ რომ უყვარდათ ამ ქართველ-სამ-  
თა, და თან როგორი მარად-ერთგულნი იმ  
ადგილისა სადაც რომ ღვთით რომ როგორ  
მისჯილ-ბედნიერებად, დაიბადნენ-რომ...

კი.  
მაგრამ ეს მათი „სუბიექტურობა“, ანუ  
თავისთავადობით გამოწვეული რამ, თუნდ  
მყარ თუ აჭრილ გონებისაგან შეუცნობლად  
გამომდინარეც მაგრამ საწყისად თვით თა-  
ვად გულით, გულის მთავარი დიდრონ-კუნ-  
ჭულით, ტევადით-რარიგ, შეცნობილ-იყო  
წმიდა სამება მათ ქალაღდსა თუ მუშამბა-  
ზე და არაა ეს უცნაური-რამ რადგან თვით  
ბავშვსა-ერთსაც, ოთხიო-დ წლისას, უთ-  
ქვამს ასე:

„ღმერთი იმდენად ძალიან დიდია რომ  
ყველაფერია და თანაც ისეთი პატარაა რომ  
ჩემ გულშიც ეტევა“ –

და, მიუდია გულზე ციციქნა და როგორ-  
მართალი, თითი...

თვით უწმიდესისა და უნეტარესის, მარ-  
თლაც-სრულიად-საქართველოს (როგორისა  
და – ტაო-კლარჯეთისაც, კი,) კათოლიკოს-  
პატრიარქისგან, დიდი მეუფის ჩვე-ქართველ-  
თა, თავად ილია II-საგან მსმენია, ეეს...

\* \* \*

რაც თავი მართლა კარგად მახსოვს ანუ  
I კლასიდან, აგვისტოობით სოხუმში „ვის-

# გურამ დოხანაშვილი

## ჩაც უფხო მახსოვს, და მეტად მაგონდება:

(ეგრეთნოდებული  
„ავტობიოგრაფიული რომანი“)

(ვაგრძელება)

აქა აშბავი ობიექტურობასა და სუბიექტურო-  
ბაზე და სხვათ აშბავი; თუ როგორ ვისვენა-  
დით სოხუმში ბავიდა იუნონა გურილის ოჯახ-  
ში, როგორს ერთ-ერთი შვილიშვილი მიჰიკო –  
ტუკული დადიანი, იყო; თუ როგორ მიცდიდა  
„კინო“-დან დავიანაგულს ბავია; თუ როგორ  
მიიღო ბავია ერთიც დავაშა; თუ როგორ ჩაი-  
რა პლაჟა შამოტორდიალადული მთვრალის სა-  
უშარბა ბიასა და ჩემთან; თუ როგორ მძაჟრად  
იეჟვიანა ბავია „ვინცხა რუსისქალზედ“; თუ რა  
და როგორს-ვითარება-მარაშოვაში შესეულა  
ჩავი ანუ ჩამზედ სუმთლად პირველი სადღე-  
რქალო; თუ როგორ გაცდნენ ლეღვის რაციონალი-

საქართველო  
პარლამენტი  
მკვლევარული  
ბიბლიოთეკა

ვენებდი“, ბებიაჩემის როგორ ალალ-დაქალ ბებია იუნონა გურიელის სხვენის ( - ! ) ორ მოცუცქნულ-ოთახიან ოჯახში და მაინც როგორ ვეტეოდ-ვთავსდებოდით იმდენნი: ბებია იუნონა, მისი შვილები - ლეილა და სანდრო დადიანები, დეიდა ლეილას ერთადერთი შვილი - გია ჭირაქაძე, ჩვენ სამნი - ბებია, ბაბუა და მე... თავიანთ სანოლებს ბებიას, მე და გიას გვითმობდნენ, ბებია იუნონას მესამე შვილი, უნესიერესი კაცი დათუნა მაშინ სადღაც ციმბირში „უკრეს თავი“-იყო; მისი ოჯახი სადღაც სხვაგან ცხოვრობდა, იქ არა ვყოფილვარ, რადგან გურიელ-დადიანებს მაინცდამაინც არ უყვარდათ რძალი, ბებია იუნონას იმ შვილიშვილებიდან კი უფროსი, მიშიკო, რომელსაც მოფერებით ტუკულის ვეძახდით და ახლავ გეტყვით თუ რაც-მოსაფერებელი იყო ხშირად შემოგვივლიდა ხოლმე და გიასთან და ჩემთან, მის ვითო-კბილასთან ზედაპირულა-კარგ ურთიერთობაში კი იყო, მაგრამ ამასთანავე როგორღაც მთლად ქედმაღლურად არა მაგრამ, „დანინაურებულობისა“ და გამო, არ გვკადრულობდა, არ გვიყადრებდა მაინცა-და-მაინც თავს - ბავშვობიდანვე, ისეთი შებერტყილი იყო, რომ, და ყმანვილ-კაცობაში ისე ნაადრევად შესული გარეგნობითაც კი, რომ ასე-14 წლისა უკვე კარგამონიფულ ჭაბუკს ჰგავდა და უცნაურად გამორჩეული კი-იყო მაგრამ მომხიბლაობით არა რადგან როგორღაც ძალიან ცივად დახვეწილი და სუსხიანადვე ულამაზესი, იყო, და გია და მე, ზოგიერთ დარგში ჰონივ-როგორი არიფები, იმასთან გვერდით თუ აღმოვჩნდებოდით? - იშვიათად და შიგადაშიგ თავისი თავით? - გვწყალობდა, კი, - ბებია იუნონას სახლს-გარეთ სადმე, ვთქვათ - პალმებიანსა და ხრეშმოყრილ ბულვარში, დიდად გადოყლაპიებულები ვუსმენდით გია და მე მისი რომელიმე 3-4 წლით უფროსი და მასთან მორიდებული ძმაბიჭის ( - ! ) - ძმაკაცებად სულ უფროსები ჰყავდა და ამ იმ-ხანებში უზარმაზარი განსხვავების მიუხედავად იმათშიაც კი აშკარად უფროსობდა და თავკაცობდა - ხოლო ისინი კი რადგან ჩვენ (გიას და მე) არა-დ გვთვლიდნენ და მთლად არა-დ გვაგდებდნენ რადგანც ასე უყვებოდნენ მათდამი ზომიერად-მკაცრ ტუკულის აი ამდაგვარ ამბებსაც კი:

- ტუკული, - ისინიც ასე ეძახდნენ თუმც ნაღდად ვერ იყო-მეთქი, მოსაფერებელი, მაგრამ ამ მიმართვაში - „ტუკული“, პატივისცემა უფრო სჭვიოდა და თურმე მერედა როგორი-ერთგვარი, - ნავალ მე ახლა ერთი ორი კვირით ქობულეთში, კაი? თურმე ძალიანი უხდება იქაურობა გულს თვარა გლა-

ხათაა ჩემი საქმე, კაცო ავტობუსში კირო ვმუშაოფ (ახლავ გავიგებთ თუ-რა მუშაობასაც გულისხმობდა თურმე) და ერთი ხელი რომაქ გულზე მიხუტებული და მიორესი ვორთითი ქერო მაქ ილლიაში გაყოფილი და ასე ვმუშაოფ კაცო გული ამე-დროს ძალიანი მატყულეფს კაცო რადგანე მირტყამს და მირტყამს მე იმ მიხუტებული ხელში გულის რავალი ფსხვილი პულსი თუ იცი ეს შენ... - აქ შეცბებოდა: ტუკულისადმი და, - „თუ იცი ეს შენ“-ო? მაგრამ ტუკული დიდსულოვნურად ვერე-ამჩნევდა თითქოს იმის ჩავარდნას-სიტყვ-გამოთქმისამიერსა და, კვლა-სხაპასხუპით მიაყოლებდა, - და გინდაც მერე ქერო ჩამოვალ ავტობუსიდან ოუჩქარებლათ ვითო მერეც მაინც არ მეშობა აიგული და მირტყამს და მირტყამს თელათ ისე რომე გინდაცე გამევეჭირე მილიციას მე, ემაშინ ვუმფრო მიცემს გული და გინაც მერე, მოფარებულში როგადევით-ვლი ჩემინაშრომს და რაცგინდათე კარქათე ნამუშავარს მირტყამს და მირტყამს და მიცემს ისე გინდაცე თლათ ვოთხ სუკას ვყოლოდე გასკვანჩული ესჩემი გული მაგას რომოუ თელათე გვარშიგასათხოვარები და სუყველაფერი და ნავალ ტუკული ქობულეთში და მოვჯობინდები პანას თვარა გლახათეარი ჩემისაქმე და მეშველოს იქ მერამე, ეგეფ...

ტუკულიც, „პანა“-ს დაფიქრდებოდა, შეათვალეერებდა და:

- კაი, ნადი...-ო.

რეებს ჰყვებოდა, ადამიანო, ის... სოხუმზე-დაც კი უფრო საკურორტოელი?.. - მაგრამ ვხვდებოდით მერე და მერე მსგავს მოყოლებში თავისი მუშურ-პროფესიით თუ რასაც სჩადიოდა და აქედან გამომდინარე „ნევრიანობისათვის“ რასაც „ჩიოდა“ და უჩიოდა, მაგრამ, გული-ზა სოხუმიდან ქობულეთს წასვლა? - ეს ვერ ვიცოდით...

ტუკული 14 წლისა რომ იყო 15 წელი მიუსაჯეს - არასრულწლოვანთათვის, ყველაზე დიდი „სროკი“, და აი რატომ - თუმც მაგრა-ძნელად, კი, დასაჯერებელია 14 წლისამ რაც ჩაიდინა მაგრამ მაინც გიამბობთ:

თურმე ლამის ასე სამ-ოთხ საათზე - მაშინ არ იყო დღევანდელივით, ძირითადობით ეძინა ქალაქს, - ჯერ დიდად იშვიათი სატვირთო მანქანის მძღოლისათვის ჩაურტყამს თავში ქვა თუ რკინა, თვითონ ნაუყვანია (მაშინ მანქანის ტარება ერთეულებმა თუ იცოდნენ არამცთუ 14-წლისებმა...) და მოშორებით გაუჩერებია მანქანა უნივერმალთან, მერე ვითომდაც-გზააბნეული გაუთამაშებია და რაღაცების გამოკითხვას შესდგომია დარაჯთან და ის რომ თურმე დიდის მონდო-

მეზით ასწავლიდა „საჭირო გზას და მიმართულებას“ იმისთვისაც ჩაურთყამს თავში „მყარი საგანი“, მერე მანქანაზე გამობმული ჯაჭვი უნივერსალის ცხაურზედაც გამოუბამს და ასე გამოუგლეჯია იმ დროისათვის ეს გადაულახავივით დაბრკოლება (ეს ყოველივე სასამართლოზე გარკვეულა...), მერე კარიც შეუტეხია „მანტიროვკა“-თი – კარგა ჯანიანიც იყო, და დაკუნთული და ესაც როგორღაც დახვეწილობითი... ვაკადრო ამ გვარს? – დადიანობით?.. და მთლად გადაუტვირთავს მანქანა (აბა სატვირთო ტყვილა ხომ არ ერქვა) დიდძალ-ტანსაცმლითა და ფეხსაცმელებით და ჭურჭლეულითა და საათებით და მუს.-საკრავებით და დადგომია ტუაფსესაკენ გზას მძლოლის საბუთში ჩანებებული თავისი სურათის იმედით (თავიდან მხოლოდ ნებო-ლა ჰქონებია ჯიბეზე, მერე – მძლოლის სავარძლის ქვეშ დარაჯის თოფიც...), ხოლო მძლოლი თუ დარაჯი თურმე შემოკვდომია და მთელი სობხუმის გადაფითრებულ „შინაგან საქმეთა“ თავკაცობას გათენებისას-და დაუდევნებიათ მისთვის – ანუ განსაკუთრებით საშიში დამნაშავესათვის მეტად გამოცდილი ოპერ-მუშაკი ხოლო ისიც კი როგორ მოუკლავს, რომელი და რა-“მოხერხებით“ ეს აღარ ვიცი და, მერე რაღა თქმა უნდა ბოლოს მაინც დაუჭერიათ ტელეფონით გაფრთხილებულ მილიციელებს ტუაფსესაკენ შუაგზაში და,

15 წელი მიესაჯა; 14 წლისას.

აღბათ შემატყობდით აქამდე რომ შეძლებისდაგვარად ვერიდებოდი უსიამოვნო პიროვნებებსა და ამბავს, თითქმის ყველას ვაქებდი და დამსახურებულადაც, რადგან, ამ დღევანდელურ მატერიალურსა და განსაკუთრებით – სულიერი გაჭირვებებ-დაცემისას არ მინდა მეტად გაგიმუქოთ განწყობილება და არსიც – ამეებისათვის ხომ თუნდ ჩვენი ამდღევანდელი (2006წ.) განსაკუთრებით ერთ-ერთი ტელეარხი გვკმარა (ერთი ისლ მიკვირს: კაიბატონო, არ ვრიდებათ რომ ათასსაგვარ დანაშაულზე ყოვლად გაქვავებული, რობოტადქცეული სახით ამბობენ რომ – ესმოკვდა-ისმოკლეს, ესდანვეს-ისდანვეს, ისდაახრჩვეს-ესდაახრჩვეს... – თუ მოაკლდებათ მსგავსი ამბებით ჩვე-ბეჩავების შეცბუნება არცე-არც ამას მოისაკლისებენ: უცხოეთშიაც ხომკი ხდება გლახამბები და, ნაავარიალ დასახიჩრებულებსა თუ დამწვარ იქაურულ გვამებს გვიჩვენებენ და, იმით რომ დავინყე ისლა მიკვირს-მეთქი განვაგრძო უნდა და რომ არ ჩაეთვალათ ამგვარი მოარული „ამბები“ სადმი ძანგარობობტებასა და გულცივობაში, ამ მათთვის „პანა“ მაგრამ ამასთანავე მათთვის-ვითომ-

დაც ამასთანავე ღრმად-ფსევდო ტრალიკულობისათვის-ვითო სამგლოვიარო სამკლაურის გაკეთება რაა იმათთვის ხელფასი აქვენ იმათ (ამათ) ცუდი თუ რა... მაგრამ მაშინ ხომ ვერ იქნებიან დაქირავებულ-რობობტები), ერთი იქლად გამოცოცხლდებიან ლატარეულსა „გადაფხიკე და მოიგებს“ს რომ გულით გვიჩვენენ (ისემც...), თვით ის უწმინდური 1921-22 წლებში ამბობდა რომ ლატარეა ხალხის მოტყუებააო და ესენი კი? – “მოდით-ჰნახევით აბდარაკაი მაშინა გელით აკუმულატორიანი“ო და ამიტომაც გაიმბობთ და უნდა განვაგრძო ასე რომ მხოლოდ გასალიმი და სასიკეთო-რამ რომ შემოგთავაზოთ თუმცაკ-ლ დიდად ძნელია, ესი, ხოლო ტუკული-მიშიკო დადიანის ასე რაოდენ მძიმე ამბავი იმიტომ გაგიმხილეთ რომ, მაინც რა უცნაურად დაასრულა თავისი ცხოვრება 65 წლისამ, და რაოდენ დიდი, რა წყალობა შესძინა გამოსასწორებლად ღმერთმა და მერე თუ რა სიკეთით აღსავსე, და წაიყვანა, კი; უბედურ შემთხვევას რომ ეძახიან, იმით... მაგრამ მიშიკო მაინც დამნაშავე იყო – ყოვლად გამოსწორებულს, რაღა ეყუმბარებოდა... –

მაშინ კი ჩვენმა მასპინძლებმა თუმც კარგად იცოდნენ მათი ტუკული რომ რაცუდ გზას ადგა მაგრამ ამას კი ისინიც ვერ წარმოიდგენდნენ და, მთელი სობხუმის რცხვენოდათ, როგორ – მე მათთანა სუფთა, წესიერი, პატიოსანი ოჯახი ძალიან ძლიერ იშვიათად თუ შემხვედრია, და ხოლო ის გულუბრყვილო ძია დათუნაც რაღაცა ფლიდი მოტყუებით შეუცდენიათ თაღლითებს და მისი სამსახურისა-მიერი მთელი გაფლანგვა მასზე აუკიდებიათ და როგორც გითხარით კარგა დიდი ხნით სადღაც ციმბირში იხდიდა დაუმსახურებელ სასჯელს და ისევ მინდა გაგიმეოროთ რომ თუმცა ეს ჩემი მოგონებები ძალიან მინდოდა რომ მხოლოდლა კარგი ხალხით ყოფილიყო დასახლებული და სავსე რადგან დიდად სხვადასხვა და განსხვავებულ-„უანროვანი“ ქურდები და ბოროტმოქმედები და მომხვეჭები და ყოველივე-ყველაფერ-ამაზე უარესები – დიდად მაღლურად (ანუ საუფსკრულოდ) განუზომელი აფერისტები (უხდებათ იმათ „საერთაშორისო სიტყვა“) ანუ დებიუტ-ურაააულად კი ცრუ-პატრიოტები როგორც ბებიჩემი ადრეც იტყოდა ახლა „თავს გვდივა“ მაგრამ ხანდახან იძულებული შევიქნები რომ „ობიექტური“ც კი, ვიყო, ხოლო კეთილი ახლობლობა და როგორი-კარგი, ადამიანები? –

მთლად თავს მდიოდა კი არა და, როგორ დიდ-მაღლად, სულსაც მდიოდა...

ხოლო ტუკულის ამ-უმძიმესი ამბის როგორღაც გასაქარწყლებლად, პატარა ხანში სხვას ვის გამოვიძებნი უკეთესს და, „პატარა ვალოდია ღოღობერიძე“ს – ბებიაჩემის „კვიდრ“-დეიდაშვილ ბიძია ლევანია ღოღობერიძის შვილს, მივადგები, მაგრამ ცოტათი-ჯერ?:

მთელი ევერთიიი წლით ჩემზე უფროსგია ჭირაქაძესთან მაინც-როგორი მრავალმხრიული ახლობლობა გვაკავშირებდა, ჯერ – თავიდათავი ჩვენი აგვისტოური ძმა-კაცობა, განმტკიცებული იმით რომ ბებია იუნონა გურიელი-დადიანი — ტელემაკ გურიელის შვილი და პოეტ მამია გურიელის ძმისშვილი და დადიანების რძალი ბებია და ბაბუასი როგორი ნაღდი და-ქალი გახლდათ, ბაბუაჩემთან ნათესაური დადიანობითაც შეზავებული, გიას დედა – უსათნოესი დეიდა ლეილა და დედაჩემი აგრეთვე „კვიდრი“-დაქალები იყვნენ, და როგორ მეგობრობდნენ სტუდენტობიდანვე ჩვენი მამები – ძია გიგლა ჭირაქაძე, ექიმი-დერმატოლოგი არამცთუ ჩემი მშობლების ქორწილშიც და ჩემი დაბადების ხაზგასმულად აღსანიშნავ სუფრაზეც თამადად ყოფილა – კიდევკაი რომ მე-ტრაბახას ეს მაინც რო-არ მახსოვს, ხოლო ამათგან განსაკუთრებით მივიწყებულ-მაქვს მშობლების ქორწილი მაგრამ ჩემს დაბადებასთან დაკავშირებულ ერთგვარ ამბავს მაინც გადმოგცემთ, ძია მ. კ.-ს ძალიან-მოყოლილს, მაგრამ ეს შემდგომ... –

ხოლო გიამ და მემ, ასე V-VI კლასებში გადასულებმა, სოხუმში ერთხელ „კინო“დან გრძელშარვლიანებმა ძალიან რომ დავაგვიანეთ — მაშინ ხომ უკვე 12-13 წლისანი ვიყავით ხოლო ის ფილმი ორსერიიანი აღმოჩნდა და ჩვენს სახლს („ჩვენი“ იყო აბა რა იყო), ფრუნზეს 2-ს რომ მივუახლოვდით, სახლსა-გადაბმულს რესტორნებიან (დარბაზულსა და ПЕТНИЙ-საც) სასტუმრო „აფხაზია“სთან, უცებ გაბმული დიდად მოთქმა-რამ შემოგვესმა და, შევცბით — ამ შუალამით ნეტავი რა-ისეთი უბედურება დაატყდა ამ ვილაცა ქალს-თქო და ასე შუა-ქუჩაში რომ მოთქვამს-თქვა მაგრამ ყური რომ უფრო მივუგდე უცხო ქალი-ვინმე კი არა და, მთლადაც მშობლიურ-ბებიაჩემი არ ამოვიცან!? — და, „აფხაზია“ს კედელ-კედელ აკრულები მივუახლოვდით და მოთქვამს მაგრამ რას ვიშვიშებს ბებიაჩემი გულში სულ-ორთავ მჯილთააციემებით: „ჩემი გურამი ალბათ ბანდიტებმა დაიჭირეს, თავის ბანდაში უნდათ ალბათ (კიდევ კარგი რომ „ალბათ“ს აყოლებდა) ჩემი-გურამისი ჩანერა ვააი, ჩემი-გურამი კი ალბათ რავა ჩაენერება ბან-

დაში და ამიტო ალბათ ანამებენ ვაი-ვაი და ვააიიი“, — არა, ნამდვილად ვერ იყო ჩემთან დაკავშირებულ ასე-ვთქვით საკითხებში მთლად დალაგებული ხოლოკი, ისე? — სხვა რამე-რუმეებში? — სხვაფრივ? — აჰ, ბებია ისეთი გამჭრიახი და მახვილგონიერი იყო ისეთიიი, რომ, — მოკეთისა და მოყვრისას, ლხინსას... და თვითონ კი თუმც თავისი გვარი: „აზნოურიშვილი-კორძაიობა“ კი არა (ხანდისხანობით „ტახტის ოზნოური-შვილობით“აც-ჰაც მოიხსენიებდა) თვით დედამისის მოთავადო გვარი ჯოლია-ც არად მიაჩნდა თუმცა ახლალა ვითო-ჩავლილ მაგრამაც ახლაც-როგორმოდერ კნიაგინია ემხვართან, ასე გახლდათ ეს, და გადავდოთ კიდევ ცოტათი მეტად თუ როგორ შესმულა ჩემით და ჩემზე პირველი საიგრძელო და გადავხტე-უნდა ძმა-ბიჭ გიადანაც იმ „პერიოდზე“ ასე 15-16 წლისა რომ ვიყავი და ყველაფერი-ყველაფერი და იმას კი ვერ წარმოვიდგენდი მეც ბებიასებრ-ფანტაზიიანი ბებიაჩემი თუ ასე-სახალხოდ ისე-ხმამალლა მთლად უნმანურად თუ-შაიგინებოდა ვინმე კიზიკელ (-ქიზიყელ) — კნიაგინიასავით, ხოლო უცენზურობა კი-ეს ასე მოხდა-ჩატარდა:

ლერმონტოვის 25-ში ახლად გადასულები ვიყავით რუსთაველის 2-დან მაშინ, ზემო სოლოლაკში, და სომხები მთლად სიმართლეს არა მაგრამ სუ-მთლადაც ტყვილა არ გაიძახოდნენ, მტყუანს არიყვნენ „ტყაიებოჯან ჰავლაბარი და სოლოლაკი ჩვენია“-ო რადგანაც მაშინ (XX საუკუნის 50-ანი წლები) ქართველზე მეტი სომეხი ჰსცხოვრობდა ამა-უბნებში თავიანთ სამართლიანად ცნობილი (რადგან აკადემიურობაში შემავალებით — ბაზალტი, მარმარილო, ბროლი, გარეულ-ფრინველთა ფიტულები, რამე) „ბოზარჯიანცის სახლი“ანა ხოლო სწორედ იმა-სახლში კი გამონაკლისურად მთლადაც ქართველები და მერე როგორი — ბებია კუკურასა და მისი დის ოჯახები, ვაშაძეები, და გედევანიშვილები-ნაღდ-ქართველები ცხოვრობდნენ თუმცა სომხებით მოძალეებულ სოლოლაკისა სურათს ეს ვერ სცვლიდა და ჩვენს ეზოს კი ფოსტალიონიც რალა თქმა უნდა ჭეშმარიტი სომეხი ყვანდა თუმცა აბა რად „ჭეშმარიტი“ა გადმოხვენილი რაცგინდა იყოს ადამიანი და მოკლეთ კიდო რო-არ გადავხტნე მო-ვერმოსაბრუნებელში შემოვიდა ერთხელაც იფაშტალიონი ჩვენსაც ინტერ.-ეზოში და დაიძახა მჭეხარეულად ქართულათ-ვითო ხმა მალლა-ძაან, შუა ეზოში, კაკრაზ: „ამულახვარიანც-ამულახვარიანც, ტელეგრამააა !!!“...

ძალიან შეცბა ბებია რადგან მისი ერთ-

ერთი ზუგდიდელი თუ ქუთაისელი თუ საჭილაოელი ნათესავი ავადმყოფობდა და ის მერე რა რომ დიდად ონავარი მაგრამ საკმაოდ ფოციანიც იყო (მგონია სულაც-მე დავუგვირგვინე ესი-განცდა) და ეცა ელდა და ეცვალა დიდად, ფერი — ხომ არ მოკვტნაო და, აკანკალებულმა ჩამოართვა დეპეშა ხოლო იქა კი აჩაბაჩად ებეჭდა, რომ: „დზვირპასო პაცა (ტელეგრამებზე რუსული შრიფტი იყო და-გვირგვინებული) ზპტ (-ზა-პიატაია) შაბატს დჟემალის კორცილი გვაკ და დზალიანი გტხოვტ ჩამობრდზანდი მტელი შენი დზვირპასი ოჯახიტ ტჩკ (-ტოჩკა) შენი კეტო ტჩკ —

და, დზალიანი კი-მოეშვა აჩკროლებულსა დზალიან გულზე ბებიაჩემ პაცას მაგრამ მთლად ვერა რადგან კარგადაც შერჩენილი აქვს ის ტავდაპირველი პოციანობა და, დგას შუა-ეზოში თავდახრილი ამ უცკინარ-კოვლად ტელეგრამაზედ და, არ ეუბნება ისი-სომეხი მალემსრობოლი (ისემც...) პაჩტალიონი? — : „რასპიშის ამუხვარიანც!“, და, ასე არ უნდა ჩემი ორმაგი გულისხმეთქვაო და, იყარა მარა რა იმა-ვაჟნისა პაჩტალიონზე ჯავრი და დჟავრრრი: „ვინაა შენი ამხვარიანცი შე შავსეროჟა ვაჰხ მე კი ერთი მეკიშენი სომეხ-სომეხი...“ ... და აქ ისეთურ-ისეთი მოაყოლა რომ? პირდაპირ-ზნაჩიტ: „ვახ ია ტვაიუ ძალიანც კარქი —————ნ და .....-ო და ეს ისეთად ხმამალლა როო, ის გადამფრთხალ-ზარდაცემული რაგინდც-ლავ-ტყაია ჩვენს ეზოსი პაჩტალიონიანცი გაზეთებისა მთლადაც-დაურიგებლად გახტნა-გავარდა ჩვენსეზოდან, გინდც ძირითადად სომხებისა...

...

ჰო — ხოლო გიასა და ჩემზე მგონი რა-ლაცას ვყვებოდი...

...

ხო! — სოხუმში ვართ ერთხელაც, ჰო, სოხუმის-კუთვნილ კატერით მისაცურ-მისასვლელ კელასურის პლაჟზე გია და მე, მოსაღამოვებამდე ბევრი აღარაა, გაკრეფილია ხალხი და შემოტორღილდა ამდროს პლაჟზე ვილაცა ადგილობრივი (ყველგან ეტყობათ „ადგილობრივობა“-ხოლმე...) კაი-მაგრა გამომთვრალი-ვინმ და, აღგზნებულსა გამომეტყველებაზე შორიდან კი აგრეთვე ეტყობა რომ ლაპარაკის ისეთს იშტაზეა რომ აღარ იცის ვის მიედ-მოედოს და, ამ განზრახვისათვის არ დაგვიწუნა ჩვენც და დაგვადგა თავს და ჯერ მე მეკითხება: „და რა გვარის ხარ ბიჭო მითხარი შენ!“.. ვუთხარი და, რა და რომელი დიდიიმდენიშვილი გვარი მე მაქვს მაგრამ მთავარი თურმე წინ არ უძევს? — ახლა გია-სა, ჰკითხა: „და

შენ?“ გიამაც ჩემსავით ხმადაბლა მიუგო: „ჭირაქაძე“... „რაიო!?!“, — გადაირია ბარემ-კილამ ისი დიდ-თვრალი, — კაცო, ჭირ-იქა რავა არ გამიგონია ზღაპრებიდანე მე მარა ჭირ-აქა-ძე და შვილი და ლურწკაია არ გამიგონია ბალანასი, მე!“ აქა კი გიაცა და მეც დიდად გავკვირდით და დავუკვირდით გიასი-გვარსა რადგან იმ ყოვლად ანც-ალკოჰოლიანამდე მთლად არასოდეს დავფიქრებულვართ გიასი გვარის ამგვარ გაშიფვრაზე მაგრამ, მოგეხსენებათ რას არ შეამჩნევს თვრალისი-ყური (-ისემც...) ... მოკლედ, იცინ-იცინა და ხითხ-იხითხითა იმ-მთვრალმა და, გეიფიქრა რო-რომე ამათ დედებისი-გვარებიც კაი-სამასხარაო ექნება-თო და: „ბიჭო დედაშენი რა გვარია“-ო, ჯერ გიას ჰკითხა. აქა კი გიამ — ძლიერ ამაყად შემართა თავი და, კარგა მომალლოდაც, ამაყად მიუგო: „დადიანი“. ესკი აშკარად არ ესიაშუნა ჩვენს ასე-ყოვლად დოუპატიუებელ სტუმარსა გენეალოგიათ-გამომძიებელს, სად-სად და სამეგრელოსა და აფხაზეთში იცოდნენ მაშინ (-ეეჰ...) დადიანობის წონა და ფასი რაცგინდა მთვრალმაც კი და, გასაგებია ნამდვილად რომ არ ეჭაშნიკეპიტნავა იითვრალს პასუხი-ესი და, გადმოვიდა ახლა ჩემზე, რაიმ საკბილოდ-ასაგდებულოსი მოსაპოვებლად გვარისმიერი გეოლოგ-არქეოლოგისტივით როგორ ყოვლისა დაუნდობელისა გეოგრაფიულ-კონკისტადორივით: „და შეენ, ბიჭო?“ და მეც მეტი თუ არა კარგახმამაღლითურ განვუცხადე: „მე — ემუხვარი“... შეცბა იკაცი, ჩაიფუშასავით, აკი ვინ-ვინ და ყოველმა სოხუმელმა (იქო-ურულმა სომხობამაცკი) იცოდა მაშინ (-ნეტავი, ახლაც?..) ემუხვარობის როგორი დიდად—ხიბლიანი ღირებულება, და ჩვენ კი ვსხედვართ შეგრილებულსა სილაზედ აჰროგორ დიდად გამარჯვებულნი დედათ-გვარებით და, მაგრამ, პატარა ხანში იმ ჯერ დიდათე დაბნეულმა და მომჩვარულმა მაგრამ მერე კი არ მოიკრიბა იმ-ოხერმა უცებ ძალა და, არ მოგვახალა და ახითხითდა, ისევ? — „რას არ გეიგებ ადამიანი, ვაიმე მოვკვდი-მოვკვტნი სიცილით, — და, მოგვაშვირა ორთავევ ხელი, — კი მარა, ეს დადიანი და ემხვარი რამ გააყოლათ ლო-ჩანეიშვილის და, ჭირ-აქა-ძეეს?“-ო, და ისე ძალიან ახარხარდა რომ სულ გულსა და დიდყლუპებნაყლაპარ-მუცელზედა იტყაპუნებდა ძალიან ისე ი-თავის ი-ორივ ხელის რაცხა-ახლახან-სასმელიან თითებს: „თქვენ რა გითხარით, თქვენ გეიხარეთ ქეარ მომკალით სიცილით ესი დროული მე, კაცი?“-ო... -

ასე რომ ისე-მიმზიდველი თვით კელასუ-

რის ისიპლაჟიც ვერ იყო, ვერა, სულ და ყოველთვის ძალიანც კარქი...

ახლა კი დროა, მკითხველო რომა ჩვენი ამა-კონფუზის გასაბათილებლად ვალოდია ლოღობერიძე, მეკონტრაბასე და თანაც როგორი ჩინებული და გიტარისტი და შაყირისტი და მომღერალი და რაფრა-მომღებნი, მოვიშველიო, —

ერთადერთი, ვინც რომ ბაბუა სილოვანს შეხუმრებებსა და თანაც როგორთ, უბედავდა, ჩვენი ახლო ნათესავი, ბებიაჩემის დეიდაშვილ ლევანიას ვაჟი, ვალოდია გახლდათ, ხოლო ვალოდიასთანა უულიკ-შაყირისტი-მაყირისტი? თანაც ზედ იმა-კვიმატურაობ-მახვილაკობებში ისეთ-ტეხქნიკით აღჭურვილი? ხუმარაობებ-ფინალ-საფარსაგოებებში თელ-ნათესაობაში არავინ გვეგულებოდა ვალოდიას ბაბუის — „დიდი ვალოდია ლოღობერიძისა“ და მისი ერთ-ერთი შვილის ლოტბარ ბიძინა ლოღობერიძის გარდა მაგრამ რადგან „დიდი ვალოდია“ აღარ იყო ხოლო ბიძინა ლოღობერიძე კი ქუთაისის სცენებსა და ძირითადად კი რესტორან-სასადილოებ-ბალებში მოღვაწეობდა და იშვიათადლა, ნათესავის ან ძაან-ახლობლის დაკრძალვაზე თუ ჩამევიდოდა თბილისში, და ამიტომაც ჩვენი „პეტერე-ვალოდია“ (რალა პატარა... ქე იქნებოდა სუცოტა ასე-ექვსკვადრატულ-ფუთამდე) იმ წინაპართაულთა-ორით ხარვეზს მარტოკ-თავისით ავსებდა და თავისუფლად შეიძლება ითქვას რომ დიდის წარმატებითაც რადგან განამებული ჰყავდა მთელი ახლობლობა — მეზობლები, ნაცნობები, ამხანაგობა, ორკენსტრანტები და განსაკუთრებით — სანათესავო, აი ისე რომ ბაბუაჩემსაც კი უბედავდა ძანაც თამამ კვიმატობებს და, ამასთანავე, წარმოიდგინეთ, სადასასჯელოს კი არა და, მთლადც-წარმატებულთ და კუთვნილ-შექებითს ხუმარა-ენა-საქციელ-კიცკვიმატობათ... ერთ-ერთზე ახლავ მოგიყვებით:

ზის ბებიაჩემი ერთხელაც სოხუმის „ჩვენ-სახლში“ წინადღინდელით როგორდიდ განცდაგადატანილი — მე მაგარ ღელვაში მიყვარდა ცურვა და წინდლით კი ისე ღელავდა ზღვა რომ ნავთ-კიარა და თვით კატერთ-საყუდელის კარგა მომალლო სალაროსი სახურავ-თავზე შემონყობილი ფეხსაცმელებიც კი მომტაცა მეცხრე ტალღამ და, კატერებიც მაგრა იყვენ მიბმულები იქვე ჩვენს სახლთან კატერთსაყუდელში და, მე აბა ასეთ ხელსაყრელობას მაშინ (VIII კლასში გადასული) ხელიდან როგორ და როდი გავუშვებდი და, დიდად ვნებივრობ, ავდიჩავდივარ მთლადაც ყვიითლად აქაფებული წყალითა, კი, რა დიდ ტალღებზე მონეტარე

და, — ვაიმეეე! — არ გაუგია ბებიაჩემს ეს ამბავი და, გავიხედე და რას ვხედავ, ვაი-იპ! — მთლად არ შემოდის იმ ღელვისას მისთვის რა-დიდად გაუმართლებელი სახელწოდების „შავსა“ ზღვაში (ან ლურჯია და ანაც მწვანე და ანდაც ყვითელი — ტაროსს გააჩნია)? არადა, ცურვა სად იცოდა, მგონია აბაზანისაც კი ეშინოდ-ნაშინებარა და, და რომ ვიკადრე და გამოვეშურე ოთხთავ კიდურთა მთელის ძალღონისმოკრეფით კატერთ-საყუდელისაკენ — ასე უფრო სწრაფადავხტები-მეთქი ბებიასათვის-„სამშვიდობოზე“ აისე ყვირილით: „ახლავე მოვდივარ, დამიცადე — აქა ყლუპყლუპ მლაშენყალი — ხკხკ — გამოვდივარ ბებიააა“ს გადახილებით და რაც მე მაშინ ვყლაპე წყალი რადგან ტალღათ მიქცევ-მოქცევას ბებიათი ისე ძალიან შეშინებულზე არად დაგიდევდით — ბებიაჩემის ამბავი რომ ვიცოდი, მართლა შემოვიდოდა წყალში — ეს ისეთივე ნაღდი იყო როგორცრო ლოღობერიძე-საყვარელიძე-ერქომაიშვილები კაი-მომღერლებისი გვარებია ჩვენში ჩემობატონო და საერთოდაც კაი-გვარებია თლათ-გამონაკლისურ იშვიათობებს თუ არ ჩავთვლით სრულ 100%-ში, მოკლედ, აბადა რა მემღერება და რალა დროს კაი სიმღერებია ისე გაბლავის ზღვა და, ამასობაში იმასაც ვხედავ რომ კაი-ორჯერ კიც-წააქცია ბებიაჩემი მოსაშუალო ტალღამ და სადაა ხოლმე ამდროს ნაცნობ-მოკეთე და, და როგორც იქნა და მოვალწიე და მეღირსა და ჩავებლ-აუჭე კატერთ-საყუდელისა ძგიდეს და, რალა თქმა უნდა მხოლოდ შემართულ-ბეზიასაკენ ვიცქირებოდი და, უცებ, ზედ არ მომასკდა და არ მიმანარცხა რალა-რომელსა კატერთსაყუდელს (ხო-ნიშნავს, ვითო, რაცხა საყუდელს, ანუ მისასვენებელს...) რალაც ფიცარს ისე მძლავრად და ჩამომახუნაც იმა-ფიცარს აგრეთვ-დიდ-მძლავრად რომ სხეულისა მთელი შუა-„ანფასი“ (-ანუ მუცელ-გულ-მკერდი) და განსაკუთრებით მუცელი მართალია არცთუ ძალიან მაგრამ სისხლამდე კი გადამეხეხა და რომ ამოვხტი მერე მაინც სამშვიდობოზე ბებიაჩემს ახლა ჩემი სისხლი რომ დაინახა? — ახლა ჩემს საშველად კიარა და სულაც როგორ-გადამწყვეტ-თავდასახრჩობად მიილტვოდა და დიდად ცდილობდა შესვლას არაშავ (თუ, ხანდისხანობით მაინც-შავ?) ზღვაში და გააკავეს რავარც იქნა — კეთილსადაკარგ ადამიანებს რა გამოლევდა დღეინდელივით კი არ იყო, არა, ა-ისი-XX-ს-50-ანი წლები და, ბოლოს ბებია რომ ძლივძლიობით რომ დაარწმუნეს რომ, გადარჩენილ-ვარ?-აჰ რაც მე იმან „შე სასიკვტილე დასახრჩოფო“ მეძახ-

მეძახა იმდონ-იმდენი? — ისე იმდენი „სასიკვტილე“ თითან ძალიან იოჟეფ გებელსს არ უძახნია თელისოფლიოს ებრაელობიზა, და, მეორე დღეს კი, იმ „ინციდენტი“სადა გამო ნამდვილად ვერაა, ვერა კარგ ხასიათზე კიარა და, თავის თავს მთლადაც წამდაუნუმ მიმართავდა ასე და თანაც ყოვლად უსარკეოდ, კი?: „შენკი გაგიხმა მაი თავი ფაცა, რა ნახე მაინც ამ სასიკვტილეში რო გადაყვევი შვაგულ ზღვაში“-შოო, — შემოვიდა, კი, ვითომდაც, ზღვაში — ხომ არ მოუშვეს ჩემსკენ ტალღებმა და, მოკლედ, ვსხედვართ მეორე დღეს წინადღინდელით დაქანცულები და, ვართ მარტოები — ჯერ ეს ეგ ერთი ვინ გამიშვებდა მეორე დღესვე რაგინდაც დაწყნარებულსა პირობითულად შავსა-ზღვაში მთლად გადაბინტულს და, თანაც, „შენი ზომის ფეხსაცმელები ვერ ვიშოვე“ო და, დღისით-მზისით რა გამიყვანდა უფეხსაცმელოდ უნივერსალში და თანაც ყველაფერი-ყველაფერი და ორი რამ ნაღდად ვერ შევისწავლე დიდად ხშირიცა და ხანგძლივი მცდელობებისადა მიუხედავად — ფეხშიშველურად სიარული და ორითითით მაღალი ფსტვენა და, მოკლედ, კვლავ-სუგანიცდის ბებია ფაცა წინა-დღისისობას და, რეკავს უცებ ბებია იუნონასი ტელეფონი (დეიდა ლეილა რედაქციაში მუშაობდა და ამის გამო დაუდგეს ტელეფონი — რა იცი რა ხთებაო...) და გაეხარდა, ხოიცი, ბებიას, ეგება ვინმე არ-„სასიკვტილე“ს გადავაცოლო გულიო და, აილო ამით გულმოცემულმა ყურმილი დაა, ესმის მარა რა ესმის, — ვააი, ვაიი: ვაა, ვინცხა რუსისი ქალი არ ლაპარაკობს ანუ **ГОВОРИТ?**: — **Будьте добры, Силована Николаевича попросите пожалуйста** — ა! — ესლა აკლდა... აგილა აკლდა ბებიაჩემს, და დიდად მკვახედ კიარა და არაა ძნელად წარმოსადგენი თუ როგორადაც უპასუხა „**Будьте добры**“სადა მიუხედავად: „**Силована Николаевича нэт дома, нэтту!**“ და, კირო უნდა რო-დოუხეთქოს трубка, მარა იქალი ეკითხება: „**А вы кто будете?**“ აი აქა-კი, ვაჰ-რა შერცხვენა დოუპირა ბებიაჩემმა, და რა ამაყად მთელის ღირსებით ძველ-კნიაუნასი-ს, მიუგო-უთხრა: „**Я? Я-супруга!**“-ო, მარა იქალმა, ჰოიივ, მართლაცდა გადასარევი: „**Аа, прислуга? Передайте пожалуйста, прислуга вашему хозяину Силвану Николаевичу, что сегодня вечером я не смогу прийти, но зато завтра встретимся на том-же месте в восемь вечера**“, და, დაუკიდნა კიდევ, ტრუჰკა.

გადაირიაა, მაგრამ რას გადაირია ბებიაჩემი, ვისზე იყაროს ბრაზი და ჯავრი, მე-სა-

სიკვტილე არ ვეყოფოდი რო გოუორმაგდა ამაჟანრის — „სასიკვტილო“ების, ხალხი, და მერე ვინ ეს — თელათმთავარი ახლობლები — მე და ზედაც ბაბუაჩემი მაგრამ მაინცდამაინც ვის ოხტში უნდა ამევიდოს ახლა — იმ ქალმა ტრუჰკა ქი-დოუკიდა, მე — დაბინტული ვარ და ფეხშველი, ბაბუაჩემი გასულია — ბაბუას ბულვარზე უყვარდა დინჯის ნაბიჯით სეირნობა და უფრო კი მერხზე დაჯდომა განსაკუთრებით საღამოობით — ა! რა ყოფილა „**В восемь вечера**“!!! და ზღვის ყურება შებინდებისას, დიდ-ხნობით, თანაც, ხმის ყოვლად ხმისა-ამოუღებლად, ვინ იცის ნეტა რაზე (-დ) ფიქრობდა, ერთზე კი, ნაღდად — ალბათ დედაზე ვინც რომ სულაც არ ენახა და რო წარმეიდგინა ბებია რომ კაიძალი-არხეინსაა სილოვანი და კია-თავისთვის და აქვს თავიქუდში და თურმე ჩაშლილ პაემნამდე დრო იმით გაჰყავს ამ-**ПОДЛЕЦ**-სა რომე მშვიდი სიამით მიჩერებია და გასცქერ-გასცქერსს დაწყნარებულ ზღვას, და ბებიას კი ერთი სული აქვს რომ გაიჭრას და დააცხრეს თავზე და ტაცოს მხრებში ის მერე რა რომ სუსტი ხელები მაგრამ აჰ-ისე დააჯანჯლაროს და დააგრგვინვოს გამოტყდი შენით ამწამს ვინაა იიგათახსირებულიო და ისე-უბრალოთ კიარ კითხოს არამედ მთლადსულ ისე დაეტაკ-და-გადააქციოს ამა-შეკითხვით იმა აფირისტ-ბულვარისა სკამეიკიდან მაგრამ, ვაითუ ამა-სობაში მე გავეპარო კელასურისაკენ, ნაიოდარი, დაბინტულათე შე-იოდ-ებულ-მუცლიანა ზღვისაკენ და იმ როგორს-ვაიდ განაჩხაპნებში (არა, არააა — მთლად ზედაპირული ციცქნ-იარები, იყო,) ინფექცია-რამ და ბაცილები — რაებს აღარა ჰყრიან ზღვაში — არ შეეჭრასო და, არა და, გარეთ გაჭრისა-ა-კენ ერთი სული აქვს მიაფრინდეს-ზედ ვინცხ-რუსისიქალის თურმე სილოვანს — და მთელ მათ ოცდათხუთმეტწლიან ცხოვრებაში ერთი გადაბრუნებული სიტყვისაც კი ურთიერთ-არ-მკადრებელ ცოლ-ქმარს ახლაკ დაუდგათ არა, დროი, წაჩხუბებისა კი არა და, ის ი-სილოვანს ეკვეთოსა და შეერკინოს? — რომელი გიორგ-სააკაძე, ხოლო, ახლაა? — მე-დაბინტულისა გათვალისწინებით? — მხოლოდკ მიდისდამოდის პატარა ფეხების (მაღალი ქალი კი იყო მაგრამ 34 ჰქონდა, ფეხი, ფეხსაცმელს მგონია სულაც „ბავშვთა სამყარო“ში ყიდულობდა) მთლად დრაგუნსკულად, მაზანზარებლად ბიჯებ-ბიჯებით, მიმოდააბიჯებს, გამძვინვარებულ, ფეხთ, მიდი-მოდისა დიდრონ-მრისხანედ ბებია იუნონას მოცუცქენულ ოთახებში და ხან რას დაეტაკება და ხან რას — ყოვლად ყოველმხრივ უბრალო (-უდანაშაულო-სი გაგე-

ბით, უდანაშაულოთ, აკი) მაგიდა-სკამებს, ძია სანდროსი უბადრუკ ტახტს, და აგრეთვე ცაც ჯერ ააშვლია და დაახათქუნა ჩაიდანზე თავსახური ისე რომ თითი მოენენკა მაგრამ რაა თითისტკივილი იმ დამამცირებლობასთან იირუსისი ქალისაგან აგერ-ახლახან რომ ინვინია, ხოლო ნამეტურ-ისე-ძალიანი იმიტომაცე დაახათქუნა იჩაიდანზე ისახურავი რომ — ჩაინიკშიაც სუარ დახვდა ქმარ-სილოვანი ჩემი არ იყოს მეც ხომ არ დავხვდი ჩაინიკი-ში მთლად ბავშვობისას რომ დავადე ბუტია თავი და წამოვედი მეყარიბობისათვის განმზადებული დებიუტურულ-მარკო-პოლოსავით აღმართ-დადმართზე ელბაქიდისი (კაცო იიი-ელბაქიდეც-ხო მგონია სულაც მონონიალე იყო-ჩემსავით და ზედაც ოლონდაც მობანდიტო ხოლო ესმე კი ბანდიტებში აკი სულაც არ ჩავენერე და მიუხედავად ამისა არც მანამეს და არცარაფერი და ისი-პირი ესჩვენი მარკოც მობანდიტოვე იქნებოდა — აბა მარტუა ვით-გაბედავდა მონლოლეთსა-და-კიტაიებში ვითომაცმგზავრულ წონილს და მარა ი-ბანდიტისაგანაც რა საამაყოდ-განსხვავებით აკი მე-მეთქი კიტაიელსა ჰბანდიტებსა იმათე შავ-შავ სიებში ჩანერვას რაგინდ ცივ-ნემსებითა თუ ცხელ-შანთებით ვენამე ბიეთ იმ-საშავბნელო სიიზა დაგვიანების ამჩემისა-გამო როგორ მღელვარე შავზღვასავით ბებიას ჰაზრით, ხოლო იგი კი? — ჩაენერა... როგორ თუ ვინა... ვინა კაცო და, — იელბაქიდე!.. გადავყოფი, კი, ახლა ვინცხა იტალიანელს, ვენეციელსკისც, თანაც...) ... მოკლედ, არის და არის ერთ კი არა და მრავალამბავში და ბდღვინავ-გრგვინავს ჯერ მთლად უსიტყვოდ გავეშებული როგორ ძალიან რაცგინდა ისე-გამხდარი ბებია, ჩემი, და არის დიდ მწარ-ჰამბავშია ოთახებითე-გინდაცმეზღუდულ თელათ-ლოკალურ მარკო პოლოსავით (ისტეველე, კაცო? — ვენეციელი, მავრის არ იყოს ვენეციელის ტაკ-ჟე...) ოლონდაც იმას თელათ არა-მავრს სუ პირდაპირე-ქონდა დაღერებული თავი და მიდიოდა სუ-სუ წინ-წინ, ბებია-ჩემი კი ბორგვითა-ობით მალად აქეთ-იქით ბორგავს ჩვენ-ბინის ოთხსავე მხარეს (-აღმოსავლეთი, დასავლეთი, ჩრდილოეთი და სამხრეთულობა მოტემპერამენტიანო) ძაან კი არა ძაანზე-ძლიერ-ძაან მეტად ხოლო ბებია იუნონასი ფანჯრები რადგან ქუჩაზე არ გადის არამედ მეტად ხმაურიანსა და რესტორანიანს-ბალში და იქიდან კი ყაყანზე ვუმფრო დამლალავი დოლ-გარმონისი ბრაუნ-ჭყვიტინი ამოისმის და ეს უნდა, კილო, იმ გაცეცხლებულს, გულზე?

და, იყურება და იყურება და იცქირება

გადანრისხებული და დაჩერებია მთელ-პირისახე-მოქუფრულობით ხან რომელსა და ხანაც რომელ ყოვლად უდანაშ-უმნიკვლოვანეს საფეხურს თუმც რატო-უდანაშაულოს იმაკიბისი საფეხურებით არ დაჩინდრიკობს თურმე მისი-ყოფილი სილოვანი ირუსის ქალსთან და, მოკლედ კი არა ძალიანაც გრძელს მოლოდინში არის ბებია ი-მოღალატე ქმარისისი ცდა-და-მოცდაში (მოცდა და ცდა ვეძახოთ, კი. კი.) და,

არ ამოდისა, ბოლო-ბოლო, ბოლოსდაბოლოს, დინჯ-ღირსეულის ნაბიჯებითა, კნიაზ-ემხვარი?, და,

ბებიაჩემი?

არასოდეს მსმენია მისგან ბაბუასადმი არამცთუ ისეთი რისხვა არამედ მსუბუქსაყვედურიც კი და, ააახლა კი? — ვაჰ, რას არ დასძახის გავეშებული, კნიაზურს თავსზედ?:

— ოო, სილოვან შენრო მოუმკვტნარიყავი იდეიდაშენ ანეტას პატარობაში ის არ მერჩია გაფუჭებულ შვენ, გათახსირებულ შვეენ, შე... კინტო-კინტო!, სვეტლეიში-კნიაზია ვითომევე, ეს!, — ბებერო ესშენ რაღადროს შენი კახპებია შე გლახისჭია ხრონნ-ბებერო შენ!!, გამომივიდა **Кащей бессмертный!!!** — არადა, არ იყო, არა ბაბუაჩემი მაშინ ბებერი და მით უმეტეს სუ-არა-ხრონნი, — მაგრამ ამასე დასჯერდებოდა გავემ-ძალიან-ვეშებული, ბებიაჩემი? — ჩაჩანაკო-შენ სულე თლათ ოხრათ და ნავარათ (-?!) დაგრჩენია ის შარვლები და ტუყურკები მერო ზედ ღილებს გიკერებდი ვინაა შენი პრისლუგა და თხლე დაგასხი მე შენიკი თავზე და თავსლაფი შე-გათახსირებულ შვენ! — აუუ, თვით ემხვარზე და, — გათახსირებული-ო?

ამოიყურება-რა ამ მოულოდნელ ამა მეხთატეხობითა და ელდა-ელვ-დაცემობებით მისთვის როგორ-რა-უჩვეულოდ გაოგნებული იქამდე რომ პირ-კატანაცემ-გლექტეტიასავით-დაღებული და მთლადაც გაგრი-ა-ახლა, ექს-ემხვარიკული ბაბუაჩემი და, გადარევასაა კაცი, — რამ შეშალა კაცო ეს ფაცა, ეე რა-როგორი ბედ-ნავს-ობური ხათაბალაა ამფაცას თავსო, ასე მაინც რამ გააშავ-შავდღევა, — ესი სიტყვები ბაბუამ მინამდე მგონი მყარად არ იცოდასავით მაგრამ ფიქრებში უკიდურესმა-ამ გაჭირვებამ გაახსენავა, ალბათ, ძნელებ-სიტყვური, სინონიმებური, თავი, და, კიდევ კარგი, აგერ ამოდის კიბეზე ვალოდიაც, შვების როგორი შემომტანი თელ-ნათესაობაში და ახლა როგორულ-ბედად სტუმრად მოსული მაგრამაც ვაი-იმა სტუმრობიას, კი, — ვალოდიაა ვუუხ!, — კივა ბებია, — თუცი ვინე

ყოლია მამიდაშენს თელათე ქმრათ ეს ოხე-  
რი და დასამინებელი ყველაფრიანააა-ჰხ!,  
გეიგოს ყველააამ!!! — და, ვალოდია? —  
განკვირვებულ-და-შეცბუნებულნი:

— რა დაგემართა კაიახლა ფაცა მამიდა  
რა დაგემართა დანყნარდი ახლა, ნუ გამოგ-  
ვჯაყე ამდონი ხალხში, —

რა „ხალხი“ა ეს, ქვემო სართულზე მე-  
ზობლებიან ორ-ღერ ბოვში არი ხალხი? —  
შეშინებულებს გამოუყვიათ კარის ღრიჭო-  
დან, ცხვირი...

— რაშია მაინ, ფაცა-მამიდა, საქმე...

— რაგა რაშია-აააა! დეეთრევა თურმე  
აგიყმანვილი (— აკი, ახლახან, — თელათ-  
ხრონნი-ო? — ცვალებადია, ადამიანი...) —  
გლახაქალეფსშიიი!

— ვინ... რა ქალები... — მთად ძლივას-  
ღალა ამბობ-ლულლულებს ერთსაც წარსულ-  
საც-დროს როგორ-ამაყი, ახლა კი გაოგნე-  
ბისაგან მოტეხილი-ან და თანაც როგორ,  
ბაბუაჩემი...

— კაი ახლა ფაცა მამიდა, სილვანი (ვა-  
ლოდია რატომღაც აკლებს ბაბუაჩემის სა-  
ხელს შუაგულ-საყრდენ პოეტურსაც ხმო-  
ვან-„ო“,სა...) ამას არ გადამრიო და რაგა  
იკადრებდა სილვანი ამხნოვანობაში აწიდა-  
ანი... — და, მაგრამ ატყობს-რა ესიჩვენი  
ვალოდია რომ ბებიაჩემი? — არ დანყნარ-  
დება არას-დიდებით კი არა და იმატ-იმა-  
ტებს სიფიცხეებს ისედაც ძაან-გადარეული  
ძალიან-ისე?, და:

— Вот дорогая прислуга ведь пришел  
мой милый-любимый друг и твой бабу-  
ин- Силован Николаевич и воспользуйтесь  
счастливым случаем что сейчас он даже  
у вас случайно-дома и передайте ему в  
точности что я велела тебя послушная  
прислуга,— ვაიი! — ზუსტად, კი, ვითომ-  
მითომ იმ-ინკოგნიტო რუსისიქალისი ხმით,  
კაცო, მიმართავს, კაცო, ამბებიაჩემს ევა-  
ლოდია და ერთხანს რომაა ფაცა რომ კი-  
კი რომე-რომაა გადაოგნებელი? და გადან-  
ცვიფრებულა სილვანე-ც, კი, და ხან რომ  
ერთს-გაოგნებულს მიჩერებია და ხანაც რა-  
ტომღაც მეორეს-ასე-რუსულითე ალაპარი-  
კებულ ვალოდიას და თანაც რეეფს ბუუ-  
ტუროფს აიკაცო ფიქრობს, და, ვერაფერს  
ვერკი ხვდება თუ-რაა მისსა თავს და ასევე  
რაა ასევე-ირგვლივ და ზეით-ქვეით ხოლო  
ბებიაჩემი ფაცა რალა თქმა უნდა სილვა-  
ნეზე-ნინ პირველი ხვდება ყველაფერს და  
ჯერ რომ უნდა რომ ახლა ის ზემორე-ბევ-  
რგანნახსენები ჩაიდან-ჩაინიკი დაახეთქოს  
ამა-აფირისტ ვალოდიას მგზნებარრეთა და  
ზემოდან, თავზე, უცებ აუვარდება მაინც  
სიცილი და მაგრამ რას-რას აუტყდ-აუვარ-

დება ისე-რომე, ძლივასლა ამბობს: — ოჰ,  
შენ მოუკვტნი შენით-უბედურ მამაშენს  
ლევანიას რა გაგაჩინა და რა გაგზარდა ეს  
რა გამიკეთე ახლა შენ ეს!

ბაბუა ჯერ-კვლავ ჩუმათ-საა, რა-ხთება  
მაინც... მაინც რა თქვა ამ ვალოდიამ ისეთი  
რუსულათ ამისთანა.

— რა გაგვიბედე ბიჭო შენ ეს!! გუგუ-  
ლებივით ცოლქმარს ამას... — და ახლა  
სხვა-განხრობისა განრისხებისათვის ვითომ  
ამ თავიდან-განრისხებისათვის აშკარაა  
რომ ემზადება ესიჩვენი ყოფილ-прислугა?  
მაგრამ —

ვალოდია, აქ:

— ფაცა მამიდა, ადამიანი ვარ მეც და  
მეინტერესებოდა ადამიანურათ მეც ეგება  
მართლა ძალიანი ნატურ-ნატურში თუგიყ-  
ვარს შენ შენი ასე-ძალიანი შენიქმარი თუ  
გიყრიან ჭორეფს არნაყვარებო და, იმათ  
დავასხი მართლა იმ-ტყვილ ენებზე ენის  
თავსლაფი რომელ-თავსლაფიც სიყვარუ-  
ლით გოუკეთე შენ ახლა შენშენ ქმარსილ-  
ვანს (-ა! — კიდო, კიდო, - უ-ერთხმოვნებოო  
სილვანობა...) და, მეორეც კიდო, ფაცა-მამი-  
და, — ატყობს უკვე რომ, ემხვარის ქალს  
სიცილისაკენ გოურბის ტუჩნი, — ასეთი სე-  
ირს, ახლა ქერო ვნახე გოუშობდი შენ ჩემი-  
ადგილზე, გაფიცებ გურამს?

ოო, თითონე-გურამს გაფიცებო? — და,  
გადმომხედა-რა მე-დაბინტულს და, უფრო-  
დაც დადგა გულ-ამჩუყებლური სიხარული-  
საგან სიხარულისაკენ, და, -

— ვის დევმგვანე ვალოდია შე-სასიკვტი-  
ლე ასე-ვოხერი!

— ვის დევმგვანე ფაცამამიდა და, სუ-  
ლე იმას არ გეიძახი შენ დიდვალოდია ლო-  
ლაბერიძე-ბაბუაშენსვო?

ხოლო ჩემგან კი ასე-პირველად დანახუ-  
ლი ასე-ტეტია და გაგრია და ჰოტროველაც-  
კი იმ უჩვეულო სახეობის რომ — დაბნეუ-  
ლი და უბირ-ემხვარი გაუთლელივით კვლავ  
აპაჭუნებს ორთ-ორსავ-თვალთას და,

ბებია კიი რომ რა-მოფერებით დაუყვა-  
ვებს და მიეფერება:

— ამ აფირისტმა შემაცდინა ჩემო სი-  
ლოვან თორემ აპა ვინ სხვა კაიოხერს ყავს  
თელ-დედომინის თელათი თელ-ზურგზე შე-  
ნისთანევი კაიქმარი, და გლახისჭია კიარა  
და ქერო იტყვიან შენისთანეებზე თელათრუ-  
სები... აჰხ! — რუსი კვლავ-მაინც ცუდა-  
თე აქვს დაცდილი მაგრამ შედარება-რამ  
რო-ნამოინყო არ იხევს უკან, — ხო! ბელა-  
რუსები რავარც იტყვიან თელათე გორნი  
არიოლი ხარ, ჩემოსილოვან, შენ! — და,  
რომკი უამბობს ვალოდიასი ტელეფონობით  
რუს-ქალობას? — სხვას აბა ვინსა-რომელს

შეარჩენდა ამას მთლად ემხვარ-ადვე მოქცეული ბაბუაჩემი, რომელსაცა-რომ ვალოდია ლოლაბერიძე (ხანდახან ასეც წარმოსთქვამდნენ ამ-გვარს, ჩვენები, ვითომაცადა „სხვადასხვაური განვრცობის“-ათვის მაგრამ რომელი სხვადასხვაობა ამ გვარს უნდოდა — რავარი შვილი-ვაჟიშვილი გამოუვიდა მთლად ყოვლად-უთქმელ ბიძია ლევანიას ოლონდ, სიმღერით? — აჰ, ესისინი ორვე მღეროდა?... თელითავისი თელი-ჩვენ მეტ-ნაკლებათე მოზარზეიმე ნათესაობაში? — „სხვა“ა, ეპატიება რაცხანაირათ, ყოველისფერი, ისეე-კი ძველ-სიამაყე-აღდგენილი და მობრუნებული, დაგვბრუნებული აქეთურობა-ს და მაინც როგორ უილაჯოდ და დამდნარ-ლიმილით ილიმება ამაყ-ემხვარი, რა სიყვარულით, იმ სიყვარულით ვალოდიაზე, უუღიკ-თაღლითსა და აფირისტზე, ასეა ხოლმე —

ერთს რომ იმის მეათედს... ჯერ ეს ეგ ერთი არ შეარჩენს კიარა და — ვინ გოუბედავს! — და მაინც, ვთქვათ რომ გაუბედონ და გაემასხრონ როგორცა-ახლა იმის მეასედს ვის შეარჩენს მხოლოდ ბაბუაჩემი კი არადა, მთელი-იჩვენი ნათესაობა? ვალოდიასკი? — როგორღაც სულ-სუ-და-სულე სუყველაფერი ეპატიება, უანრი აქვს იმას კონტრაბასისტობის გარდაცე ასეთი და უყვარს ძაან თელიჩვენ ახლობლობას და უყვართ და რაქნან ყველგან და ყველას — მეზობლებსაც და ორკესტრანტებსაც მისგან ჰობოის-კაცი რაგინდ შორს იჯდეს ვალოდიაე-ფეხზე-მდგარულ-მეკონტაბასისტესგან, კიი, დაა, საცაკი იმა-თავისს სიტყვას ჩააგდებს — ნაყვარლარიან, ს-სსულ, მისი სიტყვა კი? — რაგინდაც დიდათ გამქირდავი? — სიხარულია, შვება, მთლად პირველ რიგში ვალოდიასი-მოგონილი და შექმნილ-შეთხზული თავდაპირველი ჭრელა-ჭრულა სიძნელეების გადასალახად და გადამლახავი (-„რას გლახაობდი ბიჭო შენ, აა... რა გაგლახავდეს დეილუპე შენ“...) მაგრამ სამაგიეროდ რა-შვებაა ეს ა-რავარც ახლა, და იმისაგან სიყვარულითე-გაქირდვები (რა ამასხარავებდა... ეეჰ, წარსულში ვლაპარაკობ... თუმც, თლათ-იმაზე არა ვწერ, ახლა? და, რა ამასხარავებდა და — ისეე ჩვენდამი სიყვარული ისი იყო ქერო თლათ ჭკვაზე გვშლიდი კაცო შენ...) და გაკილულები ზარ-მოზეიმე ფინალისას მთლად პირველ რიგში? — რა გულიანად ილიმებიან კი არა და, ააჰ როგორდარაფრა დასტა-დასტურად იცინიან, ძლივს ითქვამენ სულს, და ახლა ამათაც ხომ სხვა აბა რა ქნან (ის თქვენ მითხარით — იუკეთესი...) და იცინიან ბეზიარემ-და-ვალოდია ხოლო ბაბუა სიღვა-

ნი კი მხოლოდლა ილიმება, მაგრამ თანდათან უფრო და უფრო ვერ-შეკავებულად და კი-ამაყი მაგრამ — რა ქნას იმანაც — ადამიანურ-კაცთმოყვარული სხივი მაინც უფრორე უღვივდება ძნელადშესამჩნევ სიკეთისადმი-განწყობისა-პატრონ თვალეში ხოლო ბეზიასა კი ი-ერთი სული ააქვსვს თუ როდის-როდის მობრუნდებიან იუნონა და მისი შვილები რათა გადაჭარბებულ-გაზვიადებულადაცკი კირო უამბოს ესი ამბავი და, რა ბედნიერები ვიყავით, ყველა, მათი შემყურე ბავშვებიც კი, კი, ის მერე რა რომ მაშვინ არ გვეცვა მაინცდამაინც გაპრანჭულად მაგრამ რომელსა ვალოდიასი-ბეზიასი ხუმარაობებს, დახვეწილთ-როგორთ, შეედრებოდა ჯინსის შარვალი სპეც-გაქუცული ზედ გინაც ოთხ-ხუთ ცნობილ-ფირმათა „ნაკლეიკა“იანნნნნი, და, მაგრამ, გადის, დრო, და გადიოდა რალა თქმა უნდა მაშინაც და, ვთქვი მეც რალა და ვამბობ, რალა, ძალიან გადის, გადიოდა იმ რა-წუთებით როგორ-აღსავსე ჩემი იღბლიან-ბავშვობისა, და როგორ მშურს ჩემი თავის რომ მაშინ როგორი ხალხით გარშემორტყმული ძლიერ, ვიყავ ხოლო ახლა კი, იმათით ვარ და ჩემდა როგორ საბედნიეროდ, მაინც და ყოვლად-როგორად გარსშემოჯარული იმათით, კი, ვიყავიც და ვარ, ც, იმ-ბავშვობიდან გამოყოლილი ამ-ბავშვობითაც ვარ-მეთქი ხოლო პროზისა, ვითო-მოღრჯოსი შეზავებად კი? შეზავებითვი? ამისით? ეესა? —

კარგი იყო, კი.  
და, მგონი არისც.

ვალოდიასი დიდთაღლითურა-ანცობაებზედ-ცოტათი შემდგომ და შიგადაშიგ თორემ ნამდვილად არ ვარგანა ძაან ზედმეტად ახორხლილი არაფერი — ვაითუ ჩამოგვფშვავდეს და ჩამოგვზვავდესაც-კი, ახლა კი, აბადა იქით — თუ აბა-როგო მოპიკანტუროდ თქმულა-შესმულა ჩემ-უღირსისა სულაც პირველი-თავდაპირველი მოზეიმურო სადღეგრძელო.

შორიდან ვინყოთ:

ერთი კეთილი კაცი ძალიან მუშაობდა რედაქციაში, ერთსც; არ მინდა მისი ჩამომავლები ვაითუ უხერხულ მდგომარეობაში ჩავაგდო და ამიტომაც ამ გაქანებულსა ავტობიოგრაფიულობანაში მას გამოგონილი „გრიშა“-თი მოვიხსენიებ, თან ეს სახელი საგრძნობლად წააგავს მისას, არც რედაქციას დაგიზუსტებთ თუმცა ვინცკი იცნობდა გრიშას ისედაც კობტად ამოიცნობს იმას და, მოკლეეთ, მშვენიერ-კარქი და კოლორიტული-დიდად, კაცი იყო ძალიან — თან ცხვირში-ძაან სჩვეოდა ლაპარაკი არ ვი-



ცი რომელ-გლანდებისა თუ რა-პოლიპების წყალობად-ბრალი იყო ეს მაგრად ამითაც ძალიანაც კოლორიტულა-ხასიათდებოდა, ამითცლ, და, ლოთი რავა იყო ჩემობატონო მაგრამაც ძაან უყვარდა სმა „სმა და სმა უნდა ღვინოსა“სი და ზედაც მუჟუჟი უყვარდა-აგრეთვე და ხინკალი კი რალა თქმა უნდა ცხელი ისეთი რო კლიენტობაში იმისსა ორ-თქლში ამოხვეულ-გახვეულ-შემოხვეულები ერთმანეთს ძლივსლა ხედავდნენ მაგრამ ხმითა კი მაინც კი-ცნობდნენ ერთიერთმანეთს სახინკლეების მაღალ-მრგვალ მომარმარი-ლოსავით-ნაცრისფერ მაგიდასთან მოპირდა-პირედ მოპირისპირენი და აგრეთვე-პირი-ანე მოხინკლეები ხინკალთ-ჭამაში საგამარჯვე-ბოდ დანიძლავებულებიც კი და ეს არცთუ იშვიათად და, თან სიყვარულით აწვალე-ბდნენ ძია გრიშას მისი დიდად მოყვარული ახალგაზრდები – ბევრად ხნიერი იყო ჩვენ-ზე, თან თავად-თვითონაც ისე ბუნებრივად გვანვდიდა სულაც ყოვლადა-უნებურად კო-ლორიტ.-ამბებს რომ, მონონებული...-

ერთხელაც, მისი სამსახურის... დავარ-ქვით პირობითად „უფროსი“ ევროპის გარ-შემო გემით ტურისტად მიემგზავრებოდა და წასვლამდე, გახარებულმა აჩვენა თა-ნამშრომლებს მოგზაურობის გეგმა — ნა-ხეთ რა კარგი მარშრუტიაო და, ისინიც, როგორის დიდის მოკრძალებულიც პატი-ვისცემით კითხულობენ თურმე ისე-ძალიან მთლად მონინებით, ხმადაბლითურად – კო-პენგაგენ, პარიჟი, რიმ, ვენეცია-ფლორენცია სორენტო, ლონდონ, რამე — და ძია გრიშა-მაც ჩამოართო რედაქტორს (წამომცდა მა-ინც... „უფროსი“სი თანამდებობა... მე რას მენდობა ვინმე რამეს...) გეგმა-უნყებანი-ის და, ახლა ის შეუდგა კითხვას ოღონდ ძაან ხმამაღლა მაგრამ ქალაქებისა გასწვრივ რაც ებეჭდა, იმისას, ხოლო გასწვრივ კი? — ჩა-ეშრიფტნათ: ზავტრაკ, ობედ, უჟინ, და, ძია გრიშაც ისევ — ზავტრაკ!, ობედ!!, უჟინ!!!, ისთევლე ზავტრაკ!, ობედ!!, უჟინ!!!, და — და, რომ იკითხა და იკითხა ის 15-მაგი ზავ-ტრაკები და ასე შემდეგ, მიმლოცველისა გამომეტყველებით მიუბრუნდა რედაქტორს და ახლა ძალიან მეტადც ხმამაღლა — „აგი რაკაი მარშრუტი გაქონებარა ბიჭო-ნოდა-რა!!!?“-ო.

„ბიჭო“-სი გარდა ჩვენს სახელებს „ა“-ს უმატებდა, და არავითარი ჩვენდამი აგდე-ბულება სულაც არ იყო ეს, — გვეფერებო-და, ამით, ასე, მაინც როგორი კაცი იყო, და დუდღუნითე-მხიარული როგორლაც დუნედ კარგა-შემართული, ერთადერთი-ლა შიმშილილ თუ შეანუხებდა-ძალიან-ძაან მოკლე-ვადებში მოვლენილი, დანაყრებისა

ცუდ-ამნისტიურად მის უკითხავად ამომ-გდები და, ჰეე — ამაზედ რამდენ ხათაბა-ლაურ-ანცობებში გაუხვევიათ, თან ბევრის სმაც შეეძლო და აკი უყვარდაც-მეთქი და არ იჩაგრავდა, ჩემობატონო, უსმელობით თავს, და მიდიან თურმე ერთხელაც ქურჩა-ქურჩად შემდგომ ძალიან ცნობილი მაშინ კი დამწყები მწერალი, სახელად დავუშვათ, — თენგიზ, და შეჩერებულა გასტრონომისა ვიტრინასთან ძია გრიშა და, ედუდღუნება თენგიზს: „ბიჭო თენგიზა, ნახე რავალიკაი ბოთლია ბიჭო, გადასარევი პირდაპირ კა-ცო, ვიყიდო-უნდა და გადავაქცევ აიკანიაკს არ დაამახინჯოს აიბოთლი და დავდოფ მე-რე აგიბოთლს მე ჩემისერვანტში“. კაიბატო-ნოო, თენგიზმა. არადა ან რა-ისეთი ბოთლი უნდ-ყოფილ-ყოფილიყო სამვარსკვლავიანი (-ისემც...) კონიაკისა, მაგრამ ფრთხილად რომ ამოიღო ძია გრიშამ ილლიაში ის „სა-სერვანტო“ ბოთლი, პირველსავე სახინკლეს-თან შეჩერდა და, ამბობს: „ბიჭო-თენგიზა, აგი-კანიაკს ნუ გადავაქცევთ ცოდვას ბიჭო რაცგინდა შხამი იყოს ნაშრომი არი და რაც-გინდა იყოს ბოთლის და ჩვენიც გამფუჭე-ბელი და მტერმა სვა ხმელა-მარტოკინათ კანიაკი და შევიდოთ აქ და ისე დავურ-ტყათ პატარათი ცოტაცოტა“. შევიდოდნენ, კი, რა იქნებოდა აბა, კანიაკ-ხინკალი აკი ორთავეს ძაან უყვარდა. არადა სახინკლე-ში სამვარსკვლავიანი-კონიაკის მეტი რა იყო მაგრამ გასტრონომისაზე აშკარად ძვირად კილირდა რაც მართალია მართალია. იმდრო-ინდელსა ბიჭო-თენგიზას საარაკოდ ბევრის სმა შეეძლო, ძია გრიშასაც — თითქმის არა-ნაკლებ და, ათიოდ წუთში რომ გამონრუ-პეს ის სა-„სერვანტობა“? — „წავალ მე ახლა ბიჭო-თენგიზა და მუალ (მოვალ—გურულ.) ახლა და მევიტან ბარემ მიორე ბოთლსაც ანი ელანძე და ცოდვას ხოიცი ესი-მარტო აიბოთლი იჩემ სერვანტში და, დავდოფ ბა-რელამ მიორესაც“ო და, მოიტანა მეორე ბოთლიც — ასევე იაფად. ისიც ათ წუთში გამონრუპეს და, აწრიალებულია ძია გრიშა, მოუნდა-უმფრო, შეჭიკჭიკებულს, სმა, და-„სამობით არი ბიჭო-თენგიზა ყოველისფერი გაგიგია ალბათ შენისთანასაც ეს დაა, მოი მესამესაც დავდოფ სერვანტში“-ო, და, მო-რიგი 15 წუთის შემდეგ?-

აღარ აქვს გრიშა-ბიძიას ფული და რაქ-ნას, არადა, ბიჭოთენგიზას მარტოს შეეძ-ლო და უყვარდა მთელ-5 ნახევარლიტრიანი კანიაკის გამონრუპვა, გრიშა ბიძიას — „მხოლოდლა“ ოთხის და, ის სამი ბოთლი-ლამაზოვანი, თანაცეც ამათთანევესა-ორსა, ეყოფოდაა? და, გრიშა-ბიძიამ? — „აბიჭო თენგიზა დადევი რაიქნებოდა ერთიბოთ-

ლიც შენც, სერვანტში!“-ო...

ხოლო ძია გრიშა რომ გავიცანი ასე-30 წლისამ, და რომკი გაიგო ჩემი გვარი, შემომაცქერდა, მკითხა — „ბიჭოგურამა, პეტრესი რამე ხოარ ხარ შენ“ო, — რომელი გავრცელებული გვარი ჩემია, ჩვენი ოჯახის გარდა ამა-გვარისა სულ ორი ოჯახია მხოლოდ, გორში, და შვილი ვარ-მეთქი რომ ვუთხარი გადაირია მოზღვავებული სითბოთი კაცი, და მაინც დააზუსტა — „შენ-მეთქი კიდო ხოარ ყავს მამაშენს“ო და არამეთქი რომ ვუთხარი, გადახარებულმა? — ბიჭოგურამა, შენ ქერო დეიბადე ამასწინებზე (—!?-30-სა, ვიყავ) შენი პირველი საიგრძელო ერთათ დავლიეთ მარტოკებმა მე და პეტრემ“ო; დიდად გავკვირდი რადგან მამაჩემის-მეგობარ-ამხანაგებს — თავიდა თავი ძია შალიკო გოგნიაშვილს და ძია ვახტანგ გოგიბედაშვილს, მერე, სხვა ძიებს — გიგლა ჭირაქაძეს, ჟორა ქიტიაშვილს, სარდიონ ჯალიაშვილს, ადამ დრიაევს, ბიჭიკო მაყაშვილს კარგად ვიცნობდი და ისეთი-რა უახლოესები ყოფილან თუკი მამაჩემმა ჩემი პირველი სადღეგრძელო ძია გრიშასთან ერთად, შესვა? — ეს კი-გამიკვირდა და მამასაც რომ ვკითხე აქამდე რატომ არ გამიგია შენ-თუ ასეთ ახლობლად გყოლია ძია გრიშა-თქვა და, მაგრამ, მამამაც ვერაფრით გაიხსენა თუმც გვარიც მკითხა და, გაკვირვებულები ვიყავით ორვე-და, მერე კი, კარგა ხნის შემდეგ ანუ ორიოდ დღეში ღიმილით მკითხა — როგორი კაცია, დიდი და ზონზროხა და ცხვირშიმოლაპარაკე ხომ არ არისო და მეც, გახარებულმა, „კი-კი“-მეთქი და, აუტყდა მამაჩემს სიცილი, — „კი, კი, ნამდვილად იმასთან ერთად დავლიე შენი პირველი სადღეგრძელო“ო, „კი-მაგრამ ასე თუ იყო მაშინვე რატომ ვერ გაიხსენე“- მეთქი დიდად გამიკვირდა და, — „არა, კი ჩანდა კარგი კაცი მაგრამ ამხანაგი და მეგობარი კი არა პაციენტი იყო ჩემი“ო,

ხოლოკი მამა ვენეროლოგი იყო და კარგა-მოზრდილი პრაქტიკა ჰქონდა განსაკუთრებით 30-40ან წლებში; სანამ განქორწინდებოდა ელბაქიდის 12-ს პირველ სართულზე-დაც ერთი ძალიან პატარა ოთახი გვექონდა და იქ იღებდა შეცბუნებულად-კონფუზიურ-სა პაციენტებს და ესაც დიდად ემატებოდა მის ხელფასს ხოლო ჩემი დაბადება უხარებია ტელეფონიან მეზობელს (ალბათ ძალიან მოულოდნელად ნაიყვანეს დედაჩემი სამშობიაროში), სწორედაც-რომ გრიშა-ბიძიოსთან დაუღევ-შეუსვამს ჩემი სადღეგრძელო და თურმე სწორედაც იმასთან იმიტომ რომ, — „გურამ, გონორეა ჰქონდა და ვმკურნა-

ლობდი და სწორედ ის იყო, კი, გამახსენდა ახლა, ჩემთან და იმან კი მაშინვე აინია შარვალი და გაირბინა და შეირბინა გასტრონომში და შამპანური მოარბენინა და მართლა იმასთან, შევსვი შენი პირველი სადღეგრძელო“ო და აკი გულწრფელად მოგახსენებთ მე გინდაც-როგორმა მახსოვრობითე მოტრაბახემ ჩემი დაბადება არ მახსოვს-მეთქი, მაგრამ, სამაგიეროდ ახლა ნამდვილად ვიცი ჩემი დაბადების აღსანიშნავი სულ-სუ პირველი საიგრძელო მოპიკანტურო კი არა და მთლად მძიმე-მძიმედ პორნოგრაფიულობისა-და-შედგისა გამოისობითაც ჰყოფილა რადგან — დავარქვათ ყველაფერს თავისი არაოფიციალური მაგრამაც ანუ შესაფერისი სახელი და — ჩემს დაბადებას, ტრიპერულისა-საწინააღმდეგო ღონისძიებაც არა ჰხლებია, კაცო?

...

ისე კი, სიმართლე სიმართლედ და, დასამახსოვრებელი სურათი კი იქნებოდა: აი სწორედაც რომ იმ-დასაფიქსირებელ მომენტში, შარვალმთლადჩახდილ ძია გრიშას ხელთნემსიანი მამაჩემი იმა-მოუხერხებულად-ადგილზე სასურველსა და მოხერხებულ ადგილს (ანუ სა-„სლაბო ტოჩკა“ს) რომ უძიებდა, „ბიჭია-ბიჭიი!“ო, დავუფიქსირებდვარ მამაჩემისათვის კეთილმეზობელს.

...

კი ვიჭრი აქ თავს მე ჩემი დაბადების ამა-ერთგვარი უხერხულობით მაგრამ, ასე ჰყოფილა ეს ამბავი და რადგანაც თანაც მაგრამაც ესა წრფელი სიმართლე რადგანაც-რო აკი რაკია? —

ვერ დაგიძალავთ...

ვერ.

ახლა, მე მგონი, სულზე მისწრება იქნება ამა-არაოფიციალურ სიტყვასთან დაკავშირებით (იცით, რომელზეც... ნუ გამამეორებინებთ... მივალთ ისედაც კვლავ-იმაზეც...) ბაბუაჩემსა სილვანს რა ათქმევინა დაუდგრომელმა-იმ, ვალოდიაშ?

...

აქ კიი, დავფიქრდი...

...

... —

ვაჰ, ჯერ ის იყო და, ჩემს-ჩემეულსა გაბუტვებზე იმდენი რომ გაიმბეთ ამდენი (ნიღბებში ჩანყობილი-ხაბაკიანა რომ გავმარკოპოლოვდი და სხვ., და სხვ.) ახლა პირიქით — ვალოდიათი ხომ არ გიჭირვებთ, ადამიანო, საქმეს, მაგრამ იმით ვიმართლებ თავს რომ ყველანი, სუყველანი ვისაცკი ამჩემამე-რომანში შეგახვედრებთ სულ-ჩემებია, ანუ ჩემი სისხლი და მეტი კიდე — სული და ანულ ეგრეთწოდებულ-„ავტობიოგრაფი-

ულეები“ ძალიან, დიდად, ნაღდად არიან... როგორთუ არიან და აბა მეხო სულ „მე-ეე-მეე“ს ხვარ ვიკიკინებ შტერ-შტერ თხა-სავით და,

ამიტომაც? —

ვალოდიასას კიდევ ერთ ამბავს მოგიყო-ბით.

რომელიცა-რომ, ზემორე უკვე ნახსენები სიტყვით — „გონორეა“სი-შინაურული გა-მოთქმით? — ძაან მთავრდება.

სოხუმში ვართ, კი, მე-უკვე სტუდენტი და ჩვენი ნათესაობის რამდენიმე წარმო-მადგენელი, ბინა გვიჭირს თუ რა — ჩვენი უახლოესი ნათესავი და ამას გარდა რუსთა-ველი 2-საც მეზობელი — ჩვენი ძვირფასი, კეთილი, როგორ ლამაზი — დღეს რომ რო-გორ გახშირდა-სამწუხაროდ მოცერცეტუ-ლათ სილამაზე კი არა — არამედ დინჯად და როგორ ღირსეულად ლამაზი-ლია ლო-მანია სოხუმში გათხოვდა (სხვათა შორის ამა-ში მეც მიმიძღვის, ასე V-VI კლასელს, გარ-კვეული წვლილი, ამაზე შემდგომ); დეიდა ლეილა დადიანმა ერთოთახიანი ბინა მიიღო მთლად ახალ სახლში და გიას სხვაგან აბა სად გაუშვებდა ჩვენ კი ღია თუმცა ძალიან გულთ გვეხვეწებოდა თავისთან — არადა, რა სახლი ჰქონდა, რა ეზო-კარი, მისი მეულ-ლე ძია საშა გვაღია ცნობილი ინჟინერი და არანაკლებ ცნობილ მონადირე, მეთევზე და მეფუტკრე იყო და ახლა უცებ არ წარმო-გესახოთ ალბათ როგორ-გოროზი ვაჟკაცი იყო, არა — საშუალო ტანს თუ იქნებო-და აღწეული, რბილხმა, და ლბილი საერთო-დაც, და ღია უყვარდა? — დნებოდა-აჰ, და ორთავეს როგორი მოვლილ-დანკრიალებუ-ლი ჰქონდათ იქაურობა და ნეტავი ახლა — 2006წ. — ნეტა ვინ-ოხერი და თავისი ჭკუით „გამართლებული“ ბოგანო გატყლარჭულა იქ-იმ სახლში ხოლო მაშინ კი ნათესობიდან მხოლოდ მამამისი — ძია ბესო ლომანია და ვალოდია-ბიძაშვილი ჰყავს თავისთან ჩვენ კი მართალია თავი და თავი ბებია იუნონა-სი მაგრამ ამასთანავე „ჩვენ-სახლს“ მაინც ვერ ველეოდით თანაც ჩემთვის ზღვა ხოლო ბაბუასავით კიმართალია ცუდად დაცდილი მაგრამ ისთველე-ისევ ისე მახლობელი და მისი წყნარა-შემფარებელი ბულვარ-სანაპი-რო ღიას სახლიდან შორს იყო მაგრამ სა-ღამოობით ყოველდღე ვსტუმრობდით ღიას — ეჰ, რამდენი რამ მეღის თან რა შვებად და რა სიძნელით მოსაყოლი — ნათესაო-ბა, საბავშვო ბაღი, სკოლა, როგორ-შეხერ-ტყილ-მეგობრები და ამხანაგებიც, მუსიკა, არქეოლოგია, როგორი მძიმე ავადმყოფო-ბა, მთელ-ოთხ-სახეობრივი დაპატიმრებე-ბი თან დაპატიმრებები-რეპეტე-ულად და

რამდენი რამ... — ვაჰ! — გაშინებთ?.. — მაგრამ დაიდევით აქ გულზე ცალი-ხელი როგორც-რო ბიჭო-თენგიზამ ბოლოს და ბო-ლოს დადო თავის სერვანტში ცალი-ბოთლი — ხომ არ შეშინდით?

მაგრამ აქ სიტყვამ მოიტანა და — რა სერვანტი, რის სერვანტი, ის 4-ვ ბოთლი რალა თქმა უნდა — არაა ამისი ხაზგასმა მემგონი საჭირო და სახინკლესისი მარმა-რილოსი (მ)რგვალ — „მ“-ს ველარ ამბობ-დნენ კანიაკის გამოისობით — მაგიდაზე, დაჰრჩათ.

თქვენ კი, თქვენა კი მონყალეო და მშვე-ნიერო და ასე შემდეგ (-ა. შ.) ჩემო მკითხ-ველო, აქამდე რახან თუმცა კი-კი მომყოლი-ხართ მაგრამ ამდენსა დანაქადზე, — მო-საყოლების, — ხვარ შეგეშინდათ?-მეთქი!..

ნეტავი, არა...

აქ-კი, ვმხნევედები და პირობას ვდოფ ჩე-მისერვანტში რომ, ამიტომაც, სახალისოდ, ვალოდიას-ას და ამისთანებს თქვენი მონყ-ალე-როგორ გულისა (აბა მე მენდობოდა და მომყვებოდა აქნამდი კაცი თუ, ქალიც?) გადასაყოლებლად? — დრო და დრო მაინც შელავათებს მოგაშველებთ, ვის არ გვჭირს დარდი და რომელს არ გვინდა სულმოთ-ქმა და შვება და, სხვათა შორის კი არა და მთლად ასეცაა — უნდა იყოს ყოველ-შემთხვევაში, — კიკი, ხო, კი — ვოხერი პროზა...

ეეჰ, ვოხერი და? — თაყვანსაცემი? — თაყვანისცემა?.. —

მაგრამ ასეა.

თან, მიტო გიშოფთ (-ბებიაჩემისეული „გიშვებთ“) ასე-ხშირა „იქამდე“ესააკეეენ!, რომ, ნამეტანი არ დაგადგეთ აგი-რომანი თვალსა და გულზე მაგრამ არ ვარგა ნამე-ტანი არაფერი მაგრამ თან ის როგორ არ გაგიზიაროთ რა ხალხი მყავდა, ნათესაობა-სა და ახლობლებში, მარტო აეს-ი ი-ვალო-დია კიარ ჰქუხამდა... და, არ გაგიჭირეთ საქმე ამ „იქამდე“თი? მაგრამ, კიდო-რო გაგიჭირვოთ ამისთანებით, საქმე, დარჩეს ჩვენში და, — იპოვით-ვითო საჭირო ად-გილს? —

კი? —

გადასარევი... თქვენ-რა, არგაქვენ მეტი-საქმე?.. —

მოკლეთ, ღიასას „ისვენებენ“ აივალო-დია ჩემი არ იყოს რომელი-ერთი დამსვე-ნებელი და ძია ბესო თავის უსაყვარლეს შვილ-შვილიშვილებთან — მარინა და ირი-ნასთან — მაშინ ოთხ-სამი წლისანი იყვნენ და, ღიას მეზობლად კი ერთი რუსისი ქალი ისვენებს თურმე და თურმე ისიც აგრეთვ-

„ისვენებს“ მაგრამ ერთგვარად — იქით არ ასვენებს არავის რადგან-რამეთუ ქალია ისეთი? — რა გინდა თურმე უკეთესი... უი, „რა გინდა“ უნდა იყოს აქ თუ — „ვინ გინდა?“.. მე მგონი, ორვე შეიძლება, გადატანითურთ, თუმცა მე-რო ე-მყარი გრამატიკა ამდენი ვიცოდე მწერალი კიარ ვიქნებოდი და მოკლეთ, თვალი ვერ ნახავს უკეთესს იქალზე დაა, ამე-ჟულიკ ვალოდიას უთქვამს ორნი-სათვის როომ — გევიცანი მე იიქალი და ლაპარიკში გამოვტეხე რომ ლელვ-ინ-ჟირ-ი ყვარებია ნამეტურ თურმე და რაღა ჩვენ ესი-ყველანი ზღვაზე გავდივართ საბანაოთ („ცურვა“ს ხანდისხან „ბანაობა“საც ქევედახით ეს უღღრამატიკო ქართველები) და თქვენ კი რჩებით ნაპირზე და მაინც ტყვილა ხართ აქანე და...

მართალს ამბობდა. ბესო ბიძიამ ცურვა მგონი არ იცოდა, ბაბუას კი? არქონდა მეტი საქმე, აბა იმას იკადრებდა რაცგინდა ყოფილ-ნაკნიაზარი რომ ტრუსების ამარა წარსმდგარიყო ხალხის წინარე ხოლო ტრუსებისამარებს ამრეზილად „თლათ უნიფხობებს“ ეძახდა, ხოლო ვალოდია განაგრძობს:

„და მგონია-კი მერო თქვენსში ერთ-ერთი მოწონს აიქალს ძაან ან შენ სილოვან (აქ „ო“-ს სწყალობდა...) იმასავით კირო მალალი და წარმოსადეგი როხაარ და ანდაც შენ რახან მალალიქალებს მოსწონთ ხანდახან აგიდაბლები შენისთანა ჩემობესო და ხვარ გადაგყვებათ ახლა თავისით ზედ უხერხულიაო და პატარა თქვენცკი კიუნდა გამეიჩინოთ ფხა და დოუკრიფეთ, რა იქნება, ლიას ეზოში პანა-ლელვი ლია თანახმაა“-ო, და ბაბუაჩემმა და ძია ბესომ იმ-თლათ პირველ ჯერზე „უმნიკვლოური ზრდილობისათვის“ და ასევ-ავრეთვე „მეზობლის ქალს ხელს ნუ ახლებ ისიც შინაურიაო“თი ძალიანი-შორს დაიჭირეს ინჟირ-ებისა მოკრეფისაგან თავი მაგრამ, მერე და მერე, ვალოდიასგან განმეორებებზე ყურში და თვალში კირო ხვდებოდათ და ხვდებოდათ ისი-რუსისის ვორონეჟელი ქალი ვორონეჟელი ეძახე შენ და — ჰოლივუდსკაია-ა, არი, კი, და ვალოდიაც რომ რომკი აღარ და აღარ შეეშვათ, — „თანაც გეიყვანთ დროს პანა და აბა მარტოკინ-დასვენება არ გამიგია არამეთ შრომა აკეთილშობილებულეფსო ადამიანს და შრომამ შექმნა ადამიანი“ო — ესი ორაზროვანი უთხრა და, „კაი ვალოდია გევიყვანთ დროს“-ო, და, ვალოდიამ?: „ოლონდ ცალკ-ცალკე კარზინკები უნდა გოუგზავნოთ ინჟირი რაღაი ხოუყვარს იქალს — სუ ამჩვენებურ ინჟირზე და გრეცკი არეხებზეა გაზრდილი თავის კაი-ოლქ ვორონეჟში“ო და, მიაჩენა კი არა და, ის დღეა

თურმე და, არიან ლელვის კრეფა-კრეფაში მალალ-სილოვან და დაბალიბესო იმა ი-თავის ყოვლად არა-სოც.-შრომაში მაგრამ მაინც შრომაში (ბევრგვარია, ქალის არ იყოს) ჩაბმულები.

კი.

თავიდან უმფრო ადვილი იყო, შრომა — ანევედენ ხელს სულე-რაღაც რამოდენიმეჯერ და — ნკაპ ლელვი და, — კია და ქეა კალათში, ანევენ კიდევ — მეტი ლელვია ამტან კალათში, კიდოდაკიდო ანევენ შრომით გასაადამიანურებლად ხელს და — გაპიპინებულია თლათ, კალათები და მაგრამ ასე სამ-ოთხსა დღეში, შემძიმდასვით, იმათი შრომის გასაკეთილშობილებლად, საქმე თუმც ლიას ბევრი ლელვისხე ედგა ეზოში — ძია ბესო კი მომდევნო დღეებში მეტად წვალობდა რადგან ტანად ხომ აკი ტანმორჩილი იყო, კი, წყალი და სანტიმეტრები არ გაუვიდოდა ამას, და ბაბუას რომ მხოლოდღა ფეხის წვერებზე შედგომა სჭირდებოდა ბესობიძია ხტნებოდა-ძაან ლელვებისკენ უმფრო და, მგონი დიდად-ცნობილებ ამერიკანულ-კალათბურთელებს „ენ-ბეი“-სათვით მეჯიკ ჯონსონ არ ოუნეგია იმდონ-ჯერ ხელი „ბოსტონ ბულზ“-სთან თამაშში და მაიკლ ჯორდანი არ შემხტნარა თვით „ბოსტონ ლეიკერს“-სთან მატჩში რაც ჯერ-მხოლოდ პლატონურად ანუ მხოლოდღა-ინჟირით-შვაში და გამოისობით რამდენჯერაც რომ ბაბუაჩემის რაყიფი ანულა მეტრფე-ვორონეჟკასი ბიძია ბესო და, ვალოდია დილაობით რომ გაამხნევებდა „აბა თქვენ იცით არ მოიჭრათ თავი“ო სალამობით რაკი აკი ვალოდიაცე საქმეშია და ხან ერთს ამხნევებს და ხან მეორეს: „დღეს შენი კარზინკა უფრო მოენონა სილოვან“ და „დღეს კი შენი უმფრო ჩემო ბესო“-ო, და, წარმატებისაკენ მიდრეკილები განაგრძობენ-კვლავ იი-სპორტულა-ზემკლავებსა და ხტუნვა-შეხტომებს და, კირო მოუწია დრომ და წავიდა ვალოდია თბილისში? არიან თურმე დიდს ბჭობაში არა ჯერ შენ მიდი და მიუტანე მაი კარზინკა თორემ საცაა გამოილევა ლელვი და უყარე მერე შენ კაკალი და არა ჯერ შენ მიდიო და, სხედან ლიას ლობის წინ კოხტა მერხზე და, ა-ბატონო, მართლა თითან არ მოდის იიქალი, და, არ ეუბნებათ?: — „Здравствуйте дорогие“, — ეს მოენონათ ნამეტანი, — Это вы, да, Володийные близкие родственники“-ო, და: Да, да, мы“-იი, ოო, წამომხტარან ორვე მაშინვე იმდონ-ძალ ნავარჯიშევებს მერხიდან წამოხტნომა გოუჭირდებოდათ თუ რა, ხოლო იმ ქალმა განაგრძო თურმე, ასე: „Какой милый у вас родственник, каждый вечер мне инжир

с переполненными корзинками приносил и столько что што оставалось я за пол-цены продавала через хозяйского мальчишку“-ო, პირდაფრენილები მიჩერებიან დაბალ-მა-ღალი კონკურენტები იი რუსისიქალს, ის კი, განაგრძობს: „И я тоже не могла отказать ему ни в чём милому и как жаль что он уехал, в родном городе наверное у него там неотложные дела а-то-бы он милый меня не оставил-бы здесь одну“ -ო და, ჩე-ილო თურმე ი-მოღელელი ხალათისი ჯიბაში (-„ჯიბე“-ში!.. თუმცა, რაღადროს გრამატიკაა) ხელი და, რა ამოილო თუ მიხვდებით, თქვენ!... — რადა, საათი ვალოდიასი და, ნაზ-ნაზურათ არ დააყოლა? — „Как-раз назло вчера, перед отъездом забыл свои часы у моего изголовья и будьте добри и в Тбилиси передайте ему эти часы, я и так на свои часы деньги накопила Володенькими инжирами у нас свободная любовь“-ო.

ოიი, ნეტაი როდის და როგორ აღმოჩნდნენ იმაქალისი ლაპარაკში ისევ ი-მერხზე ულონოთე-დაშვებულები უპარაშუტოთბაბუ-აჩემი და ძია ბესო, დაკუტებულად თლათ, კი, ესენიი, დროებით ვითო-სპორტსსმენები, — ესეცაა — თქვენი მეჯიკ ჯონსონ და, მა-იკლ ჯორდანიც, ზედ,

მაგრამ ბაბუაჩემით-ნახსენებ იმ სიტყვას-თანაც ხომ უნდა მივიდეთ აწი და, მაგრამ, იქამდე, ასე მესამე-მეოთხე დღეს ვინცხა ისთევლე-სომეხმა პაჩტალიონმა წერილი მოიტანა და გვარები კი ამჯერად სწორა-წარმოითქვა: „ზაკაზნოე პისმო დადიანი დლია ემუხვარი“ — და, ძია ბესოც ჩვენ-თან იყო და დააჩერდნენ ძაან-დანებოვანე-ბულ კონვენტს ზედაც რომ მისამართისა და გვარ-სახელების და ამისთანების გარდა „აბრატნი ადრეს“ის მაგივრად ეწერა კოხტა ასოებით: „Силовану и Бесо“, და გახსნეს რაღაცა-წიკიპით გულმოცემულებმა და, რა წერია, შით:

„კიდო რავა უსწორეფ ერთი შენ ჩემო სილვან თვალს მამიდაჩემ ფაცას და ანდა მეორე შენ რაფრა არ იწვი მამიდა კატუ-ტასი წინ ჩემო ბესო და რაღაი სულე არ დატოვეთ ლიას ეზოში არცერთი ლეღვი და იმისი ჭაჭანებაც კი არაა თქვენში, ეგებ ორი ღერი ფოთოლი მაინც გადაგირჩათ და მოწყვიტეთ ორი ცალი ნამდვილად არ გა-გიჭირდებათ თქვენ ეს და ეიფარეთ ერთს ადგილზე“

და, მივაღექით კიდეც იმ ამდენი ხნით გადმონახულ სიტყვას ბაბუაჩემმა ამ შემ-თხვევასთან დაკავშირებით რომ იხმარა, ჩქარა იქნება ი-სიტყვა აწი და, ასე იგი თბი-

ლისში რომ დავბრუნდით ყველა ხოლო ჩვენ-შორის ყველაზე ვუმფრო „დასვენებულები“ ბაბუაჩემი და ბიძია-ბესო, და ვალოდიას რაღაი უკვე მიმოფენილი ჰქონდა ნათესა-ობაში აი-ამბავი და, ერთს მშვენიერ დღეს კი თუიციით აბა რა ურჩია ბაბუაჩემ-სილო-ვანს ჩვენმა ერთ-ერთმა აგრეთვე კოლორი-ტულმა ნათესავმა — თლათ ვალოდიას უან-რისამ-არა, და ძია ვახტანგ ცქიტიშვილის სკეტჩური დარგითაც — არა მარა ოლონდ სხვაცა-გზითა და განხრით — ბუჭუტა ლო-ლობერიძემ, რომელსაც კაი-ბოხი და გოდო-რივით ხმა ისედაცქონდა და კაი-ღვინოც კარგა-საკმაოდ უბოხებდა ისედაცე-ბოხ, ჩემობატონო ბოხობურასა-პირდაპირ, ხმას, რომელსაც ამა-ინციდენტური შემთვევისა-და-გამო, ასეთი აზრი-რამ გამოუთქვამს:

— აჰ მაგი რაფრა შეიძლებოდა რაც თქვენთვის მაგას უკადრებია და უნდა დე-გესაჯათ ევალოდია-მაკვარანცხი იმით რომ კაირესტორანში მაგრა უნდა გექეიფათ ერ-თი და შენ და ბესოს მერე ვალოდიასი საა-თი გირაოში უნდა დაგეტიებიათ“-ო,

რაზედაც, ბაბუაჩემს, მოკლე-ფიქრისა შემდგომ, თავისთვის ყოვლად უჩვეულოდ გრძელი და თანაც მისთვის ყოვლად მიუღე-ბელ-სიტყვიანიც კი, წინადადება უთქომს:

— კაი ახლა, ბუჭუტა, ნამეტანს კინუ შეინდომეფ გინდაც ქე-არი ვალოდია ყვე-ლაფრისისი ღირსი, მარა, რაცგინდა დი-დათ-ვოხრები კიარიან ეს-აფიციანტები მარა, იმა-ქალისი იზგოლოვია-და-ლოგინგა-მოვლილ საათს აფიციანტიზა? — სატრიპე-რიოთ გადაცემას როგორ ვიკადრებ, მე-ო,

ეს ძალიან მერე გავიგე, დიდი ხნის შემ-დგომ, იმდროინდელი „პაბედა“-საათის-ასე-დახასიათება სოც.-რეალისტურობანაზეც-კი უარესადაც-კი, ვუმფრო, ისე კი, წვეულ-სუფრაზედაც არ მახსოვს ბაბუასა და ძია ბესოს ორ-სამ მომცრო ჭიქაზე მეტი დაელი-ათ მაშინ როდესაც სხვები დიდს-დიდს ყან-წობრიულსა შესმასაც კი-ჰქამდნენ, მამაჩე-მიც ერთადერთხელ ვნახე კარგა-შემთვრა-ლი-მამიდაჩემ ელენესთან ჩემი „ნიშნობის დლე“ს, სადაც პირველმა-სადღეგრძელომ ყოვლად უ-ძია-შარვალჩახდილ-ძია-გრიშაია-ნა რომ ჩატარდ-ჩაიარა.

ხოლო თუმცაკი ნათესაობა არცთუ იშ-ვიათად სპეციალურადაც კი იკრიბებოდა რათა მტკიცედ დაეთქვათ რომ ვალოდია-სათვის არცერთს არაფერი დაეჯერებინა, მაგრამ... — „მელას თავისი მანვალელები უყვარსო“, — გაგიგიათ, ალბათ და ვალო-დია-სასაც შემთხვევაში ასე იყო, კი,

და იმე-ერთ-ერთ ღოღობერიძისას-ვალო-დიასი ერთსაც გეტყვით და, გადავდოთ მე-

გაბ

საქართველო  
17  
რედაქციის  
გამოცემის  
გამართლება

რე ვალოდია, იმ საათივით ზევით და გან-  
ზე:

თავისი ბებიით გაზრდილი იყო აგრეთ-  
ვე ბებიაჩემის მამიდის შვილიშვილი თემურ  
ჟღენტი (ჩემი ხნის-თემურის ბებია ბებიაჩე-  
მის მამიდა რომ იყო არაა გასაკვირი, მე  
რომ დავიბადე ბებიაჩემი 38-სა იყო მხო-  
ლოდ — მე კი 1 და ჯერჯერობით ერთა-  
დერთი შვილიშვილი რომ შეგვეძინა 60  
წელს ვუკაცუნებდი), თბილი, კეთილი, საზ-  
რიანი, და პირღიმღილიანი სამსახურშიაც კი  
თუმცა სულ ეგეთნოდებულ „პასუხსა-საგებ  
პოსტები“-ზე მუშაობდა. იქ გამუდმებით  
სჭირდებოდა რუსულის ცოდნა-გამოყენება  
მაგრამ, თუმცა ყველაფერში სხარტად ნი-  
ჭიერი იყო (და არისც) მაგრამ რუსულად  
არამცთუ სწორი და კაი წერა-კითხვა კი  
არა მონესიერად ლაპარაკსაც ვერ მოაბა  
ენა და თავი რაზედაც ვალოდია ისედაც-ჟუ-  
ლიკი გამუდმებით აშაყირებდა: „ბიჭო გებ-  
ლანდება ენა ქართულათ და მიამბე მაიამბა-  
ვი რუსულათე“ო და, მოკლედ, დანიშნეს ერ-  
თხელაც ჩვენი თემურ ჟღენტი „პიონერთა  
და მოსწავლეთა სასახლე“ს დირექტორად  
ხოლო ეს ისეთი დიდი ხნის ამბავია რომ  
მაშინ დღევანდელი ქალბატონები: თავი და  
თავი თამრიკო ჭოხონელიძე და მისი თანა-  
ანსამბლელები სკოლამდელები იყვნენ და,  
გაამგზავრეს როგორი მართლაც სასახლო  
მათი ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი  
„მზიური“ ჩვენსავით აგრეთვემზიურ იაპო-  
ნიაში (თუ არ გჯერავთ და დროშას შეხე-  
დეთ იაპონიისას, მზიანს, თუმცა დროშებზე  
სუყოველთვის სუსუსიმართლე კიარ ხატია)  
ხოლო მაშინ კი იაპონიაში კი არა აგერ-ყუ-  
რისძირულა-თურქეთშიც წასვლა იყო დიდი  
ამბავი დაა, იაპონიააა? ჰეჰ!, და ამ შემ-  
თხვევას გაუშვებდა თემურ ამხ.-ჟღენტი,  
ისედაც მარჯვე (მორუსულეობის გარდა  
ტოლკო) და იმხანად კი პიონერთა სასახ-  
ლის თვით-დირექტორი? — მოკლედ, წავიდ-  
ნენ მთელი 15 თუ 20 დღით და, შემხვდა  
მერე ვალოდია და, ვკითხე, თემური ხომ არ  
ჩამოსულა-მეთქი. კი, კიო, — ვალოდია, —  
შენ ტყვილათე ხარ მწერალი ჩვენ სულელ-  
პრესას არ კითხულოფო? მე კიდე — ხომ  
არ შეგხვედრია-მეთქი. კიო, შევხვდიო, ვა-  
ლოდია, მაგრამ რატომღაც იქვე მოიწყინა  
და, ჩაიქნია ხელი. რა იყო ვალოდია რამ მო-  
განყინა ნათესაობის წარმატება რატომ არ  
გიხარია, რატო ხარ ასე გულდათუთქული  
ისეთი მაინც რა გითხრა-მეთქი. ეეჰ, ეეჰ-ო  
და, ჩაიქნია ისევ ხელი. კაი-ახლა ვალოდია,  
მომიყვი რადარა გიამბო, მაინტერებს ძა-  
ან შეკაცო იაპონიის ამბები-მეთქი. ჩაიქნია-  
კვლავ, მერამემდენედ, ვალოდია თავისი

აბა სხვავისი, ხელი. რა, არაფერი არ მოგიყ-  
ვა?-თქო, ძაანც ხმამაღლა ისევ მე-მეთქი  
დაა, ამაზე, ვალოდიაამ? — არა, კაიხანს  
კიმელაპარაკა მარა რათ გინდა-ო და, არ ჩა-  
იქნია, ისევდაისევ, იიხელი? გადამრევ შენ  
მე ვალოდია, მერედა რატო არ მიყოფი არა-  
ფერს-მეთქი. ეეჰ, ეეჰხო, — ჩაიქნიავააა  
ისტეველც ხელი და, — „რატო-რატო!“ —  
რომ შევეუძახე ძალიანი და, — „რატო-და ჩე-  
მო გურამ, სულვერ გოვუგე ვერაფერი“-ო;

დავიბენი, მე — „რატო ვერ გაუგე ვერა-  
ფერი“-თქვა, დაა, ამაზე? —

„ისეთი იაპონური აქცენტით მელაპარიკე-  
ბოდა რომე მე კი არა რუსიცკი ვერაფერს  
გოუგებდა“-ო ვალოდია, —

ჟულიკი ისი!

ვიცინეთ, ბევრი.

და, დაამატაც:

— ისე, იქოურული გასტინიცების პა-  
რავოი ატაპლენიაზე ილაპარაკა ნამეტურ  
კარქათ და დანვრილებითე-დასკონალნო...  
გონია ქუჩებში არც ყოფილა იერთხელ გა-  
სული... მე აგერ კიკეთში ვერ ავსულვარ და  
გოუშვი ახლა მასეთი კაცი რამდენიცგინდა  
კიტაიაებშიც...

მაგრამ, ეს-ჩვენი თვით ვალოდია ერთხე-  
ლაც ისე გააბითურეს? — რალა არ ხდება  
ამ-ქვეყანაზედ და — მტრისას... არ გამიგია  
მსგავსი არაფერი, ამაზე, შემდგომ რადგან  
აქ ისევ როგორ ძალიან მომენატრა 2, რუს-  
თაველის...

ხოლო ბაბუასი ერთი-რამ მიხვედრა რო-  
გო-ძალიან მანცვიფრებდა და, რაში ყოფი-  
ლა თურმე საქმე:

გადის, ვთქვათ, იქვე-ყურისძირში და  
იქავ ცხვირქვეშე რომელიმე კაი-კა ფილმი  
ჯენეტა მაკდონალდიანი ან მარიკა როკი-  
ანი თუ დინა დურბინიანი და ვარ ასე-13  
წლის და მინდა მაგრამ როგორ მინდა მათი  
ყურება და სმენა აბა ამ-დღევანდელურა  
დემი მურს და ჯულია რობერტსს თუ ჯო-  
დი ფოსტერს ზედაც ღვინეთ პელტროუი-  
ანასი ცეკვა-სიმღერას მტერმა უყურა და  
უსმინა და წავალ ბაბუა, კინოში, — მორი-  
დებით ვთხოვ და ბაბუა კი: „გაკვეთილები  
თუ გაქვს როგორც საჭიროა ისე წასწავ-  
ლი“... „ჯერ არა მაგრამ კინოსმერე ვისწავ-  
ლი“-მეთქი; არადა, უკვე გამორეულ-მაქვს,  
სამიანები და, განიცდიან ამას; „არა, ჯერ  
ბებიაშენს ჩააბარე და მერე წადი“-ო; ბე-  
ბია კი ვითო-თავისთვის აუთოებს ანულა  
უუთოებს ქმარსა-სილოვანს, იი *прислуга*,  
ცხვირსახოცს ოთხად; ბაბუა გაზეთს კითხ-  
ულობს და, რახან ზურგშექცევითაა ჩემ-  
კენ, ბებიას ვანიშნებ „მიდი-მიდი უთხარი  
გამიშვას“-მეთქი მაგრამ ბებია ისე გულა-

მომჯდარულ-მწარედ განიცდის ჩემს „ჩამოსამოსნება“ს რომ, არაფერს ამბობს, კვლავ აუთოვებს რაღაცა-მორიგს და წყნარა-წყნარა დაჰლიღინებს საუთოებელს რაღაც თავისას თავის-მშობლიურ მეგრულ კილოზე, ეეჰ, რაც-რომ მეგრელებს სიმღერებ-გვაქვენ მონაღვლიანოდ-აღერსიანი მაგრამ თავისი დროაქ, ყველაფერს, კაცო და მე იმისი-მღერადობისათვის აბა სად მცხელა და, სულ მუშტებს ვუღერებ ბაბუასი-ზურგსუკანიდან დაა, უცებ! — სწორედაც მაშინ სწრაფად-ძალიან შემობრუნდება ბაბუა და შეცბუნებული-მე ვითო ამ ჩემითავზე გადასასმელად მიმაქვს ეგრე-გაშლილი მუშტხელისგული და შემკრთალი ვარ როგორ — ვაითუ წამასწრო ამ მუქარაზე-მეთქი, და ისევ გაკვეთილებისაკენ ვითო-ბეჯითად ჩავრგავ თავს და, მაგრამ პატარა ხანში ხდება უკვე 6 საათი და ომარა და ალიკა და ჯუტული მიცდიან საკინოდ უკვე მოკლემარვლებში გამოწყობილები (12-13-14-სან, წლისები, ვართ,) და, ვუღერებ ისევ ბებუას მუშტებს და ის კი ზედაც არ მიყურებს, ღიღინებს ისევ თავისსა-მეგრულს და, ისევ არ შემობრუნდება ჩემკენ, ბაბუა? და, ბებია კი, გათიშულივით ისე ისევ თავისას რომ დაჰლიღინებს ახლა ჩემს გრძელსაცაკი შარვალს, ან პერანგს ჩემთვის ყოვლათე გაუგებარი სიტყვებით ვოკალობს ისე მეგრულ-ბელკანტოს, ხანდისხანობით ერთსა-და სიტყვას თუ გამოვარჩევ რადგან საკმაოდ-ხშირა იმეორებს: „უჯინეე, უჯინეე“-ს და ერთხელ კივკითხე დამარტოხელებულს „რას ნიშნავს აეს უჯინე“-მეთქი და -„ესო, მეგრულათ, გენაცვალეა უჯინე“-ო და ძალიან მერე ერთსაც მოყვარულ მეგრულ ნათესავს რომ ვუთხარი მის-აღერსიანობისა-სა-სოლიდარულობით-სათვის წინადადების ბოლოს: „...და დიდი მადლობა შენ კი უჯინე“-მეთქი და იმანა-კი, მიმოიხედა და „რას ვუჯინო“ო რომ გაიკვირვა და, ბოლო-ბოლო რა გაირკვა — ესი „უჯინე-უჯინე“ თურმე კაცო თლათ „უყურე-უყურე“-ს არა ჰნიშნამდა, თურმე? აი თურმე რად შემომტრიალდებოდა ხოლმე ჩემს მუშტთა-ქნევეებზე ბაბუა და, ისე კი, მაშინ მაინც ბებია მარგებდა და, მე რაც-გინდ ჩამო-უხვება-სამოსანი, მაინც სწორს აკადემიურ მოსწრებაზე რამდენად სწორსა და ნეტარ გზაზე ანუ კინო-საკენ დამაყენებდა იმით, რომ, „ვითო წყალი მოგწყურდა გურამი და ოუარე, ჩოუარე ბაბუაშენს და დეენახე ვითოძალიან მოწყენილი და თუგინდა ერთ-ორჯელ ამოიხრე-კიდენაც“ო და ასეც ვშვრებოდი, და, გარეგნულად თუმცა ისეთი ქედმაღალი და გოროზი მაგრამ შიგნი-შიგან კი გულკეთი-

ლი ბაბუა, ჩემი, ჩემი „საცოდაობით“ თურმე როგორად გულშემთბარი, ვითომდაც განზე ჩაილაპარაკებდა არადა როგორ-სანეტაროს, მომმართავდა, მე: „კარგი, ნადი ახლა კინოში და ოლონდ იცოდე მერე კარგად მოამზადო უნდა, გაკვეთილები“ო და, გავრბოდი მაგრამ რას გავრბოდი მარიკა როკსა თუ ჯენეტა მაკდონალდისაკენ!.. —

ჩემი ბებია და ბაბუა? —  
არ მეჩვენება შინაურობით, — კარგები იყვნენ, და მერე როგორი...

ბებუას ჰქონდა ნებისმიერი ნაცნობისა თუ უცნობისაც კი გამოჯავრების რაღაც წარმოუდგენელი უნარი, მაგრამ ამაზე ცოტათი შემდგომ გიამბობთ, მანამდე კი აკი შეგპირდით რომ მოგიყოფით ვალოდიასაც-კი ისე-ძალიან გაბითურებაზე მასზე ერთ-ერთი ქილიკისა-კი მგონი უკვე „დავასურათე“ ზემოთ — გიტარაზე დიდ წარმატებულად დაკვრისა და ზედაც კაი-კაი დამღერების შემდეგ შინაგანად ძალიან კი მოჰქონდა თავი მაგრამ გარეგნულად „რა მოხდა მერე გიტარაზე ასე რომ ვუკრავ და ვმღერი“ო მაგრამ მაინცაც ისეთი-ძალიანი იპრანჭებოდა რომ მე რომ ვუთხარი „მართლა რა მოხდა ისეთი დიდი ამბავი ვალოდია იმხელა კონტრაბასის მერე დოუკრავ აბა რა იქნება პანა-გიტარაზე და პეტრე ამირანაშვილის და ზურიკო ანჯაფარიძეს მერე (ვალოდია ოპერის ორკესტრში უკრავდა, თან კონსერვატორიაში კონტრაბასის კლასის პროფესორი იყო) იმღერებ აბა რა იქნება“-მეთქი და მგონია და ეჭვი შემაქ რომ ესაც-ჩემი ნათქვამი უკვე „აღვასრულევი“ სადღაც ზემოთ და ეს თუ ჰო-თუ-არა ესაც კი არ მახსოვს და ამის მოსაძებნად თვალს და ხელს ვითრევე ამა-ჩემივე აქა-ჩემივე აქა-რომანშია თუ რაღაცაა იმე-ადგილის მოსაძებნად გადაფურცვლებზე და ხოლო თქვენ კი? — სულ გამუდმებით „იქამდე“- ესკევენ გიბიძგებდით და თანაც სხვაგან-ც, უვარესშიც, - ასეა, ასე-„სხვისი ჭირი — ლობეს ჩხირი“-ო უთქვამთ, კი, ძველებსც, და ახლა უცებ როგორ მომენატრა არქეოლოგია, ეგებ „ძველები“ს თქმისაც გარდა იმიტომ რომ ჩემი სოფელი არ მაქვს — ჩვენი, დორანაშვილების ადგილ-მამულეთი სოფელი დიდუბე ყოფილა და დიდუბე ხომ რამდენიმე სხვაც სოფელივით ქალაქში „შევიდა“ და ქალაქურ-ადგილად გადაიქცა და დავრჩი ასე-უსოფლოდ მაგრამ სოფლები არის ჩემთვის ჩემ-მშობლიური აბა რა არი ის პატარა მაგრამ რადიდ-სამყაროები სადაც რომ წრფელად მიარქეოლოგნია — ძველი ბიჭვინთა (მაშინ, 1960-61 წელს უმაღალსახლებიანო

ყოვლად, უმშვენიერესი დასახლება), ახვლედიანების გორა ვანთან, რაჭაში — ჯოისუბანი, სამეგრელოში — ჯვარი და ჯვარზენი, იმერეთში — ვაჭევი და რამდენი სხვა სოფელი და აფხაზეთში ხომ — აუარება... და თანაც იქ ხომ, რაცგინდ გადალლილზე, ვწერდი და ვწერდი,

და აქ ნუ აგერევით ძალიან გთხოვთ სწორედაც-რომ ერთიც ბერავიც და ბერავს კიდევ რა უჭირს — ყოვლად უღირსი პატრიოტებით პარნტრიონტობის გამოისობით ჯიბე-როგორებ გასქელებულებისა თავის-ატანა-მოტანა-ში და, მაგრამ, მე საქართველო ყოვლად უჯიბეოდ იმდენად მიყვარს რომ მართლაც თავგზა-აბნევაძდე ოლონდ რომელსაც კუთხეში ვარ? — იმხანად მაშინ ისიკუთხე უმფრო ყველაზე მეტად, და მსგავსი რამ რომ მუსიკაშიაც იმდენად დამემართა რომ შევშფოთდიც და დიდ მუსიკათმცოდნეს, ბატონ გოგი ნიჟარაძეს ასე ვკითხე:

— გოგი, რაა ეს ჩემს თავს, როსინის როცა ვუსმენ როსინი მირჩევნია ხოლო როდესაც ვერდის? — ვერდი და ისეთ ორპირად ვგრძნობ თავს რომ პირდაპირ ყურწავარდნილა მოღალატედ და ეს ძალიან მრცხვენია-მეთქი, ხოლო ბატონმა გოგიმ კი, დასამშვიდებლად? —

— შენ მაგაზე ნუ წუხარ, გურამ, მთელი იტალია მასეა და იცი შენც არაა ცუდი ხალხი ის,-ო,

და ახლა ჩემს ერთ-ერთ მოთხრობაში, „საქმე“, ამ 35 წლის წინათ დანერვილისააკენ აღარ გაგიშოფთ, მოგანვდით ჩემით და ნავიკითხოთ, ერთად:

„ლუკა (ამ მოთხრობაში ეს ჩემთვის ძვირფასი სახელი შევირქვი) მისჩერებოდა მოპირდაპირე მაღალ სახლს, ერთნაირად ვინრო აივნებითა და ფანჯრებით, სახურავებზე აქა-იქ გაფარჩხულ ანტენებს, ქარში აფრიალებულ საცვლებს და სადღაც შორს, სხვაგან გაუნია გულმა — იმ მივარდნილ, ნახევრადაყრილ სოფელში დილაადრიან, სისხამი დილით, მხარზე წერაქვგადებული მიაბიჯებდა, აღმართს რომ აივლიდა, იქიდან, მაღლიდან, მდოვრედ აორთქლებულ სოფელს მორიდებით დასქეროდა, ოლონდ ფეხებს მაინც ღონივრად გადგამდა ხოლმე განზე; მერე მოდიოდნენ ექსპედიციის სხვა წევრები, ხელმძღვანელი, ლუკა წერაქვს ღონივრად ურტყამდა მიწას, ფართო ნიჩბით საზიდარზე ჰყრიდა, იქ, მთიან სოფელში, პირველად იწვნია იმ ძილის სიტკბო, როცა მუშაობით კუნთებდატეხილი სხეული ყრუდ, ჯიუტად გლრდნის, იქ პირველად მიხვდა შრომისა და დასვენების ფასს, ჩრდი-


ლის გემოს, წყაროს წყლის მაღლს, და გაკვირვებულმა აღმოაჩინა, რომ თუ მართლა გშია, ყველაზე გემრიელი საქმელი ყოფილა ხმელა პური და ხახვი, მერე კი, სამუშაოს დამთავრების შემდეგ, სიმყუდროვეში, ამორჩეულ ხესთან ჯდებოდა და წერდა, მაგრამ ხანდახან წვიმდა.

ლუკას მოსწონდა ფიზიკური მუშაობა, მთელი დღეც რომ ემუშავა, კუნთები აღარ სტკიოდა, წერაქვის ხმარება ისწავლა და ნიჩაბსაც კოხტად აშველებდა მუხლს; სოფლებს იცვლიდნენ, სატვირთო მანქანის ძარიდან ლუკა გასცქეროდა ამწვანებულ ბორცვებს, შორეულ მთებს კი მოლურჯო ფერი დაჰკრავდა, და დასვენების უამს ილიაში რვეულამოჩრილი, ქურდულად მიმავალი, სიმინდის მაღალ ყანაში შედიოდა და იქ, უწყვეტ შრიალში იჯდა და წერდა, მაგრამ მაინც გრძნობდა ვილაცის დიდ, მოთვალთვალე მზერას და შვებით მხოლოდ მაშინ ამოისუნთქა, როცა ქალაქში დაბრუნებული, ოთახში მარტოდმარტო დარჩა. ლუკა გრძნობდა, სისულეებს რომ წერდა, მაგრამ მაინც ძალიან მოსწონდა ავტოკალმის მელნით ავსება, ქალაქის მომარაგება, ძალიან მოსწონდა ის სხვადასხვა გამოგონილი ამბებიც, რომლებსაც საერთო სათაურად შეიძლებოდა რქმეოდა „ვითომ“ — ვითომ ერთხელ ვილაც კაცი სათამაშოების მაღაზიაში ძალიან კარგი დედოფალების რიგში იდგა და ეშინოდა, დედოფალები რომ გათავებულყო, მაგრამ როცა გამყიდველთან პირისპირ აღმოჩნდა, კაცმა იყიდა სულ სხვა თოჯინა, რადგან მოეჩვენა, რომ ის „თაროზე გულდანყვეტილი იჯდა“, გამყიდველმა კი უთხრა: „ეს ურიგოდ იყიდებოდა“; ვითომ თერმომეტრი შეიძინეს და ისიც ჰაერის ტემპერატურას სწორად აჩვენებდა — თუ ციოდა, სვეტი დაბლა ჩამოდიოდა, თუ ცხელოდა, მაღლა მიცოცავდა და ცოლ-ქმარი პირველ ხანებში ხშირად უყურებდა თერმომეტრს, და რომ შეეჩვივნენ და ყურადღებას აღარ აქცევდნენ, თერმომეტრმა ითმინა, ითმინა, მერე კი „აილო და გაფუჭდა. ის სულ ნორმალურ ტემპერატურას აჩვენებდა, მაგრამ ტყუოდა“. კიდევ, ვითომ ხანშიშესული „ბედნიერი წყვილის“ დანახვისას ჭაბუკი შეურიგდა შეყვარებულს, ვითომ... და ჰეე, ვინ იცის, კიდევ რამდენი ასეთი „ვითომ“... ისე კი, წერა მაინც კარგი იყო, კარგი იყო წერა აფხაზეთის მთიან სოფელში, სადაც ღამით აუარება მწერი დაბორილებდა ნათურის ირგვლივ და ცხვირპირზედაც ეხლებოდა, ლუკა დროდადრო სინათლეს აქრობდა, აივანზე გადიოდა და ღობე-ღობედ, ეზოში, უამრავ აბუუტებულ ციციანათელას

გაოცებული დაჰყურებდა, მერე ისევ შებრუნდებოდა, ნათურას ანთებდა და წერდა, სანამ ოთახი კვლავ არ გაივსებოდა სინათლის ჯიუტი მაძიებლებით და სანამ აუცილებელი არ გახდებოდა ნათურის ჩაქრობა, მწერები გარეთ რომ გაკრეფილიყვნენ და სწრაფად რომ გამოეტყუებინა, აივანზე ასანთს ანთებდა და ასე, ციციქნა სინათლით ხელანეული იდგა, ეზოდან კი დუნე გაკვირვებით უმზერდა დაღლილი, ხეს ზურგით მიყრდნობილი ცალთვალა გლეხი; კარგი იყო წერა ბორცვებიან და დაბალხეებიან მხარეშიც, სადაც ყველაფერი დეკორაციას ჰგავდა, კარგი იყო მაღლიან ქართლშიც, სადაც ყოველივე სინამდვილე იყო და სვანეთშიც, წარმოუდგენლად, გოროზად აღზევებულ კუთხეში, სადაც საღამოობით, დიადი მიყუჩებისას, დალის და დაფუს არსებობდა ისე კი არა, მართლა გჯერა... და წერა კარგი იყო იმ ხრიოკ, გველებიან სოფელშიც, სადაც წამდაუნუმ გელანდება, რომ ქუსლში ორი წვეტიანი, უმიზეზოდ გამწარებული კბილი ჩაგაფრინდა... ლუკა ისევ კითხულობდა, საოცარი იყო იმ დიდი მწერლებით გადატვირთულ დღეებში ამ უსუსური „ვითომ“-ის არსებობა, ლუკა კითხულობდა დიდ პოეტებს, მათი აფეთქებული ტაეპებით უზომოდ ბედნიერი, გამოცვლილი, დარეტიანებული და აღზევებული, და თითქოს მართლა შეიყვარა კარგა ხნის წინათ გარდაცვლილი მარინა ცვეტაევა – დიდი ქალბატონი, მაგრამ უფრო უყვარდა პროზა – პროზა, თავისი მკაცრი, ბრძნული კანონებითა და თითქოს მიწიერი, და მაინც უხილავი რითმებითა და რიტმით სავსე, იქამდე შეიყვარა, რომ მოეჩვენა, თითქოს პროზა უფრო მეტს ჰკარგავს თარგმნისას, ვიდრე ლექსი, სადაც ყოველივე, რაც პროზაში შენიღბულია, იქ უფრო თვალსაჩინოდ, სააშკარაოზეა წარმოდგენილი და თუმცა დიდი ეჭვიც ეპარებოდა, ხანდახან, იშვიათად, მაინც სჯეროდა, რომ ასე იყო... პოეტებთან, რა თქმა უნდა, ვერასოდეს იტყოდა ამას, პოეტები ცოტათი ფიცხი ხალხია და მათი ადვილი წყენისა ერიდებოდა — ისინი ძმები იყვნენ, იმ ერთი ძუძუთი გაზრდილნი, რომელსაც სახელად „სიტყვა“ ერქვა. დრო გადიოდა, და დიდხანს იყო ეს „ვითომ“, მაგრამ რამდენიმე წლის შემდეგ, მოულოდნელად, ერთ მოთხრობაში წამდვილი წვიმა მოვიდა, ჩუმი, შიშინა, გუბებში აცახცახდა სახლი, ეზოში სასწრაფოდ ჩამოხსნეს სარეცხი; მერე წამოვიდა თოვლი, წამდვილი, მსხვილფანტელა, სინათლის გრძელ სვეტზე ათასგან აფეთქებული და ერთი კაციც მშვენივრად, ლაღად ალაპარაკდა... კარგი იყო წერა, კარგი იყო

შუალამისას როცა თვალები ეხუჭებოდა, და გამთენიისასაც, როცა ჯერ კიდევ სადღაც შორს, ბურანში მყოფი, ღამინდელ ნაცოდვილარს გაკვირვებული შეასწორებდა; კარგი იყო ყოველივე ამის შემონმება ნასადილევს, როცა შედარებით გულგრილსა და გაზარმაცებულს, ჭკუაში დაუჯდებოდა თუ არა რომელიმე საეჭვო წინადადება; და კიდევ რამდენიმე წელი გავიდა, წლები, როცა ორივე ხელით ეყრდნობოდა მაგიდას, ერთში ახრჩოლებული სიგარეტი ეჭირა, მეორეში — რალა თქმა უნდა, კალმისტარი, როცა მაგიდაზე მუშტს დებდა, მუშტზე კი ნიკაპს, და დაეჭვებული დასცქეროდა ოკრობოკრო, მხოლოდ მისთვის გასარჩევ ნაწერს, როცა აწრიალებული, ოთახში ბოლთას სცემდა და როცა ხან სკამის ქვეშ ფეხებშეკეცილი იჯდა, ხან — მუხლგაშლილი, წლები, მარადიული ეჭვითა და სიხარულით სავსე წლები, და მერე ლუკამ თავისი პირველი წიგნი, რომელშიაც მოცლილობის ჟამს ორიოდ მოთხრობის წაკითხვა თავისუფლად შეიძლებოდა, შინ სახეგაბრწყინებულმა მიიტანა.

წიგნი, რომელიც მას, ავტორს, რამდენიმე წლის შემდეგ ისევ იმ პირველი სიყვარულით ეყვარებოდა, მაგრამ მისთვის, ავტორისათვის, უცნაურად გაუსუსურდებოდა — ასეთი იყო წესი.“- და მამისა და ბებიასათვის კი? და ეგებ კიდევ... -და, როგორც რადგან მოგახსენეთ ეს საქართველო ისედაც-როგორ-მთლიან-ჩემია მე-უღირსისა, და რა ვქნა რითი გადავუხადო საქართველოს და ძველქართულობას ა-ისი მაღლი ჩვენ რომ ვმღერივართ, ჩვენ რომ ვცეკვა-ვართ და რა პოეზია ხალხური თანაც, რომ-გვაქვს, ასეთი და რა ეკლესიები გვიშენებია კირ-მოთხვრილ ხელით კირი-სუფთაა, და ამტანი და რა დუღაბად შემმტკიცებული და ამტანი მისადმი რარიგ ნდობილებისათვის-მხოლოდ, და, რუსის სისხლიც რომ მირევია და აფხაზური და ქართული ხომ — აჭრილ-დაჭრილი მშობლიურად-საჭილაოელ-ბებია-მეგრელისა და მისის ვრცელი ნათესაობის: კორძაიები, ლოლობერიძეები, ლომაიები, ნიჟარაძეები, ფაღავეები, ჩაჩავები და ვინ მოთვლის კიდევ,თ, და როგორღაც-მაინც უფრო-ქართლელ-ვარ, ჩემი ციციქნური, რაოდენურად, გვარით, და თურმე დღევანდელი მუშტაიდის მიდამოებში ჰქონია სახლ-და-ვენახი ჩემს პაპათ-პაპას — ეს ბატონ თეიმურაზ ბერიძის წიგნშიც, „თბილისის ტოპონიმია“შიცაა ნათქვამი რომ დიდუბეში სულ 5 გვარი ცხოვრობდა ადრე, ყველა არ მახსოვს მაგრამ ერთ-ერთი იორდანიშვილია (დიდი სოლომონ იორდანიშვილის გვარი, ვინცრო რა უნამუსოდ გაძარცვეს ე. წ.



კულტურულ-შემოქმედებმა) და ერთ-ერთი ცკი, დოჩანაშვილი ყოფილა ხოლო ჩემი მამი-დაშვილი, ლამარა რომელსაც თავისი მამი-სეული გვარი — ნებიერიძე დიდ-მაინცდა-მაინცად არ აცნობისნადილებდა რადგან ნებიერიძეები არც-თუ იშვიათადლა არიან საქართველოში ხოლო დედამისის — მამიდა-ჩემ სონძას გვარი — დოჩანაშვილი მემგონი ჩემზედაც კი მეტად ეახლოება და ედარდება, ეგებ იმიტომაც რომ მამაჩემი ორ ბავშვს გვზრდიდა, ჯერ — ლამარას — ვისი მშობ-ლებიც მუდამ „რაიონში“ მუშაობდნენ ხო-ლო ლამარა ბებიაჩვენთან — რუს-ბაბუშკა ოლდა გუსევასთან იზრდებოდა და თავისი ექვსი შვილიშვილიდან ჩვენ-„სხვა“-დანარ-ჩენ ხუთნზე ერთად აღებულთ, ბევრად ერ-ჩია, და ლამარას რომ აღმოუჩენია დიდუბის თეთრ-ეკლესიის ეზოში ძველ-დროინდელსა სასაფლაოზე მეტად უბრალო საფლავი გა-დახუნებულად ამოკვეთილი წარწერით: „აქა მარხია დოჩანაანთ ქალი“, ხშირად მიჰქონ-და ვარდ-მიხაკები თუ მინდვრის ნაღდი-ყვა-ვილები და იმ სადად-უბრალო ქვაზე, სდებ-და, მერე ჩემმა ბიჭმა, ირაკლიმ — იმასაც ჰქონდა „დოჩანაშვილობა“, ამხანაგებიც „დოჩანა“ს ეძახდნენ ექსკურსიებზე რომ დაჰყავდა დამწყები კლასის მოსწავლეები მცხეთის სამთავროს ტაძარში მიაგნო საფ-ლავის მოზრდილ ქვას სადაც ამოეკვეთათ განსვენებულის ვინაობა - „ელისაბედ დოჩა-ნაშვილი“, - „სამონაზნო, 84 წლისა“ - 84 წლის და, სამონაზნო? არ უნდა ამიჩუყდეს აქ, გინდაც არა-დოჩანაშვილი რომკი ვიყო, გული?, დილის ლოცვებში როგორ ფაქიზად ვახსენებ ხოლმე, მაგრამ სანამ ღულელებს მივადგებოდე, სადაც ყოველ ივლისში რაც თავი მახსოვს მამას დავყავდი და ბებია კი, მთელი ერთი თვით უჩემოდ დარჩენილი, მართალია მამაჩემსა და განსაკუთრებითკი მისთვის ყოვლათე-უცნობ ერწო-თიანეთს როგორ აკადრებდა სხვებთან ამას მაგრამ მეკი ერთხელ ხმადაბლა ასე მისაყვედურა: „რა დაგრჩენია ბიჭო იმ პაჭანიკებში“-ო, ეს პაჭანიკ-მაინც ვინ დაასტავლა, ხოლო მამას გულწრფელ ნათქვამზე „კვირაში ერთხელ მაინც ჩამოდით და ნახეთ გურამი“ო, „მე წაგიყვანთ და წამოგიყვანთ“ო მაგრამ თავაზიანი „არა-გმადლობთ“ო უთხრა, მე კი: „მეტი საქმე არმაქ ჩამოვიდე და ხოუნდა წამევიდე მერე და შენ სხვებთან დაგტოვო?-“ო — „სხვა“ იყო, მამა? —

ბებიასათვის, კი; ბებიასათვის ყველა „სხვა“ იყო, ჩემთვის,

და, ღულელებამდე, ერთსაც მივადგები მოდასავლეთურ-საქართველო რუსთაველის ორს, სადაც როგორ რა-ხშირად, ყოველ

საღამოს ღია ლომიას ჩვენს-გასწვრივა და უფრომალალ, ისევეც სხვენში ვიკრიბე-ბოდით, ნათესაობა, ღიასი ბინა „შტაბად“ გვექონდა, და თუმც ვალოდია უმცროსებს ჯერ არ გვეკადრულობდა ხოლო უფროსებ-თან კი შედარებითულ მონყენილს-იყო ხო-ლო იქ ღია და ნანა ლომიას (ღიასაგან დიდგანსხვაგვებით-მოფერებით როგორი „გიუგადარეული“ ნანა, ძვირფასი ყველასათ-ვის, როგორ... მაშინაც; აახლაც — აღარაა...) მშობლებთან — წყნარი, ხმისამოუღებელი ხალხი — დეიდა კატუტა ლოღობერიძე — თვით ქუთაისური იუმორის თავკაც-პრეზი-დენტის-ბიძინა ლოღობერიძის დაი ხოლო იმათ ცხრა დედმამიშვილში მხოლოდ ის და ლევანია-ბიძია იყვნენ უთქმელები და წყნარები და ბესო-ბიძიაც როგორი დალაგე-ბული კაცი იმ-ვორონეჟკასთვის მის ხტუნ-ვაობებს თუარ ჩავთვლით თუმცა სხვისი იუმორითაც რა-დიდად გახარება როგორ იცოდნენ და დაფასებაც ოღონდ მაინცა-ღ თავშეკავებული ღიმილით და იქ კი დეიდა კატუტას ერთ-ერთი დის — ჭაპულა-სი მე-უღლე ბიძია ვახტანგ ცქიტიშვილი და ბე-ბიაჩემი რიგრიგობითე ასრულებდნენ პირ-ველებ-ვიოლინოსას ჩვენს დიდად-გაზრდილ რიცხოზრვიდაც ასე ვთქვათ — კვარტეტ-ში, ბიძია ვახტანგი ძირითადად ჟანრ-სკეტ-ჩობრიულსა-ში მუშაობდ-იღვნოდა და თუ მოვახერხებ თავიდან აღვინერთ მისას თუა-რა და „იქამდე“დან ხომ — არ გაგიჭირეთ ამ „იქამდე“თი, საქმე? — მთლად თავისუფ-ლად გადმოვიწერ იმის აღწერას თუ რო-გორებიც-რომ სკეტჩები იყვენ „შემთხვევა საპარიკმახეროში“, „ცალხელა მუზიკანტი“ და სხვა, და სხვა, ხოლო ბებიას თავისი გა-მორჩეული შთაგონება: „ლამპუჩკის კაცი“ დოკუმენტურობამ ანუ ნამდვილმა ამბავმა შთააგონა, კი... ამაზე, აქვე, მაინც არ მო-მეშვებით ამ „იქამდე“თი რადაგიშავეთ მა-ინც ასეთი და, შესაგალად კი კვლა-„იქამ-დე“დან სულმოუთმენელ დეიდა ჭაპულადან დავინყებ რომელიც ველარ დალოდებია ვახტანგ-ბიძიას სამსახურიდან მოსვლას და მარტოკა-ღ მორბოდა ჩვენთან (სტადიონ-თან, დიდუბეში ცხოვრობდა ბუნებით ყოვ-ლად ქუთაისელი, და არა დიდუბელივით-მე...) თავისი ხუმრობებაულ-გამორჩეული ძმის, ბიძინა ლოღობერიძის ახალი „ნომრის“ ჩვენდა გასაზიარებლად ქუთაისიდან „ჩიტ-მა ამბავი ჩამომიტანა“სთანავე:

— გეიგეთ, გეიგეთ? — და სანდროს („იქამდე“ში ხომ აკი სანდრო მქვია — ძლივს ასე არ გაგეცანით, „იქამდე“მდელი?) კოცნის ისე რომ ოღონდაც ზედაც არ უყუ-რებს მაგრამ ეპატიება ეს — იმდენათე

გულ-აჩქროლებულია, ერთი სული აქვს მოსაყოლად, მაგრამ ბებიასადმი ზრდილობისათვის? — რამხელა გაზრდილა, — არადა, გუშინ არ იყო, ჩვენსას? — იმ შეჩვენებულს, — სულს ძლივს ითქვამს, მომსუქანო ქალია და, ნაკიბებარიც, — რა უქნია!

— ვინ შეჩვენებულს...

„შეჩვენებული“, ანუ თვალსაჩინო ხუმრობის შემძლე, ნათესაობაში ბლომად ურევიათ და ჭირს დადგენა...

— ვის და, ბიძინას!.. არიქათ, არიქათ... დამსვით სადმე!.. ამომხდა სული...

ბიძინა ლოღობერიძეც (ეს მერამდენედ გეუბნებით, არ ამოგხადეთ ამ-„იქამდე“ თი სული!?) ბებიას „კვიდრი“ დეიდაშვილია, გამორჩეული თავკაცია ყოველგვარი მახვილსიტყვაობებისა თუ ანცობებისა და მერე სად ეს — მცირე სრულიად საქართველოს მახვილსიტყვაობის დედაქალაქში, თვით ქუთაისში ამა დიდად ნიჭიერ საქმეში პირველ კაცად ბიძინა უვისთ. და, უკვე სამზარეულოში შემოსული დეიდა ჭაპულა მძიმედ ეშვება სათუოდ უბრალო ტახტზე, იცინის, იცინის, ხან კედელს კეფით მიეყრდნობა, ხან მუხლებზე ძლივას დაიდებს შუბლს და, ისე გემრიელად იცინის, თვალეზახუჭულს, სამაგიეროდ ახლა ლოყებზე უჩნდება გახარებული ფოსოები, ისევ იცინის.

— აღარ ამოშაქრავ, შექალო? — ველარ ითმენს დეიდა მერია.

— არ გადაგვაყოლა? უჰ...

— მაცალეთ... მაცალეთ!.. — და ისევ ბჟირდება.

როგორც იქნება და, დაადგება საშველი — ჯერაც პალტოგაუხდელი, წყვეტილად და სიცილნარევი სვენებ-სვენებით ჰყვება:

— ვინცხა ხნიერი პრავადნიკი მომკვტნარა ქუთაისში ბიძინას მეზობელი ერთი... უიი, უი... დევიხრჩვი ქალი...

დეიდა მერია სხვებზე ფიცხია, მაგრამ ისიც ითმენს — „პრავადნიკი“, ეს — უკვე რაღაცით კარგია. თან, არაქართულ სიტყვებს, რაღაც შთამბეჭდაობის გასაძლიერებლად თუ კოლორიტისთვის ხმარობენ.

— ხოდა, შენ ხარ ჩემი ბატონი... გამოუდგამთ თურმე შვაზალაში იმ საცოდავისი კუბო... და მოაქვთ და მოაქვთ ვენოკები და ყვავილები და ამისთანები... დგანა თურმე ეზოში დუხავოი მუზიკა და უკრავენ და უკრავენ ჯვარი აქაურობას და, იმ მუზიკას... იხოკავენ თურმე სახეს ამ საცოდავი პრავადნიკის ნათესაობა და ხალხი... ხალხია? — სავსე... არის ტირილი და მოთქმა... უკრავს-სულ სუ-იმნაირი მუზიკა... და ქე რო ულაგებენ კრუგომ იმე საცოდავს ვარდებს და ყვავილებს... შემოდის თურმე ამდროს

ბიძინა, პატარა რაცხა გოხოული აქვს ხელში... უიი, უი...

უცდიან, უცდიან რომ... ნამეტანი.

— ჰოდა... მიდის თურმე ეს შეჩვენებული იმ საცოდავთან... დამდგარა მწუხარეთ... დაჩერებია... გაუქნ-გამოუქნევია თავი... შემოუცლია მერე ძველი გაზეთი იმ თავისი გოხოულისათვის და... ხედავენ, მარა რას ხედავენ, უი, მომკალით ვინცხაამ...

მოლოდინია, მოლოდინი რომ...

— პატარა დროშები ქე როა... ბაირაღებივით... პრავადნიკების... უიი, უი... გამაჩერევით ვინცხაამ!.. დაა, ერთი ყვითელი ფლაჟოკი ერთ ლოყაზე მიუდვია პრავადნიკისთვის და, უთქვამს... სამოთხეში თუ მოხვდები, ვარლამია... აგი ყვითელი გეიშვირეო და...

ახლა მოლოდინს რაღა უჭირს, სუყველანი იცინიან...

— მერე... ამ ოხერს... მიორე ლოყაზე მიორე წითელი ფლაჟოკი მიუდვია და... და ჯოჯოხეთში თუ მოხვდით, მაშინო აგი შოუშვირეო... აბა!!

ეეჰ, რამდენი გულიანი სიცილი სმენია იმბავშვობისას სანდროს.

— ჰოოდა, მერე... ნუღარ იკითხავთ... თლათ გოუჩერებიათ დაკვრა ი-დუხავოი მუზიკანტებს... ისეთი სიცილი და კისკისი გამოდის იმ უბედურის ოჯახიდან თურმე... ტრუბაჩს უკითხავს, ტრუბაჩს... ვაიმე, მოვკვდი... სანდრიკა, წყალი...

— რა, რა უკითხავს!..

— ხვარ გაცოცხლდაო!

პატარა ხანში, მერე, სულს რომ მოითქვამენ:

— გეიგო მერე ეზოსი სუყველამ რაშია საქმე და, იცინიან, იცინიან ხან ბიძინაზე და ხან იმ ტრუბაჩის ნათქვამზე, იცინიან და ისე, ვინმე ნემეცმა შემთხვევით რომ ჩამეიაროს, ცხრა მაისისი პრავადნიკი ეგონება... დუნია ხალხში, ველარავინაა კუბოსი ამწევი...

და, როგორც იქნება და, გულს ცოტათი რომ მოიოხებენ, სანდროს ბებია, ფაცა, მალვალაკობებში დიდათე-გამოცდილი, ამბობს:

— ახლა, სხვას რო გიეკეთებია მაგი ამბავი...


— უჰ, მტრისას, მტრისას... მოკლავდენ, მოკლავდენ.

— კი, კი, ნამდვილად მოკლავდენ გენაცვალე.

სანდროს ბებია, ნათესაობაში აგრეთვდიდად გამოჩენილი „შეჩვენებული“, ამჯერად ცივს-თეორიაში გადადის;

— ასეა. ერთს რაც უხდება, მეორეს...

მაგრამ აქ კარზე აკაკუნებენ.



— მობრძანით?

შემოდის. ეს ინკასატორია, ანუ „ლამპურ-  
კის კაცი“.

— გამარჯობათ.

ეგრევე-ატყობენ, რომ აღმოსავლელია,  
და ახლა ხაზგასმული ქართლ-კახურითე  
ალაპარაკდებიან, შეუძლიათ ესეც; „ლამპურ-  
კის კაცი“ კი ოთხი ქალის საზოგადოებაში  
თვალსაჩინოდ იბნევა, თანაც სულ სხვადას-  
ხვაგვარად ლამაზია ოთხივე: დეიდა ჭაპუ-  
ლა კეთილად მომხიბვლელია, და თუ დეიდა  
კატუტაში სიმშვიდე და სათნოება სჭვივის,  
დეიდა მერია შემართულია, დიდი მწვანე  
თვალეები მუდამ უელავს, ექვსი წლის სან-  
დროს ბებია კი, ფაცა, ორმოცდაოთხისაა  
მხოლოდ, თან გაცილებით ახალგაზრდად  
გამოიყურება, სუსტი, მაღალი, ძალიან ქა-  
ლური და ლამაზი ქალია, და „ლამპურ-  
კის კაცი“ ცოტათი კი არა, კარგა გვარიანად  
იბნევა და ამიტომ დიდად ქედმაღლურად  
ირჯება, ამათთვის ქედმაღლობა კი... და  
ამასხარავებენ, ექილიკებიან, ფარულად:

— დაე, გამარჯვებანი ნუ მოგშლოდესთ  
ბუნების ძალთაგან... სვებედნიერად გაგი-  
მარჯოთ, ჩემო ბატონო... მობრძანდით, დაბ-  
რძანდით, ბატონო ვამეხ.

— მე ვამეხა არა მქვიან.

— და მაშ აბა რა გქვიანთ?

— სოლო.

— აჰ, დიდი ბოდიში, ვრცელი ბოდიში,  
ეს როგორ მოგვივიდა, — ვითომც გულ-  
წრფელად შეიცხადებს დეიდა მერია და, ფა-  
ცა ბებიას გადაულაპარაკებს: — სულერთი  
არაა? მე შენ გეტყვი, ნამეტარი განსხვავე-  
ბა დიდიდი ამბავი მაგი თუ სოლოა, ჩვენ  
— კვარტეტი ვართ.

სანდროს არ თვლიან, წყნარადვე ზის,  
მაგრამ ყველაფერი ამასხოვრდება.

— კარგი სახელია ძალიანი. — ამბობს  
დეიდა ჭაპულა, - ბარაქალური.

მსჯავრდებულ სტუმარს წარბებიც კი  
უფაციცდება, ესენი კი რას დაიმჩნევენ,  
„შეჩვენებულებია“, მაგრამ შენიღბული სი-  
ცილით ისე არიან სავსენი, რომ ნათურის  
კაცი რაღაცას თითქოს ხვდება, თან ვერ  
ხვდება, თან ვერაფერს ხვდება... მაგრამ ში-  
ნაგანად აფორიაქებულია, სათვალეს ნამდა-  
უნუმ ისწორებს, მიჩერებია მრიცხველს...

— რამე ხომ არ დაუშავებია, ჩემო ბა-  
ტონო...

— ვისა...

— მრიცხველს, ვის...

— ა-არა.

— უჰ, არ მოგვეშვა გულზე? იგრე გულ-  
დაგულ აიჭყურებდით, მეთქი, რაიმ აუგი  
ხომ არ ჩაუდენია-მეთქი...

და, თავაზიანად მიაყრიან:

— ამას წინებზე ჩვენი ნათურა ვერ იქ-  
ცეოდა რაღაცა კარგად ჩემო ბატონო... პა-  
ჭუნობდა ნამეტანს, მაგრამ მერე გადაუარა  
ალაზანი დიდია... ეჰ, ეგ კი არა, ხანდისხან  
ჩვენც კი გამოვდივართ სტრავეოი-მწყობ-  
რიდან ადამიანები... დიახ... დიახ... მაშა!..  
ბარაქა!.. სანდა სალოლ!! — მიაყრიან და,  
მერე ხმას საიდუმლოდ დაუნევენ: — მე-  
ზობლისი ქალი გვყავს ფსხვილი ქალი ერ-  
თი... ბლომად ქმრებგანაყარი... მოგენონე-  
ბათ თქვენ... ძალუა...

— ჰა!.. ვინ მსხვილი ქალი... რა ქმრებგა-  
ნაყარი... რა შუაშია!

— აჰ, არაფერში... ისე-უბრალოდ, მრიცხ-  
ველზე გაგვახსენდა... — ვერ დაგვითვლია  
იმისი ქმრები, ჩემობატონო... ტყვილა გაგ-  
ვახსენდა...

„ჩვენ“-ობით ირჯებიან, რადგან ფარული  
სიცულქე აერთიანებთ, ერთი დეიდა კატუ-  
ტალაა ჩუმად — წყნარი, კეთილი, სათნო  
ქალი და, შეჩვენებულებზე, მკრთალად ელი-  
მება...

— ჩაი მიირთვით, ჩემო ბატონო... ჩინუ-  
რი წესით დაყენებული უფრო გირჩევიანთ,  
იაპონურათ თუ ხაშურულ ყაიდაზე?

ნათურის კაცი კი — კი იგრძნობს ამჯე-  
რად რაღაცას და, ჩაიბუზღუნებს:

— რა დროს ჩაია... ჩაი არა, მაი...

— აჰ! — შეიცხადებს სანდროს ბებია,  
ფაცა, — ქართულის გადამახინჯების ნებას  
არავინ მოგცემთ თქვენ... მაი კი არა, - მა-  
ისი.

— რა მაისი.. რისი მაისი, თებერვალია  
ახლა... მაისიო, დახე!

და, ქვითარს საერთაშორისო ციფრებით  
რომ შეავსებს,:

— კარგად იყავით!.. ვაჰ!

და, როგორც კი გავა, დეიდა ჭაპულა და  
დეიდა მერია ყელს იწინკნიან:

— ფაცა, ფაცა, შენი ჭირიმე, გაცინე რა,  
გაცინე რა, ფაცა...

მაგრამ ბებიას თავიდან-განაზება უყ-  
ვარს:

— როგორ გავცინებ... სად შემიძლია...

დაუჯერებენ, კი:

— კაი უჰ! გაფიცებ ყველაფერს, ფა-  
ცა...

მაგრამ ბებია ისევ ნაზად ამბობს:

— რაღადროს ჩემი მასხრობაა, დავბერ-  
დი ქალი...

და აქ დეიდა კატუტა პირველად იღებს  
ხმას:

— სანდრიკას გაფიცებ.

რააო? სანდრიკას გაფიცებო! აჰ... — და  
ბებია ფაცა მაშინვე ამბობს:

— სათვალე მომეცით აბა.

და გადის.

მერე — კაკუნი და:

— მობრძანდით, მობრძანდით! — იდახის გახარებულად გაფაციცებული დეიდა მერია.

და, შემოდის მაგრამ რა შემოდის — რალაციოთ, ყოვლად ვერაუხსნელად, სანდროს ბებია ახლა ის კაცია, „ლამპურკის კაცია“ ბებია ფაცა ახლა, და ძალად შეჭმუხვნილი სახითაც იმას თუმც სულაც არა ჰგავს, გამომეტყველებით — ახლა ჭეშმარიტად ის კაცია ბებია ფაცა, და, თუმც სუსტი და გამხდარია, — სწორედაც რომ საკვირველი! — იმ კაცის ტორია ახლა ფაცა-ბებიას სუსტი და გამხდარი ხელი, და მისი კაბაც კი, კაბაც — გადასარევი! — იმ კაცის პალტოა ახლა ისერიგ მოურგია ტანზე, და როცა იტყვის: „გამარჯობათ“, და მრიცხველს ახედავს, გადაფიჩინებულებია ბებიას სამთავე დეიდაშვილი, „ლამპურკის“ ახლადმოვლენილი „კაცი“ კი ჯავრს იყრის, რომ ინკასატორმა ოდნავი ყურადღებაც კი არ მიაქცია სანდრიკას, მისი ღრმა რწმენით თელიდელომინის ზურგზე უპირველეს ბავშვს, და ამბობს: „რა კარგი ყრმაა“, და სანდროს ლოყაზე კოცნის, სანდრიკას აქ ყველა ეფერება, წამდაუნუმ და ყოველ ნაბიჯზე, და ეს ფერება სანდროსაც რომ დაჰყვა, და იქ, ღულელებში, სტუმრად რომ ჩაიყვანა თავისი პატარა ქალ-ვაჟი, და რომელიღაც რომ აიყვანა და ლოყაზე აკოცა, დეიდა ერმონამ იწყინა და თქვა:

— როგორ შეიძლება.

და, სანდროს უტყვ გაკვირვებაზე, დაამატა:

— შვილის მოფერება არ შეიძლება, შვილო. გაფუჭებაა.

სანდრომ ესლა მოახერხა:

— მ. — და, ახლა კი დროა, —

ღულელები...

ოღონდაც ჩემი უკუღმართობით, თავიდან კი არა, უკვე მოზრდილის, ჩემი, — ჩასვლით, — „იქამდე“-დან, იქაც „სანდრო“ მქვია:

„საკვირველი იყო სწორედ: თბილისიდან მანქანით საათნახევრიოდეს სავალზე, თიანეთისაკენ, გზად, იყო სოფელი ღულელები და ავტობუსით თუ ჩაუვლიდი, იმდენი არაფერი — სხვადასხვაგვარი, არცთუ დიდად განსხვავებული შეძლებით აშენებული სახლები იდგა, იქაურები მიმოდიოდნენ, ზოგს როგორ ეცვა, ზოგს როგორ, მაგრამ რალაც საერთო მაინცა ჰქონდათ უბრალო ტანსაცმელში, გაიხედ-გამოიხედავდი და საბადურის უღელტეხილის შემდეგ რალა შეგძრავ-

და, ველი მოჩანდა და მთები, მაგრამ ყურობელისკთან ჩაუხვევდი, მიადგებოდი მონატრებულ ჭიშკარს, წყნარად გახარებულ დეიდა ერმონას გრილ, მზემრავლადნახსნა ლოყაზე აკოცებდი, სადმე მიდებდი ჩანთას, „ჯერ არა მშია“, და დეიდა ერმონამაც კარგად იცოდა, მაშინვე ტყისკენ რომ დაადებდი თავს.

სანდრო ჯერ მიდიოდა მცირე მოლისკენ, სადაც ვრცელი მუხა იდგა ერთი, დიდად ნაცნობი კონწიალათი, უანგმოდებულ ჯაჭვს აუცილებლად შეახებდა ხელს, არც შეჩერდებოდა და, ისე. მერე წნორებარეგებულ მსუყედ შრიალა ღელეს აუყვებოდა, სუფთა ჰაერით იწინებოდა სანდრო, უცხოოდ სუნთქავდა, ქალაქელი, იქ ცა იყო როომ, ხოლო აქა-იქ — ძროხა, ცხენი, თხა. მერე პატარას ჩაივლიდა და, წყარო! ცხვირპირჩარგული, სვამდა, აჰ, სვამდა, ვილაცაც სვამდა სულ სხვა წყაროს ოდესღაც, სადღაც, მონადირე კი ლელიანში... მაგრამ ამეებისთვის აღარ ეცალა, სანდრო იმ სახლის გასწვრივ მიაბიჯებდა, სადაც დიდი ქოფაკები სუმუდამ ჰყავდათ და ახლაც, ლობეს მომწყდარნი, გაავებულნი, უყეფდნენ, ჰყეფდნენ, ყელჩაფხაჭნილნი, ლობის გამონგრევას ამაოდ ლამობდნენ და, ლამის იღრჩებოდნენ ყეფით, მაგრამ ესეც კი, ძველდროინდელი და მოსალოდნელი, მშობლიურივით იყო. მერე დიდ ველთან გაივაკებდა, შეჩერდებოდა, გახედავდა და, დაადებდა თავს. სანდრო მიდიოდა გადახნულ ველზე, ფეხქვეშ ბელტები ეზნიქებოდა, ღრმულები აჩნდა ალაგ-ალაგ მინას, რალაცაები ცხოვრობდნენ იქა, ბნელ საცხოვრისებს ნაბიჯს არიდებდა, და მძლავრად გადახნულ, ტორტმანას თითქო, ველს რომ გადაივლიდა, ჯერ — თხილი და ასკილი, პანტა, კუნელი, მაჟალო, კვრინჩხი, ჰეჰეჰ, ძახველა დაკუნწლული, ფოთლებზე ალაგ — დანინწკლული მფრინავი ხოჭო, სახელად მათა, ტოტებზე — ნისკარტით ძნელად შესათხზველი ჩიტის უბრალო ბუდეები, და რკოდაყრილი სქელი ბალახი, სოკო, და ვერც გაიგებდა, ისე ამოჰყოფდა ქართულა ტყეში თავს.

ვერხვი და ნეკერჩხალი, მუხა, ნიფელი... გატრუნულ ხელისგულს ადებდა სანდრო ძველ, ნაცნობ ხეებს, და შევებანარევი სიხარულისგან შეძრულ სახეზე — შორი აბლაბუდა, და ფრთხილი სვლა დაბლითურა ჭანჭრობისაკენ, სადაც ყველაზე მეტად იგრძნობოდა ამა ტყის სული, სახელად ვითომ — ხუმბაბა... როდის შეარქვა ეს მკაცრი სიტყვა, აღარც ახსოვდა, სადღაც, შორეულ ბავშვობაში... მაგრამ ხუმბაბა რასა ნიშნავდა უგილგამეშოდ ვერ ესმოდა მაგრამ,

თითქოსდა უღერდა. ბუნდოვნად იმასაც კი ვერძნობდა, რომ მოფერებითაც შეარქვა ასე, რადგან ხუმბაბა სინამდვილეში და ღამით თითქოსდა ბევრად უფრო დაუნდობელი და მრისხანე უნდა ყოფილიყო, ვიდრე ეს მცირეჭინკებიანი ტყე, მგლებიანი თუმც. სანდრო ფრთხილად მიაბიჯებდა ქანჭრობისაკენ, დეიდა ერმონას კი უკვე ჩაეყარა ქაფქაფად მღულარე წყალში სანდროს საყვარელი ხაჭოს ხინკალი, თავისი ლურჯი სახლის წინ ფეტივანა გამოსულიყო და ქათმებს ეძახდა. რა დაძახება იმათ უნდოდათ, გამალებულნი იკენკებოდნენ, დეიდა ერმონას ხმა ჰქონდა? — ლმობიერი, ლმობიერების ერთი, და ამ ხმით კიდე, ნამდვილ და ლამაზ, სხარტ და უბრალო, დალოცვილ ქართულს ლაპარაკობდა. წყნარად და რბილად ინელებოდნენ დეიდა ერმონას სიტყვების ხმოვნები სწორედ იქ, საცა საჭირო იყო, „მოხვეულ?“ — ხმადაბლა იკითხავდა, ფარული მოფერება თუ უნდოდა; დაგვიანებულ შვილზე კი მოკლედ ჩაილაპარაკებდა: „მოვიდა“. ხმას არასოდეს აუწევდა, ადრე დაქვრივებულმა, ოთხი ბიჭი გაზარდა და, არასოდეს აუწევია ხმა, ჩუმი დარდი კი მუდამ იცოდა. რა უნდა მომხდარიყო, შინაგან განგაშს რომ აჰყოლოდა, მაგრამ სანდრო მაინც სტუმარი იყო. და მზე თუმც ჯერ არ ჩასულიყო, ჩაილაპარაკა: „ბიჭი რა იქნა“, პატარა ხნის შემდეგ კი, ამ გაფიქრებას ერთი პანია სიტყვა დაემატა, მაგრამ დეიდა ერმონას პირობაზე ძალიან მეტად მნიშვნელოვანი — „ის ბიჭი რა იქნა“, და თავის უფროს ვაჟს, ახლადმობრუნებულ, გადაღლილ გოგის, ეუბნებოდა: „ნადი, და მოსძებნე ის ბიჭი“. „რა, სანდრო ჩამოვიდა?“ — უხაროდა გოგის, მაგრამ ძალიან დაღლილი იყო. „ნადი და მოძებნე, საცა გინდა“. „სანდროს აქ რა დაკარგავს, დედი, სადმე ავცდები“. „ვის ვეუბნები, ადამიანო?“ გოგი ეზოდან გადიოდა და, უკვე მორუხოდ შედედებულიყო ჰაერი, ნახირი ბრუნდებოდა სოფლად, ნახირშუა კი, აგერ სანდროც არ მოდიოდა? გოგი სწრაფად მიაბიჯებდა ძროხებში, ხელებგაშლილი, გულიანად მომლიმარე, უცაბედ რქებს ხანდახან ხელის ზურგით იშორებდა და, ერთმანეთს რომ გადაეხვეოდნენ, ჭიშკარს მომდგარ დეიდა ერმონას ძალიან, მაგრამ წყნარად უხაროდა თავისი შვილისა და შვილობილი იყო თუ რა, იმათი ასე შეხვედრისა. წყნარადვე უხაროდა იქაც, თავის პატარა სახლში, სანდრო ადვილად რომ იტყოდა — „ძალიან მშია“, და აორთქლებული ხაჭოს ხინკალის დანახვაზე, როგორ განელავდა: „უუ“. მუხლებზე ხელებდალაგებული, მუქჩამდგარი თვალებით შეს-

ცქეროდა რა გემრიელად აწობდა გამდნარ ერბოში უბრალო ხინკალს სანდრო და მერე ძალიან მშრალად ჰკითხავდა:

— არაყი ხო არ გინდა.

— არა.

— ჰოოო, ეგრე, — მოუნონებდა დეიდა ერმონა და, როგორღაც ამაყად დააყოლებდა, — მამაშენიც არა სვამდა.

სანდრო არა სვამდა კი არადა, ხანდახან... მაგრამ აქ, ლულელებში, როცა განგებ და ღიმილით ჰკითხავდნენ:

— მაშ აბა რა გინდა?

და სამივენი იცინოდნენ სანდროს სულსწრაფად წამონაძახზე: — რძე მინდა, რძე!

ლულელები ერთადერთი ადგილი იყო ქვეყნად, სადაც სანდროს რძე უყვარდა და ცხელი და მძიმედ ქაფდამდგარი, რაღა თქმა უნდა, იქვე დიდი ფინჯანით ედგა.

— ბიჭო არ დაგცადოს, — ეღიმებოდა გოგის, — ქალაქში იმ წყალწყალაებზე ნარვევი ხაარ და...

— დაცადოს კი არა... მამაშენიც აეგრე გემრიელადა სვამდა.

სანდროს გული ეკუმშებოდა, იმასაც კარგად ახსოვდა მამა. მაგრამ დეიდა ერმონა მის დაღონებას ვერ ამჩნევდა, რაც იშვიათად მოსდიოდა; ფიქრებში წასულიყო:

— სანყალი, პეტრე, იმასაც ეგრე უყვარდა რძე და აქაური ერბო.

— ეჰ, ძია პეტა... — დაღონდებოდა გოგიც.

და დეიდა ერმონა მოულოდნელად მკაცრად იტყოდა:

— პაპაშენი — სვამდა.

და ისე ნალვლიანდებოდა:

— ეეეჰ, პეტრე — ის უნდა მამკვდარიყო?

მაგრამ გოგი ატყობდა, სანდროს რომ ძნელად გადასდიოდა ლუკმა და მაშინვე მიახლიდა:

— ის როგორ იყო, შენა და სინკომ ჭუკები რო დაჰხოცეთ?

— დავხოცეთ კი არა...

რამდენჯერაც ჩამოვიდოდა, ეს შეხსენება, — ყოველთვის, მუდამ... არადა, არ დაუხოცნიათ, სოფლის ბიჭებმა თავიანთი ნაქნარი იმას და სინკოს გადააბრალეს.

დეიდა ერმონას ოთხი ბიჭი ჰყავდა, გოგი, ხარება და თენგიზა სანდროზე უფროსები იყვნენ, სინკო კი — ერთი წლით უმცროსი და, მაშინ, ხუთდაექვს წლისანი, ჭუკებს ჰყარაულობდნენ მინდორში, თან დანასობანას თამაშობდნენ. უფროსებს სანდროსი, როგორც ქალაქელის, ცოტა-წვალეზა უყვარდათ, ლალად ემასხრებოდნენ და

ხან რას ატყუებდნენ და ხან რას, სინკო კი — სანდროს ჰალალი ძმაკაცი იყო.

და ახლა გულიანად ელიმებოდა სანდროს, ყოველ მათგანთან შენამთხვევი ფათერაკები ახსენდებოდა, იგონებდა თუ, როგორ შესვა გოგიმ სუპირველად ცხენზე, როგორ დაემალა ტყეში ხარება, თენგიზა მოფარებულიდან მგელივით როგორ ყმუოდა, ელიმებოდა, მაგრამ დეიდა ერმონამ უყურა, უყურა და წყნარად, ნალვლიანად ჩაილაპარაკა:

— ალი-კვალი მამაა.

ამ ახლობელ ოჯახს კი არა, ეჰ, მთელღუღუღებსაც ძალიან უყვარდათ პეტრე-ექიმი. იმას კი ღუღუღებში ერთი ხე ამოჩემებულად უყვარდა, ჭკნობაშეპარული, დეიდა ერმონას ეზოში ყუჩად მდგარი. იმ ხის ნაყოფი ყველაფერს ერჩია, ეს — მისი ბავშვობის ნერგი იყო და, როგორღაც მორიდებით მიჰქონდა პირთან გრილ ღუღუღებში გვიან დამნიფებული ვაშლი, და ეს ვის მერე — იმ პეტრე ექიმს, ვინც... და უკვე ბნელში, ვაშლის ხეს აჩერებოდა სანდრო, და ხელისგულიც რომ მიადო, საიდან, როგორ! — გამწარდა კიდევ, ისე მოულოდნელად იყო აქ, ღუღუღებში, თვით და ისინი, ძველ-შუმერები მაგრამ ვინ ეკითხებოდა, მაინც რა იყო ასეთი უტიფარი თავსმოხვეულობა, და, სწორედაც რომ საკვირველი: დაბნეულობით მოსული სიცხადე! — გაგიგონიათ?.. არა, აა-რა, მაგრამ ბნელოდა, ძალიან ბნელოდა, და რაღაცებს თავიანთ ხვრელებში თუმც ეძინათ კი, მაგრამ მაინც იშმუშნებოდნენ, ღამე იყო შავი, უშავესი, ღამე იყო შავი, შავი რომ, ურცხვი, და მონადირე გოგრის ფოთლებში განოლილიყო, და ძლივს ესმო-

და, როგორ სუნთქავდა როსკიპი შამხათ — რამსიშორიდან, პროზად მოსული.

პროზა ყოველგან, და ყველაფერში, იყო,

თან ღუღუღებში რარიგ რასნორ ქართულს ისე ლაპარაკობდნენ აი ისეთს რომ თვით აკაკი შანიძე რამდენჯერ მინახავს ერნო-თიანეთში ახალ-ახალი ქართული სიტყვების მოსანადირებლად ჩამოსული, და თუ დასავლურ-ქართული როგორღაც რა-მშობლიურად მოსაფერებელ-ტკბილი იყო — ეს ვინ-ბრიყვებმა აითვალისწინეს ჩვენი-როგორი დიდ-ახლობრული კუთხურობა — გულის ქართული, ხოლო აღმოსავლეთურ-ქართული კი, განსაკუთრებით კავთისხევისა და ერნო-თიანეთში, როგორ ძალიან დაძარღვული, რა-ძაან მოტყუიროდაც მშობლიური ტყეში კი ჰეე რაღა არ ხდება ბუნების რამდენ აჭრილ-დაჭრილი და აწენილი იდუმალ-წესით მაგრამ მყარია პიტალოსავით და ლბილიც, მოტფო, და ვინცგინდა რაც-გინდ თქვასა ჩემზე მაგრამაც მე-კი როგორ მივსებს მშობლიურ ქართულს ეს-დასავლური მოიმერლობა, მომეგრელობა, მოგურულობა — კუთხური, ვითომ? — არა, მაინცეც მშობლიური, და თავიდანვე როგორ მავსებდა, მზრდიდა ისე რომ, სხვადასხვა კუთხით —

ვექართველდებოდი, მოკლედ.

...


თუმც რატომ — „მოკლედ“?

ვითომ, — „მოკლედ“ —

რომელი „მოკლედ“, — საქართველოა...

## II თავის დასასრული





თამარ  
პოლ-ქვარცხელი

რავა ხარ იუზგარ...

სუფრასთან მძიმედ სხედან კაცები,  
დოქიდან სევდის ამოდის ჯინი.  
სვამენ კაცობის არდამარცხების  
მთვრალი მამრების ველური ჟინით.  
სვამენ სამსალას მძიმე ცხოვრების,  
დიდი ჭიქებით, მღვრიე გულებით,  
და გადაეშვა თრობის მორევში  
შიშველი შიში დაძაბუნების.  
რქამოტეხილი ხარების მსგავსად  
გამოცოხნიან ნაოფლარ დღეებს.  
ვიღაცამ კოჭი აღჩუზე დასვა,  
ვიღაც ლოთობას გადაჰყვა მერე.  
ბუხარში ნედლი შიშინებს კუნძი,  
მასპინძლის გოგო უნიჭოდ უკრავს.  
ნასახლიკაცარს სიტყვა აქვს ძუნწი,  
ჩაძირულ ხომალდს ნააგავს სუფრა.  
და აღარ უნდათ სიმართლე ცოლებს,  
გულგამოხრული კაცების ცქერა.  
და ნებდებიან სიმთვრალის მორევს  
მღვრიე კაცები და გულში სჯერათ,

რომ არ გამტყდარან ბოლომდე მაინც,  
ნაპირებს ისევ აითრევს ღუზა.  
მოვა სიფხიზლე ხვალ, ზეგ ან გაისს  
და გეტყვის ვიღაც, — რავა ხარ, იუზგარ...

ნაბახუსევზე

გარეთ მარტია, ცრის რა მარტივად  
მე ვზივარ სახლში მარტო.  
ნაბახუსევზე გნატრობთ შენ და ლუდს,  
აღბათ, შენ უფრო გნატრობ.  
ხეებზე ბლომად ყვავების გუნდი,  
და ახლა მაინც აჯობებს ლუდი,  
რომ მომიყვანოს აზრზე.  
ხვადი ზედ აზის საერთო ძუკნას.  
მეზობლის გოგო უნიჭოდ უკრავს,  
მიფრთხობს არმოსულ აზრებს.  
სარკეს ვარიდებ სახეს და თვალებს,  
ისევ ვიკიდებ უაზრო ვალებს  
და მაქვს სურვილი ერთი:  
ვიყოთ მე და შენ ისე მარტივად,  
როგორიც ახლა გარეთ მარტია  
და გაბოლება „კენტი...“  
ცამ ყველა ფიქრი წვიმად ჩამოცრა,  
შენი სახელი ჩუმად წამომცდა,  
რა ამინდია გერეთ...  
მე მინდა ქალი, მე მინდა სითბო,  
ჩემი სხეული შენს სხეულს ითხოვს,  
ამალამ ისევ დავლევ...  
ნაბახუსევზე თუ არ გამოვალ,  
ისე, უბრალოდ, გარეთ გამოვალ  
ვიცმევ გაცრეცილ პალტოს.  
დგას ჩემს კარებთან ბებერი ძაღლი,  
არ უნდა ძვალი და უნდა სახლი,  
მასაც არ უნდა მარტო.  
ვდგავარ, ვბაასობ ბებერ მუხასთან,  
ჩემზე ლოთთან და ჩემზე უხამსთან,  
ქუჩაში ვარ და გნატრობ...

ღამის ბარი ანუ ბარი-ბარში

ღამის ბარი, ნელი ბლუზი,  
სიგარეტის ბოლი,  
სხედან ერთად სხვისი ქმარი  
და სხვა კაცის ცოლი...  
ცოტა ლექსი, ცოტა ღვინო,  
ბევრი ვიოლინო.  
— გთხოვ, ნუ ფიქრობ ნურაფერზე,  
გთხოვ, არ მოინყინო.  
დღეა უფრო საქმიანი, უქმი არის ღამე.  
ხვალ იფიქრე საყვარელო,

დღეს მითხარი რამე...  
 ღმერთმა უწყის, ვინ ვის ეძებს,  
 ვინ ვისია სწორი.  
 იქვე, გვერდზე,  
 მაგიდასთან აიტუზა ჭორი.  
 სხვისი ქმარი, სხვისი ცოლი,  
 მაინც მუდამ ორი...  
 კაცი ისევ ცოლთან მივა,  
 ქმართან ნავა ცოლიც...  
 ბარი დილით იკეტება,  
 არვინ რჩება ბარში.  
 ასეთია ეს ცხოვრება,  
 ვრჩებით ბარი-ბარში...

### ერთხელ, თბილისში

რესტორანში მაგიდაზე თაიგული იდო,  
 უხდებოდა განწყობას და  
 უფრო სუფრის კიდეს.  
 შენ ყვაავილებს  
 ხელი ისე გადაუსვი თითქოს,  
 ორივე ხელი საფერებლად  
 თმაზე მე მომკიდე.  
 ანჩისხატის ქონგურებზე  
 გოგმანებდა მტრედი,  
 მე რესტორნის ფანჯრებიდან  
 გუმბათს გავყურებდი.  
 ყველაფერი ბედი არის  
 და ჩემს თავზე ზეცას  
 მტრედისფერი სიხარულის  
 სამოსელი ეცვა.  
 თითქოს ფეხის წვერზე ვიდექ,  
 თმებით ვგრძნობდი ასტრალს!  
 ვსაუბრობდი უცხო,  
 მაგრამ უსაყვარლეს კაცთან.  
 იყო მტრედი, ანჩისხატი,  
 იყო ქვეყნის კიდე,  
 იმ საღამოს ცის ფარდაგზე  
 მთვარედ მე ვეკიდე...


### დაბრუნება გამოქვაბულში

ტანზე სახადივით მაყრია  
 სურნელი შენი სხეულის.  
 ცაზე ვარსკვლავები აყრილან,  
 ღამეს მე შევრჩი ეული.  
 განცდა მაქვს ისეთი მკაფიო,  
 როგორიც ხმა არის ნაბათის.  
 ქუჩებში აქრობენ ლამპიონს,  
 დარდს დღრედ დაიტევს შაბათი.

იქნება გავწყვიტო მონყენის  
 ყელზე დაგრეხილი ბანარი.  
 დღეები მონყენის მონმენი,  
 მოხდეს მოსახდენი რაც არი!  
 ავად ვარ სულ ერთი ბატონით,  
 თითქოს შემეყარა სახადი.  
 რაც გამოქვაბულში დამტოვე,  
 კედლებზე შენს სახეს ვხატავდი.  
 მე ახლაც იმ სიზმრებს ვისიზმრებ,  
 შენს შიშველ სხეულს და ბიზონებს.  
 გავუძელ უამთასვლის სიმძიმეს,  
 გიგონებ, გიგონებ, გიგონებ...  
 საუკუნეებით მოგძახი,  
 მე ვარ ის ევაც და ლილიტიც!  
 რამდენჯერ შექმენი ოჯახი,  
 სულს გიმღვრევს სულ ჩემი ღიმილი.  
 ხარ ისევ ისეთი ნანატრი,  
 მაგრამ ვინ ჩაგიდო ქვა გულში?  
 არ მინდა, მსხვერპლი და ღალატი,  
 ვბრუნდები ჩემს გამოქვაბულში...

### მეორადი ყოფა

პირველადი ინტელიგენტი  
 მეორადი ტანსაცმლით,  
 ფასი იგივეა, ფასს არ ვცვლით.  
 გავყიდი ნაკითხ კაცს ერთ პურად,  
 მიზნებს ემსახურა ერთგულად.  
 თუ გონიერი ხარ,  
 რატომ ხარ მშიერი?  
 დაკარგა ქალაქმა ნამდვილი იერი.  
 კიდევ ერთ ტაჯმაჭალს იშენებს გოიმი,  
 თვალს მიკრავს თაროდან  
 სომერსეტ მოემი...  
 დროში დრომ ამოგვჭრა  
 ზედმეტი ფირივით,  
 ყვირილი გვინდა  
 და გამოგვდის ტირილი.  
 „ახალი“ ქვეყანა ვის უნდა აჩვენოთ?  
 დარჩა კი ადგილი  
 ამ ცის ქვეშ საჩვენო?..  
 „მისისიპდალეულთ“  
 არ მოსწონთ ჭის წყალი,  
 — ვის გიყვართ სამშობლო?  
 არ თქვათ, შეგრისხავენ!  
 პირველადი ინტელიგენტი  
 მეორადი ტანსაცმლით  
 სამშობლო უყვარს  
 და სხვაზე არ გაცვლის!!!  
 კედელზე შეყრილი ცერცვების ქვეყანა,  
 ნაგავზე რამდენის ოცნება ეყარა...



ვასუა  
სონი

### შანიო, სიყვარული და ჯანსახონის ბოძი...

სამი სოფელი, შუაში პატარა მდინარე რომ ჩამოედინა, აი, ის მდინარე, წვიმიანობის დროს ხეობას რომ თავდაყირა აყენებდა, ერთი-ერთმანეთთან მოშორებით კი იყო გაშენებული, მაგრამ სულიან-გულიანად ისე ახლოს იყვნენ ურთიერთთან, ისე ახლოს, კაცი კაცს თვალეში უყურებსო, რომ იტყვიან ხოლმე ახლო მაცქერლობაზე.

ორი სოფელი მდინარის გაღმა ჩანდა. ამ ორიდან ერთში ოთხმოცი კომლი იყო დასახლებული, მეორეში — ორმოცდათხუთმეტი, აქეთაში, წყალგამოდმა რომ იყო გაშენებული, სამოცდახუთი მოსახლე ბინადრობდა...

არცთუ ისე დიდი ხნის წინ, გაგინარიათ, ყველა სახლის ბუხრიდან კვამლი ამოდიოდა, იყო სოფლები ხალხით სავსე, დუღდა და გადმოდუღდა იქაურობა, იყო მოზარდების, ბაღლობას რომ ეძახიან იქ, ჟრიაშული, ყივმლხვილი, ჯეელებისა და ბრგეობამდე მისული

ვაჟკაცების გამოგონილი თუ ნაღდი საგმირო ამბებისა თუ თავგადასავლების დამწყაზარება, ხნეჩამომჯდარი კაცების მძიმე-მძიმე საუბრებისა და წარსულის გახსენებების, სიმწარისა თუ სიტკბოს სიბერის გადასახედიდან განსჯა, ადგილის მიჩენა თუ გაქიაქება...

ბერიკაცები ხშირად ამბობდნენ ხოლმე, სადაც სოფელი დაიდებს ბინას, იქვე ჭორიცა და სიყვარულიც, მტრობაცა და სიკეთეც იკეთებს ბუდესო. იმასაც ამბობდნენ, აბა, სოფელი უთავქიოდ და უგიჟოდ სად გაგონილაო. ერთი სიტყვით, რალაი ისინი ამბობდნენ და თანაც იმასაც ამბობდნენ, ეს ჩვენი ნათქვამი კი არაა, პაპაჩვენების პაპებიდან მოდისო, სიმართლისთვის მეტი რალა საბუთი იყო საჭირო, ჰოდა, ამ „მონყობილობებით“ რომ ცხოვრობდა სამივე სოფელი, ძველი ხანობა ყოველი სახლის ბუხრიდან რომ ამოდიოდა კვამლი, მეოცე საუკუნის დასასრულს ისე დაცარიელდა ხალხისგან, გამომლაპარაკებელიც კი ენატრებოდათ იქ დარჩენილებს... ზაფხულში, „დაჩნიკებს“ რომ ეძახიან სოფლებში, ჰო-ჰო-ჰოო, ქალაქის ხვატს გამოქცეულები, მოანყდებოდნენ იქაურობას, მოედებოდნენ პაპის-პაპისეულ ნაშენებ-ნაგებ ღობე-ყორეს, გაცოცხლდებოდა სოფელ-ქვეყანა, რანაირი მუსიკის ხმა არ დაუვლიდა იქაურობას ჟრუანტელივით, რანაირი ვიდეოფილმების სანახავ-საყურებლად არ იყო მიპატიჟებ-მოპატიჟება, იმართებოდა შეჯიბრი ამ ქალაქისა იმ ქალაქთან, ამ სოფლისა იმ სოფელთან... ერთ სიტყვით, მაშინ შეეძლო კაცს ეთქვა და ემღერა, სოფელო, ჩემო სოფელოო...

ამ სამი სოფლიდან, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ყველა სახლის ბუხრიდან კვამლი რომ ამოდიოდა, მოსახლეობა, უმეტეს ნილ ახალგაზრდობა, ნელი-ნელ აიბარგა და გაიკრიფა, მეტი ნილი თბილისში გაიქცა, ცოტაოდენი რაიონს მიუჩოჩდა, ზოგმაც რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში, პირდაპირ მარტენის ლუმელში შეყო თავი, ცოტაოდენიც ქუთაისში დასახლდა, გორშიც დაიდო სამმა ოჯახმა (ბიძაშვილებმა) ბინა. ერთი სიტყვით, რალაი სოფელი ფეხებზე დაიკიდეს, ჯალაბობას კარი მიუხურეს, ვის როგორ მოემართა, მოემხრო და მოემარჯვა საქმე და საქნარი, ვის საით გაუნია გულმა, იქით ქნა პირი და იქით წავიდა...

ერთიც უნდა ითქვას — ეს სამი სოფელი, ზევიდან რომ დაგეხედათ, თავისი საკარმიდამო მინა-ყანებით, შემოღობილ-შემოგვირისტინებული სახლ-კარებებით, ანუ იგივე საკუთარი „ციხე-კოშკებით“, მშვენიერ მოზრდილ ქალაქად რომ აღიქვამდა კაცი, ბუნებისაგან რაიმე რომ მოსვლოდა და მისი გამოისობით აყრილიყო, თბილის-ქალაქს, კერძოდ ქალაქის მერიის საბინაო სამსახურის მესვეურთ, სიცილიად არ

ეყოფოდა მათი დაბინავების ამბავი — სამივეს ერთად აღებულს, წამოუსვამდა ხელს და ხუთსადარბაზოიან, ხუთსართულიან „ხრუშჩოვკაში“ დაატევედა კი არა, კაი გვარიან ხურდასაც მოირჩინდა და იმ ხურდაში, ჩვენ არ ვიცით, თორემ ისინი, საიდანა და სადაურას ისე ოსტატურად, ისე „ლამაზად“ შეასახლებდნენ, იმსოფლელელებისგან ვერც კი გამოარჩევდით...

რალაი ერთი ვთქვით, მეორეც უნდა ითქვას უცილობლად — შენ სოფელი უძახე და, ამ სოფელში თითქმის ყველანაირი თარგის ადამიანი მოიჭრა — ზოგი მეცნიერებას გაჰყვა და, რა თქმა უნდა, სოფელში ვერანაირად ველარ დაბრუნდებოდა, ზოგი თუჯსა და ფოლადს ადნობდა რუსთავ-ქალაქში და უკან როგორღა იზამდა პირს, რა უნდა გადაედნო და ჩამოესხა, უმეტესობა შოფრობას დაეუფლა, მაგრამ კოლმეურნეობის ერთ გახრიკინებულ მანქანას ხომ არ მიაჭიჭინდებოდა ყველა, აქეთ-იქით მიდგნენ-მოდგნენ ბიჭები, მანქანები იშოვეს და შორეულ რეისებში სიარულით გზები აატალახეს... იქითა სოფელში, ქვედაუბნის ბოლო სახლში, ჟორჟიკაანთებს რომ ეძახდნენ, ტყუპები დაიბადნენ, ბიჭები. წამოიზარდნენ თუ არა თმახუჭუჭა ტყუპები, ერთმა კისერი მოიქცია, ნამეტანი დაჟინებით აჰყურებდა მოწმენდილ თუ ღრუბლიან ზესკნელს, ვარსკვლავებს ეძებდა და ითვლიდა ყოველ ცისმარე და, რალა თქმა უნდა, ჭაბუკობიდანვე ასტრონომიულ მეცნიერებას გაჰყვა, მის გრძელ გზას დაადგა და ფეხი აღარ მოუცვლია. რა არ ქნეს, მაგრამ ვერა და ვერ მოსწყვიტეს გალაქტიკას... მეორე ტყუპის ცალი, როგორც არ უნდა პარადოქსად მოგეჩვენოთ, სულ მინას ჩასჩერებოდა და ენის ამოდგმიდანვე გაიძახოდა: ხალხო, გაიგეთ, შეიგნეთ, დედის ძუძუ ეს არისო, დედის რძეს აქედან ვხვრიპავთო, აქედან ვნაყრდებითო, ჰოდა, იმას რალა დააკავებდა, სკოლა კარგადაც კი არ ჰქონდა დამთავრებული, მოიშვლიპა ქუდი, შევარდა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში და იმის წარჩინებით დამთავრების შემდეგ, იქვე მოკალათდა კათედრაზე. თქვენ წარმოიდგინეთ, ახლაც, სიბერის ჟამსაც კი, ნაირ-ნაირფერი მინებით რომ აქვს სავსე ქოთნები, დღენათელიდან მიმწუხრამდე, იმას ჩასჩერებია და კოროზიას ტირობს ყოფის დღეს...

ყველაფერ სიკეთესთან ერთად, მხატვარიც დაიბადა გალმა სოფელში. თმა-წვერმოშვებული მხატვარი თვითნასწავლი გახლდათ, სულ იმას გაიძახოდა, განათლებაში არაფერი არ ყრიაო, იმაზე მეტი განათლება რალა იქნება, განგება როცა მხატვრად გბადებს სოფელ-ქვეყანაზეო, რომელ ნასწავლ მხატვარს შეუძლია გვერდზე დამიდგესო, ისინი სულ იაფიანი გუაშებით ითხუპნებიან, მე კიდევ თვითონ ვქმნი საღებავებსო, ოსტატობაში მე და ფიროსმანი

თუ შევედრებით ერთმანეთსო... ხნეს მიტანებულ თანასოფლელებს არ მოსწონდათ მხატვრის ნაფუნჯარი — სულ შიშველ ქალებს რომ ხატავდა იმიტომ, ალბათ, მაგრამ, სამაგიეროდ, პორნოგრაფია ახალგაზრდებს იტაცებდა და მხატვარს აგულიანებდნენ, აქეზებდნენ კიდევ, ბუბრუხანებს რას უყურებ, ვერ ხედავ, სექსს მიაქვს ქვეყანა, შენც მეტი და მეტი სექსუალური მომენტები აქციე ტილოებადო.

...სხვათა შორის, გალმა სოფლიდან გადავარდნილი, ერთი კანონიერი ქურდიც „გაიზარდა“. სოფელს მაშინაც უკვირდა და დღესაც უკვირს, თუ ქურდია, კანონიერი როგორღა არისო, მაგრამ ახსნას რომ ვერ უძებნიდნენ ერთმანეთში არეულ კანონსა და ქურდობას, უმალ ჩუმდებოდნენ, თუმცა ყველა როდი იყო თავმიდებული, ქურდის კანონიერებას ისე ლამაზად ხსნიდნენ, წყალი არ გაუვიდოდა. იმ ცოტაში ყველაზე მეტად ტატაში იყო „განსწავლული“, რომელსაც ასე ჰქონდა წარმოდგენილი კანონიერი ქურდის პორტრეტი: თუ შენ, კერძო პირი ხარ, გნებავთ სახელმწიფო ხარ, პარავ და ატყუებ ადამიანებს, აგროვებ და ინახავ ოქრო-ვერცხლად და ფულად-ფულებად და მოვა მეორე, ნაძარცვით სავსე ხაზინაში ჩაგიყოფს ხელს, მოგპარავს და გზას გაუყენებს, აი, იმაზეა ნათქვამი, კანონიერი ქურდიაო... სწორედ ასეთი იყო ის მაისურაძის ბიჭი, სწორედ მისი თაოსნობით გათხარეს გვირაბი, მოხსნეს კბილებამდე შეიარაღებული დაცვა, გატეხეს მოსკოვის ცენტრში განთავსებული ცენტრალური სახელმწიფო ბანკი, მუჭა-მუჭით, ნათალ-ნაგლეჯ კი არა, მანქანობით გაიტანეს ოქრო-ვერცხლი, „ხელის ჭუჭყით“ თავგზა აუბნიეს აეროპორტის მესვეურებს, მათივე ხელით გაძეძგეს სხვა და სხვა მხარის რეისით მიმავალი რამდენიმე თვითმფრინავი, თვითონაც გუნებიერად მოკალათდნენ სავარძლებში და სანუკვარ სტარტს დაელოდნენ... მართალია ერთი ჩამშვები გამოდგა მათ შორის, ვინმე ივან რუდაკოვი, რომლის წყალობითაც უშიშროებამ ერთი თვითმფრინავი დააკავა, ოქროს სამიოდე ზოდიც აღმოაჩინა ლაინერის სალონში, მაგრამ ეს, რომ იტყვიან, ზღვაში წვეთი იყო, სანამ სამართალდამცავები აღმოჩენილით „ზეიმობდნენ“, სხვა თვითმფრინავებმა აფრენა მოასწრეს, კანონიერ ქურდებთან ერთად ცაში გაინავარდეს და საბჭოთა კავშირის მთავრობის მიერ ნაძარცვი ევროპისა და ამერიკის გზას გაუყენეს. იმ ამბის მერე, „დიშტოდ“ წოდებული, მაისურაძის ბიჭი საერთოდ გაქრა ამ ქვეყნიდან, თუმცა ზემო თუ ქვემო ხეობის ხალხს დღესაც არ დავინწყებია კანონიერი ქურდის სამარჯვისა და სიჩაუქის ლეგენდა და, მით უმეტეს, ნულზე დატოვებულ საბჭოთა კავშირის მთავრობას რა დაავინწყებდა მის სახელს,

ის კი არა, დღევანდელ მთავრობასაც გულზე აწევს კანონიერი ქურდების მაშინდელი საქმენი საგმირონი...

...მე მგონი, ნამეტანი შორს გავუტიეთ. ახლა ისევ უკან მივაქციოთმზერა და საქმეს მივხედოთ...

...ზემოთ ნახსენები სამი სოფლის მცხოვრებნი, ნახევარწილ, ერთიერთმანეთის ნათესავები იყვნენ — იქეთა სოფლის ბიჭები აქეთ სოფლის გოგოებს ირთავდნენ ცოლებად, აქეთა სოფლის ბიჭები კიდევ იქეთა ორივე სოფლის გოგოებს ეკურკურებოდნენ, ზოგი ცოლებად მოჰყავდათ, ზოგს ეშუამავლებოდნენ, ენათლიებოდნენ და ემირონწყალებოდნენ... ერთი სიტყვით, ამათ სოფელ-ქვეყანაში ასეთი ფესვგამდგარი გამოთქმა დადიოდა: კარგი აქედან არ უნდა გავიდესო... აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ამ ხეობაში ღმერთისა და განგების ხელი ნამდვილად ერია, სამივე სოფელში მართლაც გამორჩეულად, თვალში მოსახვედრად მოხდენილი გოგო-ბიჭები იზრდებოდნენ და სიყვარულსაც მეტი რა უნდოდა, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, ყველას როდი უმართლებდა, ყველა როდი იყო ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებული... აი, სწორედ, როგორც თვითონ თავის თავზე ამბობდა ხოლმე ერთი ხანობა, უსიყვარულო, გაუხარელ და უდღეურ ვარსკვლავზე ვარ დაბადებულიო, გამოღმა სოფლელი შალიკო თვალავაძე იყო...

ჯეელობაში შალიკო მოხდენილი ვაჟკაცი ყოფილა. ასე, არც ახლა აკლდა შეხედულება — მოუსვენარ და მუხლმოუყრელ კაცს, დღე და ღამე შრომაში რომ ჰქონდა გასწორებული, ხელ-მკლავი ისე დაკუნთვოდა, კულტურისტ სპორტსმენში ვერ გამოარჩევდა კაცი. გამხდარი, საშუალო ტანისაზე მაღალი იყო. ანეტას ქმრის საგამხდრე სულაც არ ანაღლებდა, ის კი არა, ხალხში ასე დაქაქანებდა: ჩემი ქმარი გაჩინკული კია, მარა, არავის არაფერი შეეშალოს, ნამდვილი რკინის ნამდვილი მკვნიტელიაო, კლდეზე ასასვლელია, ამსვლელიაო, უხილო მდინარეზე გადასასვლელ-გადასახტომია, ჩემი შალიკო გადამხტომიაო, ოც მეტრიან ხის კენწეროზე ხილის ნაყოფი ვნახო და მომეწონოს, მომწყვეტი და ჩამომტანიაო... ერთი სიტყვით, ანეტას ენის წყალობით, მთელს თუ არა ნახევარ სოფელს მაინც სჯეროდა შალიკო თვალავაძის სიმარდისა და საჩაუქის ამბავი...

ეს ყველაფერი კაი, ბატონო, მაგრამ თქვენ ის თუ იცით, თუ გიფიქრიათ, რაზე ამბობდა თვალავაძის ბიჭი, უდღეურ და უბედურ ვარსკვლავზე ვარ გაჩენილ-დაბადებულიო? არ იცით, არა? თუმცა საიდან გეცოდინებათ, ეს მარტო შალიკომ იცოდა... მისი ამბავი, მოგვიანებით, მისივე პირით შევიტყვე, ჰოდა, ქვემო-ქვემოთ მოგიყვებით, ორიოდ სიტყვით გა-

იმბობთ შალიკოს ტკივილდადებულ წარსულზე...

...თურმე, ანეტა რომ გაჩინკულ ბიჭს ეძახის, ჯეელობაში, გაღმა, მარცხენა სოფელში მცხოვრებ თეკლე-გოგოს სიყვარული ჩავარდნოდა გულში, ჩავარდნოდა და იმ დღეწუთიდან მოსვენება დაუკარგვინებია... ფეხად ამდგარ შალიკოს იმდენი უქნია, იმდენი ეკალბარდი უგლეჯია, სანამ თეკლესთვის თავის გულის ნადები არ გაუცვნია, გაუცვნია და თანაც ისეთ ვათარებაში გადაუშლია გული თვალუყუყუნა გოგოსთვის, ბარე ორი კაცი სიზმარშიც რომ ვერ ნახავდა...

...დრომ სიყვარულის ათვლა რომ დაიწყო, შალიკოს წისქვილისკენ რომ წამოვიდა წყალი, (ამისთვის ვილაც-ვილაც ბიჭების ცხვირ-პირის მისწორ-მოსწორებაც გახდა საჭირო), სწორედ მაშინ გამოიძახეს ტრფიალში გადავარდნილი თვალავაძე სავალდებულო სამხედრო სამსახურში. ელდა ეცა ბიჭს, ხელი მაინც მეთხოვა, დამენიშნა, სახლში მომეყვანა, ჩემად დამეგულეებინა და ჯარს მერე როგორმე გავისაძლისებდიო... არ აცალეს კომისარიატელებმა შალიკოს ამოსუნთქვა, ჩაავლეს ხელი და, როგორც მაშინ წესად ჰქონდა დაწყველილ საბჭოთა რუსეთს, იქაური რომ აქეთ მოყავდათ, აქაური კი იქით, თვალავაძესაც, რა თქმა უნდა, რუსეთიკენ უკრეს პირი...

...იმ დღიდან მოყოლებული, წერილებს წერილებზე წერდა ჯარისკაცი თვალუყუყუნა გოგოს, თეკლეს პასუხობდა ხანიხანობა, მაგრამ შალიკომ გოგოსგან წერილი კარგა ხანს რომ ვეღარ მიიღო, ოჯახს მოსწერა, გამაგებინეთ, თეკლეს რა დაემართა, საერთოდ, სოფელში ხომ არის მშვიდობაო... მშობლებმაც დიდი გულისტკივილით შეატყობინეს რუსეთის რომელილაც საჯარისო ჯურღმულში გამომწყვდეულ ჯარისკაცს, თეკლე-გოგოს სიყვარული მისმა გავირებულმა ბიძებმა არად ჩააგდეს, გარე შუამავლობით სოფელ ქვედში გაათხოვეს, იცნობდე კიდევ, ნიკოაანთ ჯელილას გაურიგესო...

...გავიდა დრო, ჩამოვიდა ჯარიდან ყურებ ჩამოყრილი და კრიჭაშეკრული შალიკო... აქეთ იგურგუსალა, იქით იგურუსალა, მერე გვიან-გვიან ნაეხმარა ოჯახს, ისევ მოკიდა ხელი ხარსა და უღელს, გუთანს და ურემს, გასდია სახნავსა და სათესს, მაგრამ ის ძველი ხალისი აღარ დასთამაშებდა, ღიმღამი დაკარგული ჰქონდა... არაფერს ფასი არა აქვსო, დღეში ასჯერ მაინც იტყოდა ხოლმე თავისი თავის გასაგონად...

შალიკო თვალავაძის სახლის, ასე, სამასიოდ მეტრის მოშორებით სესიკას „ციხე-კოშკი“ იყო წამოჭიმული. შალიკო და სესიკა წლის მოზიარეები იყვნენ — პირველი ორ იანვარს იყო დაბადებული, მეორე კი, სესიკა — თხუთმეტ

მარტს. როგორც საფლის ბებიები ამბობდნენ, სესიკაც კარგი ბიჭი ყოფილა ჯველობაში, თუმცა ერთი ნაკლი ჰქონია, დაბადებიდან, თანდაყოლით, მარჯვენა თვალის უპე ნვრილი გამოჰყოლია და ამის გამო „დაუბრაკავთ“ თურმე ჯარიდან, ტყვიას ვერ გაისვრის, შეიძლება, მტრის რა მოგახსენოთ და, მოყვარეს გაუხვრიტოს შუბლიო...

შალიკომ ჯარი რომ მოიარა, კარგა ხანს იყო ისე, აქეთ-იქით არც გაუხედავს, საცოლესთვის არც თვალი დაუდგამს და არც ვინმე დაუგულეზია... მერე და მერე წაესივნენ ნათესავები, მეზობლები, ყურები გამოუჭედეს და როგორც იქნა, ცოლის შერთვა გააბედინეს...

სესიკას ამ დროს ორი ბიჭი და ერთი გოგო, ერთიერთმანეთზე მიყოლებით რომ იყვნენ გაჩენილები, კინალამ კი არა, უკვე დასაწინდები გახლდნენ... არც შალიკოს გაცუდებია წელი, მასაც მიჯრით გაუჩინა სამი წყვილი ანეტამ — ორი გოგო და ერთი ბიჭი, მეოთხეც კი შეძენიათ, მაგრამ, საცოდავი, უდღეური დაბადებულა და სამ დღეში გარდაცვლილა...

...იდგა სოფელი მუხლმაგრად, ნელგამართულად, ჩვეული შრომით, სიკეთითა და სიმხნევით, მაგრამ არ იდგა იქ მაცხოვრებელი — გუდა-ნაბად აკრული მოხუცები ნელი-ნელ მიდიოდნენ, სამაგიეროდ, გულის გასახარად, ბალები ჩქარი-ჩქარ იბადებოდნენ, იზრდებოდნენ, მოდიოდნენ და მოედინებოდნენ... წავიდნენ სესიკასა და შალიკოს მშობლებიც, ბევრი კიდევ სხვა ახლობელიც, გინდა არ გინდა, ჩაიარა ჭირ-ვარამმაც, გაიყოლა გასაყოლებელი... ერთი სიტყვით, სოფელი თავის გზით მიდიოდა და მოდიოდა, ხალხი კიდევ თავის გზით, თუმცა ორივენი, ხელიხელ გადახვეულები, ერთად მიდიოდნენ და მოდიოდნენ, შარაც დიდი იყო და ხელსაც არავინ და არაფერი უშლიდათ...

შალიკოცა და სესიკაც იმ გზას ადგნენ, რომელზედაც მილეთის ხალხი მიდიოდა და მოდიოდა. მათ ოჯახებს, ოდითგან მოყოლებული, კარგი მეზობლობა იცოდნენ, ერთმანეთის ფასი იცოდნენ და, იმიტომ, ერთმანეთის დიდი ხათრი და მორიდება ჰქონდათ. როგორც სხვა ბევრი, ისე შალიკოცა და სესიკაც ცხოვრებას არ ემდუროდნენ, დულს და გადმოდულსო, მთლად ისე არ იყო საქმე, მაგრამ სასმელ საქმელი ნამდვილად არ აკლდათ, ჩასაცემელ-დასახური და ათასი საოჯახო წვრილმანი კიდევ რა ენაზე მოსაკიდებელი იყო... ერთი სიტყვით, სოფელში მაცხოვრებელი კაცის პირობაზე, წლის მოზიარე ბიჭებს, ტოლი არ მოეძებნებოდათ, მაგრამ... მაგრამ ცხოვრება ყოველთვის როდი ყოფილა მოწყობილი ისე, რომ სიკვდილამდე, სიბერით სიკვდილამდე, არარაიფერმა შეგანუხოს, გული არ გატკინოს და მოხუცებულობა

თუ სიჭარმავე საგინებლად არ გიქციოს... ამას იმიტომ ვამბობ, რომ სესიკას ოჯახს, სიყვარულითა და პატიოსანი შრომით აშენებულ ოჯახს, ვაი-უშველებელმა ჩამოუარა — მის მეუღლეს ავადსახსენებელი დედალი კიბო ჩაუსახლდა მოთქვირებულ ძუძუებში, ტანჯა და აწამა სანყალი ქალი, შეჭამა, გამოხრა, დალია, ძვალზე დაიყვანა და ბოლოს, შესაჭმელი რომ აღარაფერი დარჩა, სული ამოხადა...

სესიკა რომ დაქვრივდა, ქალიშვილი მაშინ გათხოვილი ჰყავდა, ბიჭები კიდევ ქალაქში იყვნენ დასახლებულნი. დარჩა კაცი მალლა ცასა და დაბლა დედამინის ამარა. ერთი ხანობა სასმელს მიეძალა. მამა გაგვილოთდებაო, არაყში დაგვეხრჩობაო, იკრეს ბიჭებმა საშიშროების სუნი და სესიკა ქალაქში წაიყვანეს, მაგრამ იქაურ ორომტრიალს გული ვერ დაუდო, იქაური ლაბადა ვერ მოირგო სოფლის კაცმა და ისევ უკან მოაშურა მიტოვებულ სახლ-კარსა და ღობე-ყორეს, ბოსელსა და მის სანაკელეს... მერე და მერე, გუთანსა და ღირღიტას რომ არა ვსდიოო, ახალი საქმე და საქნარი გამოუგონა თავის თავს, მიდიოდა და მოდიოდა ერთი სოფლიდან მეორე სოფელში, ერთი რაიონიდან მეორე რაიონში, აქეთ ყიდულობდა, იქით ყიდდა, ცოტას, ხანდახან, აგებდა, უფრო მეტს იგებდა, ჯიბის ფულიც ჰქონდა და კიდევ მეტიც, იყო კალოსა და კევრის ტრიალში და ისე მიყვებოდა ხრიგინ-ხირიგინით მიმავალ წუთისოფელს...

სესიკას ცოლის გარდაცვალებიდან სამიოდე წელი არც იქნებოდა გასული, სოფელი, ერთი ხანობა, ერთად ადგა ფეხზე, აქეთ-იქიდან შეუკიჟინ-შემოუკიჟინა, შეუძახ-შემოუძახა, ყური გაუხელა ქვრივს, ეე ბიჭო, შეირთე ქალი, შეკაცო, შე კაი დედმამიშვილო, ცოლი ვის არ მოკვდენია, ამ დუნიაზე მარტო შენ კი არ დაგმართია მაგეთი საქმეო, არც პირველი ხარ და არც ბოლოო, შენნაირებს ვერც კი მოთვლიო, სამოცის ჯერაც არა ხარ, გაღმა სოფელში შენი ხნის ჯერ კიდევ დაუქორწილებელი ხუთიოდე კაცი მაინც არისო, იმათზე წინა ხარ, შვილები გყავს და შვილიშვილებიო, ცოლის შერთვის მერე კიდევ უფრო წინ იქნებიო... ჯიუტად იჯდა სესიკა თავისაზე, იმ ჩემს დედაკაცს, იქ რომ ჩავალ, რა პირით შევხვდეო, თვალეში როგორ შევხედოო...

შალიკოსაც ბევრჯერ უთქვამს, ასე როდემდე გინდა ილლიტინო, შე კაცო, როდემდე გინდა ებრძოლო სიმარტოვეს, ოთხკედელშუა რა სიცოცხლე და სიხარული მოიძებნებაო, ნახირად ხომ არ უნდა იქცეო, მარა, თქვენც არ მომიკვდეთ, სესიკა ისე მაგრად იჯდა თავისაზე, თქვენ წარმოიდგინეთ, ყურსაც არავის ათხოვებდა...

ბოლოს და ბოლოს, სოფელსაც მოსწყინდა

სესიკას „დამოძღვრა“ და ხელი ჩაიქნია გაჯიუტებულ ქვრივზე, მაგრამ, ზემო წყლების დუნიაზე, კიდევ გამოჩნდა ერთი კეთილისმყოფელი შუამავალი, მოქნილი ჭკუისა და გალესილი ენის პატრონი კაცი, გაღმა სოფლელი კაცი, აი, აქეთა, სოფლიდან მარცხნივ რომ იყო დასახლებული. შალიკის ჯეელობის დროინდელი შეყვარებული თეკლე რომ ცხოვრობდა ადრე და ქალი ახლაც, ქმართან გაცილების შემდეგ, იქ რომ ბინადრობდა მოხუც დედასთან ერთად. იმ სოფლელი კაცი, არქიფო ხომასურიძე მოადგა სესიკას, ყურში ჩაუჯდა და გული გვარიანად შეუჯაჯგურა, ტვინი მიუხელ-მოუხელა, ბიჭო, საქმეს დროზე მიხედე, სანამ შემობებრუცუნდები, ოჯახს ხელახლა მოეკიდე, ვირი მუშაობამ მარტო კახეთში კი არა, ჩვენში მოკლა, ხომ გაგიგონიაო, გვერდში დამდგომი კარგი გამრჯე ქალი გინდაო, ჩემზე იყოს თეკლეს გარიგებაო, ჩემი მეზობლის, ბიჭოო, კაცი არ ვიყო, არქიფო არ მერქვას, ეგ საქმე თუ არ მოვაკვარახტინოო, მარტო შენი დასტური მინდა, ქალის გადაცდენა ჩემზე იყო-სო... თუ, არ იცი, მე გეტყვი რაზე გამოუშვა და გამოაგდო იმ ჩათლახმა ჯელილამ ანგელოზივით ქალი, ბიჭოო, ასე გაიძახოდა თურმე, თუ ბავშვები არ დამიყარა, მისი სილამაზე, უკანალი და მკერდი რა ფეხებზე დასაკიდებელიაო... ჰო-ჰოო, ბევრჯერ უთქვამს თურმე ასე და ბოლო თქმაზე შეუკრავს გუდა-ნაბადი, მიუხიკ-მოუხიკია მისი ძველმანები და თავის მზითვინად უკან გამოუბინდრიშებია სანყალი ქალი... არც დაფიქრდე, ბიჭო, იმ ქალს ბევრი მთხოვნელი ჰყავს, საიდან და საიდანა სოფლებიდან არ მოდიან, ვილაცამ არ მოგასწროს და, ერთ ჩამოვლაზე, ხელს არ გააყოლოსო, ხომ არ დაგავინყდა ჩვენი სოფლის წესი და კანონი: კარგი აქედან სხვამ არ უნდა წაიყვანოსო, ჰოდა ჰოო... კიდევ ისა, ბიჭო, ვის არ ენდომება ლამაზი, მოხდენილი და საქმიანი ბერნი ქალი, აზრზე მოდიო... ხომ გეუბნები, არც დაფიქრდეო, შენ უნდა დაასწრო სხვასო, მე მოგეხმარებო, შენი არარაი მინდა სიკეთის გარდაო, შენი ბიჭებისგან ძალიან ვარ დავალებული და ამით მინდა გადავიხადოო...

არქიფო ხომასურიძის გამოჩენის შემდეგ სესიკა ცოტა აქეთ მოდგა და გონს მოეგო. მუხლის მოსახალვათებლად ჩამოჯდებოდა თუ არა ჯორკო სკამზე, იმ სოფლისკენ დაიწყებდა ცქერას და თეკლე-ქალზე აიხვევდა ფიქრებს, მაგრამ რატომღაც, ერთხელაც არ მოსვლია აზრად, არც გახსენებია, შალიკო ჯეელობაში იმ ქალზე რომ იყო გულჩამჯდარი შეყვარებული და იმ გოგოს გამო თვალავაძეს ბარე ორი ბიჭი რომ ჰყავდა ნაცემი და ამის მომსწრე და მნახველი თვითონაც რომ იყო...

...ნუთისოფელმა, დღეაქამომდე, შალიკოს

ორჯერ ატკინა გული, სხვა ტკენა-წუხილიც როგორ არ იყო, მაგრამ რატომღაც ეს ორი ძალიან ტკიოდა. ერთი იყო, ჯარში რომ წაიყვანეს და იქიდან დაბრუნებულს შეყვარებული გათხოვილი დახვდა, მეორე კიდევ, ძალზე-ძალიან სწყინდა თეკლეს ბედის ამბავი, მისი გაცრუება, დღე ერთი იყო და კბილს კბილზე ბარე ათიოდეჯერ გაუსვ-გამოუსვამდა ნერვების მოსაფხანად... ნამეტანი ენანებოდა მოხუც დედას შერჩენილი, ჭაბუკობაში გატაცებით შეყვარებული, ბედგამტყუნებული ლამაზი ქალი...

შალიკოს, სიჭარმაგეში კი იყო შესული, მაგრამ მაინც ფეხი-ფეხში ებლანდებოდა ძველი სიყვარულის გზალობენვრილები... ბევრჯერ ყოფილა, ძალით გამოუგონებია და გამოუჩენია იმ სოფელში გასასვლელი სამიზეზო საქმე-საქნარი, გასულა კიდევცა და მეტიც, აუვლია და ჩაუვლია თეკლეს სახლის ორღობეში, თვალისთვის დაუღევენებია და დაუღევენებია წყალი — ძველი სიყვარული მოუნახულებია, მერე და მერე ღრმად უხვნეშია და ისე შერევიდა ყანებამდე მოჯარულ ისლის კორომებს... თეკლეც განა ვერ ხვდებოდა შალიკოს ხშირ-ხშირა „ვიზიტებისა“ და ღობე-ღობე ძრომილის „შინაარსს“, მაგრამ იქით ერთხელაც არ შეუხედავს გამომწვევად და გაპრანჭულად, რალაცნაირად, ეჭვის დაგდებით... ერთი კი უკვირდა, აქეთ რომ ამდენს დაძვრება, ბაზრობაზეც რომ მხვდება ხოლმე და შუბლიდან ოფლის მონმენდას რომ ვერ აუდის, ისე მაინც, გადაკრულად მაინც რატომ არ მეუბნება რაიმეს უქმაროდ დარჩენილ ქალსო...

...თვალავაძის ბიჭი ერთი-ორჯერ კიდევ იბრუნებდა თვალს თეკლე-ქალის საკარმიდამოსკენ, მერე დაადგებოდა სახლისკენ მიმავალ გზას და სანამ შარა შემოეხარჯებოდა, ფიქრის გორგალს მიიხვევდა და მიიხვევდა, ხანაც საკუთარ თავს გამოკვეთილად ეჩურჩულებოდა, კითხვებს უსვამდა და იქვე პასუხობდა... „ჰო, კაცო, რალა შორს უნდა წავიდე, ამაზე კარგ ფაქტს სად ვიშოვნო, ყველამ უნდა გაიგოს გასაგები, კი, აჰა!.. აგერ, თეკლესა და იმ ქეციან ჯელილას ქორწინებამ დაადასტურა, რომ უსიყვარულოდ შექმნილ ოჯახს კარგი ბოლო არ ექნება. თანაც თუ რაიმე ნაკლი გამოაჩნდა ქალს... გარიგებით შურთულ ქალთან, თუ იმის წინ ვინმე გული-გულ გიყვარდა, შეიძლება მთელი სიცოცხლე იმის ფიქრში გალიო, დღეს თუ არა, ხვალ მაინც შემიყვარდებაო! რომ არ შეგიყვარდეს, რა შვრები მერე?... არა, შეიძლება შეგიყვარდეს, მაგრამ ის სიყვარული არ იქნება, შენ რომ აზრზე არა ხარ და მაშინ რომ გენვევა, გენვევა და, გინდა არ გინდა, სულსა და გულში რომ ჩაგიბუდდება... არა, ძმაო, არა, უსიყვარულოდ ყველაფერი ფარსია და გამოგონილი... არა, ისე, კაცმა რომ თქვას

ანეტას არაფერს არ ვერჩი, კი შემეყვარდა, ლოგინს ცოდნია თურმე ეს, მარა... აი, მე რომ გასათხოვარი დამხვედროდა თეკლე-გოგო, ცოლად შემერთო და შვილები არ ჰყოლოდა, მის სიბერნეს ნამდვილად ავიტანდი, ლალატის გარდა, ყველაფერს ვაპატიებდი... სიყვარულს ვერაფერი დაუდგებოდა ნინ, ბოლოს და ბოლოს, ვიშვილებდი ძმიშვილს, დიშვილს, ბიძაშვილიშვილს, ახლობლის შვილს და მაინც პირველ სიყვარულთან გავლევდი სიცოცხლეს“...

...ერთ მიჩუმათებულ დღეს, გაგანია ზაფხულს დღეს, „დაჩნიკებით“ რომ იყო გაღმა-გამოდმიანეთი გადაძეძგილი, მონმენდილ ცაზე მების გავარდნას გავდა სოფლის ბოლოდან მოტანილი ამბავი, ხვალისზე სესიკა გაღმა სოფელს თეკლეს ირთავს ცოლად... ამ ხმამ და ხმაურმა, რა თქმა უნდა, შალიკოს ყურამდეც მიაღწია და გული ისე ჩანყვიტა, ისე ჩაუგდო, რომ მისივე ხარ-კამეჩი ვერ ამოსწევდა მალა... „ეს არ გამეგონა და მენი დამცემოდაო, მიწა გამხეთქოდა და შიგ ჩავვარდნილიყავიო... ჩემსას არ ვიშლიდი, ჩუმჩუმელა დავდიოდი მის სანახავად, ყიას ცოტაოდენ ვახარებდი, თანაც შიში სულ ყელში დამსდევდა და ტანში მაჟრიალებდა იმის გაფიქრება, რომ სოფელს არ შევენიშნე და ჭორი არ დაეყარა შარა-შარა, არ გამოეჭენებია ჩემი ამბავი... ახლა, აგერ, მეზობლად რომ დამისახლდება, ყოველდღე თვალში რომ მომხვდება, რა მეშველება, ან დღე, ან ღამე, რა მომასვენებსო... მერე ნახე რაები დამიტრიალდესო... რა გზას უნდა დავადგე ამ სიჭარბაგეში, საით უნდა ვქნა პირიო... ეეჰ, შეგირცხვა სინდის-ნამუსი სესიკა, ეს როგორ იფიქრე და მოინადინე, ნუთუ სულ გადაგეკეტა მესხიერება და ვერ გაიხსენე, ის ქალი ჭაბუკობიდან მე რომ მიყვარდაო... ეგ კარგი ბიჭობა არ არისო... ფუი, შენს კაცობასო!!!

...ერთი დღეც იყო, ნეფის შვილების დავალებით, ლილუანთ შვილიშვილებმა სოფელი დაირეს, დიდი და პატარა დაპატიჟეს — სესიკა თეკლეს ირთავს ცოლად და ფართო ქეიფსაც იხდისო, დაგვაფასეთ, აუცილებლად გვეწვიეთ მათი ბედნიერების სუფრაზეო...

რა უნდოდა მეტი სოფელს, ქუდზე კაცი აიყარა და საღამო ხანს სესიკას სახლს მაიშურა. ქალაქიდან ჩამოგრილებულ ნეფის მონაგარი ნამეტანი გახარებული იყო, უფროსი ვაჟი ნამი-ნამზე გაიძახოდა, ენიდან არ იშორებდა სანუგეშო სიტყვებს — დღეის აქედან მამა მარტო აღარ იქნება, ზურგის მომფხანნი მაინც ეყოლებათ, აღარც ჭირის შემეშინდება და აღარც ჯავრისაო...

ერთი სიტყვით, იმ დღეს სოფელი ზეიმობდა და ქეიფობდა, მაგრამ იყო სოფელში ერთი კაცი, შალიკო, რომელსაც არც ეზეიმებოდა და

არც ექეიფებოდა, ის კი არა, დანა კბილს არ უხსნიდა...

ანეტას რატომღაც, ზედა-ქვედა სართულებზე იატაკებს რომ ხეხავდა საგულდაგულოდ, არ მოეწონა ქმრის იმდღევანდელი გაფუება და ცხვირჩამოშვებული იერ-სახე, მეტიც, ისიც კი გაიფიქრა, ყურებჩამოყრილ ჯორსა ჰგავსო და, არც აცია, არც აცხელა, პირდაპირ შეტევაზე გადავიდა:

— ახლა რომ ვაკვირდები, საერთოდ რომ ვაკვირდები შენს მოქმედებას, ეჭვიც კი არ მეპარება, ის ჭორი მართალი ყოფილა, მართალზე მართალი, აი, იმას რომ ამბობენ, შალიკო რომ იმ სოფელში დანანნალებს, ბერწ თეკლეს ეკურკურებათ, იმას ყვარობსო, იმასთან უჭირავს საქმეო, ოჯახი იმის გულისთვის გამოჭამათ, იმას რომ კარგად ჩააცვას და დაახუროსო... დღემდე არ მეჯერა, ყურსაც არ ვიბერტყავდი, ახლა კი ნამდვილად დავრწმუნდი, პირში ჩალაგამოვლებული რომ დარჩი, ქუჩურად რომ ვთქვათ, შენი შვილიშვილების ენაზე, სესიკამ კვანტი რომ გამოგიდო და საყვარელი „დაგანერა“, იმიტომ გაიფხორე ნამოკრუხებული ინდაურივით... ვაი, შენს პატრონს უბედურს, შალიკო თვალავაძევ! რომ მოგყვებოდი, მაშინ უნდა მეფიქრა, თავში უნდა გამეგო შენი ამბავი. ჯიდაო არ მოეშალოს ჩვენს შუამავალს... დღემდე ვერ მივხვდი თურმე რა ნიორწყალად მენექი გვერდზე... შეგირცხვა კაცობა, სინდისი და ნამუსი შალიკო თვალავაძე... დღეიდან მეტს არ მოსწრებოდე ჩემთან სარეცელის გაყოფასო...

შალიკომ კინალამ ყელი გამოილადრა ცოლის ასე რიგ გამობდომაზე, ნუთუ არა გრცხვენია, რა პირით მწამებ ცილს ამ პატიოსან კაცს, ან იმ უპატიოსნეს ქალს როგორ აკადრებ მაგეთ უკადრისებსო, მაგრამ ნურას უკაცრავად, ამან საქმეს ვერ უშველა, მოსახდენი პირიქით მოხდა, თვალავაძის მეუღლე ისე გაცხარდა, ჯამჭურჭელს ვილა ჩიოდა, რაც ხელში მოხვდა, ყველაფერს ლენვა-მტვრევა დაუნყო...

გაიქცა შალიკო სახლიდან, აქეთ იარა, იქით იარა, ვერსად ვერ დაეტია, ვერსად მუხლი ვერ მოიყარა... აბოლა და აბოლა მყრალი პაპიროსი, ლამის ფილტვები ამოიგმანა. ერთი პირობა მარანშიც კი შეიპარა, ორი თუ სამი ჩაყვა ღვინოც ჩაუძახა მუცელში, მაგრამ გული ვერა და ვერ მოიფონა, ვერა და ვერ მოიგდო ხელში... ეს არ გამეგონა, ეს არ მომხდარიყო და ქვეყანა თუნდაც თავზე დამქცეოდა, შელაპარაკობდა საკუთარ თავსა და ლობე-ყორეს ნირნამხდარი კაცი.

ანეტამ, გული რომ მოიფხანა ჯამჭურჭლის მტვრევითა და ქმრისა და თეკლეს ლანძღვაგინებით, მძახალის ნაჩუქარ „აფთიაჩიკიდან“ რძლის გამოგზავნილი ძილის აბები გამოიღო,

რამდენიმე ტაბლეტი სულმოუთქმელად გადაყლაპა, მერე სინათლეები ჩააქრო და ლოგინს შეეფარა...

შალიკომ დაძინება აცალა ცოლს, მერე კიბეზე ავიდა და მეორე სართულის აივნიდან, სესიკას ქორწილიდან გამოსულ მუსიკის ხმებს კბილების კრაჭუნით დაუნყო პასუხის გაცემა...

თვალავაძეს თვალზე რული რავა მოეკიდებოდა, კაცი გულზე იყო გაპრენილი, ბოლთის ცემით შუბლზე ოფლიც კი დაენამა... „ეს რა დამემართაო, ეს რა მეხი დამეცაო“, — შელულულულებდა მთვარიან ზეცას...

მუსიკას მიქონდა გაღმა-გამოდმიანეთი. შალიკომ მუხლს ერთი შუალითაც არ უხანა, არ უხალვათა, იარა და იარა წინ და უკან, გამოიღეჭა ნაბიჯები. კიბესთან ახლოს მივიდა, უკან რომ უნდა მობრუნებულიყო, ერთიც იყო სელექტროგადამცემის ბოძზე, სადაც მავთულები და კაბელის წვერები იყო გადაბმული, ორ-სამჯერ ელვასავით განათდა, განათდა და სესიკას სახლში შუქი გამოიერთო, გამოიერთო და ქალაქიდან ჩამოტანილი მუსიკალური ცენტრების „გამოსროლილ“, „გამაყრუებელ“ თუ „გამოსაფხიზლებელ“ ხმებსაც ჩაუნყდა ხმა. სესიკაანთ სახლში შეიქნა ერთი ვაი-უმველებელი. რა შვრები ახლა, ელექტრომონტიორი მეორე სოფელში ცხოვრობს, გალექებულ ხალხში ვის მოაგონდება ახლა მისი მოყვანა, ან ამ შუალამეგადასულს ვინ გავა იქ. ერთი კია, მანქანა კი ყავთ, მაგრამ გამომტყვრალ მექორწილებში ჭკუა გაეხსნება ვინმეს? მეტი არაა ჩემი მტერი...

შალიკომ სესიკას სახლისკენ იყურა ნამის-ნამიერად, მერე, არცთუ ისე ხმადაბლად გულიდან ამოგდებული სათქმელი მიიღეჭა და მოიღეჭა: ესეც შენ, ესეც შენ, შე შობელძალლო შენა!.. ერთხელ მაინც არ მოგწვდენია ყურამდე, ის ქალი მე რომ მიყვარდა ჯეილობაში? შენი დედა ვატირე, შენი, შე არაკაცო, შე ჩათლახო შენა!.. იყავი ახლა მაგ ლუსკუმე ლამეში და ამწლაკუნე მინადასაყრელი პირი... თუმცა... თუმცა სიბნელე და უკუნი გირჩევნია ახლა შენ, ვახ, შენი დედა ვატირე, აქაც გაგიმართლა, ელექტროდენიც შენს მხარესაა... კი, სიბნელე გირჩევნია, დაიშლება ხალხი და შენ იმ ქალთან დარჩები, მარტოდმარტო დარჩები, აი იმ ქალთან, ბავშვობიდან რომ მიყვარს დღემდე და რომ მეყვარება სიკვდილამდე... გაგიმართლა... გაგიმართლა, შენ იმასთან დარჩები, მე კი ამ ჩემს... ვაი დედასა შალიკო! ვაი შენს თავს შალიკო, რა დღეში ხარ, შალიკო?...

...სესიკაანთებმა სანთლები აანთეს, ვიდაცამ მანქანის ფარებიც ჩართო, მაგრამ ყველაფერმა ეშხი და პენი დაკარგა, მოსალხენად გაშლილი სუფრა მიინავლა. წუთხანობა, დენის გამო, სესიკაც გაჯავრდა, მაგრამ უმაღვე გაუარა

გულჯავრობამ, ის კი არა, რომ დაფიქრდა უშუქობის „სიკეთეზე“, სიხარულად იქცა, მშვენიერ თეკლე-ქალს სულ მალე მივუჩოჩდები, რამდენი ხანია ქალთან არა ვწოლილვარო...

სესიკას წუთგაფიქრება შალიკოს თითქოს ჩიტმა მოუტანა და ყური-ყურს ჩაუკაკლაო, აქეთ მოექცა თვალავაძის კაცი, აიხედა-დაიხედა, მიიხედა, მოიხედა, მერე საჩვენებელი თითი მალლა შემართა, რაც შემიძლია, სადამდეც შემიძლია, იქამდე „ჩაგამწარებ“ ქორწილსო, პირველ ლამეს ამალამ არ გაღირსებო, იმასაც ვნახავ, ხვალ სადამომდე თუ არ გაყურყუტო თეკლე-გოგოს პერანგის კალთასთანო... ეს სიტყვები ცოტა ხმამაღლა გამოისროლა შალიკომ, მისი იღბალი, რომ ანეტას ყურს არ მოხვდა, თორემ... თუმცა ვერაფერს ველარ იზამდა ანეტა, შალიკოს ველარავინ დააკავებდა... კაცმა საფეხურგამოტოვებით ჩაიჯლიგინა კიბე. რატომღაც ჯერ ბოსელთან მივიდა, უღელზე შემოხვეული საბელი მოხსნა, მერე ცემენტით ჩამოსხმულ ელექტრონის ბოძთან მიირბინა, აქეთ-იქიდან უყურა, თვალით ზომა და ნონა, მერე მარანში შევარდა, კალოშები ჩაიცვა, იზოლირებულ პირწვრილა გაზს ნამოაფლო ხელი, შეშის საჩეხთან მიყუდებული კიბე ამოიღლიავა და ბოძთან დაბრუნდა...

მინავლული მთვარე ცალყბად ჩამოჩერებოდა აფორიქებულ შალიკოს და ვერანაირად გაეგო, რას დაფაცფაცობდა თვალავაძის ლანდი გადასულ შუალამისობას...

თვალავაძემ ერთი კიდევ ახედა ბოძს, კიბე მიაყუდა, მერე წელზე საბელი შემოიჭირა, პირჯვარი გამოისახა და საფეხურების ათვლა დაიწყო...

ეს კიბე სამნახევარი მეტრია, ჩემი სიმაღლე მეტრი და სამოცდათორმეტი სანტიმეტრი... ესე იგი, რა გამოვიდა? სულ რამდენი გამოვიდა?... ასეა თუ ისეა, თხუთმეტი მეტრი მაინც უნდა ავცოცდე... კი, არც მეტი, არც ნაკლები, თხუთმეტი მეტრი... შალიკო, უნდა აცოცდე! სიკვდილის ფასადაც რომ დაგიჯდეს, უნდა აცოცდე, უნდა აცოცდე და დენი ჩაურთო ჩათლახ სესიკას, დიახ, ჩათლახ სესიკას და ეს ლამე, პირველი ლამე, უნდა ჩაუმწარო, ჩაუმხამო, ჩაუნახშირო!.. შალიკო, ბიჭო, ხომ ხარ შალიკო თვალავაძე ბიჭო, ის მაგარი ბიჭი, ანეტას გაჩხინკული ბიჭი, ის გაჩხინკული ბიჭი, ანეტას სოფელ-ქვეყანა თავი რომ მოაქვს ჩემი სიჩხინკით და ასე რომ გაიძახის, გაჩხინკულია, მარა რკინის მკვნეტელიაო, ხომ ხარ ის ბიჭი. ჰოდა, თუ ხარ, მიდი, შალიკო, არ შეუშინდე სიმაღლეს. ხომ გაგიგონია, ძალა აღმართს ხნავსო!“ — გუმანქვეშ შეუძახა შალიკომ თავის თავს და ცემენტის ბოძს ცოცვა-ცოცვით შეუტია...

მთვარემ თითქოს თვალი გაახილა, ცოტა მეტზე ინათა სოფელ-ყურეში, ყოველ შემთხვე-

ვაში, ასე მოეჩვენა ელექტრონის ბოძზე საბელ-  
ლით ჩამოკიდებულ შალიკოს...

თვალავაძეს, ბოძის შუამდე რომ მივიდა,  
დალლა შეეტყო. შეჩერდა, ბოძს ფეხები შემო-  
აჭდო, მერე საბელი შემოახვია და შესასვენებ-  
ლად, ხუთიოდე წუთი, თოკზე დაეკიდა...

„შალიკო, ბიჭო, შალიკო! არ ილაჩრო ახლა!  
უნდა აცოცდე ბოლომდე, დენი ჩართო და  
სესიკას ამ სალამოს პირში ჩალა უნდა გამო-  
ავლო, თაფლობის პირველი ღამე უნდა ჩაუმ-  
ნარო, გესმის თუ არა, ბიჭო, შენ, შალიკო,  
ბიჭო!“ — ისევ შეუძახა შალიკომ თავის თავს,  
მერე საბელი შემოხსნა ბოძს და ცოცვა გააგ-  
რძელა...

ბოძი ნამდვილად დაგრძელდაო, მაშინ გაი-  
ფიქრა შალიკომ, როცა ოფლი ღვარად მოას-  
კდა შუბლზე... ნაიქიჩმარა, თავს ძალა დაატა-  
ნა და სამიოდ ახობებით კიდევ ნაინია, მერე  
ისევ შემოაჭდო ბოძს ფეხები, ისევ შემოახვია  
საბელი და დასასვენებლად, სულის მოსათქმე-  
ლად, ისევ ჩამოეკიდა თოკს...

მინავლული მთვარე თვალს არ აცილებდა  
ბოძზე ტკიპასავით მიკრულ შალიკოს...

— ჯვარი და ხატი გაუნყრეს ამხელა ბო-  
ძის აქ მომტანს და აქ ჩამრჭობსო! მარჯვენა  
მოტყდეს მეორე ბოძის დასმაზეო! — უკვე  
ხმამალლა წყველიდა შალიკო ელსადენების მე-  
ბოძურებს.

მთვარეს ახლა ნამდვილად შეებრალა შალი-  
კო, მაგრამ რა უნდა ექნა, ისე შორს იყო,  
ხელი არანაირად არ მიუნვებოდა თვალავა-  
ძემდე.

შალიკომ კიდევ შეხედა ცას, შუბლზე მოღ-  
ვარული ოფლი შეიმშრალა და კიდევ ნაინია  
ნინ... ჰაი და ჰა, ჰაი და ჰა, აჰა-ჰა-ჰა, მაგრამ  
არადა არ გამოილია ბოძი.

„შალიკო, ბიჭო, ცოტაც კიდევ, ცოტაც კი-  
დევ, რალა დარჩა, ერთი მტკაველი არცკი და  
ბალათას კაბელიც აქვეა, ჩაავლებს ხელს და  
მერე შენია ბოძიცა და დენიც, აა, ბიჭო, მი-  
დი, მიდი, ახლა არ ილაჩრო, ხომ ხარ ძველი  
ჩაუქი, მიდი, მიდი შე ვერანო!“ — თავის თავ-  
სა და ელექტრონის ბოძს შეკიჟინობდა თვა-  
ლავაძე, მაგრამ შეძახილმა ვერ უშველა, ისევ  
გაუცუდდა, ერთი კი იყო, გათანგულმა ძალა  
მაინც მოიკრიბა, ფეხები ისევ შემოანასკვა თა-  
ვისკენ განვრილებულ ელექტრონის ბოძს და  
ისევ აიღო წუთშესვენება.

შალიკოს ცოდვით მთვარე ღამის ჩამოაღნა  
ცას...

ამასობაში დრო სესიკას სასარგებლოდ მუ-  
შაობდა...


თვალავაძემ სულს მოთქმა არ აცალა. ღვა-  
რად მომსკდარი ოფლი, თვალელებში წურწურით  
რომ ჩადიოდა, ხალათის სახელოთი ამოიმშრა-  
ლა, მერე, ქორწილი არ დამთავრდეს, ხალხი  
არ დაიშალოსო, სესიკას ბედნიერება გადაუ-  
ვადო, ერთი ღამით მაინცო, შეეჯავჯურა თა-  
ვის თავსა და ელექტრონის ბოძს შალიკო,  
ერთხელ კიდევ გაიბრძოლა, აიძაბა, აიკრა  
ტანი, საბელი მოიქნია, ზევიდან გადაატარა გა-  
ჭიმულ მავთულს, მერე მოქაჩა და მოქაჩა, მალ-  
ლა აბობლდა, ჯვარივით დამაგრებულ რკინას  
ჩამოეყრდნო და სადენებს რომ მოეპოტინა,  
მაშინ, ახლა თავი ქუდში მაქვსო, ისე ხმამალ-  
ლა თქვა, ჭრიჭინობლებს, აქამდე შალიკოს  
ცოდვით ხმას რომ არ იღებდნენ, ჭრიჭინის  
საღერლელი აეშალათ.

შალიკომ თავი ელექტრონის ბოძის და სადე-  
ნების პატრონად რომ იგრძნო, მუქასარიდან  
დანა ამოიღო, კაბელს რეზინი შემოაშიშვლა,  
ჯერ ერთი გადაახვია საგულდაგულოდ, მერე  
მეორე სადენს შეეხო თუ არა, სესიკას სახ-  
ლი ნათურებმა გააღაღღადეს. მუსიკალურმა  
ცენტრებმაც იფეთქეს, მაგრამ რა იფეთქეს,  
მთელი ხეობა ისევ გააყრუეს, თვალი დააჭყე-  
ტინეს ქორწილში დაუპატიუებლად დარჩენილ  
გალმა-გამოღმეთის მიძინებულ დიდსა თუ პა-  
ტარას.

შალიკო ისე იყო გახარებული თავის „ნამოქმედ-  
არით“, მინაზე ჩამოსვლა დაავინყდა კიდევც...

...მაგრამ სესიკას არ დავინყებია არაფერი,  
ის კი არა, სინათლე გამოირთო თუ არა, ორი-  
ოდე წუთი არცკი იქნებოდა გასული, ხალხი  
და ქორწილი ფეხებზე დაიკიდა, მოხვია თეკ-  
ლეს ხელი და თავისი საძინებელი ოთახისკენ  
ნაანინინა...

მთვარემ ერთხელ კიდევ გამოიხედა... „ეეჰ,  
შალიკო, შალიკო, ამ ცხოვრებამ მესამედაც  
გატკინა გული, მარა, უნდა შეეგუო, უნდა  
ენამო ბოლომდე... მე რა, მე რაც შემეძლო,  
მოგეხმარე, გზასავალი გაგინათე, მაგრამ შენ  
იმდენი ინვალე, იმდენი დრო დახარჯე, იმდე-  
ნი დრო დაგჭირდა ბოძზე აბობლებისთვის,  
სესიკამ თეკლეს გაბრდღვნა ბარე ორჯერ  
მოასწროო“, — ამის თქმა უნდოდა მნათობს,  
მაგრამ შეეცოდა ტყუილად გარჯილი, ბოძის  
წვერზე ჩამომჯდარი, ბარდაყებშემოტყავებუ-  
ლი თვალავაძე, პირი იბრუნა და ღრუბლებში  
დურთა თავი...



დავით  
შემოქმედებული

\*\*\*

მამაო, დღეა სააღსარებო,  
გზა მოკლდება და მიდის არსაით,  
ჩამომაკვივლეთ საყდრის ზარებო,  
მერე გაყურდით ზამთრის ცასავით.  
ხორცი ამ მინას როგორ ავყარო,  
სად ჩამოვცალო ცოდვები ჩემი,  
ორკესტრი არის მთელი სამყარო,  
ადამიანი დაღლილი ხემი.  
ამ კარნავალზე ყველა ნიღაბი  
ჩადრიან ცაზე უფრო ბაცია,  
დგას სალონების ცრუ ელვარებით  
ყალბი ცრემლების დეკორაცია.  
მამაო, სული გაცვდა ოხვრაში,  
გაძაძისფერდნენ ქართველის ხედები,  
და სოლოლაკის ვიწრო ოთახში  
პატიმარივით მგონი ვბერდები.  
მამაო, ცრემლი ციმციმებს ზენა,  
მდუმარებაში დანთქმულან მთები,  
მე გულგრილობის ყინულზე ვწევარ  
და შობის ღამის საკმევლით ვთბები.

\*\*\*

ვწერ: ღამემ ბინდი თავქვე დაიგო,  
ხევში ზმორებით ზოზინებს ნისლი,  
იქნება ახლა მაინც გაიგო,  
სიკვდილო,  
შენთვის რომ ველარ ვიცლი.  
ვწერ: კალმის წვერზე ჩიტი წრიალებს,  
დღეა უმანკო და გაბუსხული.  
ჭალებთან ურმის თვალი ჭრიალებს,  
ბინდების ბუბუნს მოაქვს „ურმული“.  
ვწერ: დილამ სიოს სხივი გაუბა  
ბროწეულისფრად წახეულ წარბის,  
ზამთარს დამზრალი ბეჭი გაუთბა,  
ლეშზე დაგეშილ მგელივით გარბის.  
ვწერ: შენი ჟინი ისე მახურებს,  
როგორც ზაფხულის სიცხე თაკარა,  
მოსწყურებიათ მწიფარ ალუბლებს  
ხევში ჩაჩრილი წყარო ანკარა.  
ვწერ: სადღაც ღვარი  
გაბმით ქვითინებს,  
სულ გაიგიჟეს ძენებმა თავი,  
ამაღამ ქარი რომ დაიძინებს  
მეტაფორების წამოვა ზვავი...  
ვწერ...

\*\*\*

ხან დედის საფლავს ჩავყურებ,  
ხან მამის სურათს ვუმზერ,  
და ჩემი წილი სანუთრო  
ხანჯალივით მცემს გულზე.  
უსამშობლო ვარ, უმშობლო,  
უმეგობრო და უძმო,  
რომელ ხატს ვთხოვო საშველი,  
რომელ ანგელოსს ვუხმო.  
ტირის ღობე და ალაგე,  
სანწახელი და ღარდა,  
და სოფლის ბოლოს ღელესთან  
ეშვება წვიმის ფარდა...

### იქ, ფარდის მიღმა

იქ, ფარდის მიღმა ნეტა ვინმე  
თუ ფიქრობს ჩემზე,  
იქ, ფარდის მიღმა გვიმზადებენ  
ცრემლსა და ტკივილს.  
აქ, რასაც ვცხოვრობთ  
მირაჟია და ილუზია.  
იქ, ფარდის მიღმა  
ღალატია და სისასტიკე.  
აქ, რომ მიღიმი მეგობარო,  
იქ, ფარდის მიღმა

კულისებში მიგროვებ ეკლებს...  
რადგან ყველაფერს, რასაც მერე  
ცხოვრებას ვარქმევთ,  
იქ, თამაშდება,  
იქ, ფარდის მიღმა...  
იქ, ფარდის მიღმა...

\* \* \*

თითქოს დამფრთხალი ლეგა ლემადე,  
თაბორის მთაზე გამოპარულა,  
და მამლის სამგზის დაყვილებამდე,  
უნდა უარგყონ, რაბი, მალულად.  
მგონია ეშმა შემომხვევს ხელებს,  
როგორ იცხოვროს სულმა და კაცმა,  
ნუთუ მამაო, აღდგომის მერეც  
აღარ სრულდება გვემა და ჯვარცმა.

\* \* \*

ახლა დალატი ისე ახლოა,  
როგორც კარებთან ხარხარი გზირის,  
ნამლევა ბინდიც ბებრის კალოსთან  
მიტოვებული ქალივით ტირის.  
ეს კარნავალიც პანაშვიდია,  
დაღლილ ნიღბებით მორთული წუხელ,  
დედა, ნისლები სადღაც მიდიან,  
ქალაქი დადის სულ ღრუბელ-ღრუბელ.

\* \* \*

ვერც ნისლში გნახე მანდილად,  
ვერ არილ-მძივებ წინაო,  
წყაროსპირ დავჯექ საჩრდილად,  
დავჯექ და მომეწყინაო.  
ჩამოიარა ღრუბელმა  
არც არა მომისმინაო,  
სხვაგან რას ეძებ სულელო,  
შენს სულს სდებნიყო ბინაო.  
მივაყურადე გულისგულს  
ბალღივით შემომცინაო,  
შენი სუნთქვის ხმა მოისმა,  
შენი თვალების წვიმაო...

## წრი

ვზივართ მე და ჩემი ბიჭი  
მდინარიდან დაბრუნებულნი  
გადაჭრილ მორზე,  
სოფლის სასაფლაოს გვერდით,  
ირგვლივ შამბნარია და  
მყუდროებას მხოლოდ

კუტკალიების ხმა არღვევს.  
ვზივართ ასე ერთმანეთის  
პირისპირ...  
მარადისობაში წამით დასიზმრებულები,  
ერთი საწყისის  
ორი საპირისპირო პოლუსი.  
მე სიკვდილისაკენ ვიხრები,  
ის სიცოცხლისაკენ.  
აქედან ასიოდე მეტრში  
მამაჩემის საფლავია.  
წუხელ მესიზმრა  
ჩემი ბიჭის ღიმილი ჰქონდა...

\* \* \*

დედის საფლავზე  
ამოსულო ყვავილო,  
ნიავზე რომ ირხევი,  
დედის სუნთქვა მგონიხარ.

\* \* \*

(პოეტი)

აგრეა ჩემი ხვედრიო,  
სიკვდილო, აგიმხედრდიო.

\* \* \*

ვინ წაიკითხავს ჩემი სულის  
ბილინგვას ნეტავ,  
ვინ ამოავსებს  
ჩამოზარულ ამ გულს  
ალიზით,  
წუხელი ქარი ჩამოსეტყვილ  
ფოთლებს რომ ხევდა,  
იხეტიანებს მერე წავა  
ტყისკენ თავისით.  
ნუთუ ეს ღამის სიზმარია  
და მოგონება,  
ჩემი დაღლილი ორეული  
კარებთან მიცდის,  
ჩამავალი მზე ამომავალ  
ბინდს ეკონება,  
და ისიც ჩუმად უსიერში  
ზოზინით მიდის.  
გაიხედავ და შროშანების  
მეფობს აისი,  
გაიხედავ და მოფარფატე  
პეპლის სულია,  
ნუთუ ეს ღამეც აისების  
არის დაისი,  
და ყველაფერი, ყველაფერი  
დასასრულია...



ედუარდ

უზუნაძე

ჩამოასხით...

ჯერ არ მიმძიმს წლებით წელი  
და სიბერე არ მკვნიტს ტუჩებს.  
ჯერ ხომ პირჯვარგადაწერილ  
მკერდს გასასროლ ტყვიას ვუშვერ.  
ჰოდა, ვიდრე ვუმზერ ცის ფერს  
და სიცოცხლის კარგად მესმის,  
ვიდრე ტანზე ისევ ვიჭმევ **კაცკაშ**  
პერანგს, დედის ამოკემსილს...  
ვიდრე ვებრძვი ფიქრებს ამდენ  
და თვალეებში ჩამდგარ წუხილს,  
ვიდრე მიწა ჩამიტანდეს  
ძვლებზე ქვების რახარუხით...  
ვიდრე ძალა შემრჩა ხელში  
და სიყვარულს იტევს გული,  
ჩამოასხით – სანაახელში  
ჩაყრილი და ჩანურული.  
რომ მივანყდე ქვეყნის კიდეს,  
რომ ოცნება შლიდეს კოკორს,  
რომ სიმშვიდე ამიყვირდეს

და სხეული ამიხორკლოს.  
რომ ვისუნთქო ცისკრის ფერი,  
რომ მოვხიო წარსულს ფარდა,  
ქართულ სისხლში შესარევი  
ჩამოასხით, თუ არა და  
მე ისედაც ვიტყვი ჩემსას  
და არ ველი მისგან ნდობას,  
ერთხელ მაინც, ვინც არ შესვამს  
ჩასული მზის შესანდობარს.

ისევ გეძებ და...

ეს ჩემი წილი ღვინო დაიქცა  
და მივატოვე ძველი ფარდული.  
ახლა ღამეა. მინდა ღამის ცას  
მოვხიო ტყავი ლეოპარდული.  
დიახ, შენს ხილვას ბევრჯერ ვეცადე  
და განწირულთა ბედს გადაყრილი,  
ისევ გეძებ და ხმის ჩახლეჩამდე  
შენს გადაკარგულ სახელს ვაფყვირი.  
მაგრამ არ ჩანხარ და მეც ეგება  
კვლავ შევანჯღრიო სული კბილებით.  
იქნებ ბევრი რამ არ გამეგება,  
ერთი კი ვიცი დანამდვილებით, —  
რომ არ ჩაღვინდეს ჩემში სიყალბე  
და რომ არ ვიქცე ეჭვის საკვნიტად,  
მიყვარხარ, როგორც უნდა მიყვარდე  
არც უფრო მეტად და  
არც ნაკლებად.

სიმართლე ვთქვა

სიმართლე ვთქვა, გულით მინდა  
გავერიდო ყველა ნაცნობს,  
შენ მეძახდე სილურჯიდან  
და შორეთში გაგიტაცო.  
მინდა, ვგრძნობდე ტალღის შრიალს,  
ზღვის ნაპირზე ვინვე სადმე,  
იყო სველი და ქვიშიან  
ტანზე სიზმარს მახატავდე.  
მე შორიდან მოსულ მერცხალს  
ვუამბობდე ამბავს შენზე.  
შენ ცისფერი კაბა გეცვას  
და დალალი მხრებზე გცემდეს.  
ერთი სიტყვით, ხორცს რომ უკვირს  
იმ სიმშვიდეს გრძნობდეს სული.  
ხანაც წვიმდეს და ბამბუკის  
ქობში ვიყო შეყუყული.  
არ ვიცნობდეთ დარდს და წუხილს,  
არ ვმაღავდეთ გულის ნადებს.  
ღამით გვენთოს მთვარის შუქი

და იმედებს მიკემსავდე.  
გიმდიდრებდე ფიქრებს ხრიოკს,  
არ გაძლევდე ეჭვის მიზეზს,  
რომ გველი არ მოეხვიოს,  
შენი სულის სიფაქიზეს.  
რომ არასდროს შერცხვეს  
ჩვენს დროს,  
რომ არ გვრეცხდეს ცოდვა მირონს,  
რომ წყენით არ გადმოგვხედოს  
და ხელი არ ჩაიქნიოს,  
ვინც აქცია ღვინოდ წყალი  
და ზღვას აპობს ვისი ნებაც,  
ვინც ყოველთვის ყველგან არის,  
სულ იყო და სულ იქნება.

### თუ დავბერდი

დროსაც არ უყვარს  
ჩემნაირთა ცხოვრება,  
ძველებურად გულსაც ვედარ ვუვლი.  
თქმა არ უნდა – მალე ჩაენოვება  
მინის სიღრმეს ჩემი გაზაფხული.  
მზე კი არა –  
ყელამდე დგას სიცივე,  
ქვით ჩაქოლეს მშვენიერთა ბედი.  
ვბერდები და  
ერთხელ მაინც ვიცინებ,  
ამ უცნაურ დროში თუ დავბერდი.

\*\*\*

ტერფს მიწებავს გაოფლილი მინა,  
აქ, ჩემს გარდა, კვლავ არავინ არის.  
ყველა იმედს უშენობა მიწვავს  
და მიწდები, როგორც ჭიქა წყალი.  
თითქოს შენი უფრო კარგად მესმის,  
ახლა, როცა სიჭაბუკეს ვკარგავ.  
არაფერი აღარ დარჩა ჩემში, -  
სიყვარულის და ლექსების გარდა.

\*\*\*

კვლავ დრომ იცის, —  
ვინ ვის ჯობნის,  
ვინ აცეცებს შეშლილ თვალებს,  
ხვალ ვინ მოვა და ევროპის  
ციდან ვინ იკარდინალებს.


ისიც იცის — ფიქრებს მდარეს  
ვინ ასალებს სად და ვისად,  
ვინ რა ფერის სისხლს ატარებს  
და ატარებს სისხლი ვის სად.  
მაგრამ თვითონ, ახლა, უკვე  
რაც ათრობდა აღარ ათრობს.  
თუმცა კვირა არის უქმე,  
ის კი იბრძვის საშაბათოდ.  
ვერ წაუხვალ მის კლანჭს ვერსად,  
არ შეგარგებს ალალ ლუკმას,  
სამარემდე მიგათრევს და  
სულს ვისკივით ამოგწრუბავს.

### მეც აქ ვცხოვრობ

ცის ნათელი არც მე მმოსავს,  
არც იქ მყოფთა მშვენიის ფრთები.  
მეც აქ ვცხოვრობ და ღვინოსაც  
სხვაზე ხარბად ვენაფები.  
მეც ვატარებ უბით რკინას,  
არც მე არ ვცნობ უღვთო კანონს,  
მეც ვდარდობ და გულიც მტკივა  
და ხშირ-ხშირად ვსევდიანობ.  
ვიცი, ვერც მე გავძლებ ას წელს  
და გამირბის ცისკენ თვალი.  
თუ ხანდახან ლექსებსაც ვწერ,  
ალბათ, ესეც ნაკლი არის.  
მეც მიშრება ბრაზით სასა,  
მეც ჩვეულად მმტრობენ მტრები.  
მეც განვიცდი, მეც მიყვარს და  
სიცოცხლეს მეც ვეფერები.  
სხვის წინ მუხლებს  
არც მე არ ვყრი,  
მეც პატივს ვცემ სიტყვას ალალს  
და თუ არ ვარ სხვაზე კარგი,  
მგონი სხვაზე ცუდიც არ ვარ.

### თუ დავბრუნდი

თუ დავბრუნდი, გეტყვი მოკლედ,  
რომ არავინ შემრჩა სანდო.  
ან რამდენჯერ უნდა მოვკვდე  
და რამდენჯერ დავიბადო.  
მაინც დამაქვს ფიქრი ძველი  
და იმედი სამიოდე.  
დავბრუნდები, თუ შევძელი,  
თუ შეძელი — დამელოდე.



გიორგი  
კვიციანი

თვითმხვლელობა

(ტრაგედია)

მოქმედი პირები

ნათია, გელა, გეგია, ტატა, ფაცია, (ცისანას ხმა, კაცის ხმა მანქანიდან, ქალის ხმა მანქანიდან, პირველი მთვრალის ხმა მანქანიდან, მეორე მთვრალის ხმა მანქანიდან, მესამე მთვრალის ხმა მანქანიდან), მძღოლი, პირველი, მეორე, მესამე, მეოთხე მებრძოლი.

მოქმედა ვითარება თბილისში. სცენა წარმოადგენს ქველავურ, მაღალჭრიან დიდ ოთახს, ქველავური ავეჯით, სურათებით კედლებზე, საში დიდი ფანჯრით, ღამეა, - ოთახი დიდი ქველავური ჭაღით არის ზოგირად განათებული. გელა ნათურით განათებულ საწარ მაგიდას უზის და წერს. ისმის რევაზ ლაღიძის სიმღერა „ზამთარია, მათოვს, მანვიმს...“ აჩქარებით შავოღის ნათია, დიდ, გურთივით მუცელს ფრთხილად შეახებს ხელისგულს და გელას გვერდით ჩერდება.

ნათია. აი!.. აი!.. გელა, ჩქარა, ისევ დაიწყე! ნახე, როგორ მოძრაობს!

გელა. (დგება, ორივე ხელს მუცელზე შეახებს ნათიას) აუჰ, რა ამბავშია!.. ეს, მგონი, ჩვენ გაგვიბრაზდა, უკვე გვიანია და დაიძინეთო!

ნათია. რას ამბობ, ბიჭო, გაგვიბრაზდა კი არა, სიმღერას აყოლებს ფეხს, ვერა გრძნობ?! რო გეუბნები, მომღერალი გამოვაო, კიდევ არ გჯერა?

გელა. კარგი რა, ნათია, დავიძინოთ, ხვალ ადრე ვართ წასასვლელი, ხო იცი...

ნათია. სულ არ მეძინება, გელა!.. რა, არ გჯერა, რომ მომღერალი გოგო გაგვიჩნდება?

გელა. ოღონდ დროზე დავიძინოთ და კი, ნათია, მჯერა რომ მომღერალი დაგვებადება, მაგრამ გოგო კი არა, ნამდვილი ჰამლეტ გონაშვილი იქნება!..

ნათია. რა საძაგელი ხარ, გელა!

გელა. აუჰ, დავიძინოთ რა, ნათია.

ნათია. ჯერ მითხარი, რომ გოგოა!

გელა. გოგოა, გოგოა! თანაც ნაღდად ყველაზე უკეთესი მომღერალი იქნება! დავიძინოთ ახლა!

ნათია. გელა, ეგრე კი არა, გულით მითხარი!

გელა. კარგი, ნათია, სულ გამოვფხიზლდი კაცი!

ნათია. მითხარი რა, გელა, გულით...

გელა. აუჰ, ამალამ რაღა დამაძინებს!.. გულით და სულით გეუბნები ნათია!

ნათია. აბა დაიფიცე!

ნათია. შენ თავს ვფიცავარ.

ნათია. კიდევ?

გელა. ჯერ არ დაბადებულა და მისი დაფიცება არ შეიძლება!

ნათია. არა, არა, მე გეუბნები, დაიფიცე ჩვენი!..

გელა. ჰო, ვფიცავ ჩვენს სიყვარულს!

ნათია. რომ!..

გელა. რომ მჯერა.

ნათია. რა გჯერა?

გელა. ვაჰ!.. შენ ხო იცი, რაც მჯერა!

ნათია. მითხარი, გელა!

გელა. ხო გითხარი, ნათია!.. მაინც და მაინც გინდა, ასე გავათენოთ?! კი, ბატონო, აგრე იყოს, სულ ნუ დავიძინებთ!

ნათია. არ გითქვია, გელა! მითხარი, რა გჯერა, თორემ ავტირდები!

გელა. რომ გითხრა, არ ატირდები?

ნათია. არა!

გელა. მართლა?

ნათია. მართლა!

გელა. რა მჯერა, ნათია და ის მჯერა, რომ ჩვენ გოგო კი არა, ბიჭი გვეყოლება! ხოდა, ჩვენი ბიჭი მომღერალი კი არა, ჯარისკაცი გამოვა! ხო, ჯარისკაცი, რადგან ჯერ არ დაბადებულა და სიმღერას ასე კარგად აყოლებს ფეხს! ეგ რომ ამ ცოდვილ ქვეყანას მოევლინება და ფეხს აიდგამს, აბა მაშინ ნახე, რა მწყობრი სამხედრო ნაბიჯით ივლის!

**ნათია.** (ყვირის) გელა!..  
**გელა.** ოღონდ არ იტირო, ნათია არ იტირო!  
**ნათია.** არც ვიტყვებ! შე საძაგელო, მაინც მომატყუე? ა, ბატონო, აგერ წავალ სამშობიაროში ხვალ, 1991 წლის 22 დეკემბერს და მერე ნახავ, ვინ ყოფილა მართალი!  
**გელა.** გინდა დაგენიძლაო?  
**ნათია.** რაზე?  
**გელა.** თუ ბიჭია, მე გაკოცებ ზედიზედ ასჯერ, თუ გოგოა, შენ მაკოცე ზედიზედ და ასჯერ!  
**ნათია.** გაგიყუდი, ბიჭო, ხო დაგვისკდა ტუჩები!  
**გელა.** დაგვისკდეს, რა.  
**ნათია.** ჰი, დაგვისკდეს, მეც რა მენალვლება!  
**გელა.** ნათია!  
**ნათია.** რაა, გელა?  
**გელა.** შენ ხო გჯერა, რო გოგო გაგვიჩნდება?  
**ნათია.** აბა რა!  
**გელა.** მე კიდევ მჯერა, რომ ბიჭი გვეყოლება...  
**ნათია.** ახალი ამბავი! მერე რა გინდა მაგით რო თქვა?  
**გელა.** რა და, ბავშვის დაბადებამდე, მოდი, ახლა ჯერ მე გაკოცებ ორმოცდაათჯერ და მერე შენ მაკოცე ორმოცდაათჯერ!  
**ნათია.** ვერ მოგართევს!  
**გელა.** რატომ?!  
**ნათია.** იმიტომ!  
**გელა.** ეჰ, კარგი, აბა, მაშინ ერთხელ მაინც მაკოცინე.

*გელა დიდხანს კოცნის ნათიას.  
 ნათია კლივს იშორებს გელას.*

**ნათია.** ეგაა ერთხელ?! გინდა დამახრჩო, ბიჭო?  
**გელა.** აკი ას კოცნას გავუძლებო?  
**ნათია.** მე კოცნა გითხარი, შენ კიდევ ლამის შემჭამო... გელა! გელა, ნახე, ნახე ისევ დაიწყო!  
**გელა.** აბა...  
**ნათია.** აბა ყური დაადე, გელა.


*გელა ნათიას მუცელზე ადებს ყურს.*

**ნათია.** რას ამბობს, გელა?  
**გელა.** რას და ორივე სულელები ხართო!  
**ნათია.** არაფერიც! ეგ შენ გეუბნება, მამიკო, ჭკვიანად იყავი, ნუ შეიკალი დედიკო ხელშიო!

*ისმის კარის ზარის ხმა.  
 კაუზა.  
 შემოდინა გეგია და ტატა.*

**ბებია.** ასე გვიან რამ შეგანუხა, ტატა?!

**ტატა.** ნათია ხომ არ წავიყვანიათ?  
**ბებია.** რა ხდება, ტატა, ნათია დილით მიგვყავს.  
**ტატა.** თქვენ არაფერი გაგიგიათ?! უი, ჩემი ცქრილა გოგო, შენ კიდევ აქა ხარ?!  
**ნათია.** დილით ოთარი მოვა მანქანით და...  
**ტატა.** ხომ არ გეშინია, შვილო? თუმცა რისი უნდა გეშინოდეს, – ანალიზები კარგი გაქვს, მშვენივრად გამოიყურები და ეს ლამაზი გოგო ორსულობამ კიდევ უფრო გაგალამაზა!  
**ნათია.** კარგი რაა, დეიდა ტატა, თქვენ სულ ასე მეფერებით.  
**ტატა.** მოსაფერებელი ხარ შვილო, და აბა რას ვიზამ? ისე, რომ იცოდე, შენი ექიმის ცოლის დის რძლის მამიდაშვილის კარის მეზობლის ნათლიის შვილის დამ მითხრა (ჩვენი თანამშრომელია), შენმა ექიმმა თქვაო, ნათია საღ-საღამათი გოგოა, ფრჩხილი არ წამოტკივდება, ისე იმშობიარებსო და, რაც მთავარია, გელა ხომ თავს არწივივით დაგტრიალებს! ასე რომ, შიში სათოფედ არ გაიკარო, შვილო, ასე არაა გელა?  
**გელა.** მართალი ბრძანდებით, დეიდა ტატა, ნათიას რისი უნდა ეშინოდეს, ოღონდ მე არწივივით კი არა (ირონიით) ლომივით დავტრიალებ თავს.  
**ტატა.** რატომ, ბიჭო, არწივს რას უწუნებ?!  
**გელა.** რას ბრძანებთ, არწივს ჩემი დასაწუნი რა სჭირს, მაგრამ ნამეტანი შორსაა, ძალიან მალლა დაფრინავს, ლომი კი მინაზე დადის.  
**ტატა.** არა, ეს ბიჭი ნამდვილი ფილოსოფოსია, გესმით, როგორ მსჯელობს?  
**ბებია.** პატარაობიდან ასე ჭკვიანია, ენაცვალოს ბებია, ეგ არის ჩემი იმედი და ჩემი დამმარხველი.  
**გელა.** კაი ახლა, ბებია, რა დროს შენი დამარხვაა! აგერ წავიყვანთ ნათიას დილით, გაგიჩნდება შვილის, შვილის, შვილი! და მერე ვინ გინდა გაზარდოს ის? არა, აბა მითხარი, ვინ უნდა გაზარდოს?  
**ბებია.** ღმერთო, მაგ დღეს მომასწარი და იმას შემოევლოს ჩემი თავი! ისე გავზრდი, ცივ ნიავს არ მივაკარებ!  
**გელა.** მოესწარი და ეგაა, ბებია! აჰა, გათენდება და მერე შენ იცი!  
**ტატა.** მდაა, *философ-прагматик*, აი, თანამედროვე ახალგაზრდობა, ხედავთ, ბებია?  
**ბებია.** აბა როგორ, ტატა, ბებია იმისათვის გააჩინა ღმერთმა, რომ შვილიშვილები გაზარდოს!  
**ტატა.** კარგი, თუ ღმერთი გნამთ, შვილიშვილები თქვენ ხომ უკვე გაზარდეთ და ახლა თქვენი დაზრდილი შვილიშვილები თავის შვილებსაც თქვენ გაგაზრდევინებენ და ესაა სამართალი?  
**ბებია.** სწორედ ეგაა, შვილო, ღვთის სამართალი! ამაზე დიდი ბედნიერება რა უნ-



და იყოს ბებისათვის?! აბა სად სცალიათ ახალგაზრდებს შვილის გასაზრდელად? აქეთ სწავლაო, იქით გავლაო... ეგენი გენაცვალე, თვითონ გასაზრდელეები არიან ჯერ, ჰოდა, გავზრდი, ასე ერთად სამივეს, სანამ ღმერთი მაცლის.

**ტატა.** აი, მესმის ბებია! მე, მაგალითად, ამდენს ვერ შევძლებდი, *ყოველთვის!*.. ნათია, შენ რატომ მოინწყინე, შვილო?

*ნათია ისე დუმს, თითქოს შეკითხვა არ გაუგონია.*

**გელა.** რა იყო, ნათია, ხო არაფერი მოხდა?

კაშუა

**გელა.** ხმა ამოიღე, ნათია, რას გაჩუმებულხარ!

**ნათია.** *(სლუკუნით).* მე დედა მინდა.

**ბებია.** შენ მოგიკვდეს ბებია, ჩემი თავი, შვილო, შვილო, არ იდარდო, ჩამოვა დედაშენი, აუცილებლად ჩამოვა!

**ტატა.** ნათია, გენაცვალე, აქ არა ვართ სუყველა? არა, ნათია, შენი ნერვიულობა არ შეიძლება, ჩემო ცქრიალა გოგო, დედიკოს, ალბათ ხელი შეეშალა, თორემ, ხომ იცი, აქამდეც ჩამოვიდოდა.

**ნათია.** *(სლუკუნით).* სულ ექიმების ბრალია... ჯერ თქვეს, პირველ იანვრამდე არ იმშობიარებსო და მერე გვითხრეს, ოცდაორ დეკემბერს უნდა დავანვინოთო...

დედაჩემს, კი ველარ შევატყობინეთ...

**ტატა.** ნუთუ ვერ დაურეკე, გელა?

**გელა.** ერთი კვირაა, ყოველ დღე ვრეკავ, მაგრამ არც ბიჭვინთაში და არც გაგრაში ხაზი არ არისო, ასე მპასუხობენ; დეპეშა ოთხჯერ გავაგზავნე და პასუხი არ მიგვიღია, ნეტა რა დაემართათ ამ აფხაზეთში?! თუმცა რას ვამბობ, მთელი ქვეყანა არეულია და...

**ნათია.** თუმცა ექიმებს რას ვერჩი, ეს სულ გელას ბრალია, რამდენჯერ ვუთხარი, ნავალ ბიჭვინთაში, როგორც მამა-პაპური წესია, დედ-მამასთან, ჩემს ოჯახში ვიმშობიარებ-მეთქი...

**გელა.** შენი ოჯახი აქ არის, ნათია!

**ნათია.** აი, სულ ასე მაჩუმებდა და არ გამიშვა, და აჰა, რა გამოვიდა, აღარც წესი დავიცავით და ველარც დედაჩემი ჩამოდის!

**ბებია.** სულ შენთან უნდა ყოფნა, შვილო, ძალიან უყვარხარ გელას და იმიტომ ვერ შეგეღია!

**ნათია.** აბა მე არ მიყვარს ძალიან?!

**ბებია.** კი, შვილო, ორივეს ძალიან გიყვართ ერთმანეთი, ღმერთმა დაგლოცოთ, გამრავლოთ და გაბედნიეროთ! ნუ, შვილო, ნუ იდარდებ, დამშვიდდი, შენ შემოგვევლოს ბებია.

**ტატა.** ნათია, ნათია, შენ რო ეგეთები არ

იცოდი? დეიდა ტატა გენაცვალოს, დანყნარდი, შვილო, ყველაფერი კარგად იქნება!

**ნათია.** მე კი არ მეშინია, დეიდა ტატა, მე მარტო დედა მინდა... გელამ კიდევ იცით რატომ არ გამიშვა? მეო, თბილისელი ვარო, ჩემი მამა-პაპაც თბილისელები იყვნენო და ჩვენი შვილიც თბილისში უნდა დაიბადოსო... ვითომ რაო? ბიჭვინთაში რო დაბადებულიყო, ჩვენი შვილი აღარ იქნებოდა?!

**ტატა.** აბა, ეგ რა სალაპარაკოა, გელა, არა გრცხვენია, ეგ რამ გათქმევინა?

**გელა.** რა მექნა, დეიდა ტატა, ისეა არეული ეს ქვეყანა, რა ვიცი, რა ხდება. აქეთ მიტინგებია, იქით რკინიგზა იფიცება, ამ მთავრობის სახლის წინ ხომ კაცი ველარ გაივლის, ისეა კარვებით იქაურობა ჩახერგილი, ჰოდა მეც ვიფიქრე, შარში არ გავეხვიო-მეთქი.

**ტატა.** ეჰ, ეგ კი მართალია, შვილო, უიმე?... სულ გადამავინყდა სათქმელი!.. ვინ მითხრა, ამას ვერ გეტყვით, მაგრამ დანამდვილებით ვიცი, ამ დილით მაგ გულის ამრევ კარვომანიას ბოლო მოეღება! უიმე, მომიკვდეს თავი, ამის თქმა როგორ მავიწყებოდა! გიხაროდეთ, გიხაროდეთ, დილით მთავრობის სახლზე დიდი შეიარაღებული შეტევა დაიწყება!

**გელა.** რას ამბობთ, დეიდა ტატა, რა დაიწყება?!

**ტატა.** დიდი შეიარაღებული შეტევა, თავდასხმა, შვილო!

**გელა.** ეგ თუ მართალია, ეს უნდა გვიხაროდეს, დეიდა ტატა?!

**ტატა.** აბა რა, გელა! მაგას კითხვა უნდა?! ხვალ დილით იარაღით დასცხებენ მაგ უთაურ მთავრობას და ახია მაგაზე! ის ვაჟბატონი, ის ვაიპრეზიდენტი რო შემძვრალა ბუნკერში და სირაქლემასავით თავი სილაში რო ჩაურგია, აბა რა ეგონა? ეს ქვეყანა რო ინგრევა და ისობა, ამას მიხედვა არ უნდა?

**გელა.** რას ამბობ, დეიდა ტატა, ხოცვა-ჟლეტით ეშველება ქვეყანას?!

**ტატა.** რას ვამბობ, შვილო და, იმას ვამბობ, რომ თუ კაცმა საქმე არ იცის, იმ საქმეს ხელი არ უნდა მოკიდოს! რა მაგ ვაჟბატონის საქმე იყო პოლიტიკა და პრეზიდენტობა! ეწერა და ეთარგმნა, ბატონო, რაც გაუხარდებოდა, ვინ დაუშლიდა!.. არა, გენაცვალე, ეს ინტილიგენცია მაინც სულ შეგვიკლა ხელში, ხმას აღარავის გვალებინებს! ამაზე იტყვიან რუსები, უკაცრავად პასუხია და „Наглый фразер хуже танка-о!“ ინტილიგენცია, გენაცვალე, ქვეყანის ტვინია, სული და გულია!..

**გელა.** ინტილიგენცია!

**ტატა.** რა სთქვი?

**გელა.** ინტილიგენცია!

**ტატა.** ხო, ა? შენც ასე ამბობ, ხომ?

**გელა.** არა, დეიდა ტატა, თქვენ ამბობთ - ინტილიგენცია, მე გეუბნებით ინტილიგენცია!

**ტატა.** ა?! ჰო, ინტილიგენცია, აბა, მე არა ვთქვი?! უჰ, რა დროს ეგაა, გელა? უიმე, შენც იმ ვაჟბატონს ხომ არ უჭერ მხარს? აა?.. შენც იმ კრეტინის მხარეზე ხომ არა ხარ, არ გადამრიო ამ ხნის ქალი! იქნებ ეს ყველაფერი იცოდი და მე მიმალავდი? არ გამაგიჟო გელა!

**გელა.** მე არაფერიც არ ვიცოდი, მაგრამ აი თქვენ კი ძალიან კარგად იცით, რომ მე არავისაც არ ვუჭერ მხარს და არავის მხარეზე არა ვარ!

**ტატა.** მერე ეგ არის საქმე? შეიძლება, შენისთანა ინტილიგენტური ოჯახის შვილი, თვითონაც ახალგაზრდა ინტილიგენტი, - სტუდენტი, აგერ ნუთი-ნუთზე - მამა გახდები, მე გეკითხები, შენისთანა ინტილიგენტი კაცი ახლა განზე გადგეს? ასეა, ბატონო, ვისაც ზრდილობა, ჭკუა და განათლება გააჩნია, ყველა განზე გადგა და ეს გიჟი და გადარეულები, ურცხვი და ნამუსგარეცხილები კი სპობენ და ანადგურებენ ქვეყანას!

**გელა.** ახლა არა თქვით, ახია მაგათზეო?

**ტატა.** დიახაც მაგათზე ახია, მაგრამ, შვილო, მე დედა ვარ და გული მტკივა, რომ ხალხი დაიხოცება, ხალხი!

**გელა.** არ იქნება ეგ ამბავი მართალი.

**ტატა.** მართალია, შვილო, ისეთმა კაცმა მითხრა, რო იმან ყველაფერი იცის!

**გელა.** კი, მაგრამ, დედა ტატა, პირდაპირ იარაღს რო სტაცეს ხელი, ჯერ სიტყვით ეცადათ!..

**ტატა.** გელა, მე შენ ველარ გცნობ! რამდენი უნდა ეცადათ? როდემდე უნდა გაგრძელებულიყო ეს ქაოსი?!

**გელა.** ვიდრე არ შეაგნებინებდნენ...

**ტატა.** გამაგიჟებს, ეს ბიჭი, ნამდვილად გამაგიჟებს! შვილო, შენც თუ იმათ მხარეზე ხარ, ბარემ მითხარი და მომკალი!

**გელა.** რამდენჯერ უნდა გითხრათ, მე არავის მხარეზე არა ვარ! რამდენჯერ აგიხსენით, ცხრა აპრილმა ამიხილა თვალები! მას მერე საბოლოოდ დავნმუნდი, ყველა ეგ პოლიტიკური ბელადი, ლიდერი, ვოჟდი, ფიურერი (რაც, სხვათა შორის, ერთი და

იგივეს აღნიშნავს ქართულ-ინგლისურ-რუსულ და გერმანულ ენებზე!) დიახ, ყველა ეგ ერთიანად დამპალია!

**ტატა.** რას ამბობ, გელა! დემოკრატების ლიდერებს ადარებ კომუნისტების ბელადებსა და ფაშისტების ფიურერებს?!

**გელა.** გეუბნებით, ეგენი ყველა დამპალია!

**ტატა.** ვაი, ვაი! ეს რა მესმის, ეს რა მესმის!

**გელა.** მაგათ რო ნამუსის ნატამალი ჰქონოდათ, კურდღლებივით არ გაიქცეოდნენ და ქალებს რუსის ჩექმას არ ათელინებდნენ! რატომ არც ერთმა მათგანმა არ განირა თავისი სიცოცხლე ხალხის დასაცავად! ეგ კი არა თითქმის არც ერთ მათგანს არ გაუკანრავს იმ

ხოცვა-ჟლეტაში. მიპასუხეთ, რატომ ერთმა მათგანმა მაინც არ შეაკლა თავი მტერს!

**ტატა.** გელა!..

**გელა.** ათას წელიწადს, კარგად დაიხსომეთ, დიახ, ათას წელიწადს იმეფეს ბაგრატიონებმა საქართველოში და ათას წელიწადს ბაგრატიონები ხმალამონვდილი

ნინ მიუძღოდნენ ქართველ ერს თავისუფლების დასაცავად! მაგ ვაჟბატონებმა კი მტრის დანახვისთანავე ისე მოკურცხლეს, ისიც კი ვერ გაარჩიეს, თოფი ეჭირა მტერს ხელში, თუ ნიჩაბი! ახლა კი ერთმანეთზე აქვთ დიდი გული, არა მე მინდა

ხელისუფლება, არა მეო!

**ტატა.** გელა, რას ამბობ!..

**გელა.** დიახ, მაგათ სამშობლო ფეხებზე ჰკიდიათ! თბილ-თბილი სავარძლებისათვის აკლავენ თავს ერთმანეთს და ასე ჰგონიათ, თუ იმ სავარძლებში ჩაიბლენძებიან, მაშინვე ერის სალოცავი პოლიტიკოსები გახდებიან! ის კი არ იციან, მაგ უდღეურებმა, რაც მეტ ძალაუფლებას ჩაიგდებენ ხელში, მით მეტად გამოსაშკარავდება მაგათი ბითურობა!

**ტატა.** გელა, გელა!

**გელა.** დიახ, ეგენი თავის უძლები სტომაქებისათვის საკუთარ დედას სწირავენ!

**ტატა.** გეყოფა, გელა!..

**გელა.** არა, ქალბატონო ტატა, ახლა კეთილი ინებეთ და ბოლომდე მომისმინეთ! გითხარით და გიმეორებთ, ეს ჩვენი პრეზიდენტი რომანტიკოსი ლიტერატორია და არა რეალისტი პოლიტიკოსი! მაგის რომანტიკოსობას ხალხი დიდხანს ვერ იგუებს და როგორც აირჩია, ისე გადაირჩევს! მაგრამ მაგის იარაღით ჩამოგდება იმაზე ასჯერ


და ათასჯერ უფრო დიდი ცოდვა იქნება, რაც მაგის პრეზიდენტობაა! სულ დაინგრევა, გაპარტახდება და მოისპობა ქვეყანა! ქურდები, ყაჩაღები, აფერისტები, კარიერისტები და ათასი ჯურის გარენრები შეჭამენ და შეხრავენ ყველაფერს!.. მაფია და კორუფცია დაახრჩობს ქვეყანას!

**ტატა.** კარგი, კარგი, გელა!

**გელა.** დიახ, ხალხს შიმშილით სულს ამოხდიან და ქვეყანას სულ მისხალ-მისხალ გაყიდნიან! ვინც ხმას ამოიღებს, იმას ცხელი ტყვიით გააცივებენ! ამიტომ არა ვარ

არც ერთის მხარეზე! ამიტომ გეუბნებით, თავი დამანებეთ-მეთქი! სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობსო, არ გახსოვთ, რუსთაველის ნათქვამი.

**ტატა.** ეეჰ, შვილო... აბა, რა გითხრა... ამას მაინც მიხედე დროზე... ნათია, გათენებას ნულარ დაელოდებით, შვილო, ახლავე წადით... ეს ჩვენი სახლი ორიოდ ნაბიჯშია მთავრობის სახლიდან და ღმერთმა იცის, აქ რა მოხდება, როცა მთავრობის სახლს დასცხებენ; წადით, შვილო, წადით, გაასწარით სამშობლოში! დამიჯერეთ, თქვენთვის კარგი მინდა,



აბა, ნავედი, მშვიდობიანად მოგელოგინებინოს, შვილო, აბა შენ იცი, ყოჩაღად იყავი, ნახვამდის!

ნათია. გმადლობთ, დეიდა ტატა, ნახვამდის.

ტატა გადის.

ტატა. გელა, რა ვქნათ ახლა?

გელა. რა უნდა ვქნათ, ამ შუალამეს სად ვიაროთ, მოვა დილით ოთარი და წავალთ.

ნათია. ვერ გაიგონე, რა თქვა დეიდა ტატამ?

გელა. ჭორია ეგ ყველაფერი!

ბებია. ტატას ლაპარაკს ყურს ნუ დაუგდებ, შვილო, მაგან სულ ასე იცის ქვეყნის ჭორების მოტანა, მაინც სად გებულობს სულ ახალ-ახალს?!

ნათია. ვაიმე, ბებია, მართალი რომ იყოს?

გელა. კარგი რა, ნათია, მართალი რო იყოს, მარტო ეგ გაიგებდა? ჩვენ რა, ჭურში ვზივართ?

ნათია. ჭურში ვზივართ, აბა რა! შევჩერებივართ ერთმანეთს თვალებში და აზრზე არა ვართ, რა ხდება გარეთ...

ბებია. აი, თქვენ გენაცვალთ ბებია, ოღონდ თქვენ ასე მტრედებივით ილულუნეთ და გარეთ რამდენი ავი ჭორიც დადის, ყველას კისერი უტეხია!

ნათია. გელა, იცი რაა, მოდი, დაურეკე ოთარს და ახლავე წამიყვანეთ.

გელა. კარგი რა, ნათია, ჭორებმა შეგაშინა?

ნათია. მართალი რო იყოს?

ბებია. არ იქნება ბებია, მართალი, ნუ ღელავ, ისე როგორ წაინყმედავენ სულს, შვილო, რომ ერთმანეთი დახოცონ? არა, არა, ამხელა ცოდვას როგორ ჩაიდენენ?! გადამთიელი მტრები ხომ არ არიან, შვილო? ერთი მინაწყლის ხალხია, ერთი ჯიშის და ჯილაგის და მართლა ხომ არ განირავენ თავის სისხლსა და ხორცს? არა, ბებია, ასეთ უსაშველო ცოდვაში როგორ ჩადგებიან?! დამშვიდდი, დაწყნარდი, შენ გენაცვალოს ბებიაშენი... შენ ახლა მაგ ჩვენს პანია ანგელოზს მიხედე, სხვაზე ნურაფერზე, იფიქრებ, ანგელოზი კარს მოგვდგომია და რა დროს ჭორების აყოლაა, შვილო, დაიძინე, ორივემ დაიძინეთ, გვიანია.

ბებია გადის.

ისმის ლალიძის სიძღვრეა -  
„ზამთარია, მათოვს, მანვიმს“

ნათია. რა ვქნა, გელა, ვერც ვნებები და ვერც ვდგები, რაღაც ცუდს მიგრძნობს გული, სულ არ მეძინება.

გელა. კარგი რა ნათია, უუ... სულ არ უნდა შემოგვეშვა სახლში ეგ ენაჭარტალა ტატა!

ნათია. არა, გელა, მაგიტომ კი არა, იცი...

ნუხელ ისეთი სიზმარი ვნახე, რომ... არ მინდოდა შენთვის მეთქვა, მაგრამ...

გელა. ახლა სიზმარი!.. ჭორები! სიზმრები! გაგიჟდება კაცი, აბა რა მოუვა!.. რა იყო, ნათია, რა სიზმარი ნახე ეგეთი?

ნათია. გელა, ვითომ მე და შენ უცხო მხარეში ვიყავით...

გელა. ახლა უცხო მხარეში!.. მაინც რა მხარე იყო ბრაზილია, ჩინეთი თუ კანადა?!

ნათია. კარგი რა, გელა, მაცალე... არ ვიცი, რა ერქვა იმ ქვეყანას, იქ ყველაფერი ცისფერი იყო, მინა, წყალი, ცეცხლი, ჰაერი, მცენარეები და ყველაფერი, სულიერიც და უსულოც...

გელა. ლამაზი სიზმარი გინახავს, ნათია, დავიძინოთ ახლა, გვეყოფა...

ნათია. მაცალე გელა... ჰოდა, ვსეირნობდით ჩვენთვის დიდ ბაღში, ბაღი ძალიან ლამაზი იყო, სულ ცისფერი ყვავილებით და ჩიტებით სავსე, მერე შენ მკითხე, ნათია, შენ ხო ორსულად ხარო?

გელა. კაი ნათია, დავიძინოთ, რო გეუბნები, შენ სიზმარი კი არა, მრავალსერიანი სატელევიზიო ფილმი გინახავს...

ნათია. მაცალე ბიჭო, მე გიპასუხე, არა, მე ხომ უკვე ვიმშობიარე-მეთქი. შენ, მითხარი, როდის იმშობიარე, მე რო არ გამიგიაო? მე გიპასუხე, როგორ არ გამიგია, ბიჭი რო შეგვეძინა, სიხარულით ლამის გაგიჟდი, დაგავიწყდა მეთქი?... მერე დავიწყეთ ჩვენი შვილის ძებნა, ქვეყანა გადავაბრუნეთ, მაგრამ ვერსად ვიპოვეთ და მე გულგახეთქილს გამომეღვიძა, სულ ოფლში ვცურავდი და ვცახცახებდი.

გელა. მერე ვერ გამაღვიძე? არ გრცხვენია, სიზმარმა შეგაშინა?

ნათია. შენ ისე ტკბილად გეძინა, გელა, შემეცოდა შენი გაღვიძება.

გელა. რა სულელი გოგო ხარ, რატომ აქამდე არ მომიყევი.

ნათია. მეშინოდა... მაგრამ ბებიას მაინც მოვუყევი.

გელა. მერე რა გითხრა?

ნათია. ნუ გეშინია, ცუდი სიზმარი არააო, მაგრამ რადგან ასე შეგშინებია, წყალს მოუყევი და ის წაიღებს შენს შიშსო.

გელა. მერე მოუყევი?

ნათია. კი, ონკანი მოვუშვი და წყალს მოვუყევი, მაგრამ მაინც მეშინია.

გელა. ორივენი ჭკუის კოლოფები ხართ, შენც და ბებიაჩემიც, წყალი არა, ტოროლა! მე ვერ მითხარი? დედას ვუტირებდი მაგ შენ შიშს!

ნათია. როგორ გელა?

გელა. როგორ და... აბა კარგად მიყურე! თვალებში, თვალებში, ჰო, ასე, ასე! ოღონდ თვალი არ დაახამხამო! ახლა თვალებზე ხელეები აიფარე! აი, ასე! ხედავ ახლა რაიმეს?

ნათია. ვერა.



**გელა.** ახლა გულში, ნელა, ათამდე ნელა დაითვალე.

*გელა იძვე იხალევა.  
ნათია ხელეებს ჩამოუშვებს და  
შეშინებული აქეთ-იქით იყურება.*

**ნათია.** (ყვირის) გელა! გელა, სად წახვედი, ნუ მემალეები, მეშინია!

*კაუზა.*

**ნათია.** გელა, მეშინია, არ გესმის? გამოდი, გამოდი, თორემ ავტირდები!

*გელა გამოდის.*

**გელა.** აი, - ეს კარგია!

**ნათია.** რა არი კარგი, შე საძაგელო, მე კიდევ შეშინება მინდა?!

**გელა.** ნათია, ამ შიშით შენი სიზმრის შიში განდევნე.

**ნათია.** ბიჭო, გინდა სიზმრის შიშს მოვუკლავარ და გინდა შენი გამონაგონის შიშს, ღმერთი არა გნამს?

**გელა.** კაი, ნათია, დამშვიდდი.

*გელა ეხვევა და ნათიას კოცნის.*

**ნათია.** უუ, შენ სულ კოცნაზე ხარ ჩასაფრებული! ახლა კოცნის დროა, გელა?

**გელა.** ახლა და ყოველთვის, ნათია, სანამ ჩვენ ვიცოცხლებთ, სულ კოცნის დრო იქნება, მერე იცი, შენ, ჩვენ რამდენ ხანს ვიცოცხლებთ?

**ნათია.** ძალიან დიდხანს.

**გელა.** მოდი, ნათია, იმდენ ხანს ვიცოცხლოთ, რომ ველარ დავთვალათ!

**ნათია.** რას ამბობ, ბიჭო?!

**გელა.** რა, არ გინდა?!

**ნათია.** შენ და ჩემ მონდომებაზეა?!

**გელა.** აბა, რა! ჩვენ მოვინდომოთ, სულ ძან, ძან, ძან მოვინდომოთ და ნახავ, თუ არ ვიცოცხლებთ!

**ნათია.** ნეტავ მართლა ასე იყოს. გელა, ადამიანი საიდან გაჩნდა?

**გელა.** მაგას მე მეკითხები? ვერ ხედავ, საიდან მობრძანდება?..

**ნათია.** კარგი რა, მე მართლა გეკითხები.

**გელა.** საიდან და თიხისაგან, არ იცი, ღმერთმა თიხას შთაბერა სული და თავის მსგავსად და ხატად გააჩინა ადამიანი?

**ნათია.** აბა სკოლაში რო გვასწავლეს მაიმუნისგანო?

**გელა.** ეგეც მართალია, ზოგი მაიმუნისაგან გაჩნდა, ზოგი - ღმერთისაგან. ხოდა, ვინც მაიმუნისგან გაჩნდა, ის მთელი სიცოცხლე მაიმუნობს და იმას კაცობის არაფერი სცხია, ხოლო ვინც ღმერთისაგან

გაჩნდა, აი ის ნამდვილად კაცია ქვეყანაზე!

**ნათია.** კარგი რა, გელა, მართლა მითხარი!

**გელა.** მართლა გეუბნები, ნათია, მე მართლა ასე ვფიქრობ. ისე, თუ კარგად დაუფიქრდები კაცი, მართლა ინამებ, რომ ყველა ღმერთისგან არის გაჩენილი. და იცი, რატომ? ქვეყნად ხომ ყველაფერი და თვითონ ქვეყანაც ღმერთის შექმნილია. ხოდა, ადამიანი გინდა მაიმუნის გაჩენილად ჩათვალე, გინდა უშუალოდ ღმერთის გაჩენილად, ორივე შემთხვევაში ხომ მაინც ღმერთის გაჩენილია? ეგ კი არა ზოგი მეცნიერი იმასაც ამბობს, ადამიანი საერთოდ არ არის დედამიწის შვილი, აქ იგი კოსმოსიდან მოვიდაო. გინდაც აგრე იყოს, ვითომ რაო, კოსმოსში ღმერთი არ არის თუ? ასე რომ ყველგან და ყველაფერში ღმერთია თავი და თავი!

**ნათია.** გელა, შენ როცა გისმენ ხოლმე, ყველაფერი გასაგები ხდება ჩემთვის, მაგრამ მერე რო დავფიქრდები, ბევრ რამეს ისევ ვეღარ ვგებულობ.

**გელა.** რას ველარ გეუბლობ ხოლმე, ნათია?

**ნათია.** რას, გელა, და თუ ყველაფერში ღმერთია, მაშინ ამდენი უკუღმართობა საიდან გაჩნდა? ვინ მოიგონა ყველა ეს სიცოცხლის მომსპობი საშინელი იარაღი და, საერთოდ, ბოროტება? ამას ხო ღმერთი არ იზამდა?!

**გელა.** მართალი ხარ ნათია, ეგ ყველაფერი ეშმაკის ნახელავია.

**ნათია.** მერე და რა გახდა ეგ ერთი ეშმაკი ღმერთისათვის?!

**გელა.** აბა შენ როგორ გინდა, ყველას ყველა უყვარდეს და კაცს ფრჩხილიც კი არ ნამოტკივდეს თავის სიცოცხლეში?

**ნათია.** მერე რა არის მაგაში ცუდი?!


**გელა.** ცუდი კი არა, ეგ იქნებოდა ნამდვილი ბედნიერება, მაგრამ აბა რა გითხრა... იცი, რა, ნათია, ხომ გაგიგონია ქართული ანდაზა, - კაცი ბჭობდა, ღმერთი ეცინოდაო. იცოდე, ბევრი ამბობს ღმერთი იცინოდაო, მაგრამ სწორია-ღმერთი ეცინოდაო. იცი, ნათია, რატომ ეცინოდა ღმერთი კაცის ბჭობას?

**ნათია.** რა ვიცი, რატომ?!

**გელა.** რატომ და ღმერთმა თავის მსგავსად და ხატად კაცი იმიტომ გააჩინა, რომ კაცმა ღმერთის ნაბჭობი - საღვთო რჯული ინამოს და თავის ბჭობას - ტვინის ჭყლეტას თავი დაანებოს, მაგრამ ხომ გითხარი, ზოგი კაცი მაიმუნის ნაშიერია და არ იშლის მაიმუნობას. ხოდა, რაც ქვეყანაზე უბედურებაა, სულ კაცის ბჭობის შედეგია, ნათია.

**ნათია.** რას ამბობ, გელა?!

**გელა.** ჰო, ნათია, ასეა, აბა საღვთო რჯულით რო ეცხოვრა კაცს, მაშინ რა უჭირდა კაცობრიობას? ხოდა, მოდი ახლა ჩვენც შევეშვათ ტვინის ჭყლეტას და ეს მითხარი, ზაფხულში სად წავიდეთ?



**ნათია.** რა დროს ზაფხულია, ბიჭო?!  
**გელა.** რალა დარჩა, ხუთიოდე თვე და ზაფხულია!  
**ნათია.** იმედია, ზაფხულში მაინც წავალთ ერთად ბიჭვინთაში! ჩვენს პირმშოს დედული არ უნდა ვუჩვენოთ?  
**გელა.** აბა, აბა! აუჰ! მაინც რა ზღვაა ბიჭვინთაში! იცი, ნათია, მამაჩემმა, მაშინ პატარა ვიყავი, ჯერ სკოლაში არ დავდიოდი და ერთხელ ოქტომბერში წამიყვანა ბიჭვინთაში. ისე კარგად მახსოვს, ხელისგანვდენაზე კავკასიონი ჩამოთოვლილი იყო. მწვერვალები ისე თეთრად ქათქათებდნენ მზეზე, თვალს ვერ მოწყვეტდი. ჰო, უძირო ცის კრიალა ლაჟვარდში ღვთაებრივი სილამაზით ელვარებდნენ მწვერვალები და ზღვა კი ისეთი წმინდა, წყნარი და თბილი იყო, თავი ზღაპარში გეგონებოდა! ახლა ფერი? ისეთი ენით გამოუთქმელი ზღვის ფერი იყო, როგორც შენი თვალებია, ნათია! ჩემს სიცოცხლეში მსგავსი სილამაზე არ მინახავს!  
**ნათია.** ბიჭო, შენ ეგ ერთხელ გინახავს და მე ყოველ შემოდგომაზე მაგ სილამაზეს ვუყურებდი, ვუყურებდი კი არა, მაგ სილამაზეში ვარ გაზრდილი!  
**გელა.** იმიტომაც გამოხვედი ასეთი ლამაზი.  
**ნათია.** კარგი რა, გელა!..  
**გელა.** ეგრეა და ნუ იპრანჭები! აუჰ, მაინც რა არის ეს ზღვა! ერთი შეხედვით თითქოს უსაზღვრო და უზომო წყალია და მეტი არაფერი, მაგრამ რა ანდამატი, რა ჯადო აქვს ასეთი?! სასწაულია, არა, ნათია?  
**ნათია.** მთები, გელა?  
**გელა.** ჰოო, მთები... იცი, ნათია, მთებზე რა თქვა რაბინდრანატ თაგორმა?  
**ნათია.** ვინა, ვინა?  
**გელა.** ვინა და დიდმა ინდოელმა პოეტმა რაბინდრანატ თაგორმა!  
**ნათია.** ბიჭო, მე სახელი ვერ გავიგონე წესიერად, თორემ რაბინდრანატ თაგორი რო დიდი ინდოელი პოეტია, ძალიანაც კარგად ვიცი!  
**გელა.** საიდან, ნათია?!  
**ნათია.** საიდან და, იცი, ჩვენ ქართული ლიტერატურის რა კარგი მასწავლებელი გვყავდა? თინათინ ტორონჯია, გაგიგონია? რო შეხედავდი, იტყოდი, ამაზე დანერა შოთა რუსთაველმა, - „თინათინ მზესა სწუნობდა, მაგრამ მზე თინათინობდა“-ო.  
**გელა.** ვაა... მერე ინდოეთის ლიტერატურასაც გასწავლიდათ?!  
**ნათია.** და ანტიკურსაც! იცი, ბიჭვინთაში, ზღვის პირას, ზედ პლაჟზე რო მედეას ძეგლი დგას, ნაგვიყვანა და მის წინ ჩაგვიტარა გაკვეთილი. იქ აგვიხსნა ევრიპიდეს „მედეა“. მაშინ გავიგე პირველად, რომ თურმე ევრიპიდეს ქალთა მოძულეს ეძახდნენ, რომ სინამდვილეში მედეას არ დაუხოცია შვილები, რომ ქალთა მოძულე

ევრიპიდემ ეს საზარელი ბოროტება განგებ მიაწერა მედეას...  
**გელა.** და ეგ ყველაფერი პლაჟზე გაიგე, ნათია?!  
**ნათია.** რა მოხდა მერე?!  
**გელა.** რა და იმდენ ტიტლიკანა დამსვენებლებში რა უნდა გესწავლათ?!  
**ნათია.** ბიჭო, ზამთარი იყო, პლაჟზე სულ რამდენიმე ჩამოსული რუსი ეფიცებოდა ნელ-თბილ მზეს და ისინიც კი, კაციან-ქალიანად თინათინ მასწავლებელს შემოეხვივნენ და პირდაფჩენილები შესცქეროდნენ თვალებში...  
**გელა.** ვაა, მართლა ასე ლამაზია?!  
**ნათია.** გასაგიჟებელია!  
**გელა.** შენზე ლამაზი მაინც არ იქნება!  
**ნათია.** როცა ნახავ, მაგას აღარ იტყვი.  
**გელა.** მაინც ვიტყვი!  
**ნათია.** კარგი, გელა, მაცადე, რა!..  
**გელა.** შენ თვითომ მაცადე, ჰო. რას ვამბობდი?  
**ნათია.** რას და რაბინდრანატ თაგორმა მთებზე რა თქვაო.  
**გელა.** არა, ჯერ ეს მითხარი, ტორონჯი რას ნიშნავს ქართულად?  
**ნათია.** ტორონჯი? ტორონჯი ქართულად მტრედია.  
**გელა.** ტორონჯი მტრედი, რა კაია, ეტყობა გვარში ჰქონია სილამაზე შენს თინათინ მასწავლებელს.  
**ნათია.** ბიჭო, აბა მართლა მტრედით ციდან ხომ არ ჩამოფრინდებოდა?!  
**გელა.** ვაა, ესე იგი მტრედი მეგრულად ტორონჯი ყოფილა, ესეც ვისწავლე...  
**ნათია.** (ღიმილით) შენ ასე კითხვა-კითხვაში მართლა ისწავლი მეგრულს.  
**გელა.** შენ იცინე და ნახავ, თუ არ ვისწავლო!  
**ნათია.** მაგას რა სჯობია, მაგრამ აღარ მეტყვი, რა თქვა თაგორმა მთებზე?  
**გელა.** აბა კარგად მისმინე: „უძირო ზეცის შემყურე მთები აღტაცებისგან ხმას ვერ იღებენ, ცად აღმართული არის ხელები, - მთები მოხიბლული დედამინისა!“  
**ნათია.** დედაა, რა კარგიაა!  
**გელა.** ახლა გინდა გითხრა, ქართველმა პოეტმა რა სთქვა მთებზე?  
**ნათია.** მინდა.  
**გელა.** „მთა არის მინა აჯანყებული, დედამინაზე დაუტევარი!“  
**ნათია.** ვაიმე რა კარგია, ეგ ვინა თქვა, გელა?  
**გელა.** ზაურ ბოლქვაძემ, გაგიგონია?  
**ნათია.** როგორ არა! თინათინ მასწავლებელმა, ბარათაშვილს რო გავდიოდით მაშინ გვასწავლა: „ტატოს ფეხთა ქვეშ დედამინა დატორტმანებდა, კოჭლიც ამიტომ ეგონათ, ალბათ!“  
**გელა.** აუჰ! შენი ჭირიმე!..

**ნათია.** ხედავ, გელა, პოეტებს მთები ცოცხალ არსებებად, ლამის ადამიანებად მიაჩნიათ!

**გელა.** ნათია, ლამის კი არა, ვაჟა პირდაპირ ამბობს: „ნისლი ფიქრია მთებისა, იმათ კაცობის გვირგვინი“.

**ნათია.** აუჰ, გენიალურია!

*ისმის ზარის ხმა. გელა კარს აღებს.  
შემოდის ფაცია, სიმღერა წყდება.*

**გელა.** მობრძანდით, დეიდა ფაცია, რამ შეგანუხათ ამ შუალამეს?

**ფაცია.** ნათია რაფერაა, შვილო, როის მიგყავთ სამშობიაროში?

**გელა.** არა უშავს, დეიდა ფაცია, ამ დილით მიგვეყავს.

*საუბარს განაგრძობენ  
შემოსასვლელში.*

**ფაცია.** შენ აფერი გაგიგია, გელა?

**გელა.** რაზე მეკითხები, დეიდა ფაცია?

**ფაცია.** რეიზა და აი ჩვენი ამშენებლის დამხობას რო აპირობენ!

**გელა.** ვინაა ჩვენი ამშენებელი?

**ფაცია.** ნენა?! მაგას კითხვა უნდა, ბიჭო?! ვინაა და ზვიადია, შვილო, იმის სახელის ქირიმე! მაი რაფერ არ იცი ამხელა ყაზილარმა, ხვალე მამაი გახდები, ბიჭო!

**გელა.** მერე ვინ უპირებს დამხობას?

**ფაცია.** ვინ და აი ოპოზიციანო, თუ რაცხა ჯანდაბაა! მაგენი მისპენ, მაგენი გადაშენდნენ, მაგენმა არ გეიხარონ ერთ დღეს საქართველოში! აბა, შენ აფერი იცოდი შვილო?!

**გელა.** არ ვიცოდი, მაგრამ აგერ ახლა დეიდა ტატა იყო ჩვენთან და იმან თქვა.

**ფაცია.** რა თქვა, მაი შეჩვენებულმა! მაგას აფერი დუუჯერო შვილო, შენ ჭკვიანი ბიჭი ხარ და მაგის ჩერჩეტს არ დუუგდო ყური!

**გელა.** არა, დეიდა ფაცია, მე არა მჯერა მისი ნათქვამი, მაგრამ ისიც თქვენსავით ამბობს.

**ფაცია.** არ გადამრიო! რას ამბობს, ბიჭო, იკუდიანი?! ჩემსავით რაფერ იტყოდა ი სიტყვას!

**გელა.** სწორედ თქვენსავით თქვა, ამ დილით მთავრობის სახლზე შეიარაღებული თავდასხმა მოხდებო.

**ფაცია.** დიდუუ, რავა გუუგია ი მოსასპობს! გეიგებდა, აბა რას იზამდა, რაც მაი გატლეკილ ინტილიგენციაში დაძვრება.

**გელა.** ინტილიგენციაში.

**ფაცია.** გატლეკილ ინტილიგენციაში, თვარა ნამდვილი ინტილიგენცია ჩვენი პრეზიდენტია, შვილო! რეიზა მიყურებ მასე, ჩემი არ გჯერა?

**გელა.** როგორ არ მჯერა, მჯერა, რო ეგენი ყველა, აქეთაც და იქითაც, ინტილიგენცია კი არა, სწორედ რომ ინტილიგენცია ბრძანდება!

*(სიტყვა ინტილიგენციის წარმოთქმისას მეორე მახვილს - ი - განსაკუთრებით ხმაძალდა ამბობს!).*

**ფაცია.** შენ რაცხას ურევ მგონია, მარა, მაი აფერია!

**ნათია.** *(ხმა შორიდან)* გელა, ვის ელაპარაკები?

**გელა.** *(გასძახის)* დეიდა ფაცია მოვიდა! *(ფაციას)* უკაცრავად, დეიდა ფაცია, ამ კარებში რო გაგიბით საუბარი, წამობრძანდით, ნათია ნახეთ.

**ფაცია.** მაი ბალანასთან არ დაგცდეს სიტყვა, შვილო!

**გელა.** იცის, დეიდა ტატამ მის გასაგონად თქვა.

**ფაცია.** აი და გადაშენდეს მისი ჯიში და ჯილაგი! ორსულ ქალს მშობიარობა კარს მოდგომია და მაი ამბავი უნდა გააგონოს კაცმა ახლა? მაგას უნდა ერქვას

ინტილიგენცია და მე სოფლელი და გოუნათლებელი მეძახოს ხომ?!

**ნათიას ხმა.** გელა, თხოვე, დეიდა ფაციას, მობრძანდეს!

**ფაცია** მოვდივარ შვილო, მოვდივარ, შენ გენაცვალე, ჩემო ბრიალა გოგო!

*ფაცია და გელა შედიან  
ნათიას ოთახში.*

**ფაცია.** გამარჯობა შვილო, რაფერ ხარ ჩემო ქაჯანა გოგო? ხომ ხარ ყოჩაღად?

**ნათია.** გამარჯობა დეიდა ფაცია, გმადლობთ.

**ფაცია.** გელა, შვილო, ბებიაშენსაც უთხარი აი ამბავი?

**გელა.** ბებიაც აქ იყო, ტატა რო ყვებოდა.


**ფაცია.** მაი უჯიშო და უნაირო! აფერი-იმფერი არ მოხდება, ნუ გეშინიათ ხალხო, იარალით მოვლენ და იარალით მიიღებენ პასუხს! რამდენს ისვრიან, ორ იმდენ პასუხს მიიღებენ!

**ნათია.** თქვენ რაზე ამბობთ, დეიდა ფაცია?!

**ფაცია.** რეიზა და იი მოსასპობებზე! რავა, შენ აფერი იცი შვილო?! აკი ტატამ გვითხრაო, ასე არ თქვი, ბიჭო, შენ?!

**ნათია.** დეიდა ტატამ კი გვითხრა, მაგრამ ბებია და გელა ამბობენ, ტყუილი იქნება, ასე როგორ გაუნყრებათ ღმერთი, ძმა ძმის მოსაკლავად როგორ აიღებს იარაღს ხელშიო.

**ფაცია.** შვილო, შვილო, ეგ ერთი კი მართალი უთქვამს იი დაწყველილ ტატას. თავის სიცოცხლეში ერთი სიმართლე უთქვამს და იგიც აი საშინელება! გოუნყრათ შვილო, ღმერთი, გოუნყრათ და გოურისხდათ! ეიღეს სიკვდილის მანქანები ხელში და წეიწყმიდეს შვილო, სული! ხვალ, ნენა, ხვალ კი არა, ამ დილით ინყებენ მაი გათახსირებულები თავის შავ საქმეს! ნენა, რა გვეშველება, შვილო, დი-



დუუ, რამდენი სისხლი დეიღვრება! წაი, ნენა, შენ, ამაღამ წაი, სამშობიაროში, რეიზა უცდი დილას? გელა, ახლავე წაიყვანე აი ბალანა, მის ცოდვაში არ ჩადგა ფეხი! ამიზა მევედი ახლა მე, აგი მეტქვა! წაით, წაით, ახლავე წაით თქვენ შემოგველეთ, ბებიაც თან წაიყვანეთ, თვარა აი ჩვენი სახლი კია დაყუნტული ი მთავრობის სახლის წინ და იქ რავარც გავარდება თოფი, პირველი ტყვია ჩვენ სახლს მოხვდება! არადა აი თქვენი ფანჯრები მაინც ზედ მთავრობის სახლიზაა მიშვერილი! ღმერთო, შენ გვიშველე, ღმერთო, შენ დაგვიფარე! კი ვუთხარი ჩემ მამიეს, წაიყვანე აი ბაღნები თქვა, მარა მისი მანქანიდან, რაცხა ქვია იმას, ხო, აკუმულატორი ამოუცლიათ, იმის წამლებს გოუხმა ხელები და მამიე რაღას წაგიყვანთ?! აბა წავედი ახლა მე და თქვენ იცით, - წაით, წაით, ახლავე წაით! ნათია, ხვალ ამ დროს შენ ბიჭს მოფერებოდე, ბიჭი იქნება, ბიჭი, მაი მე მკითხე! აბა, კარგად იყავით, ღმერთი გფარავდეთ!

*ფაცია გადის და გაშინვე ისმის  
ტელეფონის ზარის ხმა.*

**გელა.** გისმენთ? ცისანა?! რა მოხდა, ოთარი სადაა?!

**ცისანას ხმა.** გელა!.. გელა!.. საშინელება მოხდა! ქალაქში რაც ხდება გაიგებდი!.. ხოდა ოთარი ჩავიდა ეზოში, მანქანის გამოსაყვანად, თქვენთან უნდა წამოსულიყო და...

**გელა.** რა მოხდა, წესიერად გამაგებინე!

**ცისანა.** ვილაც ავტომატიანებმა მანქანა წართვეს და ოთარი დაჭრეს!..

**გელა.** რას ამბობ?! ცოცხალია?! გადარჩა?!

**ცისანა.** გელა, ხუთ საათს ვაგრძელდა ოპერაცია და ძლივს გადაარჩინეს! ვაიმე! (ტირის) ხო, გადარჩა და ახლა რეანიმაციაშია! გელა, თქვენ როგორმე ახლავე წამოდით მანდედან, ახლავე! იცოდე, დილას აღარ დაელოდოთ! გაიგე! ახლავე წამოდით! ახლავე!

**გელა.** კარგი, კარგი, მივიყვან ნათიას და მერე თქვენთან გამოვიქცევი, სად წევს გელა?

**ცისანა.** რესპუბლიკურში, არა, არა, შენ ნათიას მიხედე, ნათიას! ოთარს ახლა არა უშავს, აბა ჩქარა წამოდით!  
*ისმის ზუმერის წყვეტილი ხმა.*

**ნათია.** გელა, რა მოხდა?

**გელა.** აა?! ...აა... არაფერი, არაფერი!

**ნათია.** რა გითხრა ცისანამ?

**გელა.** ოთარს ავარია მოსვლია და ვეღარ მოვაო...

**ნათია.** ვაიმე, გელა, როგორ არისო? რა გვეშველება?!

**გელა.** ოთარს არა უშავსო, ნუ გეშინია ნათია, ჩავალ, დავიჭერ რაიმე მანქანას.

**ნათია.** ვაიმე, გელა, მეშინია!..

**გელა.** კარგი, ნათია, დაწყნარდი, ხუთ წუთში მოვბრუნდები!

*გელა გადის და ქუჩაში მიმავალ მანქანას უქნევს ხელს. მანქანა ჩაუქროლებს.*

**გელა.** ვაჰ, ამის!..

*მეორე მანქანას გელა წინ გადაუდგება  
ყვირილით: გააჩერეთ, გააჩერეთ!..  
მანქანა მკვეთრად აშუხრუჭავს.*

**მძლოლი.** ვაა, რა ხდება?! პაჟარია?!

**გელა.** ცოლი მყავს სამშობიაროში წასაყვანი!

**მძლოლი.** ვაა, ორსულად არი?

**გელა.** წაგვიყვანე და რაც გინდა აიღე, ოღონდ წაგვიყვანე!

**მძლოლი.** შორს არი?

**გელა.** აგერ, მეორე სართულზეა, უცებ ჩამოვიყვან...

**მძლოლი.** ვაა, ეგრე რამ გაგამწარა, ბიჭო?!

**გელა.** ჩამოვიყვანო? წაგვიყვან?

**მძლოლი.** ბიჭო, მანქანაში არ იმშობიაროს, შარში არ გამხვიო კაცი!

**გელა.** არა, რას ამბობ, წაგვიყვანე, რა...

**მძლოლი.** მიდი, კაცო...

**გელა.** ორ წუთში აქ ვიქნებით, უჰ, შენი ჭირიმე? აგაშენა ღმერთმა!..

*გელა შეხრუნდება. გადადგამს ნაბიჯს და  
ისმის სწრაფად დაძრული მანქანის ხმა.*

**გელა.** რას შვრები კაცო, სად მიდიხარ? ფუჰ, შენს კაცობას!..

*გელა ახლა სხვა მანქანას უქნევს ხელს.*

**გელა.** გააჩერეთ!.. გააჩერეთ!.. ინამეთ ღმერთი!..

*მანქანა მკვეთრად აშუხრუჭავს.  
მანქანიდან ისმის გამაყრუებელი როკმუსიკა,  
საჭუს გამოკრანჭული ქალი უზის.*

**ქალი.** ვაიმე, რა მასტია! ჩასაყლაპი!

**გელა.** უკაცრავად, მე... იცით...

**ქალი.** ვაიმე, კაიფშია, დაჯექი...

**გელა.** არა... მე ცოლი მყავს წასაყვანი...

**ქალი.** აუჰ, ეს მართლა კაი მასტია!.. ვისი ცოდო აიკიდე სიმონ?

**გელა.** წაგვიყვანეთ რა, სამშობიაროში!..

**ქალი.** არ მეტყვი, ბიჭო, ვისი ცოლის წაყვანას აპირებ?

**გელა.** ჩემი, ჩემი ცოლის!..

**ქალი.** რა დროს შენი ცოლია, ბიჭო, მოდი, დაჯექი, სულ დაგავინყო შენი დარდები!

**გელა.** წაგვიყვანეთ, გეხვეწებით!..

**ქალი.** შენ ლიჩნად სადაც გინდა წაგიყვან, დაჯე, რა!..

**გელა.** ვაჰ, რა დავაშავე ამის ფასი!

**ქალი.** ჰა, მოდიხარ?

**გელა.** დიდი მადლობა.

**ქალი.** მაშ არა ჯდები? აბა იყავი იმ შენ გაბერილ ცოლთან, არავინ წაგართვას! ჩაო, შე ლანირაკო!..

**გელა.** ესლა მაკლდა ახლა! ვაჰ, გააჩერეთ, ხალხი არა ხართ, გააჩერეთ!

*მანქანა ჩერდება, ისმის მთვრალების სიმღერა, „სადაც ლამაზ ვოვოს ვნახავ“...*

**პირველი მთვრალი.** ვინ არ არი, ბიჭო, ხალხი?

**მეორე მთვრალი.** რაო, ჩვენ არა ვართ ხალხი?

**პირველი მთვრალი.** (სიმღერით). დადიანო, დადიანო, გული არ დაიდარდიანო!..

**მეორე მთვრალი.** რა ხდება, ძმაკაც?

**გელა.** აა... არაფერი, ისე...

**პირველი მთვრალი.** ვაა?! როგორ არაფერი?! მაშ ტყუილა გაგვაჩერე?!

**მეორე მთვრალი.** ჰა, გვითხარი, ვინ გაგიხურა, დედას ვუტირებთ! აბა ნახე! აჰა, „კალაშნიკოვები“, აგერ „მაკაროვები“, ესეც ლიმონკები! სუყველას დედას ვუტირებთ!..

**გელა.** ამას რას გადავეკიდე... არა... არაფერი... არაფერი...

**პირველი მთვრალი.** აუჰ, ეს კარგად არი, ხო იცი! ბიჭო, ჩვენ ვართ მთვრალები თუ შენა ხარ მთვრალი?!

**მესამე მთვრალი.** მთვრალი კაცი, კაი კაცი!

**პირველი მთვრალი.** ვაა, ვასიკო?! გაიღვიძე ჯიგარო?!

**მეოთხე მთვრალი.** ჰაა, ვასიკოს ვენაცვალე, ერთიც შავუბეროთ!

*არაუღალად მღერიან – „მე თუ ელოთოვ, შენ რას მიშლი, ძმობილო!“*

რო არ გვინდა! პირდაპირ რესტორანში წავიდეთ და ვადღეგრძელოთ შენი ბიჭი!

**გელა.** რას ამბობთ?! რა დროს სადღეგრძელოა?!

**მესამე მთვრალი.** სადღეგრძელოს დრო ყოველთვის არის! (მღერის) „დამისხი, დამალევიწე, ე ღვინო ოხერტიალი!..“

**მეორე მთვრალი.** აბა წავედით რესტორანში! ბიჭს გაუმარჯოს! კიდევ ერთი პატარა ქართველი დავლოცოთ!

*მანქანა მიდის.*

**გელა.** აუჰ. ნამდვილად გავგიჟდები! ღმერთო, ცხადში ვარ, თუ სიზმარში?! გააჩერეთ! გააჩერეთ!.. გასკდა გული!

*მანქანა ჩერდება.*

**მძლოლი.** რა იყო, შვილო, რა გაგჭირვებია?

**გელა.** ბიძია, ძალიან გთხოვთ, ცოლი მყავს სამშობიაროში სასწრაფოდ წასაყვანი, თქვენი ჭირიმე, წაგვიყვანეთ!..

**მძლოლი.** წაგიყვანთ, შვილო, მაგაზე უარს როგორ გეტყვი.

**გელა.** რამდენიც გინდათ აიღეთ, ოღონდ წაგვიყვანეთ...

**მძლოლი.** არა შვილო, ფული არ არის საჭირო, მიდი, ჩქარა ჩამოიყვანე მეუღლე!

პირველ შვილს ელოდებით არა?

**გელა.** დიახ, საიდან მიხვდით?!

**მძლოლი.** სახეზე განერია, შვილო, ნუ დელავ, მოვასწრებთ, შენ ოღონდ კიბეზე ფრთხილად ჩამოიყვანე...

*ისმის ზარბაზნის სროლის გაგაყრუებელი ხმა.*

**გელა.** ვაიმე, დაიწყო?!

**მძლოლი.** რა დაიწყო, შვილო, რა ხდება?!

*ისევ ზარბაზნის ხმა ისმის და მაშინვე ტყვიამფრქვევ-ავტომატების განუწყვეტელი სროლის ხმაღი ერთვის, შიგადაშიგ ყუბპარმტყორცნების გრუსუნი გაისმის. აქედან მოყოლებული გოლომდე არ წყდება სროლის ჯოჯოხეთური ხმა.*

**გელა.** ვაიმე, მართლა დაიწყო!.. რა გვეშველება!!! ომია, ბიძია, ომი!!! გეხვეწებით, არ გაიპაროთ, ამ წუთში აქ გავჩნდები, არ მომატყუოთ, გეხვეწებით!

**მძლოლი.** რას ამბობ, შვილო, როგორ გიღალატებ?! აბა, ერთად წავიდეთ, მოგეხმარები...

**გელა.** (განწირულად ყვირის). ვაი, დედა!.. ნათია!..

*გელა შეტორტმანდება და ძირს ეცემა, არ იძვრის.*

**მძლოლი.** (შეძრწუნებული ხმით) შვილო!

ვაიმე, კაცი მოკლეს! კაცი მოკლეს! ხალხო, გვიშველეთ! რამ გაგაგიჟათ? ხალხო შეჩერდით... ვაი!

*მკოლი მოცელი ეცემა.  
ნათიას ოთახი. ისმის საშინელი სროლის ხმა.  
ფანჯრის მინები ზანზარებს.*

**ნათია.** (კვივის) ვაიმე, გელა არ მოკლან! ბებია, გვიშველეთ, ბებია!.. ვაიმე, დედა...  
*ტირის.*

**ბებია.** ნუ გეშინია, შვილო, გელასთან ვის რა ხელი აქვს.

**ნათია.** ბებია, რა საშინლად ისვრიან, ეს რა ჯოჯოხეთში ჩავცვივდით!.. ვაიმე! გელა!.. გელას არ მოხვდეს!..

**ბებია.** ნუ, შვილო, ნუ, ეგ სროლა აქედან შორსაა! მოვა, გელა, ახლავე მოვა!

*ისმის მინის მსხვერპის ხმა.*

**ნათია.** ბებია, რაღა შორსაა, ხედავ ფანჯრები სულ ზანზარებს და იმსხვრევა!  
*(ტირის).*

**ბებია.** ნუ ტირი შვილო, ხომ იცი, გელა რა მარჯვე ბიჭია, დაიჭერს მანქანას და ახლავე აქ გაჩნდება!..

**ნათია.** ბებია, ძალიან მეშინია... აქამდე ვერ დაიჭირა და ახლა რაღას დაიჭერს.

*ისმის კარის ზარის გაგმული ხმა.*

**ნათია.** (გამოცოცხლებით) აი, მოვიდა! გელა მოვიდა!..

**ბებია.** ხო გითხარი, შვილო, გელა უსიკვდილოდ დაიჭერს მანქანას-მეთქი!

*გვბია კარს აღებს. სწრაფად შემოდის ორი შეიარაღებული ახალგაზრდა.*

**პირველი მეზრძოლი.** აბა, ბებია, გაგვატარე!

**ბებია (გაოცებით).** ვინა ხართ, რა გინდათ, შვილო?!

**მეორე მეზრძოლი.** თქვენგან არაფერი, ბებიაჯან, თქვენი სახლიდან უნდა დავცხოთ, მაგ სოროში შემძვრალ ვირთხებს.

**პირველი მეზრძოლი.** მაშ, ბებო, ჩავხოცავთ ბუნაგში მაგ დამპლებს, თავის დებილ პრეზიდენტთან და ამოისუნთქებს საქართველო!

**ბებია.** რამ გაგაგიჟათ? სად გაგატაროთ?! ვერ ხედავთ სახლში ორსული ქალია, აგერ-აგერ უნდა იმშობიაროს!

**პირველი მეზრძოლი.** ჰოდა, ყველას ერთად გაგანთავისუფლებთ! აბა, ვახო, შენ იმ ფანჯრიდან დასცხე, მე აქედან დავარტყამ! ეს „ლიმონკები“ შენ დაიჭი! ა?.. ჰო, კიდევ მაქვს, მაქვს!..

**ბებია.** რას სჩადით! რამ გაგამხეცათ! ჩვენ აღარაფერს გვეკითხებით?!

**მეორე მეზრძოლი.** ხო გითხარით ჩვენ თქვენი განმანთავისუფლებლები ვართ!

**ბებია.** ჩვენ არავისთვის გვითხოვია განთავისუფლება, მიბრძანდით აქედან!

**ნათია (გასძახის).** ვაიმე, ბებია, ვინ არიან ეგ მხეცები?! (ტირის) ვაიმე, გელა სად არის? ვაი დედაა (ტირის)!

**პირველი მეზრძოლი.** რაო? გელაო?! ვინ არი გელა, ვის მხარეზეა?!

**ბებია.** გელა ჩემი შვილიშვილია, ამ ქალის ქმარია, მანქანის დასაჭერად ჩავიდა ნელან... გელა არავის მხარეზე არაა! დაგვანებეთ თავი, ნუ დამიღუპავთ ოჯახს, ნადით აქედან!

**მეორე მეზრძოლი.** ვაჰ, მოდი, ბიჭო, შევეშვათ ამათ, მესამე სართულზე ავიდეთ!

**ბებია.** დაგვანებეთ თავი, ინამეთ ღმერთი!

**პირველი მეზრძოლი.** ჯანდაბას ამათი თავი, ნავედით!

*მეზრძოლები გადიან.  
სროლის ხმა არ წყდება.*

**ნათია (კვივის).** ბებია!.. დამენყო!..

**ბებია (შერბის ნათიას ოთახში).** აა?! ვაი შენ მოგიკვდეს ბებია, შვილო, აგერ დანეჭი, შენ შემოგვევლე, ნუ გეშინია, მე რაც გითხრა, ყველაფერი, ისე გააკეთე, დამიჯერე და ყველაფერი კარგად იქნება, არ იტირო, ბებია, ღრმად ისუნთქე, აბა, ყოჩაღად, ყოჩაღად, შვილო...

*ისმის კარის ზარის გაგმული ხმა.*

**ბებია.** აი, ნათია, გესმის გელაც მოვიდა, ანი ნულარაფრის გეშინია, ახლავე გავუღებ, ახლავე შვილო!..

*ბებია კარს აღებს. შემოდის ორი შეიარაღებული ახალგაზრდა. ორივე ძალიან ჰგავს ამათ წინ მოსულებს.*

**ბებია (გაოცებით).** თქვენ ისევ აქ მოხვედით?

**მესამე მეზრძოლი.** რაო? აქ უკვე იყო ვინმე?! გესმის, დათო, უკვე ყოფილან!

**მეოთხე მეზრძოლი.** ვისი ხალხი იყო, ბებია, ჩვენი, თუ იმათი, საით წავიდნენ, რამდენი იყო?

**ბებია.** რა ვიცი, ვისი ხალხი იყო, ორნი იყვნენ... თქვენ თვითონ ვინ ბრძანდებით?! ვერ ხედავთ, სახლში მშობიარე ქალია! ინამეთ ღმერთი, ნადით აქედან.

**მესამე მეზრძოლი.** ჩვენ კანონიერი პრეზიდენტის დამცველები ვართ და თქვენ ვალდებული ხართ!..

**ნათია (კვივის).** ააა!.. ააა!..

**მეოთხე მეზრძოლი.** მოიცა, ბიჭო, აქ მართლა მშობიარე ქალი ყოფილა! კარგი ბებია, ნავალთ, ოღონდ თქვენ მარტო ის გვითხარით,

პაუზა.

საით უნდოდათ იმათ ესროლათ, მთავრობის  
სახლისკენ, თუ პირიქით?

**ბებია (ყვირის).** გავთავდი ქალი, ნუ შემიკა-  
ლით ხელში!..

**მეოთხე მეზრძოლი.** ჩვენი მტრები იყვნენ,  
თუ მომხრეები, ეს გვინდა რო გავიგოთ.

**ბებია (კივის).** მესროლეთ ბარემ და გამა-  
თავეთ! რამ გაგაგიჟათ სუყველა?! რისთვის  
ხოცავთ ერთმანეთს?! ხო ყველა ამ უბედური  
საქართველოს შვილი ხართ!!! ეს ხომ თვით-  
მკვლელობაა!!!

*აჱო. თვითმკვლელობა!..  
თვითმკვლელობა!!! თვითმკვლელობა!!!  
აჱო ისე ზანზარებს, რომ თვით  
თოფ-ზარბაზნის სროლის ხმასაც კი  
შარავს და ახშობს!*

*ახალგაზრდები გადიან. აჱო წყდება და ისევ  
ატყდება საშინელი სროლის ხმა.*

**ნათია (კივის).** ბებიაა, მიშველე!.. ვაი!.. ვაი!..  
(განწირულად კივის) ააა!!!

*უცებ ჩუმდება და მაშინვე ისმის ბავშვის  
ტირილი.*

*ხშირი სროლის ფონზე ყრუდ გაისმის და  
თანდათან ძლიერდება რეზა ლალიძის  
სიმღერა, - „კიჟო, კიჟო, მე შენს მეტი“...  
და ეს სიმღერა დასასრულამდე გრძელდება.  
ოთახში შეშოიჭრება გეგია.*

**ბებია.** ნათია, შენ შემოგველე, შვილო, ბი-  
ჭია, ბიჭია!.. ხო გითხარი, ყველაფერი  
კარგად იქნებაო! შვილო, ნახე, რა ბიჭია! ნამ-  
დვილი ვაჟუკაცი შეგეძინა, შენი ჭირიმე!  
კალმით ნახატი ანგელოზია, ამას ვენაცვალე!..  
ნათია, შენ გაიხარე შენს ქმარ-შვილში, იდღეგ-  
რძელე, იმრავლე და იბედნიერე შვილო!.. შენ  
შემოგველოს შენი ბებია!..

(შეშფოთებით) ნათია!.. ნათია!!! ხმა გამეცი,  
შვილო, ნათია!

**ბებია (კივის).** ნათია!!! ხმა ამოიღე, შვილო!..  
არ დამლუპო! ნათია, თვალი გაახილე, შეხე-  
დე, შვილო, რა ბიჭი შეგეძინა!..

*ისმის კიჟის ტირილი, სროლის ხმა,  
მინის მსხვერპის ხმა და სიმღერა,  
„კიჟო, კიჟო, მე შენს მეტი“.*

**ბებია.** ნათია!.. ხმა გამეცი, ბებია!.. არ დამლუ-  
პო, შენ სახელს ვენაცვალე!.. (კივის) ვაიმეე!!!  
გათავდა ეს საცოდავი!.. დედაა!!! რალად მინ-  
და თავი ცოცხალი!!! დედაა, რას შევესწარი  
მე უბედური!.. ნათია, შვილო, შენთან რა უნ-  
დოდა სიკვდილს?! დედაა, რატო ვარ ცოცხა-  
ლი?! მე მოვეკალი გამჩენს!.. შვილო, შვილო,  
შენთან ვის რა ხელი ჰქონდა?! ანგელოზი იყა-  
ვი და ანგელოზად ნახვედი ზეცაში!.. დედაა,  
რას ვამბობ!.. რატო ენა არ გამიხმება!..

*გამოკვეთილად ისმის კიჟის  
გულსაკლავი ტირილი.*


**ბებია.** ღმერთო, ამ ბიჭს რა ეშველება?!  
ღმერთო, რა გადაარჩენს ამ ანგელოზს?!  
ღმერთო, რა გაზრდის ჩემ ანგელოზს ამ ჯო-  
ჯოხეთში!!! ღმერთო, შენ მიშველე,  
ღმერთო!!!

*საშინელი სროლის ხმა ნელ-ნელა შორიდან,  
ყრუდ მოისმის, ძლიერდება რეზო ლალიძის სიმ-  
ღერა და კიჟის ტირილი.*

დასასრული

1995წ. თბილისი





ნახ. კ. იგნატოვისა

ქოუ

წარსული

## BOUM-BOUM

ბავშვი გაფითრებული იწვა პატარა, ქათქათა საწოლში და სიცხისაგან გაფართოებული თვალებით შესცქეროდა საწოლის ფეხთან ჩამომდგარ დედას, რომელიც პატარა არსების გამხდარ სახეს ავადმყოფობის გართულებით შეშფოთებული, თვალს არ აცილებდა. იქვე იყო მამაც — პატიოსანი მუშაკაცი, რომელსაც ჩანთლებულ თვალებში ჩამალული ცრემლები ქუთუთოებს უწვავდა.

დღე კი თენდებოდა ნათელი, წყნარი, ივნისის მშვენიერი დილა შემოდოდა ილუმენიების ქუჩის ვიწრო ოთახში, სადაც სულს დაფავდა პატარა ფრანსუა, უაკ და მადლენ ლეგრანების პირმშო.

ის იყო შვიდი წლის ქერა, ვარდისფერი ლოყებით, ჩიტუნასავით ცოცხალი და მხია-

რული ბიჭი. საბრალო... მას შემდეგ ჯერ სამ კვირასაც არ გაეწლო... ერთ საღამოს ბავშვს სიცხე მისცა, საერო სკოლიდან წამოიყვანეს დამძიმებული თავით და გახურებული ხელეებით. მას აქეთ ამ პატარა საწოლს მიეჯაჭვა. ზოგჯერ, ბოდვების დროს, გადახედავდა ხოლმე დედის მიერ იატაკზე მზრუნველად დაწყობილ პანია, გაპრიალებულ ფეხსაცმელებს და წამოიყვირებდა:

— გადაყარეთ ფრანსუას ფეხსაცმელები! სულ ერთია, მაინც ველარ ჩაიცმევს! პატარა ფრანსუა ველარასოდეს წავა სკოლაში... ველარასოდეს!.. ველარასოდეს!..

მაშინ მამა ცახცახით ყვიროდა — „გაჩუმდი!“ დედა კი გარბოდა, რომ თავი ბალიშში ჩაერგო, რათა ფრანსუას მისი ქვითინი არ გაეგონა.

იმ ღამეს ბავშვს არ აბოდებდა, მაგრამ ორი დღის შემდეგ ექიმი შეაშფოთა მისმა უცნაურმა უხალისობამ, რომელიც ჰგავდა სრულ გულგრილობას ყველაფრის მიმართ. თითქოს შვიდი წლის ასაკში ავადმყოფს უკვე განეცადა ამქვეყნიური ჭირ-ვარამი. იგი დაღლილი, მდუმარე და მოწყენილი ჩანდა. არაფერს არ ეკარებოდა. ღიმილის კვალი გამქრალიყო მის საბრალო თხელ ბაგეზე. ბავშვი ჯიუტად უარობდა სამკურნალო ნაყენზე, წვენსა და ბულიონზე... და საერთოდ უარს აცხადებდა ყველაფერზე...

— ხომ არაფერი გინდა, ფრანსუა?

— არა, არაფერი არ მინდა!

— როგორმე მდგომარეობიდან უნდა გამოვიყვანოთ, — თქვა ექიმმა, — მისი გულგრილობა ძლიერ მაშინებს!.. თქვენ მშობლები ხართ, კარგად იცნობთ საკუთარ შვილს!.. ეძებეთ ის, რაც ამ პატარას სხეულს გამოაცოცხლებს!..

ექიმი წავიდა.

„ეძებეთ!..“ დიახ, მშობლები მართლაც კარგად იცნობდნენ ფრანსუას. საბრალო ხალხი! მათ იცოდნენ, როგორ ართობდა პატარას კვირა დღით ქალაქგარეთ გასეირნება, მოწნული ღობეების დარღვევა და როგორ უყვარდა კუნელის ტოტებით ხელში მამის მხრებზე შემოსკუპულს, პარიზში დაბრუნება...

უაკ ლეგრანმა ფრანსუას უყიდა სურათები, ოქროსფერი ჯარისკაცები, ჩინური სათამაშო ჩრდილები. ამ უკანასკნელს ჭრიდა, აწყობდა ბავშვის საწოლთან, აცეკვებდა პატარას არეული თვალების წინ და, თვითონ ტირილით გულამომჯდარი, მის გაცინებას ცდილობდა...

— ხედავ? ეს არის გენერალი!.. გახსოვს, ერთხელ რომ ვნახეთ ბულონის ტყეში გენერალი? ამ ნაყენს თუ დაღევ, ნამდვილ გენერალს გიყიდი, მაუდის მოსასხამიანს და ოქ-

როს სამხრეებიანს... არ გინდა?

— არა! — პასუხობდა ბავშვი.

— გინდა სათამაშო დამბაჩა, ბურთულები, თოფი?

— არა! — პასუხობდა პატარას ხმა გადაჭრით და თითქმის მკაცრად...

მშობლები უიმედოდ შესცქეროდნენ ერთმანეთს. ყველაფერზე, რასაც კი სთავაზობდნენ და ჰპირდებოდნენ — ჯამბაზებზე, საჭაერო ბუშტზე, პატარა პასუხობდა:

— არა!.. არა!.. არა!..

— ბოლოს და ბოლოს რა გინდა, ჩემო ფრანსუა? — ჰკითხა დედამ, — აბა ვნახოთ, არსებობს რაიმე, რაც შენ გინდოდა და არ შეგისრულეთ? მითხარი, მითხარი, შვილო! მე — შენს დედიკოს!

ბავშვი რაღაც უცნაურად ნამოიძარტა საწოლზე და მხურვალე, მავედრებელი და ამავე დროს მბრძანებლური კილოთი წარმოთქვა:

— მე მინდა ბუმ-ბუმი!..

ბუმ-ბუმი?!

საბრალო მადლენმა ქმარს დაბნეული მზერა ესროლა.

— ეს რა თქვა პატარამ? ნუთუ ისევ ბოდავს? ნუთუ კვლავ საშინელება მეორდება?

დედამ არ იცოდა, რას ნიშნავდა „ბუმ-ბუმი“, და ძლიერ აშინებდა ეს აკვიატებული სიტყვები, რომელსაც ბავშვი ავადმყოფური სიჯიუტით იმეორებდა:

— დიახ, „ბუმ-ბუმი“! მე მინდა ბუმ-ბუმი“!

მადლენმა ნერვიულად აიღო ქმრის ხელი და შეშლილივით ჩაიჩურჩულა:

— რას ნიშნავს ეს, ჟაკ? ნუთუ უკვე განწირულია?

მამას კი მშრომელი კაცის ნაჯაფ, მკაცრ სახეზე ეხატებოდა თითქმის ბედნიერი და ამავე დროს გაოცებული ღიმილი. „ბუმ-ბუმი“... ჟაკს კარგად ახსოვდა აღდგომის ის ორშაბათი დილა, ფრანსუა რომ ცირკში წაიყვანა, თითქოს ახლაც ჩაესმოდა ყურში ბავშვის მხიარული კისკისი, როცა ოქროსფრად მორთული მშვენიერი კლოუნი, შავი კოსტუმით, ზურგზე დიდი მოყვითალო, ათასფრად მოელვარე პეპლით, ნახტომებს აკეთებდა არენაზე, სარმას უდებდა ცხენოსანს ან ქვიშაზე დგებოდა თავდაყირა, უმოძრაოდ გაშეშებული, ანდა ჭაღს ესროდა რბილ ფეტრის ქუდებს, რომელთაც, უკან დაშვებისას, მარჯვედ იჭერდა თავით, სადაც ისინი რიგრიგობით ლაგდებოდნენ პირამიდად. ყოველ ოინზე, როგორც მშვენიერი მინამღერი, კლოუნი გამოსცემდა ერთსა და იმავე ნამოძახილს, იმეორებდა ერთსა და იმავე სიტყვას, რომელსაც ზოგჯერ ორკესტრის გუგუნიც აჰყვებოდა ხოლმე:

„ბუმ-ბუმი!“ ყოველთვის, როცა გაისმოდა ეს შეძახილი, ცირკში გრიალებდა „ბრაუო“ და პატარა ფრანსუა გულიანად კისკისებდა.

აი, სწორედ ამ „ბუმ-ბუმის“ ნახვა სურდა ბიჭუნას. იგი ცირკის კლოუნის მოყვანას ითხოვდა, საბრალო ბავშვი ძლიერ განიცდიდა, რომ თავის პატარა თეთრ საწოლზე მიჯაჭვული ველარასოდეს შეძლებდა საყვარელი „ბუმ-ბუმის“ ნახვას.

სალამოს ჟაკ ლეგრანმა ბავშვს მოუტანა ოქროსფერხალეებიანი მოძრავი კლოუნი, რომელიც ძალიან ძვირი, მექანიკოსის ოთხი დღის ხელფასი დაუჯდა. მაგრამ ის მისცემდა ოცი დღის, თუნდაც მთელი წლის ნაშრომს, ოღონდ კი ღიმილი მოეგვარა ავადმყოფის გაფითრებული ბაგეებისთვის... ბავშვმა ერთხანს უყურა თეთრ მაუდზე მოელვარე სათამაშოს, შემდეგ ნალვლიანად თქვა:

— არა, ეს ნამდვილი „ბუმ-ბუმი“ არ არის!.. მე „ბუმ-ბუმის“ ნახვა მინდა!

ეს! ჟაკს რომ შესძლებოდა, გაახვევდა ბავშვს საბანში, წაიყვანდა ცირკში, უჩვენებდა ანთებული ჭაღის ქვეშ მოცეკვავე კლოუნს და ეტყოდა: „უყურე!“


იგი სხვაგვარად მოიქცა. წავიდა ცირკში და გაიგო კლოუნის ბინის მისამართი. მღელვარებისაგან დარცხვენილმა და ფეხათრეულმა მძიმედ ათვალა მონმარტზე მსახიობის ბინისაკენ მიმავალი კიბის საფეხურები.

ჟაკის მხრივ იქ მისვლა დიდი გამბედაობა იყო, მაგრამ, როგორც ამბობენ: „კომედიანტები ბოლოს კარგად იმღერებენ, თუ იტყვიან მონოლოგებს დიდ ბატონებთან სალონებში...“ მიიღებდნენ კი მას? გაუგებდნენ? ვაითუ კლოუნს უარი ეთქვა ფრანსუასთან წასვლაზე... არა, ჟაკ ლეგრანი, რაღაც არ უნდა დაუჯდეს, უნდა მიიღონ იქ, „ბუმ-ბუმთან.“

მაგრამ ეს აღარ იყო „ბუმ-ბუმი“! ეს იყო ბატონი მორენო, ხელოვანის ბინაში წიგნები, გრავიურები, ნატიფი ხელოვნების ნიმუშები ქმნიდნენ დეკორაციას, რომელიც ამ მომხიბლავი კაცის მიერ იყო შერჩეული. მან სტუმარი თავის სამუშაო ოთახში მიიღო, ოთახი ექიმის კაბინეტს უფრო წააგავდა. ჟაკი უყურებდა და უკვირდა, რომ ველარ ცნობდა კლოუნს. შეცბუნებული ფეტრის ქუდს აწვალავდა ხელში. მასპინძელი კი ელოდა, როდის დაიწყებდა სტუმარი სათქმელს. მამამ მიიბოდიშა და დაბნეული აბუტბუტდა:

— საოცარია... მაპატიეთ... ბოდიშს ვიხდი...

— მან თითქოს წასვლა დააპირა, მაგრამ უცრად ფრანსუა წარმოუდგა თვალწინ, — რომ იცოდეთ, რა საყვარელი ბავშვია, ბატონო! და თან როგორი ჭკვიანი! სკოლაში მუდამ პირველი იყო, მხოლოდ ანგარიში უჭირდა. მეოცნე-



ბეა ჩემი პატარა, დიახ, თქვენ თვითონ ნახავთ როგორი მეოცნებეა... მაგრამ როგორ დაგიმტკიცოთ... აი, ფაქტი...

ჟაკი ახლა ლულულულებდა, ენა ებმოდა, ბოლოს ძალა მოიკრიბა და თქვა:

— ფაქტი ის არის, რომ მას თქვენი ნახვა სურს, თქვენ მისთვის ამომავალი ვარსკვლავი ხართ, ის მხოლოდ თქვენზე ფიქრობს...

მამა ლაპარაკს მორჩა. მის გადაფითრებულ შუბლს ოფლის მსხვილი წვეთები ასხდა. იგი ვერ ბედავდა შეეხედა კლოუნისთვის, რომელიც სტუმარს თვალს არ აცილებდა.

რას იტყოდა ახლა „ბუმ-ბუმი?“ რომ გაეგდო? გიჟად რომ ჩაეთვალა?

— სად ცხოვრობთ? — ჰკითხა „ბუმ-ბუმმა“.

— ოო! აქვე ახლოს! ილუმენის ქუჩაზე!

— ნავიდეთ! — თქვა მსახიობმა. — მაშ თქვენს ბიჭუნას „ბუმ-ბუმის“ ნახვა სურს? ძალიან კარგი, ის ნახავს მას!..

კლოუნის წინ კარი გაიღო და ჟაკ ლეგრანმა სიხარულით შესძახა თავის ვაჟს:

— გაიხარე, ფრანსუა, გაიხარე, ჩემო ბიჭუნა! აი, „ბუმ-ბუმი“ მოვიდა!

ბავშვს სახეზე სიხარული დაეტყო, დედის მკლავზე დაყრდნობილმა წამოიწია და თავი მისკენ მომავალი კაცებისკენ მიაბრუნა: ვილაცას ეძებდა მამის გვარდით! ვინ იყო ეს სერთუკიანი უცნობი კაცი, ასე თბილად რომ უღიმოდა? როცა უთხრეს, ეს „ბუმ-ბუმიაო“, იგი მოწყენით დაეშვა სანოლზე... მისი ალგზნებული, დიდი ცისფერი თვალები სადღაც პატარა ოთახის კედლის მიღმა იმზირებოდნენ და ეძებდნენ, დაუსრულებლად ეძებდნენ მსხვილ ბრჭყვიალა ხალებს და „ბუმ-ბუმის“ პეპელას.

— არა, — უპასუხა ბავშვმა სასონარკვეთილი ხმით, — ეს არაა „ბუმ-ბუმი!“

კლოუნი ფრანსუას სანოლთან იდგა და ავადმყოფის სახეს ღრმა მზერიტა და დაუსრულებელი სიმშვიდით ჩასცქეროდა. მან თავი გადააქნია, შეხედა აღელვებულ მამას, ღონემიხდილ დედას და ღიმილით თქვა:

— ბიჭი მართალია, მე არა ვარ „ბუმ-ბუმი“...

... და იგი წავიდა...

— მე მას ველარ ვნახავ! მეტად ველარ ვნახავ „ბუმ-ბუმს!“ — გულდანყვეტილი იმეორებდა ბავშვი.

ნახევარი საათიც არ იქნებოდა გასული, რაც კლოუნი გაუჩინარდა, რომ უეცრად კარი გაიღო და მოულოდნელად გამოჩნდა „ბუმ-ბუმი“, ნამდვილი „ბუმ-ბუმი“, ცირკის „ბუმ-ბუმი“ შავი ხალებით მორთულ ფრაკში გამოწყო-

ბილი, თავზე ყვითელი ფუნჯით, მკერდსა და ზურგზე დიდი ოქროსფერი პეპელით, შეპუდრული, კეთილი სახით.

ბავშვი წამოჯდა სანოლზე, სიცოცხლის და სიხარულის სხივი ჩაუდგა მომღიმარე, ბედნიერ თვალებში. გამხდარი ხელებით ტაში შემოჰკრა და აღტაცებით შეჰყვირა: „ბუმ-ბუმი!“, „ბრავო“, ეს ის არის, ამჯერად ეს ნამდვილად ის არის! აი, „ბუმ-ბუმი“. გაუმარჯოს „ბუმ-ბუმს!“... გამარჯობა, „ბუმ-ბუმს!“.. — მისი ხმა თოფის გაგარდნასავით სჭექდა ოთახში.

იმ დღეს ავადმყოფის სანახავად მოსულმა ექიმმა შენიშნა პატარა ფრანსუას სასთუმალთან ჩამომჯდარი ფერმკრთალი კლოუნი, რომელიც დაუსრულებლად აცინებდა პატარას, თან ნაყენიან ფინჯანში შაქრის ნატეხს უგდებდა და ეუბნებოდა:

— აბა შენ იცი, თუ ამას არ დალევი, „ბუმ-ბუმი“ მეტად აღარ მოვა!..

და ბავშვიც სვამდა

— ხომ გემრიელია?

— ძალიან... გმადლობთ, „ბუმ-ბუმ!“

— ექიმო, ნუ იეჭვიანებთ, მაგრამ ასე მგონია, რომ მისთვის ჩემი გრიმასები უფრო სასარგებლოა, ვიდრე თქვენ მიერ გამოწერილი წამლები!

დედ-მამა ტიროდა, მაგრამ ამჯერად ეს სიხარულის ცრემლები იყო.

... და სანამ პატარა ფრანსუა ფეხზე დადგებოდა, მონმარტზე, ილუმენიების ქუჩაზე, მუშის სახლის წინ ყოველდღე ჩერდებოდა ეტლი. იქიდან გადმოდიოდა პალტოში გახვეული საყელოანეული კაცი, მხიარული, შეპუდრული სახით, რომელსაც შიგნით კლოუნის ფორმა ეცვა.

— რით გადაგიხადოთ, ბატონო? — ჰკითხა ბოლოს ჟაკ ლეგრანმა სახელგანთქმულ კლოუნს, როცა ბავშვმა პირველი ნაბიჯები გადადგა, — ბოლოს და ბოლოს დიდად დავალებული ვარ თქვენგან!

— ხელის ჩამორთმევით, — თქვა მსახიობმა და მშობლებს ორივე ხელი მზურვალედ გაუწონდა, მერე აკოცა ბავშვს ავარდისფრებულ ლოყაზე...

— ჰოო... — გააგრძელა შემდეგ სიცილით,

— აი, ინებეთ ჩემი სავიზიტო ბარათი:

„ბუმ-ბუმი“

ექიმი — აკრობატი

პატარა ფრანსუას პირადი ექიმი.

ფრანგულიდან თარგმნა  
რუსუდან სუციოვილმა



ქართული  
ლექსები

ფედერიკო გარსია ლორკა

### გიტარა

ტირის გიტარა  
განმარტოებით  
და იმსხვრევიან  
ცისკრის რტოები.  
ტირის გიტარა  
განმარტოებით,  
ის არ ჩუმდება  
აღარც დროებით.  
გიტარა ტირის,  
ვერ ახშობს ტკივილს,  
ვით ნაკადული გვალვიან ღამით,  
ვითარცა უწყლო უდაბნო  
ტირის,  
საშველი მაინც არსაით არის.

ტირის, ვით ქვიშა სამხრეთის ცხელი  
მონატრებული თეთრ კამელიებს.  
ტირის, მიმწუხრის ცა აღმაცერი,  
ტირის, მოუხმობს ლურჯთვალა იებს.  
ო, იქვითინე,  
გიტარავ ჩემო,  
ნეტავ, ვის ესმის  
შენი ძახილი.  
არ გაგიკაფონ  
ჩიტების ჩერო  
მკერდში დაჭრილო  
ხუთი მახვილით.

### Memento

როცა მოვკვდე,  
ლიმილმჩენი,  
ჩამაყოლეთ  
თან გიტარა ჩემი...  
როცა მოვკვდე,  
მე ვინატრებ მარტოოდენ  
ფორთოხლის და პიტნის ფოთლებს.  
როცა მოვკვდე მზიან დარში,  
თუკი გნებავთ, ძველი ნავით  
შემაცურეთ გაშლილ ზღვაში.  
როცა მოვკვდე!

### პრელუდია

აღვის ხეივნები მიდიან,  
მაგრამ ტოვებენ ნაცრისფერ რეფლექსს.  
აღვის ხეივნები მიდიან,  
მაგრამ ტოვებენ ქარს და ბორიოს.  
მთელ ცისქვეშეთში თვლემენ ქარები  
და აჯავრებენ ღია ქვაბულებს  
ექოები კი მთებიდან მთებში  
ეხეტებიან უმისამართოდ.  
ციცინათელების კაკაფონია  
შეიჭრა ჩემს ძველ მოგონებებში.  
ძალუმი სუნთქვით ქშენენ ფილტვები  
და გული მკერდში ველარ ეტევა.

### ნოემბრისა და აპრილის სიმღერა

ცა ღრუბლების ფარა  
ჩემს თეთრ თვალებს ფარავს.  
რომ სიცოცხლე აღდგეს,  
მე მათ ვჩუქნი ყვითელ  
ყვავილების ფანტელს.

მაგრამ რაღა მეთქმის,  
რომ თვალებში ცრემლი  
მოჩანს ასე მკვეთრი.  
(ჩემს მხრებს შორის აღვირს  
წყვეტს და ზეცით მიფრენს  
სული ჩემი ლალი).  
აპრილის ცა ფარად  
ჩემს ლურჯ თვალებს ფარავს.  
რომ ჩავუდგა სული,  
მე მათ შევაგებე  
თეთრი ვარდის წნული.  
ჩანს, ბეღია ურჩი, —  
ვეღარ განვაზავე  
თეთრი ფერი ლურჯში.  
(ჩემს მხრებს შუა ფიქრით  
ჩემი სული მიქრის).

ანტონიო მაჩადო

\*\*\*

მოედანზე კოშკი არის,  
კოშკს კი აკრავს აივანი,  
აივანზე ქალი არის,  
ქალი თეთრი ბანოვანი.  
ჩაიარა კაბალერომ,  
იქნებ, რისთვის ჩაიარა?  
ვითომ იყო, ვითომ, არა...  
მერე გაქრა მოედანი,  
კოშკიცა და აივანიც,  
აივანი ბანოვანით  
გაიყოლა კაბალერომ.

არაქი

ბიჭუნას ძილში ესიზმრა ლალი,  
ფაფარდანული მუყაოს ცხენი.  
გამოელვიდა დილისპირს დაღლილს,  
სასთუმალიდა შემორჩა ცხელი.  
ისევ ისურვა ძილი გრძნეული,  
ისევ ესიზმრა ცხენ-ლალი თეთრი,  
ჩაეკრა ფაფარს მთელი სხეულით:  
„ახლა კი ვერსად წამიხვალ-მეთქი“.  
გამოელვიდა, გაუქრა რული,


მაგრამ სად არის ცხენის ფაფარი?  
მხოლოდ მუშტები შერჩა შეკრული,  
თითქოს ეხილოს არაკ-ზღაპარი.  
ახლა ფიქრებმა მოიცვა ბიჭი,  
მიხვდა, რომ ცხენი ესიზმრა მხოლოდ  
და სიზმარ-ცხადის შეტყობის იჭვით  
ალარ ინდომა სიზმარი ბოლოს.  
გამოხდა ხანი, დაკაცდა ბიჭი,  
და შეუყვარდა გოგო მწყაზარი,  
და ჰკითხავს გოგოს, — გულში აქვს იჭვი:  
“ცხადი ხარ მართლა, თუ ხარ სიზმარი?”  
როცა სიბერემ გამოჰკრა ცელი,  
მოხუცს იგივე გულში აქვს ფიქრი  
მუყაოს ცხენიც, მართალი ცხენიც,  
ეს არის მხოლოდ სიზმარი ვრცელი.  
ბოლოს სიკვდილი ეწვია თავად, —  
შენყდა რონინი დღისა და ღამის  
ესეც სიზმარი ეგონა თავადს  
და დღესაც ალბათ ბურანში არის.

ხუან რამონ ხიმენესი  
(ნობელის პრემიის ლაურეატი)

დაო, ჩემო, საყვარელო!

შენ მე მომაპყრობ თვალებს ტირილით,  
(როს ქარი ვარდთა რტოებში დაობს).  
შენ მე მომაპყრობ თვალებს ტირილით  
და მე გეტყვი შენ: „ნუ სტირი, დაო!“  
მარადი ძილი გამიხსენებს და  
მომაკითხავს... შენი ხელები  
შენი ძმის დანამულ შუბლს ეამება, —  
მომიალერსებ, მომეფერები.  
შენ მე მომაპყრობ თვალებს გატანჯულს,  
(გადაუხდელი თან მყვება ხარკი).  
შენ მე მომაპყრობ თვალებს გატანჯულს,  
შენ, დაო, მუდამ იყავი კარგი.  
და შენ მე მეტყვი: „რა მოგდის, ძმაო?“  
და მე თვალებით მინის ფსკერს ვზვერაგ.  
და შენ მე მეტყვი: „რა მოგდის ძმაო?“  
და მე ზეცისკენ მივაპყრობ მზერას.  
ბოლოს ღიმილი გამიხნის ბაგეს,  
(ო, თვალებს შენსას ფითრის ფერი აქვს)  
ბოლოს ღიმილი გამიხსნის ბაგეს  
და მე გეტყვი შენ — „არაფერია“...

ესპანურიდან თარგმნეს  
მანია და ზაურ ჩქვანავეჯმა



მამი უნტი

თბილისი  
გოგონა

### ნეტა მაჩხატიით გამაჩხევინა ზაფხულის ღაფეხი და

„მე სოფელში დავიბადე, ჩემი აზრით, მარტო ხალხი კი არა, ბუნებაც აყალიბებს ადამიანს. ზოგზე ტყე მოქმედებს, ზოგზე ველი, ზოგზე ზღვა. რატომღაც მგონია, ქალაქში ნივთებსაც კი სწყინდებათ, შფოთავენ და ბორგავენ. ხეებზე ეს არ ითქმის, უცვლელნი არიან, როცა მათ ვუყურებ, ხანდახან ეჭვიც კი მეპარება იმ ხალხზე, მე რომ მილიმიან და მეუბნებიან, შენი ნახვა ძალიან გვიხარიაო. დამქანცა თვალთმაქცობამ, გესმით, დამქანცა! ხუთი წლის წინ, სურვილი დამებადა, ნეტა მაკრატლით გამაჭრევინა-მეთქი ზაფხულის ლაჟვარდი ცა. ახლა ასე აღარ ვფიქრობ. რა საჭიროა ექ-

სცესები! მაგრამ თვალთმაქცობამ კი დამქანცა. დროა გამოვაჩინო ჩემი ნამდვილი სახე, ვიყო ადამიანი დედამინაზე“. — ეს სტრიქონები ცნობილი ესტონელი მწერლის, კინოსცენარისტის, რეჟისორის მამი უნტის (1944 წლის 1/1 — 2005 წ. 22/VIII) მოთხრობიდანაა „იქნებ კოსმოსშიც არის სიცოცხლე“ (1967წ.) ავტორი მამინ ტარტუს უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის IV კურსის სტუდენტი იყო, უკვე საკმაოდ სახელგანთქმული, სკოლის პერიოდში დაწერილი „გულუბრყვილო რომანით“, „მშვიდობით, წითურო კატავ“ (ქართულად თარგმნა ნანა ალანიამ). მამი უნტის ეპოქა საბჭოური და პოსტსაბჭოური ესტონეთის საზოგადოების დამსხვრეული იდეალებისა და ხელახლა, თავისუფლების ტალღით აღორძინებული მოვლენებით აღსავსე ეპოქაა. ეს ჩვენთვის, ქართველებისათვისაც, საყურადღებო პერიოდი იყო: კაფკა, ჰემინგუეი, ჯ. მარიანოვიჩი, კ. მარქსი — გვაინტერესებდა, ვეცნობოდით, გვჯეროდა თუ უარვყოფდით. ალბათ, ამიტომ იბმებოდა სულიერი ნათესაობის კავშირები საბჭოთა იმპერიაში შემავალ ახალგაზრდობას შორის. მახსოვს, როგორ გავოცდი იმ სტრიქონების წაკითხვისას, რომელშიც იტყობინებოდნენ, თუ როგორ დაწერა მოსწავლემ რომანი, რომელიც პირველად სწორედ სასკოლო აღმანახ „ტიპტაპის“ ფურცლებზე გამოქვეყნდა. ეს იყო იმ დროის ეპოქის შვილის აღსარება, რომელიც რუსულად თარგმნილი ნავიკითხე 1967 წელს. შემდგომ კი ჩემი ესტონელი მეგობრის ჰელე საარის მეშვეობით პირველი წერილი გავუგზავნე უცნობ ავტორს — მამი უნტს. და, პოი, საოცრებავ, პასუხიც მოვიდა. სამი წერილი შემომრჩა წარსულიდან, სამი შესანიშნავი რელიქვია, ახალგაზრდა ესტონელი ავტორის განწყობილების სახით, რომელიც ძირითადად ლიტერატურისა და ხელოვნების პრობლემებს ეხებოდა. მამი უნტი იმ დროისთვისაც საკმაოდ თავმდაბალი იყო, როგორც მწერალი, ამიტომ მწერს იგი: „არ მიყვარს სიტყვა „მწერალი“. რასაკვირველია, არავითარი მწერალი არა ვარ. თუ „მწერლობა“ პროფესიად იქცევა, უნდა გამუდმებით წერო და წერო, თავში აზრი მოგდის თუ არ მოგდის, ეს სავსებით არასწორია“. (25.V.67).

ლიტერატურას მამისთვის მასკულტურის მნიშვნელობა როდი აქვს. „არაინ მოღვაწენი, რომლებიც თვლიან, რომ ესაა ცუდი, ინდივიდუალისტური ხელოვნება. არა! მე მჯერა, რომ ხელოვნება — ეს უპირველესად შემოქმედებითი პროცესია, კონ-

სტრუქციული პროცესი, მეორე ადგილს იკავებს მჭვრეტელობა, საზოგადოებრივი აზრი და სხვა. კარგ ხელოვნებას ჭეშმარიტად არაფერი აქვს საერთო მასობრივ კულტურასთან“.

მატი უნტს სჯეროდა, რომ ნამდვილ ხელოვნებას შეიძლება არ ჰყავდეს ღირსეული დამფასებელი, რადგან ცოტას თუ შეუძლია ჩანვდეს ჭეშმარიტი ხელოვნების არსს.


აქ უკვე ავტორი უპირისპირდება იმ დროისათვის გავრცელებულ იდეოლოგიას. დამწყებ ავტორს ასეთი გაბედული აზროვნება სიცოცხლის ბოლომდე გაჰყვება. ასევე თავისებურად მსჯელობს იგი ოპტიმიზმსა და პესიმიზმზე. „ჩვენი ეპოქა არის რთული, საშინელი და უიმედო. მაგრამ სწორედ ამ ეპოქაში შეიძლება უკეთ დაინახო მზის ჩასვლა, ზღვა, ყვავილები, ღრუბლები, გვარქარებს იყო მეტი ვიცხოვროთ ჩვენთვის საყვარელი ადამიანებისათვის“. (12.VI.1967).

მატი უნტი თავისი ცხოვრების მანძილზე, ეტყობა, რამდენჯერმე უბრუნდებოდა დაწერილს, აანალიზებს, გაიაზრებს მას ახალი მოვლენების ფონზე. ალბათ, ამიტომაც, რომ ნანა ალანიას მიერ გამოსაცემად მომზადებულ პირველ რომანს იგი უკეთებს სპეციალურ მინაწერს ქართველი მკითხველისათვის. პირად წერილში კი აი რას მწერს: „მშვიდობით, წითურო კატავ!“ დიდი ხნის წინ დაინერა და ბევრი რამ მასში მე სრულიადაც აღარ მომწონს. ახალ ესტონურ გამოცემაში მას მე რამდენადმე შევცვლი. ჩემი აზრით, არასწორადაა დაწერილი ის ადგილები, სადაც საუბარია ეროვნულ საკითხზე. უბრალოდ მაშინ ვიყავი ახალგაზრდა ყვინჩილა!“ მართლაც, რომანის მთავარ პერსონაჟს, აარნეს ალიზიანებს მამიდა იდას თვალსაზრისი თავისუფალი ესტონეთის წარსულზე, მოგონებები მამიდაზე და ეს ჭეშმარიტად გამოწვეულია არა საკითხის უგულვებლყოფით, არამედ თავად პროტესტით იმ დრომოჭმულის, ძველმოდურის მიმართ, რომელსაც მამიდა იდა, მისი ყვითელი სახლი და წითური, ნეზიერა კატა განასახიერებს.

ახალგაზრდობის ამბოხი პირველი სიყვარულის დაბადების, ცხოვრებისეული საკითხების გადაწყვეტისას, მარადიული თემაა და მატი უნტის რომანიც პირველი სერიოზული გამოსვლა, კედლის მსხვრევაა, რომლისაკენაც სხვადასხვა ეპოქაში მიისწრაფოდა მისი ასაკის ადამიანთა უმრავლესობა.

რუსული თარგმანის ბოლოს, კრიტიკულ წერილში რუსი მკვლევარი ვ. არხიპოვი აღნიშნავს: „ბრძოლას იგებენ ერთხელ, სა-

მომავლოდ კი უამრავი ახალი და უფრო რთული ბრძოლაა მოსალოდნელი“. ეს არაა მარტოაღენ ფრაზა. მატი უნტის რომანი მძიმე და რთულ ბრძოლაში მოგებული პარტიაა, რასაც სხვაც მოჰყვება. მაგრამ მაშინ ის არ იქნება გულუბრყვილო, უიარაღო ყმანვილი, როგორც იყო აარნე მამიდა იდასთან ბრძოლის დასაწყისში... უბრალოება, უშუალოება და თხრობის უმარტივესი ფორმა, აი, რით გამოირჩევა მატი უნტის რომანი, რომელშიც ყოველ ნაბიჯზე მთავარი პერსონაჟის ცხოვრების რთული პერიპეტები მოგველოდება...“



„მეშჩანობის, ობივატელშჩინის, მესაკუთრის ფილოსოფიის წინააღმდეგ მატი უნტმა თქვა თავისი გაბედული, ძლიერი სიტყვა. მას გაუგებს ჩვენი ახალგაზრდობა და თავის კეთილ მარცვალს აღმოაცენებს“.

თუმცა ვ. არხიპოვს (საბჭოური პერიოდის მკვლევარს) ჩვენ ბევრ რამეში ვერ დავეთანხმებით, ცხადია, მატი უნტმა თავის დროზე თქვა ის, რაც შეიძლება ახალი თაობის ყველა წარმომადგენლის გულისნადები იყო.

მეორე მოთხრობაც „იქნებ კოსმოსშიც არის სიცოცხლე“ ამ პრობლემების გაგრძელებაა, „რატომღაც დედაენაში დახატული სურათი დამიდგა თვალწინ. ამ სურათზე მამა გაზეთს კითხულობს, დედა – წიგნს, ბაბუა უსმენს რადიოს, ბებია წინდას ქსოვს, ბავშვები კი თამაშობენ. ღამეულ ქალაქში

ათასი ბინა მეგულება და ამასთან ყველა ოჯახის მამა კითხულობს სტატიას „საფრანგეთის პარლამენტში“, ყველა დედას ხელში უჭირავს წიგნი „ცხოვრება და სიყვარული“, ყველა ბაბუა სიმღერებს ისმენს რადიოთი, ყველა ბავშვი მონითალო და ლურჯზოლებიან ბზრიალას ატრიალებს. მერე უცებ რომელიმე შეკრთება, სარკმელს მივარდება და გამოაღებს. იგი გრძნობს, რომ იწურება სიცოცხლის უამი და იქნებ რაღაცის ნამონყებაა საჭირო, იქნებ უნდა შესძახოს ყველას, ვინც კითხულობს, ქსოვს, უსმენს და თამაშობს: გამოაღეთ ფანჯრები, გავიცნოთ ერთმანეთი, ღამე ჩამონვა – ! რატომ არ ყვირის? ირგვლივ სიჩუმეა“, – ამბობს მოთხრობის მთავარი პერსონაჟი – ენი. მართლაც, ასეა ახალგაზრდობისათვის, რადგან მყუდრო ცხოვრების მდუმარება უხშობს აბორგებულ გულის ძგერას. ამიტომ იყურებიან მათის პერსონაჟები ცისკენ, იქნებ ოდესმე, ახლა, ჩვენს ქუჩამდე, ჩვენს სახლამდე, ჩვენს ტელევიზორამდე მოვიდეს კოსმოსიდან ნამოსული სიგნალი. ამიტომ ფხიზლად უნდა ვიყოთ, არ გამოგვრჩეს იგი, რომელიც რამდენიმე საუკუნეში, რამდენიმე მილიონ წელიწადში ერთხელ აკიაფდება ცისფერ ეკრანზე...

მატის შემოქმედება ამ ორი ნაწარმოებით არ შემოიფარგლება. მას ეკუთვნის რომანები „ვალი“, „საშემოდგომო მეჯლისი“,

ფილმის „ნაპირზე უნდა გადმოვიდე“ (1973) სცენარი, ასევე სცენარები მხატვრული ფილმებისათვის, „ისინი თვრამეტნი იყვნენ“ (1966), „შუადღის ბორანი“ (1967), „სიგიჟე“ (1968), „სიკვდილის ფასი ჰკითხე ცოცხალთ“ (1978), „თავგადასავლის მაძიებელი“ (1983), „ასი წლის შემდეგ, მაისში“ (1987), „რეგინა“ (1990), „მოკარნახე“ (1993).



სამსახიობო როლები ფილმებში: „ანდრესის სიცოცხლე“ (1955), „ალმარათი“ (1989), „დავიღალე სიძულვილით“ (1995) და სხვა.

ცნობილი პოლონელი დრამატურგის, სლავომირ მორჟეკის „ტანგოს“ რეჟისურა ესტონეთის დრამის თეატრში და სხვა მრავალი სატელევიზიო დადგემა თუ წარმოდგენა – მათი უნტის შემოქმედების ფართო დაიპაზონის მაჩვენებელია.

და მაინც ესტონეთის მშვენიერი ბუნება მხატვრის, კრისტიან რაუდის გრაფიურებში: „რაუნდი – საუკუნის პირველი მეოთხედის ეროვნული რომანტიკის გამომხატველია... შესანიშნავი ესტონელი გრაფიკოსი“ – მწერს მათი უკანასკნელ წერილში, რომელიც 1976 წელს გამომიგზავნა და მირჩევს: „უყურე ვარდებს და იცხოვრე, როგორც ისინი“.

მატი უნტი მის საყვარელ თვეში – აგვისტოში გარდაიცვალა, ტალინის საავადმყოფოში...





ნოდარ  
დუმბაძე

### ქართული სახვან ჯიხის სისოსხიან

„ასე მამლი დაეცალოს მუხასაო“, თქვა და შესვა სამშობლოს სადღეგრძელო მთასავით კაცმა. მერე ღიმილით გადმოგვხედა და დაცლილი ჯამი ისეთი სიფრთხილით დადო მაგიდაზე, გეგონებოდათ, ეშინია ვეება ხელში არ შემომემსხვრესო. უცებ სკამიდან ასაფრენად შეიმართა, დასჭყეა ტაში და საცეკვაოდ გაშალა ხელები.

ნამში სუფრა გარდაიქმნა, ზოგმა სკამი დოლად აქცია და საცეკვაო რიტმით გაახურა, ზოგმა დანები და ჩანგლები აანკარუნა... აცეკვდნენ მესხი დევკაცის ხელები, თითოეული ჟესტი, თუ პოზა პლასტიკისა და რიტმის სილამაზეს ძერწავდა. ირხეოდა იგი საოცარი ტემპერამენტითა და აღმაფრენით... კი არ როკავდა, თვით ცეკვა იბადებოდა მის სხეულში.

• ცეკვავდნენ მხრები, მაჯა, თითები, რაინდული ღიმილი სალხინოდ დასთამაშებდა სახეზე და იქმნებოდა გასაოცარი მირაჟული განცდა, თითქოს ცეკვავდნენ ჭიქებიც, ბოთლებიც, სკამებიც, მაგიდაც... ცეკვავდა ყველა, ვისაც შეეძლო და არ შეეძლო.

...და მე ვკითხე ჩემ გვერდით მსხდომთ — რა ძალა აჩერებს ასეთი ტემპერამენტის ვაჟკაცს, სკამს რომ ვერ მოსცილებია-მეთქი.

— მარუხთან ბრძოლებში ნაღმი აუფეთქდა და ორივე ფეხი ძირშივე აქვს წარკვეტილიო, — მიპასუხეს.

ღმერთო, ძლიერო! აბა, რა ძალა გადაავარებს ერს, რომლის გენის ფენომენს შეუძლია, ფეხებწარკვეტილიც კი სალხინოდ აცეკვოს? ეს ხომ სულის უკვდავებაა, სისხლის ყივილი, საუკუნეთა გამოძახილიცა და იმედიც.

ამბობენ, ცეკვის ენა უძველესიაო. იქნებ ასეც იყოს, მაგრამ მთავარი მაინც ის ღვთიური საიდუმლოა, რომელიც გამთლიანებული აზროვნების ქართულ, ოაზისისებურ უნიკალურობაში იბადება. მაგალითისთვის ავიღოთ, თუნდაც, მუსიკის უმნიშვნელოვანესი ელემენტის, ბგერის საყოველთაო განმარტებები:

1. დრეკადი სხეულის რხევა;
  2. ყელის იოგების ვიბრაციით მიღებული ხმოვანი ასო;
  3. ქუხილის ხმა;
  4. სტვენა, ხმაური;
- და სხვა ამდაგვარი.

ქართველთა განმარტებით კი ბგერა ფეხის ცემით აღმოცენდება. ამგვარად, მუსიკალური ინტონირების ეს მეტყველი ტერმინი ჩვენში საცეკვაო-საფერხულო მნიშვნელობას იძენს.

„ბგერება — ფერხის ხმიანობა“, „ფერხისი“ — მრავალთა მობმით როკვა, ბასტი — როკვა ფეხის ცემით, „ბგერა — ფეხის სვლის ხმა“, — ვკითხულობთ სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში. ახლა ზემოთ თქმულს დავუმატოთ კიდევ ერთი განმარტება: „ხორხი“ არის მკერდის კერძი ნაწილი ყელისა, სადა ამოდის ხმანი სამუსიკონი“. ამგვარად, სიტყვაც სიმღერაა, ლექსიც მუსიკაა, ლოცვა ხომ ამღერებული გულისთქმაა. ასე რომ, „ბგერასა“ და „მუსიკობაში“ ქართული ფერხულის ჰარმონიაა ახმიანებული. სწორედ ამიტომ, ქართველისთვის როკვა მხოლოდ ყოფიერების გამლამაზებელი ჩუქურთმა როდი იყო, მასში წუთისოფლისა და საკუთარი რაობის გაგებაც იგულისხმებოდა.

ცეკვასთან დაკავშირებით, თანამედროვე მსოფლიო ფოლკლორისტიკა დღეს კვლევას

წარმართავს სამი ძირითადი მიმართულებით:

1. უძველეს ნაკეთობებში, ფრესკებზე, კედლებზე და ქანდაკებებზე დაფიქსირებული სოლო საცეკვაო ან საფერხულო პოზა-სახოვნებისა და კომპოზიციის დეტალური ანალიზი (მნიშვნელობათა ფიქსაცია ეთიკურ, ეტიკურ, ემიკურ ქრილში);

2. მუსიკალური (თანხლება) ინსტრუმენტების, რიტმიკის, კილო-წყობის და მელოდიის ტიპოლოგიის ანალიზი (თუნდაც ჰიპოთეზური);

3. ჩვენი პლანეტის სხვადასხვა კუთხეში იმ ტომთა ცხოვრებისა და რიტუალების ანალიზი, სადაც ჯერ კიდევ შემორჩა უძველესი ცივილიზაციებისთვის დამახასიათებელი უმარტივესი ნიშნები და ფორმები.

მაგალითად, წინასაფერხულო უძველეს სახეობებთან დაკავშირებით შექმნილია დოკუმენტური ვიდეოფილმები. გადაღებული მასალიდან ყურადღებას იპყრობს ამაზონის ტერიტორიაზე მცხოვრებ ტომთა უადრესი თხრობითი სტილის ორი რიტუალური ნიმუში:

1. მონადირეთა შეხვედრა, რომლის დროსაც პანტომიმა-ცეკვით ისინი ერთმანეთის მიმართ კეთილგანწყობილებას გამოხატავენ;

2. მონადირე-მზვერავის შეხვედრა თავის ტომელებთან. რიტუალი გარეგნულად ფერხულს წააგავს. მონადირე-მზვერავი ნანახ ცხოველს მოძრაობითა და ხმით ბაძავს, ტომელები კი ნადირის შეპყრობის სცენას განასახიერებენ. ყოველი მოძრაობა დასარტყამი ინსტრუმენტის, ან ინსტრუმენტების ნყვეტილი ხმების თანხლებით სრულდება.

ქართულ სამონადირო ფერხულებს მხოლოდ ცალკეული ნაბაძვითი ფორმები შემორჩათ, მაგრამ ისინი მდიდარი მუსიკალური ინტონირებითა და ჰარმონიით გამოირჩევიან. მათი სახეობებიდან შეიძლება გამოვყოთ ორი ტიპოლოგიური ფორმა:

1. თეატრალურ-სახეობითი (სამონადირო ალეგორიებით);

2. კომედიურ-საშაირო შოუ.

პირველ ტიპს მიეკუთვნება „დათვის ფერხული“. იგი ორიგინალურად იყო გადაწყვეტილი: სოლისტი „დათვი“ და მონადირეები „ფერხისელები“. გარეგნულად რიტუალი ლახტის თამაშს წააგავდა. დათვის ამოცანა იყო მონადირეებისგან თავი დაეცვა და თუ ვინმეს ხელში ჩაიგდებდა, „დაებეგვა“ და დათვობის როლი გადაელოცა.


„ფერხისელების“ ამოცანა იყო „დათვისთვის“ ფეხი ჩაეყოფინებინათ თოკის ხაფანგში. შემდეგ „მშვილდი ესროლათ“ (საცეკვაო

პანტომიმა), „შუბი ეძგერებინათ“ (საცეკვაო პანტომიმა). სამწუხაროდ, ფერხულის ეს სახეობა პრაქტიკულად უკვე მივიწყებულია. სამაგიეროდ, ჯერ კიდევ სრულდება კომედიურ-სახეობითი „დათუნაობა“. აქ გვხვდება საინტერესო საშაირო ფორმაც: „აბა, ჩამოუარეო“, ნაუმღერებენ დათუნიას, „აბა, ცოლი მოძებნეო“ და დათუნიაც საფერხულო წრეს არღვევს „ლამაზი გოგოს“ წამოსაყვანად, არის სიცილი და მხიარულება. მგონია, დღესაც გაგვიძნელებს ესოდენ სახალისო და სახუმარო-სათამაშო შოუს შექმნა. ქართველებს, თურმე, ჰქონიათ სამონადირო ფერხულები „ტახისა“ და „ტურების“ მონაწილეობითაც კი.



ნახ. ლ. გუდიაშვილისა

დღეს ძნელია აღდგენა იმ პოზების, მოძრაობებისა და კომპოზიციებისა, რომელიც უძველესი ქართული ხელოვნების ყველაზე ადრინდელ პერიოდში ჩაისახა და მაინც, სამარხში ნაპოვნი განძები ზოგჯერ საშუალებას გვაძლევს, ხალხური როკვის ზოგიერთ თავისებურებაზე მაინც ვიქონიოთ მოტივური წარმოდგენა. მაგალითად, უამთა „კიდობანმა“ შემოგვინახა უნიკალური თასი, რომელიც თრიალეთის არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოაჩინეს. ჩვენს წელთაღრიცხვამდე, თითქმის, მეორე ათასწლეულის ნივთზე გამოსახულია ფერხული-მისტერია. მიუხედავად იმისა, რომ უძვირფასეს განძზე ვხვდებით ხეთურ-შუმერული და ეგვიპტური ხელოვნებისთვის დამახასიათებელ სხვადასხვა დიზაინურ ელემენტებს, იგი მაინც ქართული თავისებურებების მატარებელია. მაგალითად, მეორე ტიპის ქართული ფერხულისთვის დამახასიათებელი იყო ორპირული გუნდის ურთიერთსაპირისპირო მოძრაობა. I და II გუნდი ერთმანეთს ცენტრთან ხვდებოდა, ხოლო I და II მთქმელი პარალელურად დგებოდა და პანტომიმით სიუხვის თასს „ცლიდა“. თრიალეთის თასზეც ქურუმები და ირმები ურთიერთსაპირისპიროდ მოძრაობენ.



ცენტრში სამსხვერპლოსთან კი ორი ზვარაკი პარალელურად არის გამოსახული. „მიმავალი“ დედალ-მამალი ირმები ნაყოფიერების სიმბოლოა, ხოლო სიუხვის ღვთაება სიცოცხლისა და უკვდავების სასმისით დაილოცება, რაც ასევე შესანიშნავად არის თასზე გამოსახული.

საერთოდ, ფერხულების უძველესი ფორმებიც, დროთა განმავლობაში, ახალი ელემენტებით მდიდრდებოდა. დღევანდელი გადასახედიდან, ამ, ერთი შეხედვით, შეუმჩნეველი ევოლუციის ფიქსაცია, ცოცხალ პრაქტიკაში, შესაძლებელია მხოლოდ ჰიპოთეზების სახით. საბედნიეროდ, უძველესმა სამარხებმა განვითარების ტიპური ტენდენციებიც შემოგვინახა, რომელთა შემწეობით, მეცნიერულად შეიძლება დავადგინოთ ქართული ხელოვნების განვითარების ეტაპები. მაგალითისთვის, წამიერად შევჩერდეთ ბრინჯაოს კვერთხზე, რომელიც სტეფანწმინდის სამარხიდან არის აღებული. ამ ძეგლში ყურადღებას იპყრობს ორი მხარე: 1. ჩაცმულობა და დიზაინის ცალკეული ელემენტები, რომელთაც, ხშირად, მიგრაციულ კულტურათა ნიშნები აქვთ და, ისტორიული თვალსაზრისით, სახელმწიფოთა ურთიერთობებისა და გავლენათა წყაროებზე მიგვითითებენ. სამწუხაროდ, მეცნიერების კვლევის ცენტრში ისტორიზმის ეს მხარე, ხშირად, მთავარ წყაროდ მოიაზრება. მაგრამ არის ხედვის მეორე მხარეც, რომელიც კომპოზიციაში თვითმყოფად ელემენტებს ეძებს.

ხსენებულ ნაკეთობაში სწორედ ამ მეორე ხედვით ისმება შემდეგი კითხვები:

1. ღვთაების დგომის პოზა რატომ არის ნახევარკალისებრი?
2. რატომ დგას ღვთაება ხარის მეცხრე წყვილ რქაზე?
3. კომპოზიციის სამი ვერტიკალიდან თითოეული რატომ მთავრდება ზარით?
4. რატომ უჭირავს ღვთაებას კვერთხი მარცხენა ხელში? და ა.შ. (ეს სიმბოლოები მჭედელთა რიტუალით არ შემოისაზღვრება).

ქართველები, ნაყოფიერებასთან დაკავშირებით, უპირატესობას მთვარის კულტს ანიჭებდნენ. თვით გაზაფხულის დღესასწაულებზეც კი, ერთ-ერთი რიტუალი სავსე მთვარის საკულტო ფერხული იყო. ბუნებრივია, რომ მთვარის ფაზებსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა, ახალი მთვარის მცირე რკალს მერყეობისა და ქონების გაფანტვის საშიშროებად მიიჩნევდნენ. მას „დამპლის კვირასაც“ კი ეძახდნენ, რადგანაც იმ პერიოდში ჩაყრილი თესლი შეიძლება დამპალი-

ყო, მოხარშული მურაბა „ადუღებულიყო“, ობი გასჩენოდა და ა.შ. ნახევარმთვარე, პირიქით, სიმყარის ნიშანი იყო და თუ ფერხულის ცენტრში „ნამყვანი“ ნახევარმთვარის პოზით ფეხებს ნახევარკალად განალაგებდა, ეს ცხოვრების მდგრადობის სიმბოლოდ აღიქმებოდა. შემდგომში მას გუმბათოვან დგომასაც უწოდებდნენ, თითქოს გუმბათივით იფარავდა მოსავალს და მთვარესთან აჰქონდა „ფერხისელების“ შეთხოვნა.

გარდა ამისა, მდგრადი ვაჟკაცური დგომა ფერხულში მამრის ფუნქციასაც აძლიერებდა და მის წინამძღოლობასაც მნიშვნელოვან დატვირთვას მატებდა, როგორც ეს ნივთზეა გამოსახული.

ქართველთათვის ცხრა რიცხვსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან იგი იტევდა ორ მოდულს: ოთხს, როგორც სიმყარეს და ხუთს, როგორც სიცოცხლის ინერციას, როგორც ლტოლვას სიბხლისკენ (ცხრათვალა მზე, ცხრანყარო, ცხრაძმა, „ცხრა მთა გადაიარა“ და ა.შ.). ქართული მუსიკალური სისტემაც ერთადერთია მსოფლიოში, რომელიც 9 ბგერისგან შედგება და ორმაგი მოდული (5+4) ანუ (კვინტა-კვანტა) აქვს, ამგვარად, ცხრა წყვილი რქაც ქართულ ქვეცნობიერებაში დაბადებული პულსით არის ნაკარნახევი. ქართველებს შესანიშნავი სიტყვა გვაქვს – სამარე, რომელიც ჩაკეტილობის უმაღლეს მეტაფორას წარმოადგენს. იქ იკეტება ბედიცა და იმედიც.



ნახ. ლ. გუდიაშვილისა

გავიხსენოთ ნიკოლოზ ბარათაშვილის გენიალური „მერანი“: „გასწი, მერანო, შენს ჭენებას არ აქვს სამზღვარი“. აქაც ქვეცნობიერად ჩადებულია სამი ზღვარი, რომლის გადალახვა ბარათაშვილის მერანს ძალუძს... და ახლა გავიხსენოთ, ვახტანგ მეფეს რომ „ციდან ჩამოესმა რეკა“, სწორედ ღვთიურ ზარს შეუძლია ნამდვილად გადალახოს ზღვა-



რი შეუძლებლობისა. სამი არე, სამი ზღვარი, სამი კომპოზიციური ვერტიკალი, როგორც შეთხოვნა და სამი ზარი იმედის აღსრულებისა. სწორედ ეს ნიშნები ამყარებენ ქართული აზროვნების იმ მუდმივ ღირებულებათა მოტივებს, რომელთაც უამთა გრიგალებმაც ვერაფერი დააკლო და ეს ზარებიც უამზე გამარჯვების სიმბოლოა. რაც შეეხება მარცხენა ხელში კვერთხის ჭერას, მე პირადად, მქონდა ბედნიერება, შევსწრებოდი „მთვარეზე მკურნალობის“ რიტუალს. სავსე მთვარის შუქზე მისტიკოს მკურნალს შუა ეზოში, გამოყვანილი ჰყავდა არტახებიანი ავადმყოფი. მას მარცხენა ხელში ეჭირა სამკურნალო სასმისი, როგორც სიცოცხლის წყარო და ავადმყოფის გარშემო საოცარი ადგზნებით ცეკვავდა. მარცხენა ხელი ხომ გულისა და კოსმოსის ურთიერთობის „ანტენა“ გახლდათ. ბუნებრივია, რომ იმდროინდელ ქართულ ნაკეთობაშიც ღვთაებას სწორედ მარცხენა ხელში უნდა სჭეროდა რაიმე სიმბოლური საგანი, ხოლო მამრის ძლიერება კიდევ უფრო ხაზგასმული ხდებოდა ღირსებისა და გამორჩეულობის სიმბოლო – კვერთხით. ასევე, ბუნებრივია, მოსავლიანობის დაკავშირება მთვარესთან, ზოგიერთი მაღალი მგრძნობელობის ადამიანი ვერცხლზე მთვარის ანარეკლზე „მკითხაობდა“ კიდევ (აქაც, მეტალურგია ნაყოფიერებასთან გადაძახილშია), განსაზღვრავდა მომავალი გვალვის თუ წვიმის პერიოდებს. თესვისთვის არასასურველ დღეებს. ამიტომ, ზოგიერთ ფერხულში მთვარის ფაზები შესატყვისი მელოდიურობით და სიხალისითაც გამოირჩეოდა. საინტერესო იყო ისიც, რომ ქართული სამხმიანი აზროვნების კილო – ჰარმონიულ ტიპოლოგიაში მთვარის ფაზებივით იბადებოდა ერთხმიანი, ორხმიანი და სამხმიანი ფერხულები. ამგვარად, ერთხმიანობა იქ უანრის ბუნებით იყო გადაწყვეტილი და არა ერთხმიანობის მუსიკალური აზროვნებით.

ისტორიამ დღემდე შემოგვინახა ნაყოფიერების ისეთი ბრწყინვალე სარიტუალო ნიმუშები, როგორიცაა მეღია-თელეპია, საქმისაი, მწყობრი და სხვა. რაც შეეხება უშუალოდ მთვარის საკულტო ფერხულებს, ძალზე განსხვავებულებია (ალბათ, რამდენი სოფელიცაა, იმდენია ფერხისა).


სვანეთში მე ვნახე თეატრალიზებული ფერხულის უნიკალური ფორმა. მისი კომპოზიცია იყო ამგვარი: ა) მცირე რკალი –ახალი მთვარე; ბ) ნახევარი რკალი; გ) „სავსე მთვარე“, როგორც უკვე ორსართულიანი ფერხული; დ) სოლო ცეკვები, ცეკვა შეჯიბრი; ე) კვლავ „სავსე მთვარე“, რომლის დრო-

საც მზე ამოიწვერა და მთვარის ფერხულის მელოდია მზის ამოსვლის ჰიმნმა – ლილემ შეცვალა. „უსიყვარულოდ მზე არ სუფევს ცის კამარაზე“ – გალაკტიონის პოეტურ მძივებად ჩაიბნა სვანური სამოთხის ხეობაში. მზე იყო მთელი ამ საკულტო წარმოდგენის ფინალი, როგორც სიყვარულისა და სიცოცხლის უკვდავება.



ნახ. ლ. გუდიაშვილისა

ქართველებს გვექონდა წინასაფერხულო უძველესი ფორმაც – „სულზე დატირება“, ეს იყო ქურუმთა პირველი პირის „გამგზავრება“ იმქვეყნიურ „სოფელში“. მიზანი ამ გამგზავრებისა გახლდათ რომელიმე კონკრეტული მიცვალებულის სულის მონახულება, გაგება, იქ როგორ არის და ამბის უკან ჩამოტანა წუთისოფელში. ამის მსგავსი რიტუალი ტიბეტელებსაც აქვთ, ოღონდ იქ „მოგზაური“ განსაკუთრებული შეგრძნებების ადამიანია და მის მოგზაურობას დამატებით ხელს უწყობენ სპეციალური მათრობელა ბალახის ბოლის სუნით, დასარტყამი ინსტრუმენტების ძილისმომგვრელი ხმოვანებით, იდუმალი შრიალისა და ჩუმი გადაძახილების მონოტონური რიტმით. „მოგზაურის“ მიზანია სულისგან გაიგოს, ხომ არ დამალა წარსულში ქონება, და თუ დამალა, მას სთხოვენ, რომ ოჯახის უახლოეს წევრებს ამის შესახებ შეატყობინოს. ქართველები სულს ამგვარი თხოვნით არ აწუხებენ. პირიქით, მის სახელზე ზვარაკიც კი შეიძლება გამოზარდონ. მუსიკალური ხმოვანება კი ჩუმი ღიღინით



მიიღება, სადაც თანხმობანთა უჩვეულო გამ-  
ლერება ხდება. ამ რიტუალის კოლორიტის  
ბაზაზე დაიბადა ლეგენდა სულის ხსოვნისა  
და ხსოვნით გავსებული ღვინიანი დოქის შე-  
სახებ. მთის ფოლკლორში კი მთიბლურების  
ჟანრი, ზოგჯერ შრომის სიმღერისა და სუ-  
ლის მოსახსენიებელი დატირების სინთეზია.

„სულზე დატირებას“ უპირისპირდება და-  
ლაობა. თუმცა ეს საფერხულო სიმღერა ერ-  
თხმიანია, მაგრამ აქაც მთქმელისა და გუნ-  
დის შენაცვლებით იქმნება ორპირული გუნ-  
დის იმპროვიზირებული კომპოზიცია. რატუა-  
ლის დედააზრი სულის უკვდავებაა, და იგი,  
ფაქტობრივად, თეატრალური მრავალმოქმე-  
დებიანი სცენებით გამოირჩევა, აქ გვხვდე-  
ბა მხედართა შეჯიბრებაც, მიცვალებულის  
გახსენებაც, დატირებაც, ერთი სიტყვით, ნამ-  
დვილი სპექტაკლია ღია ცის ქვეშ.

საერთოდ, ერის ისტორიას ქართული  
ცეკვა განცდათა კალენდარივით გასდევს  
თან. აბა, რამდენი სიმწარე და ცხოვრები-  
სეული ქარტეხილები უნდა დასტეხოდა ქარ-  
თველს, რომ მიწის ბარაქისთვისაც კი ჭირ-  
ნახული (ჭირი-ნახული) შეერქმია. ამიტომ  
ჩვენს ფოლკლორში დიდი ადგილი უჭირავს  
საომარ რიტუალებს, ფერხულებს, ცეკვებს.  
ასეთებია, აჭარული ხორუმი, საომარი ფერ-  
ხისები მთიულეთში, ფშავში, ხევში, ხევსურ-  
ეთში... ხანჯლური დუეტები, ანსამბლები,  
ხმლებით შეჯიბრი და სხვა. მაშინაც კი, რო-  
ცა რელიგიური ტექსტი, ან წმინდანის ხსე-  
ნება გვხვდებოდა საომარი განწყობის ფერ-  
ხულში, ტექსტი და სიმღერა დინამიკის სიმ-  
ძლავრეს მაინც არ ჰკარგავდა. მაგალითად,  
ხევსურულ ფერხისულაში: „ცხენს იჯდა წმინ-  
და გიორგი, ლურჯასა გახელებულსა“. თვით  
ტექსტის „გახელებულსა“-ს დინამიკაა გამო-  
ყოფილი და შორეულ გადაძახილშია დიდგო-  
რის ბრძოლასთან, სადაც ურიცხვი მტერის  
წინააღმდეგ წმინდა გიორგის სახება მიუძღ-  
ვოდა ქართულ ლაშქარს.

ქართველებს კი იმდენი ბრძოლა გადახ-  
დათ, რომ მათ ცნობიერებაში მოთხოვნილე-  
ბად დაიბადა ომის განცდის შემსუბუქება,  
ამის შესანიშნავი მაგალითია ბერიკაობა და  
ყეენობა. თეატრალური იმპროვიზაციების ამ  
გასაოცარ კალეიდოსკოპში იმდენი ხალხური  
იუმორია, რომ ნებისმიერი ქვეყნის კომედიის  
თეატრს შეშურდება. აქ ყველა ხერხია გამო-  
ყენებული: კაცის ქალად ჩაცმა, ბრიყვთა დუ-  
ეტიც, ხის ხმლების ტრიალიც, ყეენტა ვირ-  
ზე უკუდმა შესმაც და სხვა მრავალი... რას  
იზამ, ქართველის დამძიმებულ ცხოვრებას  
იუმორი თუ გაახალისებდა.

ზოგჯერ ასეთი სახუმარო განწყობილე-

ბა გაზაფხულის სარიტუალო ფერხულებშიც  
გვხვდება. მაგალითად, მისტერია – „დათვბე-  
რიკობა“ – ფერხისულთა წრეში წვებოდა  
დათვისტყავმოსხმული ბერიკა. იგი თავს მო-  
იმძინარებდა, ფერხისულთა სიმღერა დათუ-  
ნიას ნელ-ნელა აღვიძებდა, ფერხულიც ხა-  
ლისდებოდა და ისეთი ტემპერამენტით იწყე-  
ბოდა როკვა, გეგონებოდათ დათვმა კი არა  
მთელმა ხეობამ და მთებმა გაიღვიძესო.

იუმორით იმღერება ისეთი საყოფაცხოვ-  
რებო ჟანრის ფერხულებიც როგორცაა „ფა-  
რინა“, „ქალსა ქმარი“ და სხვა.

სხვათა შორის, ქართველებს აგრეთვე  
გვქონდა ისეთი ფერხულები და ცეკვები,  
რომელთა შესრულება დღეს ზოგიერთებს  
აფიქრებინებს არიქა, ევროპელები გავხდით  
და ყურადღება მოგვაქციეთო! არადა, ჩვენს  
წელთაღრიცხვამდეც კი ისინი განსაკუთრე-  
ბულ შემთხვევაში და გარკვეულ ადგილებ-  
ში სრულდებოდა. ქართველთა მაღალმა ეს-  
თეტიკურმა მოთხოვნილებებმა და სულიერ-  
ი აღზრდის მაღალმა ფორმებმა, საოჯახო  
კულტურის შინაგანმა მომთხოვნელობამ ეს  
სახეობები იშვიათობისა და მივიწყების სკივ-  
რში გადამალა, აი, ისინიც:

1. ფერხული – მელია ტელეფიას საშაი-  
რო ფორმა: შაირობისა და ცეკვის დროს შემ-  
სრულებელი თანდათან იხდიდა ტანსაცმელს  
ისე, რომ ფაქტობრივად, ეს იყო არქაული  
„სტრიპტიზი“.

2. სილოდა – „როკვა, მასხარაობა სამე-  
ძაო ტრფიალებათა აღმძვრელი“, რომელსაც  
სიმღერაშიც უწმანური სიტყვებით ამკობ-  
დნენ.

3. ლაციცობა – „ხელით აშიკი“, ცეკვის  
დროს ხელით მინიშნება აღგზნების ადგილებ-  
ზე და სექსუალური მიხრა-მოხრით თამაში.

4. ადრეკილა, – დაახლოებით ისეთი, რო-  
გორც ლაციცობა, ოღონდ შეხტუნებითა, „ჩა-  
კუკებით“ (მიხრა-მოხრის გარეშე).

იქნებ, ამ ჩამონათვალმა ზოგიერთი მა-  
ინც დაარწმუნოს, რომ ევროპელობა ქცევა-  
თა გაშიშვლებულ, თავისუფალ მოთხოვნი-  
ლებათა წარმოჩენას არ ნიშნავს, თორემ ამ  
თვალსაზრისით ჩვენ მრავალი საუკუნის წინ  
ევროპასაც ვუსწრებდით, თუმცა იმდროინდე-  
ლი ჩვენი კულტურა ამას მაინც მაღავდა,  
რადგან ხორცის სიშიშვლე ქართულ რაინ-  
დულ ბუნებას ვერ ეგუებოდა.



დაბოლოს, ქართულ ფერხულებს შორის  
განსაკუთრებულ ადგილზეა ქალთა ფერხუ-  
ლები: დედაკაცების ფერხული, ხუნტრუცი,  
კვანწვა, გოგმანი და დედაკაცების ლაშქრუ-  
ლი. საინტერესოა, რომ ხუთივე ფერხული  
ჟანრულად კონტრასტულია და ამავე დროს,

ქალთა ცეკვის მშვენიერ, ერთიან თაიგულად იკვრება. დედაკაცების ფერხული „იმა მთა-ზეო“, იანანას ტიპის მელოდიაზეა აგებული, მაგრამ ტექსტი იუმორით არის აღსავსე. აქაც დათვის ალგორითული სახე ხელს უწყობს ტექსტის იუმორისტული განწყობით გაგებას. ხუნტრუცი ქალთა ისეთი ცეკვაა, სადაც ვაჟთა ცეკვის ცალკეული მახასიათებელი ილეთი-ელემენტები გამოიყენება. მათი ჰაეროვანი სამოსი და შესრულება ვაჟურ მოძრაობებთან ისეთივე კონტრასტს ქმნის, როგორც დედაკაცების, ფერხულში ნაზი ნანასებური მელოდია და იუმორით აღსავსე ტექსტი. „კვანწვა“-ში ქალური პლასტიკის იუმორია, მოცეკვავეები „იპრანჭებიან“, სხეულის მოქნილობით სურთ მაყურებლის მოხიბვლა, ნამდვილი შოუა! „გოგმანი“ – ქალთა ნარნარი ცეკვაა. აქ მართლაც რომ ჰარმონიაა ჰაეროვანი ტანსაცმლის, მუსიკისა და ცეკვის პლასტიკისა. აი, „დედაკაცების ლაშქრული“ კი სრული დაპირისპირებაა „გოგმანთან“. ჩემი სტუდენტობის პერიოდში „ფოლკლორული მოგზაურობების“ დროს მოხუცებისაგან გამიგია, რომ დედაკაცების ფერხულში ქალები კაცურად ცეკვავდნენ და ზოგი კაცურადაც იცვამდა. ისინი თითქოს ახალისებდნენ ომში წამსვლელებს — თუ მტერი სიმრავლით შემოგიტევთ ჩვენც მოგეშველებითო. ზოგი მოხუცის მონათხრობით ეს ფერხული სახუმარო ხასიათისადაც კი ყოფილა. თურმე მამაკაცად ჩაცმული ქალი ფერხულის ცენტრში დგებოდა და ქალური სინაზით ცეკვავდა, ანუ მშიშარა მამაკაცს დასცინოდა, მის გარშემო კი ქალები მამაკაცური, მკვეთრი, უხეში მოძრაობებით, ცენტრში მდგომს ფერხულის ენაზე ეუბნებოდნენ: კაცებო, თუ თქვენ ვერ ივარგეთ სამშობლოს ჩვენ დავიცავთო.

ფერხულები ქართული ყოფიერების თითქმის ყველა მნიშვნელოვან ეპიზოდს ახლდა. ამიტომ მათი უამრავი სახეობა არსებობს, ბასტი, ჯგრაგები, ძეობისა, საპატარძლო, საქორწილო და სხვანი.

დღემდე შემოგვრჩა ფერხული-მაყრულები, ამინდის ღვთაებასთან დაკავშირებული იმპროვიზირებული სამა. ქართული ცეკვის მოძრაობებისა და პლასტიკის მრავალფეროვნებას ადვილად წარმოვიდგენთ თუ მათ ლექსიკურ განმარტებებსა და ტერმინოლოგიას ჩამოვთვლით: კიდობანა, ბაკუნა, ბასტი, ბაჯ-ბაჯა, ბორტყვა, საკისკასე, ჰარირა, კონკილი, შუშპარი, ხუცხუცი, ფუნდრუკი, მოგვერდი, ძუნძული, კოჭა, ტაბაცობა, ტორტმანი, ბუქნა, სამუხლე, ცერული და სხვა. დროთა განმავლობაში ფერხულებმა საკონცერტო იერი მიიღო, გაიზარდა მათი გავლენა სოლო

ცეკვებზეც, როკვა-შეჯიბრზე... არ შეცვლილა მხოლოდ განწყობის ორი ფორმა, ვაჟთაგან რაინდული სული და ქალთაგან სინარნარე. მაგალითად, როცა ფერხულების, ახალ პროფესიულ ინტერპრეტაციებში ქალები მამაკაცთა საცეკვაო ვირტუოზულ ილეთებს იყენებენ, ისინი ისე მსუბუქად ასრულებენ, რომ ცეკვა მომხიბვლელობის ახალი პასაჟით მდიდრდება. ხანდისხან ფიქრობენ, რომ ქართული ფერხული მოძველდა და დროა მან მოუსვენარი რეალობიდან სიმშვიდის მუზეუმში გადაინაცვლოსო. საბედნიეროდ, ქართულმა ფერხულმა დროსაც გაუსწრო და საკუთარ სივრცეში მუდმივი ღირებულებებით შევიდა. მსოფლიო ხელოვნების ულამაზეს სამყაროში მან საოცრებათა საგანძურში დაიღო ბინა. რა თქმა უნდა, ყოველ ხელოვანს ძალუძს შექმნას ცეკვების ჰიბრიდული ფორმები. ხშირად ასეთი მცდელობები პირველ სიახლედ, ან ხალხური ცეკვის განვითარებად ფასდება. მე კი მგონია, რომ ამგვარი სიახლე ავტორისეული ხედვის რაკურსია. შოუს თვალსაზრისით შესაძლოა საინტერესოც იყოს, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ისტორიულად სხვადასხვა პერიოდებში უწინაც შემოდიოდა უცხო საცეკვაო ელემენტები: „მებახტე-უცხოებრ მროკვანი“, ლეკური, ჩერქეზული და ა.შ. რაც შეეხება გამდიდრებას, მე ვერ წარმომიდგენია, რომ ჩაკრულოს გენიალური ჰანგი და მრავალხმიანობაში შექმნილი უნიკალური ჰარმონია „ეი, უხნებ“, ან „კის მი კეთ“-ის მელოდიებმა გაამდიდროს, ან ცეკვა „ქართულის“ სინარნარე „როკ-ენ-როლ“-ის მოძრაობების სიმკვეთრემ დაამშვენოს. რა თქმა უნდა, ყველა ხელოვანს აქვს მცდელობა ეპოქალურ სიახლეთა დინამიკას არ ჩამორჩეს და ამ თვალსაზრისით ის მართლაც თავისუფალია. აქ, მე მხოლოდ შეფასებათა ტერმინოლოგიურ შესაბამისობას ვეხები დევიზით: ნუ შევაქცევთ ზურგს ქართული ზნეობრიობის მხატვრულ გაგებას, და მაინც, ჩვენი ფერხულების გამოძახილი, ექოდ გადმოსული სილამაზის უკვდავება, დღევანდელი ქართული ხელოვნების ბაზისიც არის და მომავლის ინერციაც. გავიხსენოთ ფერხულში მამრის ფუნქციის განსაკუთრებულობა, სამარხებში ნაპოვნი სარიტუალო საგნებშიც მამრის ხატოვანი აღზევება, ანდა მამრის ფუნქციის წარმორჩენა ცეკვის გენიის ვახტანგ ჭაბუკიანის შემოქმედებით გაბრწყინებულ ქართულ ბალეტში. მისი დიაგონალური გადახრით ლტოლვა-სვლა, სადაც ფეხები უფრო წინ მიდის, რადგან „ეჩქარებათ“ აღმაფრენის დაუოკებლობაში. მისი საცეკვაო უესტიკულიაციით საუბარი, სიმღერით საუბარს (შპრეხ-



ანსამბლი „ერისიონი“

შტიმმეს) უფრო ნააგავს, ვიდრე პანტომიმას. გავიხსენოთ სუხიშვილისა და რამიშვილის პირველი და ახლანდელი ცეკვები, რამდენი საინტერესო საბალეტო სიახლე შეიტანეს მათ ხალხურ საცეკვაო კომპოზიციებში. წარმოვიდგინოთ ერისიონის ვიდეო-შოუ, სადაც ქალები მდებლოს ულამაზესი ყვავილებივით ირხევიან და რაინდები მთის მწვერვალებზე დაფრინავენ... და დავრწმუნდებით, რომ ქართული ფერხული როკვა კი არა, ქართული ბუნების მთელი სტრიქონია. სტრიქონი, რომელსაც არა აქვს არც დასაწყისი და არც დასასრული.

ამბობენ, ესპანელ კომპოზიტორს, მანუელ დე ფალიას „ცეცხლის ცეკვა“ რომ შეუთხ-

ზავს, მეგობრებს უკითხავთ – რად გინდოდა, ცეცხლი ხომ ყველაფერს ანადგურებსო. ავტორს უპასუხია – არა, ცეცხლში სიცოცხლე დაიბადაო. ასე ფიქრობდნენ ძველ ეგვიპტეშიც, შუმერების ცნობილი ასტოროლოგებიც, ასე ფიქრობს დღესაც მრავალი მეცნიერი და თუ ეს მართლაც ასეა, მაშინ ქართული როკვაც სიცოცხლის უკვდავება ყოფილა. დღეს თანამედროვე მეცნიერებამ სასწაულს მიაგნო, აღმოაჩინა, რომ ადამიანის გენი მღერის. მე კი მგონია, რომ ქართველის გენი არა მარტო მღერის, არამედ ცეკვავს კიდეც და ალბათ, ამაშია საიდუმლო ერის სიცოცხლის უკვდავებისა.





ვერიკო ანჯაფარიძე

ნათელა  
ყრუშაძე

### ხსოვნის სახეში

ვერიკო ანჯაფარიძე

მისი გაცნობის ამბავი 1942 წლის 25 ივლისის ჩემმა წერილმა შემომინახა. ის წერილი ზაფხულში თბილისიდან დასასვენებლად მყოფი ჩემი კლასელისათვის — მარიკა პირველისათვის მიმინერია, მას შეუნახავს, ჩემთვის დაუბრუნებია და საკუთარ არქივში აღმოვაჩინე, აი, რას ვწერდი:

„...ექვს ივლისს გავიცანი ვერიკო?! ყური მიგდე, როგორ! ჩვენთან ინსტიტუტში (უკვე თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტი ვარ ნ.უ.) სპექტაკლი იყო. ვერიკოც მოვიდა. გამაცნო ერთმა ჩვენმა სტუდენტმა, რომელიც მას კარგად იცნობს. წარმოიდგინე, მარი, ჩემი მდგომარეობა, როდესაც ვერიკომ მითხრა: მე თქვენ გიცნობთ და თქვენ კი ველარ მცნობ-

თო. ისეთი დაბნეული ვიყავი, რომ ვერაფერი მოვახერხე. ის და ზაქარიადე ჩვენ წინ ისხდნენ. ეს უტვინო ლილი (ჩვენი თანაკლასელი, ნ.უ.) ბრაზით სკდებოდა, რომ ვერიკო ტრიალდებოდა და რალაცეებს მეკითხებოდა, მაგრამ როდესაც გადმოიხარა და ხელი დამადო, ლილი კინალამ სკამის ქვეშ შევარდა. ყველაფერი ამო იყო, — ვერიკო მას არავითარ ყურადღებას არ აქცევდა. მარი, ძალიან ვღელავ ამ ამბის მოგონებით, და ამიტომ აზრის საგრძნობელ არევე-დარევეს ექნება ადგილი. მაპატიებ, იმედია. ამ მშვენიერებას დავაბოლოვებ იმით, რომ რამდენიმე დღის შემდეგ ვერიკო შემხვდა და მაკოცა... მეტი წერა აღარ შემიძლია...“

ამ ვრცელი ამონარიდის მკითხველისათვის უთუოდ დაუჯერებელი იქნება ვერიკო ანჯაფარიძის ნათქვამი „მე თქვენ გიცნობთ, თქვენ კი ველარ მცნობთ“. იძულებული ვარ განვმარტო.

ცნობილია, რომ ნებისმიერი მსახიობი მაყურებლის ცხოვრებაში შემოდის რომელიღაც თავისი სცენური ქმნილებით. ეს შეხვედრა მუდამ თავისებურია, რადგან არავინ იცის როლის და რანაირად შედგება იგი.

ჩემს ცხოვრებაში ვერიკო ანჯაფარიძე შემოვიდა მაშინ, როდესაც მე ვიყავი სკოლის მოწაფე და დილის წარმოდგენების მაყურებელი. იმ დროს ჩემი ასაკის ყმანვილებს აკადემიური თეატრები დილის წარმოდგენად თავის საუკეთესო დადგმებსაც გვთავაზობდნენ. ჩემთვის პირველი ასეთი იყო კ. გუცკოვის „ურიელ აკოსტას“ მარჯანიშვილისეული დადგმა და ვერიკო ანჯაფარიძის ივლითი. ეს იყო იმდენად მომაჯადოებელი წარმოდგენა, ვერიკოს ივლითის სცენური ცხოვრება კი იმდენად ამაღელვებელი, რომ როდესაც სცენაზე მისი სიცოცხლე შეწყდა, პარტერში მე გული შემიღონდა. რა თქმა უნდა, ამან იქ მყოფი უფროსები შეაშფოთა. სასწრაფოდ გამიყვანეს დარბაზიდან და კულისებში განლაგებულ უახლოეს აქტიორულ საკაზმულოში შემიყვანეს. ეს საკაზმულო ვერიკოსი ყოფილა. ამიტომ როდესაც სპექტაკლის დასრულების შემდეგ შემობრძანდა, მისი მაყურებელი უკვე მოსულიერებული დახვდა.

უჩვეულო აღმოჩნდა ჩვენი პირველი შეხვედრა და გაცნობა ისევე, როგორც შემდგომ მასთან ყოველი შეხვედრა თეატრშიც და ცხოვრებაშიც, რადგან ის არ იყო ჩვეულებრივი.

ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის წინათ ამხანაგისთვის მიწერილი იმისთვის გავიხსენე, რომ ვაუნყო დღევანდელ მკითხველს როგორი იყო ძალა ვერიკო ანჯაფარიძის ხელოვნ-

ნებისა, როგორი იყო იმ დროის თეატრი, იმ დროის მაყურებელი და რამდენად მნიშვნელოვანი იყო იგი მსახიობისათვის. ამიტომ მითხრა — „მე თქვენ გიცნობთ“, მაშასადამე ვახსოვდი — ჩემი გულშეღონებითაც დამინახვებია მისთვის რაღაც მნიშვნელოვანი.

1948 წელს დავამთავრე თეატრმცოდნეობის ფაკულტეტი მოსკოვში და თბილისში დავბრუნდი. გავიგე, რომ ბ-ნი ვახტანგ ტაბლიაშვილი შექსპირის „ანტონიოს და კლეოპატრაზე“ იწყებდა მუშაობას. რეპეტიციებზე დასწრების უფლება ვთხოვე. თუ ქალბატონი ვერიკო არ იქნება წინააღმდეგი, დიდი სიამოვნებითო, მიპასუხა. თვითონვე მიმიყვანა მასთან და ჩემი თხოვნაც მოახსენა. ქალბატონმა ვერიკომ, გვერდულად რომ იცოდა, ისე გამომხედა და პასუხიც ბ-ნი ვახტანგს გასცა: მობრძანდეს, მობრძანდეს, ნახოს რას ნიშნავს სპექტაკლის შექმნა.

იმ დღიდან „ანტონიოს და კლეოპატრას“ არც ერთი რეპეტიცია არ გამიცდენია. ვინერდი ყველაფერს, სურათებსაც ვიღებდი. შემდეგ, უკვე მზა სპექტაკლის მსვლელობის დროს, ვინერდი ვერიკოს კლეოპატრას სცენური ცხოვრების მთელ მიმდინარეობას და გადავიღე ხუთასამდე სურათი. ეს იმას ნიშნავდა, რომ მარჯანიშვილის თეატრიდან არ გამოვდიოდი და არც ვერიკოს მოვშორებივარ. ჩემს შეკითხვებს დასასრული არ ჰქონდა... უსასრულო იყო მისი მოთმინებაც... განსაცვიფრებელი ის იყო, რომ ჩემ თანდათანობით გათამამებას თვითონ უწყობდა ხელს. გვიან მივხვდი რა იყო ამის მიზეზი — ის ხედავდა, რომ მასთან ურთიერთობაში მე, მაშინ სრულიად ახალგაზრდა, ჩემს პროფესიას ვეუფლებოდი, მსახიობის ხელოვნების შესწავლას ვცდილობდი. ისიც კარგად იცოდა, რა ძნელი იქნებოდა ჩემთვის მასზე უკეთესი ობიექტის არჩევა. ჰოდა, მომცა უფლება ახლო მივსულიყავი, ჩემი თვალთ დამენახა ის სასწაული, რომელსაც აქტიორული გარდასახვა ჰქვია. მომცა საშუალება როლზე მისი მუშაობის სარეპეტიციო პროცესს დავსწრებოდი.

ამ თვალსაზრისით, თეატრმცოდნეები ნამდვილად ბედნიერები ვართ — სარეპეტიციო მუშაობის პროცესში მსახიობის შემოქმედებითი ლაბორატორია ხილულია. ოღონდ აუცილებელია გაცნობიერებული გქონდეს — რა მიზნით ესწრები ამ პროცესს, რას აკვირდები და რას აკეთებ ამ დროს.

მიზანი ცნობილია — თეორეტიკოსები ვცდილობთ ამოვიცნოთ ის საიდუმლო, რომლის ძალითაც მსახიობად დაბადებულს შეუძლია დროებით სხვა ადამიანის სახით იარსების სცენაზე რამდენიმე ასეული მაყურებლის

წინაშე. ამისთვის ათასნაირი შეკითხვით მივმართავთ ხოლმე, რათა ეს საიდუმლო გაგვანდოს. არ ხერხდება, რადგან საიდუმლო არაა ცნობიერი თვით მისი მფლობელისათვის, მსახიობმა ის არ იცის. იქნებ, რეპეტიციებზე დასწრებამ და დაკვირვებამ მომცეს-მეთქი საშუალება თვითონ ამოვიცნო იგი, ვფიქრობდი გულუბრყვილო. იქ ვხედავდი როგორ ეძებენ მსახიობები იმას, რითაც სურთ ჩანაფიქრი გამოხატონ მოქმედებაში. თურმე რა რთულია მოძიებაც, მოძიებულის შენარჩუნებაც, მით უფრო, მისი უარყოფა და ახლით შეცვლა. ეს, მართლაც, საკუთარი თვალთ უნდა იხილო.

არსებითად, მე ამ მომავალი სპექტაკლის პირველი მაყურებელი ვიყავი. რა თქმა უნდა, უნებურად, გარკვეული რეაქციებიც მქონდა, თუმცა ძალიან თავშეკავებული. ასე რომ, ჩემი იქ ყოფნით ისინიც რაღაცას ამონებდნენ. შემეჩვივნენ, მიმიღეს. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ჩემ მიერ რეპეტიციის მსვლელობის დროს გადაღებული სურათები დავბეჭდე და ვაჩვენე. რეაქცია იყო განსაცვიფრებელი — მათ დაინახეს რას აკეთებენ და როგორ გამოიყურება ის, რაც ამჟამად უკვე მოძიებული და მოსინჯული აქვთ! ადრე ასეთი არ ენახათ. იმ დროს რეპეტიციაზე გადაღებულ სურათს მკითხველსაც ვთავაზობ:



რამდენს გვაუწყებს თუნდაც ჩემნაირი მოყვარულის მიერ იმდროინდელი აპარატით გადაღებული სარეპეტიციო მუშაობის ეს წუთები! ახლა უკვე ისინი მოუთმენლად ელოდნენ შემდეგ სურათებს. ბედნიერი ვიყავი იმით, რომ მათაც ვჭირდებოდი. რაც მთავარია, იმით, რომ შემეძლო ვერიკო ანჯაფარაძის შემოქმედებასთან მიახლოება.

როლზე მუშაობის შესახებ ლაპარაკი არ სჩვეოდა, თუმცა ყველა მისი სცენური ქმნილება მუდამ ზუსტად იყო აგებული, ჰქონდა საკუთარი, აუცილებლად დინამიკური ცხოვრების ინდივიდუალური „ტეხილი“, ჩანს ინტუიციით ნაკარნახევი, გამომდინარე მისი სულიერი აღნაგობიდან. იქ, იმ აღნაგობაში იბადებოდა მისი ფიქრიც, განცდაც და მათი მიზანმიმართულებაც, რადგან მსახიობის

ქმნილება ცოცხალი არსებაა, მაშასადამე, მისი ცხოვრებაც პროცესია. გარდასახვის სასწრაულოც იქ აღმოცენდებოდა, ანუ — ვფიქრობ და განვიცდი იმას, რაც ხდება არა ისე, როგორც მე ვფიქრობ და განვიცდი მსგავს ვითარებაში, არამედ ისე, როგორც ჩემი წარმოსახვით შეთხზული და გაცოცხლებული პიესის მოქმედი პირი ცოცხლობს, ფიქრობს და განიცდის.

რეპეტიციებზე მუშაობის დროს ჩანდა როგორია ის სურვილები კლეოპატრას რომ ასულდგმულებს, აღელვებს და ამოქმედებს. აქედან — მისი არსებობის რიტმული ტეხილებიც. ისიც ჩანდა, რომ მის მამოძრავებელ შინაგანი დინამიკის ტალღას დიდხანს აკავებს, შემდეგ კი დგება წუთი, როდესაც ეს შებოჭილი ვნება იფეთქებს და ქცევაში გადმოიღვრება. როგორ აღმოაცენებდა საკუთარ სულში ასეთ შინაგან მდგომარეობას ეს, რა თქმა უნდა, არ ჩანდა, არც თვითონ იცოდა.

ვერიკოს ვნებათა სიმძლავრე დაუნდობელი იყო მისთვისაც და მის ახლო მყოფთათვისაც. ძნელი იყო მისი პარტნიორობა. არც რეჟისორისთვის ყოფილა ადვილი ამგვარ ვნებათა სპექტაკლის მისეული ჩანაფიქრის შესატყვისად წარმართვა. ჩემთვის კი უდიდესი ბედნიერება იყო იმის ხილვა და განცდა, როდესაც ვერიკო თავისი მომავალი კლეოპატრას თვალთ გამოიხედავდა, ჩამახედებდა მის სულში და ჯერ მხოლოდ სარეპეტიციო დარბაზში მყოფს, უჩვეულო სულიერ ტკბობას განმაცდევინებდა.

რაგინდ განსხვავებული იყოს სცენური ქმნილება მისი შემქმნელი მსახიობისგან, ის მაინც ამ მსახიობისაგან იძერწება, ამიტომ ყველა სცენურ ქმნილებაში მისი განმასახიერებლის რომელიღაც პიროვნული თვისებაცაა. პიროვნული თვისებები ცხოვრებაში კარგად ჩანს — გარეგნობა, სიარული, გემოვნება, ხმა, მეტყველების თავისებურება... არც ერთის შეცვლა არაა ადვილი, ზოგჯერ შეუძლებელიც.

რაც აშკარად თვალსაჩინო იყო ვერიკოს გარეგნულ გამოვლინებაში: მოდა მისთვის არ არსებობდა. იცვამდა მხოლოდ იმას, რაშიც თავს გრძნობდა თავისუფლად. მისცა თავს უფლება არ აჰყვეს მოდას, არ იყოს ისეთი, როგორც ყველა.

ოჯახის პირადი მანქანის მიუხედავად, ხშირად დადიოდა ფეხით. ნაბიჯი მყარი ჰქონდა, საქმიანი. ქალაქის ხალხმრავლობაში უფრო აშკარა იყო მისი გამორჩეულობა.

მისი პიროვნება არ საჭიროებდა არც ზედსართავ სახელებს, არც წოდებათა და მიღებული ჯილდოების შეხსენებას. წოდებები და

ჯილდოები სხვებსაც ამშვენებდნენ, მისი სახელი კი ერთადერთი იყო, — მას ხომ ყველა ასეც მოიხსენიებდა!

ხალხმრავლობაშიც შეეძლო განმარტობა. ეს შესამჩნევი იყო ოჯახურ გარემოშიც, რეპეტიციებზეც და ლხინის სუფრასთანაც.

ვამჩნევდი, რომ ხშირად უნდოდა წიგნთან მარტო დარჩენა. ცოტა ვინმეს შეეძლო მასზე ადრე ახალი მხატვრული ნაწარმოების შექმნა. მის საწოლთან მდგარ პატარა მაგიდაზე მუდამ ნახავდით გადაშლილ წიგნს.

ცხოველები უყვარდა, ძალი მისი სახლის მუდმივი ბინადარი იყო.

ამ სახლში ყველაფერი რაღაცას გაუნყებდა — ავეჯიც, ნივთებიც და უჩვეულო ატმოსფეროც. ნივთები — ჩვეულებრივი, მხოლოდ აუცილებელი, დანარჩენი — მხატვართა ტილოები, წიგნები, მისთვის სასურველ ადამიანთა ფოტოსურათები, მიხეილ ჭიაურელის ოთახისახელოსნო. ისინი ქმნიდნენ უჩვეულო ატმოსფეროს.

განსაკუთრებულ ყურადღებას არავისგან ითხოვდა. ის, რომ რაღაცის გაკეთება მის მაგიერ სხვას შეეძლო, აზრადაც არ მოსდიოდა. არ მიაჩნდა, რომ ვინმე უნდა უფრთხილდებოდეს მის დროსა და ძალებს, რომლებიც ხშირად დამქანცველ წვრილმანებზე იხარჯებოდა. ნებისმიერი საქმის კეთებას პირველი ინყებდა.

ყველაფერი ემარჯვებოდა — იატაკსაც მორეცხავდა, სადილსაც მოხარშავდა, ბაზარშიც ივაჭრებდა... მაშინ იყო მშვიდად, თუ საქმეს თვითონ აკეთებდა.

გულგრილობა უცხო იყო მისთვის, მაგრამ რაც ყველაზე მეტად აწუხებდა, იმაზე არასდროს ლაპარაკობდა — ის წუხილი მხოლოდ მისი იყო.

ძველ მეგობრებს ვერიკოს თაყვანისმცემელთა გახსენება უყვარდათ. ამ დროს ის ღუმიდა, მაგრამ ეშმაკურად ილიმებოდა. ყოველთვის მეგონა, რომ ამ წუთებში მის ხსოვნაში ცოცხლდებოდა რაღაც ისეთი, რასაც სხვა არავინ უწყობდა... თუ თვითონ მოყვებოდა რამეს თავის შესახებ, ისეთი გულახდილობით, რომ ეს გულახდილობა ზოგჯერ შემამფოთებელიც იყო.

მორჩილება არ შეეძლო არაფრის გულისთვის. მოქმედებდა მხოლოდ გულის კარნახით, მოსალოდნელი შედეგების გაუთვალისწინებლად. აშკარა და უშიშარი ბრძოლა მისი სტიქია იყო. ცხოვრებაც თითქოს განგებ გამუდმებით მოაქცევდა ხოლმე ისეთ ვითარებაში, რომელიც ითხოვდა გადაწყვეტილების სიმტკიცეს, გამბედაობასა და რისკს.

ანდამატური იყო მის სულიერ ძალთა ზე-

მოქმედება. ბოლომდე ვერ ამოიცნობდი. ზოგი რამ ამქვეყნიდან მისი წასვლის შემდეგ გამოძვინდა. ოჯახური ცხოვრება ისე აენყო, რომ მეუღლესთან მუდამ ერთად ყოფნა არ ხერხდებოდა – მიხეილ ჭიაურელი რუსეთში იყო, ვერიკო ანჯაფარიძე საქართველოში. მას კი უიმისოდ ყოფნა ვერ წარმოედგინა მაშინაც, როდესაც მიხეილ ჭიაურელი აღარ იყო. თურმე წერილებს განუწყვეტლივ წერდა, როგორც ცოცხალს – ატყობინებდა იმას, რაც ხდებოდა მათ ოჯახში თუ გარეთ, უზიარებდა თავის ეჭვებსა და გულისტკივილს, სიხარულსაც. რატომ სწერდა? როგორ წარმოედგინა ამ წერილების შემდგომი ბედი? ამ უჩვეულო წერილების არსებობა გაირკვა მხოლოდ მაშინ, როცა ვერიკო აღარ იყო.

ნებისმიერი ხელოვანის შემოქმედებით თავისებურება განპირობებულია იმ მხატვრული საშუალებებით, რომელთაც ეს ხელოვნება ფლობს. მსახიობის ხელოვნება, რომელიც თავის მხატვრულ ქმნილებას, ლიტერატურული საფუძვლიდან გამომდინარე, საკუთარი არსებით განასახიერებს – ამ მსახიობის ადამიანური შესაძლებლობებით. მათი საშუალებით ქმნის იგი ლიტერატურული გმირის სცენურ მხატვრულ სახეს ცოცხალი, სახეობრივ მეტყველი ქცევებით – როგორც სიტყვიერი, ისე უსიტყვო მოქმედებებით. მეც ასე გავიხსენებ ვერიკო ანჯაფარიძის შემოქმედებით თავისებურებას.


უყვარდა სიტყვა. თავის ტრაგიკულ გმირთა განცდის ქარიშხლებში შეეძლო იმ მაღალი ძაბვის დენის გატარება, რომელიც უზარმაზარი შინაგანი ძალით იღვრებოდა სცენაზე ახმიანებულ მის სიტყვაში.

მისთვის ახლობლები იყვნენ უძლიერესი გრძნობებით აღსავსე ქალები. ასეთ გრძნობათა ნიაღვარი მოედინებოდა სცენიდან მაყურებლისაკენ და მყისვე ბადებდა მასში თანაგანცდის მაღალ გრძნობას.

საოცრად ფლობდა თავის მშობლიურ ქართულ ენას. ჩვეულებრივ სიტყვაშიც გრძნობდა და ავლენდა პოეტურ სანყისს. ამიტომ სცენაზე ვერიკოს მიერ წარმოქმნილი ქართული სიტყვა უცდომლად ახედებდა მაყურებელს მისი სცენური გმირის სულში. ალბათ, იცოდა, რომ არ არსებობს ადამიანი, ვისთვისაც სიტყვის პოეზია სრულიად უცხოა. ხშირად უთქვამს – სიტყვა ადამიანს გულში უნდა ხვდებოდესო. ახვედრებდა კიდევ...

პოეტური სიტყვა მისი ცხოვრების განუყრელი თანამგზავრი იყო. მიაჩნდა, რომ ვისთვისაც ახლობელი და გასაგებია პოეზიის ენა, მას სიტყვაში ჩაბუდებული საოცარი მშვენიერება ეცხადება.

განსაკუთრებით მაინც ხმამაღლა თქმული პოეტური სიტყვა უყვარდა, რადგან ამ სიტყვაში მწერლის გარდა, მისი სიტყვის წარმომთქმელის სულიცაა ჩაქსოვილი, მაშასადამე, უკვე ორი შემოქმედის სული! სცენაზეც ხომ ასეა! თამამად ამკვიდრებდა სცენური სიტყვის ესთეტიკურ დანიშნულებას – თუ ხმა სულის გამოძახილია, მისი ინტონაციური ფერადოვნებაც აუცილებელიაო. ცხოვრებაში ასე არასდროს ლაპარაკობდა. მხოლოდ სცენაზე – ხელოვნება იქ იყო! ჰქონდა კიდევ მომაჯადოებელი ხმა. შემთხვევითი არაა კომპოზიტორ თამარ ვახვახიშვილის ეს მოგონება: „მაგონდება სცენა სპექტაკლიდან „ინტერესთა თამაში“. ვერიკო შადრევნის მოაჯირზე ზის მთვარის შუქში გახვეული. მის ზურგს უკან ვერცხლისფერ წვეთებად იღვრება შადრევანი. ის ლაპარაკობს ორკესტრის აკომპანემენტის ქვეშ, მისი ხმა ფლეიტისა და ვიოლინოს ხმას ერწყმის. (ვ. ანჯაფარიძე, საიუბილეო კრებული, „ხელოვნება“, 1957 გვ.98)



მხოლოდ სცენაზე ანიჭებდა იგი სათქმელ სიტყვას განსაკუთრებულ მუსიკალობას. ყოველ ამ სიტყვას თავისი ადგილი ჰქონდა განკუთვნილი წინადადების მთლიან სტრუქტურაში არა მხოლოდ აზრობრივი, არამედ ხმოვანების თვალსაზრისითაც. ამ ხმოვანი მაქმანის ყოველი ყულფი საგანგებო დანიშნულებისა იყო და უთუოდ გადაბმული მეორესთან. მსუბუქ ფრაზას საყრდენიც ჰქონდა და აღმაფრენაც. ამიტომ ზემოქმედებდა იგი ასე, როგორც შინაარსით, ისე ხმოვანებით.

ეს იყო ტრაგიკულ გრძნობათა სიძლიერისა და სიტყვის ფაქიზი მუსიკალობის იშვიათი შენაერთი.

ფანტასტიკური ძალის იყო მისი მღუმარებაც. ტრაგედიის გამოხატვა უსიტყვოდაც შეეძლო: გავიხსენოთ ფილმში განსახიერებული მისი ოთარაანთ ქვრივის მარტოსვლა, რომლითაც იგი ერთადერთ შვილს აცილებს სამუდამო სასუფეველში!

სცენაზე მისი ერთი, უსიტყვო გამოჩენაც კი ავსებდა სივრცეს. ვერიკოს ეს უნარი აკადემიკოსმა თამარ დეკანოსიძემაც დაადასტურა ექიმ ლევან ანჯაფარიძის შესახებ ახლახან გამოცემულ წიგნში: "არაფერია პიროვნების შეფასებისათვის იმაზე მეტი, როდესაც მის სახეს და თუნდაც კარში შემოსვლის ფორმას აქვს დიდი კაცის ნიშანი. ჩემს გონებაში კი ბატონი ლევანის შემოსვლით დარბაზი გაივსო და თითქოს მეტი სტუმარი საჭირო არც იყო. ასე გვემართებოდა ხოლმე მარჯანიშვილის თეატრში. სპექტაკლის დროს მსახიობთა რაც უნდა დიდი რაოდენობა ყოფილიყო სცენაზე, არ იქმნებოდა სცენის სისავსის შთაბეჭდილება; საკმარისი იყო ქალბატონ ვერიკო ანჯაფარიძეს ფარდის იქითა მხრიდან სცენაზე ნაბიჯი გადმოედგა, რომ სცენა გაივსებოდა" (გვ.123).

სხეულის პლასტიკური ნახატიც სივრცეში განფენის ნიჭიც ჰქონდა. ასეთი ნიჭიერება უშუალო კავშირშია აქტიორული ქმნილების მხატვრულ ფორმასთან. სხეულის ეს მისეული მოძრაობა პლასტიკური ნახატი ისე იყო განტვირთული ყოველგვარი ზედმეტობისგან, როგორც უმაღლესი დონის გრაფიკული ქმნილება.

არც სახეს იტვირთავდა გრიმით, არ უყვარდა დანამატები. უნდოდა, რომ მის სახეს ყოველ წუთს შეძლებოდა თავისუფლად გამოეხატა სცენური ქმნილების სულის ოდნავი მოძრაობაც კი.

მიზანსცენა მისთვის სხეულის მეტყველება იყო, მაშასადამე, სხეულით თქმულიც სახეობრივი გამომხატველობით უნდა ყოფილიყო აღსავსე. სცენის სივრცეში ამოძრავებულ ამ ნახატში ცეკვაც იყო ხოლმე. მრავალნაირი, მუდამ დროული და უთუოდ დრამატული დანიშნულების. მისი ხელის ოდნავ მოძრაობასაც კი ინტონაციის ძალა ჰქონდა. მარტო მისი მარგარიტა გოტიეს შავი მარაოს ოდნავი რხევა რად ღირდა, რომელმაც აკაკი განერეღიას საგანგებო წერილი დააწერინა სახელწოდებით „ღიმილი მარაოს ქვეშ“.

ტრაგედია იყო მისი მონოდება, დაჟინებული შინაგანი ძახილი, გრძნობათა ღიაობის მომთხოვნი. ამის შესაძლებლობას მსახიობს

როლით განკუთვნილ სიტყვებში ჩაბუდებული და ამოსაცნობი განცდები აძლევენ. ამ მიღმიერის ამოცნობა და განსხეულება ძალიან ძნელია. ალბათ, ამიტომაც ასე იშვიათი ტრაგიკოსი მსახიობი.



როლის სიღრმევი წვდომის შედეგად, ვერიკო მიაგნებდა ხოლმე მისი გმირის სცენური ცხოვრების ყოველი მონაკვეთის იმ დანიშნულებას, რომელიც ბუნებრივი იყო ამ კონკრეტული ადამიანის უმთავრესი ვნებისათვის, და აღწევდა უიშვიათესს – ტრაგიკულ სისადავეს. ეს იყო იმის მიზეზი, რომ ყველა მის მიერ სცენაზე გაცოცხლებული ადამიანის სულიერი სამყარო გასაგები ხდებოდა მაყურებლისათვის. ასე აღმოჩნდნენ ეს, ზოგჯერ ძალიან შორეული დროისა და ქვეყნის ქალები მაყურებლისათვის ახლობლები, თანაუგრძობდნენ მათ, აღტაცებულნი იყვნენ მათი სულის ძლიერებითა და მაღალზნეობით. ხოლო თუ ამ სულშეგუბებულსა და თანაგრძნობით აღვსილ მაყურებელს ცრემლი მოერეოდა, მსახიობისთვის ეს იყო ნიშანი საპასუხო გამოძახილისა, უძვირფასესი ნიშანი თანაგანცდისა.

სიცოცხლეს სცენაზე ხშირად ეთხოვებოდა. მუდამ განსხვავებულად. საერთო ყველას ერთი ჰქონდა — ამ გამოთხოვებით, სიცოცხლესთან განშორებითაც მაყურებელს მაღალი ზნეობრივი იდეალებისკენ მოუწოდებდა. მისი

გმირი ქალები ზნეობრივი იდეალის ერთგულნი იყვნენ ყველა ასაკში, ყველა ცხოვრებისეულ ვითარებაში.

შეიძლება გეფიქრა, რომ ეს, ერთმანეთისგან ძალზე განსხვავებული ქალები, მათი შემქმნელი მსახიობის პიროვნების თავისებური გამოსხივებაა, რადგან არასდროს მოსდომებია, მაყურებელს უცებ რომ ვერ ეცნო იგი. მართლაც, სასწაულებრივი იყო გარდასახვის ასეთი უნარი. ღმერთო! რა იდუმალებითაა მოცული დიდი ნიჭიერება და მისი მფლობელი! ამიტომ ვერიკოს ვერ შეეჩვეოდი, მასთან ყოველი შეხვედრა სულის ამბალღებელი ბედნიერების განცდა იყო. გადამდები იყო მისი გამძაფრებული ინტერესი ადამიანის პიროვნებისადმი. ამ ინტერესით გახლდათ იგი ჩართული თავისი დროის ცხოვრების დინებაში. ხან სცენური, ხან ეკრანული სახეებით, თუმცა მუდამ გულახდილი, დაუფარავად ამბობდა – კინოფილმში მონაწილეობა შემოქმედებითად მზღუდავს თავისი წყვეტილობით, ყველაფერი კეთდება ნაწილ-ნაწილ; მერე მოძიებულ და ფირზე გადაღებულ ამ ნაწილებს სხვა ამთლიანებს სამონტაჟო მაგიდასთან. ჩემთვის კი, ბუნებრივია მომავალი ქმნილების ცხოვრების რაც შეიძლება უწყვეტ პროცესში მოძიება და გამთლიანება, როგორც სარეჟეტიციო მუშაობაში, ისე შემდგომაც, უკვე მზა სპექტაკლში, სცენაზე. თეატრში მაქვს შესაძლებლობა შექმნილი სახის განუწყვეტელი დახვეწა-სრულყოფისა, კინოში ეს გამორიცხულია – ვხედავ უზუსტობას, შეცდომას, შეცვლა კი არაფრის შემთხვევა!

მიუხედავად ამისა, სწორედ კინომ გაუწია მას უდიდესი სამსახური – მან შემოინახა ვერიკოს ქმნილებანი და მეტად მნიშვნელოვანიც გვაუწყა მისი შემოქმედებითი ინდივიდუალურობის შესახებ. ხანგრძლივი იყო ვერიკოს შემოქმედებითი ცხოვრება. ცხადია, ბევრი რამ მასშიც იცვლებოდა. პირველ ყოვლისა, მსახიობის ხელოვნებისათვის ასე მნიშვნელოვანი – ასაკი. მისთვისაც დადგა ფიზიკურ ძალთა კლების ხანა. სცენაზე ამ წლებში დაიბადა მისი

ბებია ეუხენია ა. კასონას პიესაში „ხეები ზეზეურად კვდებიან“, ფატი გურიელი ა. ჩხაიძის „შთამომავლობაში“, კინოში: რუსო – ნ. ჯანელიძის ფილმში „ოჯახი“ და თ. აბულაძის „მონანიებაში“ – ტაძრისაკენ მიმავალი გზის მაძიებელი მოხუცი ქალბატონი. რა დავინახეთ? ფიზიკურ ძალთა კლება თურმე არ ნიშნავს სულიერ ძალთა კლებას, რადგან სულია ყველაფერზე უძლიერესი! თუ ასე არა, თ. აბულაძისთანა რეჟისორი „მონანიების“ ფინალს ამ მოხუც ქალბატონს ანდობდა?! ან ვინ მოაკლებს ამ ქალბატონს დიდი მსახიობის კუთვნილ ადგილს ტრაგიკულ გმირთა შორის.

გარდა იშვიათი ნიჭიერებისა, ღმერთმა იშვიათი პიროვნული ხიბლიც გაიღო ვერიკოსთვის. ის ცნობილია ყველასათვის, ვინც ერთხელ მაინც შეხვედრია მას ცხოვრებაში და პირადად განუცდია ამ ხიბლის ჯადო. სწორედ ეს ხიბლი ქმნიდა სცენაზეც და ცხოვრებაშიც მის გარშემო იმ ამოუხსნელ მაგიურ აურას, რომელიც განსკუთრებულ მშვენიერებას ანიჭებდა ყველაფერს, რასაც ის მიუახლოვდებოდა.

ყველა ასაკში შეეძლო იმაზე მეტი, რაც ამ ასაკს შეეფერებოდა. ხანდაზმულობაში ეს განსაკუთრებით თვალსაჩინო გახდა. ალბათ, იმიტომ, რომ სწორედ ხანდაზმულობაში იჩენს თავს განვლილი ცხოვრების შინაარსი და ღირებულება.

მთელი თავისი ცხოვრების განმავლობაში ვერიკო ანჯაფარიძე მუდმივად მისდამი მიჰყრობილ, აღტაცებულ თვალთა მზერით იყო ნაალერსები.

შეუმჩნევლობა არ ეწერა. განუმეორებელი მისი გარეგნობა, მუდამ რთული ცხოვრებით დაღდასმულიც კი, მაინც განსაკუთრებით მშვენიერი იყო. მზერას ვერ მოაშორებდი, რადგან მისნაირი ლამაზი და ყველაფრის მთქმელი თვალები არც მაშინ ჰქონდა ვისმე, არც დღეს მინახავს.

ჩვენ, მისი დროის მაყურებლები, ვეტრფოდით მას, რადგან მასთან შეხვედრა ჩვენი სულის ამბალღებას ნიშნავდა.

ასეთი შემოვიდა იგი ჩემს ცხოვრებაში და ცოცხლობს დღესაც. მენატრება.





თაშარი


მიქელაძე

## ჩა ბახივა, ქართული სიმღერა

ქართული ხალხური სიმღერა მრავალსა-  
უკუნოვანი ქართული კულტურის ნიაღში  
დაგროვილი უდიდესი ზნეობრივი და ინტე-  
ლექტუალური ფასეულობაა, ეს არის ჩვენი  
ერის მრავალსაუკუნოვანი შემოქმედების  
უდიდესი განძი. „სიმღერა იგივე ცრემლია,  
რომელიც მაშინაც მოდის, როცა გულს მწუ-  
ხარება ჰკუმშავს, და მაშინაც, როცა დი-  
დი სიხარული ეწვევა. ჩვენებური „ზარი“,  
ეგ გლოვის მუსიკა, პოეზიასთან დაძმასა-  
ვით შესისხლხორცებული, იგივე სიმღერაა  
სევდა-მწუხარებისა, როგორც მაგალითებრ,  
„მაყრული“-სიხარულისა და ბედნიერებისა,  
როგორც „ორპირი“-ვაჟკაცობისა, მედგრო-  
ბისა და მხნეობისა. გალობა ისეთივე მოთხ-  
ოვნილებაა, ისეთივე საჭიროებაა, ისეთივე

განუყრელი თვისებაა ადამიანის ბუნებისა,  
როგორც ცრემლი, როცა კაცი არ ჰხარობს,  
ან ჰგოდებს, როგორც კვნესა, — როცა გუ-  
ლი მხიარული ან ბედნიერია“. ქართული  
ხალხური სიმღერის განვითარების ხელშემ-  
წყობ გარემოს ის განსაკუთრებული სოცია-  
ლური ფონი ჰქმნიდა, რომელიც საუკუნეე-  
ბის მიღმა დარჩა და დღეს აღარ არსებობს..  
სიმღერათა უმრავლესობა ოჯახებში იზადე-  
ბოდა, რომელიც შემდეგ თაობებს ზეპირი  
სახით გადაეცემოდა, ზოგიერთი სიმღერა  
ომში, პირდაპირ ბრძოლის ველზე იქმნებო-  
და. ხელოვნების ეს სფერო ყველაზე მეტყვე-  
ლი მემკვიდრეა ჩვენი გმირული წარსულისა;  
მშვიდობის დროს შრომისმოყვარეობისა, და  
ომიანობისას კი სამშობლოს თავისუფლები-  
სათვის თავგანწირული ბრძოლისა, ამ სიმ-  
ღერებშია შემონახული ქართველთა დიდი  
ნიჭი სიყვარულისა და მეგობრობისა.

„ჩვენი წინაპრები განსაკუთრებული სი-  
ფაქიზით იცავდნენ ქართული ხალხური სიმ-  
ღერის სინძინდეს, მის თვითმყოფადობას“. ამავე მიზანს ემსახურება ახლად დაარსებუ-  
ლი ყოველწლიური ფოლკლორული კონკურ-  
სი „ბანი, რომლის დამფუძნებლები არიან  
ფოლკლორის ცნობილი მოღვაწეები — ჯე-  
მალ ჭკუასელი და ანზორ ერქომაიშვილი, აგ-  
რეთვე სს „თიბისი ბანკი“, „საქართველოს  
მინისა და მინერალური წყლების კომპანია“,  
ტელეკომპანია „იმედი“. შეირჩა ჟიური, თავ-  
მჯდომარე ჯემალ ჭკუასელი, წევრები: ან-  
ზორ ერქომაიშვილი, თემურ ქევზიშვილი,  
გომარ სიხარულიძე, გია ბალაშვილი. მათ  
მთელი საქართველო შემოიარეს: ქართლ-კა-  
ხეთი, იმერეთი, გურია, სამეგრელო, აჭარა,  
რაჭა-ლეჩხუმი, სვანეთი, სამცხე-ჯავახეთი,  
საქართველოს მთიანეთი (ხევსურეთი, თუშე-  
თი, ფშავი, ხევი), საინგილო და წარადგინეს  
ის ოჯახები, რომლებმაც ყველაზე საუკეთე-  
სოდ შეასრულეს მათი კუთხის სიმღერები.  
პირველად შერჩევას საოცარი ემოცია სდევ-  
და თან. სამცხე-ჯავახეთში მესხური სიმღე-  
რის საუკეთესო შემსრულებლებად ჟიურიმ  
დეპორტირებული მესხი პატარები წარად-  
გინა, რომლებმაც საუკეთესოდ იმღერეს  
მესხური „სამყრელო“ და „მამლი მუხასა“. ისინი სულ ცოტა ხნის წინ დაუბრუნდნენ  
ქართულ ფესვებს, სულ მალე ქართულიც  
შეისწავლეს, და ქართული სიმღერის სიყვა-  
რულისათვის I პრემია 3000 ლარი მიიღეს.  
კონკურსის ყველაზე პატარა მონაწილე კა-  
ხელი ხუთი წლის ნათია ყორიშვილი დედას-  
თან და ბაბუასთან ერთად წარსდგა. ერთი  
ოჯახის სამი თაობის ნამღერით ჟიური კმა-  
ყოფილებას ვერ მალავდა. მათაც I პრემია



ხვდათ წილად, რომელიც თავად ჟიურის თავმჯდომარემ ბატონმა ჯემალ ჭკუასელმა გადასცა. პრემია გადაეცათ აგრეთვე საინგილოდან ჩამოსულ ქართველებსაც, საინგილოში ქართულ სიმღერებთან ერთად ქართულ ფესვებსაც რომ ინარჩუნებენ დღემდე. ყველაზე უხუცესი მონაწილე ლაზი 84 წლის ილია აბდულიში თბილისში ვერ ჩამოვიდა. იგი ძველ ლაზურ საკრავზე პილილზე უკრავს. მისი გამოსვლა ქალიშვილთან ერთად მაყურებელმა სპეციალურად დამონტაჟებულ ეკრანზე იხილა. მას „ფოლკლორის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის“ დაწესებული სპეციალური პრემია ერგო. ფინალურ საღამოზე გამოსულ გამარჯვებულ ოჯახებს შორის იყვნენ როგორც ცნობილ ლოტბართა შთამომავლები, ასევე ნაკლებად ცნობილ მომღერალთა ოჯახებიც და ახალი გვარებიც. ფოლკლორული კონკურსი სხვადასხვა წელს ჩატარდება ერთ ან რამდენიმე ნომინაციაში მაგ; 1. საუკეთესო მომღერალი ოჯახი, 2. საუკეთესო სოლო შემსრულებელი, 3. საუკეთესო დუეტი, 4. საუკეთესო ტრიო, 5. საუკეთესო ხალხური საკრავის შემსრულებელი, 6. საუკეთესო ჯგუფი, 7. საუკეთესო კრიმანჭული (დასავლეთ საქართველოსათვის), 8. პრემია ფოლკლორის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის (გაიცემა ყოველ წელს), 9. საუკეთესო გვარი. დაფუძნების პირველ წელს კონკურსი „ბანი“ ჩატარდა მხოლოდ ორ ნომინაციაში: „საუკეთესო მომღერალი ოჯახი“, და „პრემია ფოლკლორის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის“. დანარჩენ გამარჯვებულებს პრიზები გადასცეს საპატიო სტუმრებმა: ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა გიორგი ხუბუამ, ჟურნალ „ლიტერატურა და ხელოვნების“ ხელმძღვანელმა, პოეტმა ვაჟა ოთარაშვილმა, გაზეთ კვირის პალიტრის რედაქტორმა გიორგი თევდორაშვილმა და სხვ.

გამარჯვებულებისათვის ფულადი პრემიები დააწესა სს „თიბისი ბანკმა“ და „საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანია“. საგულისხმოა, რომ I, II და III ადგილის პრემიები ყველა რეგიონისათვის ცალ-ცალკე იყო გათვალისწინებული.

„ბანის“ დაარსების იდეა ბატონ ჯემალ ჭკუასელს ეკუთვნის, როგორც თავად განაცხადა, „ამ პროექტის შესახებ ოცი წლის წინ დავიწყე ფიქრი, იმ დღიდან, როცა სახელმწიფო ანსამბლის ხელმძღვანელად დავინიშნე, მართალია კომუნისტების დროს

ქართული ხალხური სიმღერა მუდამ ყურადღების ცენტრში იყო, მაგრამ იგი მაინც განვითარების არასწორი გზით მიდიოდა, რადგან მასში ქალაქური ფოლკლორის ელემენტები იჭრებოდა.. სიმღერის შესრულების ისეთი მანერა მკვიდრდებოდა როგორც ამას თბილისში ანსამბლები ასრულებდნენ. იმ დღიდან ვფიქრობდი შექმნილიყო ისეთი მექანიზმი, რაც ხელს შეუწყობდა სიმღერის სოფლად დამკვიდრებას და მის იქ განვითარებას სადაც დაიბადა. ჩვენი ფოლკლორი იმდენად მრავალფეროვანია, რომ ერთსა და იმავე რეგიონის სხვადასხვა სოფელში სხვადასხვაგვარად მღერიან ერთი და იგივე სიმღერას, არასწორი განვითარება კი თავად განსაჯეთ რას უქადის ჩვენს დიდ



საუნჯეს. ეს ოთხი-ხუთი წელია განსაკუთრებით ვცდილობდი ჩემი იდეის განხორციელებას, ბევრს ვფიქრობდი, მინდოდა „ბანი“ გამორჩეული ყოფილიყო, დღეს არსებული უამრავი ფოლკლორული კონკურსისა თუ ფესტივალისაგან. ჩვენი მიზანი იყო საკონკურსოდ შეგვერჩია ის ოჯახები, რომლებიც საუკეთესოდ შეასრულებდნენ მხოლოდ თავიანთი კუთხისათვის დამახასიათებელ ხალხური შემოქმედების ნიმუშებს, ჩვენი ჟიური საკონკურსოდ არ განიხილავს კომპოზიტორთა ნაწარმოებებს, არაქართულ ხალხურ სიმღერებს და სხვა სახის საკრავებსა და მუსიკას, ქ. თბილისის ანსამბლებსა და ქალაქურ ფოლკლორს.

საქართველოს ყველა რეგიონი შემოვიარეთ და ოცდაორი ოჯახი მოვიწვიეთ თბილისში მარჯანიშვილის თეატრში გამართულ ფინალურ საღამოზე. ბოლომდე კმაყოფილი მაინც არ ვარ. რეგიონებში ბევრი პრობლემაა, მაგრამ იმედს ვიტოვებ, ეს პროექტი ბევრი პრობლემის მოგვარებაში დაგვეხმარება, ფულადი პრემია დიდ სტიმულს მისცემს ამ ოჯახებს. მომავალში სხვა ნომინაციებშიც შევარჩევთ კონკურსანტებს. უდიდეს მადლობას ვუხდის ბატონ მამუკა ხაზარაძეს, რადგან დღეს ფინანსური მხარდაჭერის გა-

რეშე როგორი დიადიც არ უნდა იყოს მიზანი, ასრულება მაინც არ უნერია“.


საქართველოს სხვადასხვა კუთხის სიმღერები ერთმანეთისაგან განსხვავდება, როგორც ინტონაციური თავისებურებებით, ასევე პოლიფონიური და ჰარმონიული აღნაგობით, ანუ ნებისმიერი კუთხის სიმღერა სრულად შეესაბამება, როგორც იმ კუთხის ბუნებას, ასევე ხალხის ჩვევას, ზნესა და ხასიათს.

სიმღერის შესრულებისას დიდი სიზუსტით უნდა იყოს დაცული მათი ფონოლოგიური და ტემბრალური თავისებურება, დიდი სიზუსტით უნდა იყოს შენარჩუნებული რეგიონისათვის დამახასიათებელი ეთნოგრაფიული ელემენტი. სვანური სიმღერის შესრულებისას მკაფიოდ უნდა იგრძნობოდეს დიდი დრამატიზმით აღსავსე სვანეთის ბუმბერაზი მთების მკაცრი ბუნებით დაუნჯებული სვანური ჰანგების სიღიადე. მზისადმი მიძღვნილ საგალობელში ნათლად ჩანს სვანი კაცის ხასიათი, სილაღე მაღალი მთებისა, მიუნვდომელი მწვერვალების თოვლის სისპეტაკე, დიდბუნოვანი კაცისთვის დამახასიათებელი გულუბრყვილობა. მასში ისე ჩქეფს სიცოცხლე და ისეთი ზვიადია, როგორც ენგური. არავის ძალუძს ისე იმღეროს „ლილე“, როგორც სვანს.

კახური „ჩაკრულო“, რომელიც ქართველი ხალხის გენიის ერთ-ერთი უბრწყინვალესი მუსიკალური ქმნილებაა, მდიდარი ორნამენტული ქარგებით არის გადმოცემული ხმათა პაექრობა, ხმათა იმპროვიზებული შეჯიბრი ხაზს უსვამს ქართული ხალხური სიმღერის პოლიფონიურ ხასიათს. იგი ცივ გომბორსაც ჰგავს და ულამაზეს ხეობაში დინჯად მომავალ ალაზანსაც. (1976 წელს ეს სიმღერა, როგორც ამოუცნობი ფენომენი, კოსმოსში იქნა გაგზავნილი ბეთჰოვენის მეცხრე სიმფონიასთან და სხვა მსოფლიო შედეგებთან ერთად). პოლიფონიურობა უმაღლეს მწვერვალს მაინც გურულ სიმღერაში აღწევს. და გურულივით ვერ იმღერებს მას ვერავინ! ასაკით უხუცესი ქართული ხალხური სიმღერა საოცარი ცოცხალი ორგანიზმია, რომელიც მუდამ ვითარდება, ნაკადულივით სულ ჩუხჩუხებს და წინ მიისწრაფის, რათა არ დაჭაობდეს და არ დამყაყდეს. მასზე ზრუნვა და დაცვა უდიდესი მამულიშვილური საქმეა, ჩვენი ღირსეული წინაპრის, ერის სულიერი მამის ილია ჭავჭავაძისაგან კურთხეული.

„ქართველობა ძნელია, მაგრამ შეუძლებელი არაა!!!“ ვის შეეძლო მოევლო ამ საუნჯისათვის, თუ არა ამ ძვირფას მამულიშ-

ვილთა რაინდულ წრეს, რომელთაც წინასახალწლოდ სულის სალბუნი – ნობათი უძღვნეს საქართველოს, რათა კიდევ ერთხელ შეეხსენებინათ ყველაფრის მიუხედავად, რამხელა სულიერებაა მინავლებული ჩვენში. დაუმარცხებელია ის ქვეყანა, სადაც ძველ სიმღერებს ასე მღერიან ოჯახები. ეს კერიები მათი წარმოშობის წყაროა, და ეს ფასდაუდებელი განძი დღევანდლამდე სწორედ მათ მოიტანეს. ერის სული ყველაზე მეტად მის სიმღერებში ვლინდება. არ იყო უამი, როცა ქართველს არ უმღერია. ვაჟასეული შემართება მარადიულია – „ვიმღერებ, მაინც ვიმღერებ, საფლავშიც ჩავალ მღერითა“. (პროფესორი იუზა ევგენიძე)



„ხალხური სიმღერა, გალობა სხვა არა არის რა, გარდა ბედნიერად შექსოვილის პოეზიისა და მუსიკისა. აქ, სიმღერაში, გალობაში მწყობრი ხმა შველის წყობილსიტყვაობას და წყობილსიტყვაობა მწყობრ ხმასა, რათა მთლად და სავსებით ადამიანმა გამოთქვას თავისი სულის მოძრაობა და თვისის გულის ძარღვის ცემა“, – წერდა ილია ჭავჭავაძე საუკუნეზე მეტი ხნის წინ. ისიც ცნობილია, რომ ერის ვინაობას, მეობას, ერთი მხრივ, სწორედ ხალხური სიმღერა არკვევს, ხალხის განცდათა მესაიდუმლე.

ჯერ კიდევ ილია ჭავჭავაძის დროიდანვე გაცნობიერებულია, რომ ქართული სიმღერა არა ჰგავს არც ევროპის ქვეყნებს, არც აზიის „არა რომელისამე ერის სიმღერას“, იგი „თვითნაჩენი, თვითმყოფი სიმღერაა“, და სრულიად გამორჩეულ ფენომენს წარმოადგენს. ამდენად, სავსებით გასაგები უნდა იყოს, რომ ჩვენი ვალია არა მარტო ქართული, არამედ მსოფლიო მუსიკალური კულტურის წინაშეც შევინახოთ, მოვუა-



როთ და თაობიდან თაობას გადავცეთ ქართული სიმღერა.

რაც შეეხება ნომინაციას – „საუკეთესო მომღერალი ოჯახები“, სწორედ ქართული ოჯახია ის უძირითადესი ეროვნული უჯრედი, რომელმაც ბევრი სხვა ძირძველი ტრადიციის შენახვა-დაცვასთან ერთად უნდა მოუაროს და თაობებს გადასცეს საქართველოს სხვადასხვა კუთხის სიმღერები. მომღერალ ოჯახთა ტრადიციები ძალზე საიმედო გარანტია ხალხური მუსიკალური კულტურის გადარჩენის საქმეში. ამდენად, ის, რაც 2006 წელს შემოგვთავაზეს კონკურსის დამფუძნებლებმა, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეა.


შემაშფოთებელი ფაქტია, როგორც ბატონმა ჯემალ ჭკუასელმა განაცხადა, საქართველოს ზოგიერთ კუთხეში კონკურსის ორგანიზატორებს საერთოდ გაუჭირდათ ოჯახების მოძიება. ერთი სიტყვით, სიმღერის ხსოვნის დაკარგვის საშიშროება კარგა ხანია სახეზეა. და თუ კიდევ შეიძლება შველა, რამის გადარჩენა, უნდა გადავარჩინოთ!

კონკურსი მრავალმხრივია მნიშვნელოვანი: უმთავრესი, თავისთავად სხვადასხვა კუთხის სიმღერების მოვლა-პატრონობაა, გარდა ამისა, სიმღერა თავად ოჯახებს აძლიერებს სულიერად, ურთიერთ სიყვარულს ასწავლის, კრავს, „ჭირსა შიგან გამაგრებას“, გასაჭირის, ტკივილის დაძლევის

უნყოფს ხელს. ალბათ სიმღერის სიყვარული, ხმაშენყოფა სხვაგვარ ურთიერთობას ამყარებს და აერთიანებს გოგოჭურების რვა დედმამიშვილს, შვიდ დასა და ერთ ძმას, და კიდევ რამდენ ოჯახს; ქართული ხალხური სიმღერა საიმედო ფარიცაა იმ საეჭვო წარმოშობის მოვარდნილი ნიაღვრის წინააღმდეგ ბრძოლაში, რაც მუსიკის, სიმღერის პრეტენზიით ჩვენი ახალგაზრდობის ზნეობრივი დაცემა-გადაგვარებისთვისაა მომართული. იმას, რასაც ძალით გვჩრიათ, კლასიკურთან ერთად მაღალი სულიერებით სავსე, მდიდარი და განუმეორებელი სიმღერა შეიძლება დავუპირისპიროთ.

ეს კონკურსი მძლავრი სტიმული გახდება, და ალბათ ხელს შეუწყობს ახალ-ახალი ამღერებელი ოჯახების გამოჩენას.

27 დეკემბერს მარჯანიშვილის სახ. სახელმწიფო თეატრში შეკრებილი საზოგადოება აღტაცებული ტაშით და შეძახილებით ხვდებოდა კონკურსში გამარჯვებულ ყველა მომღერალ ოჯახს. შეიძლება პირველ კონკურსს ახლდა ცოტაოდენი ხარვეზიც, მაგრამ ისევ დიდი ილიას სიტყვები უნდა მოვიმარჯვოთ, „ამისთანა კეთილშობილ საქმეში წყენაც კი უნდა მდუმარებდეს, იმიტომ, რომ თვითონ საქმე ქველმოქმედებაა თავით თვისით“. სწორედ ამ გრძნობით დახვდა ჩვენი საზოგადოება ამ მშვენიერ საქმეს და ამაღლებული განწყობითვე დატოვა თეატრი.



ჯემალ კუსალაშვილი

მარინე ცხვედიასვილი

# „გზა ზენისისკენ, მე მეზონა ღელის ნანაჰვი“<sup>1</sup> ...

(მხატვარ ჯემალ კუსალაშვილის პორტრეტისათვის)

ერთხელ ცნობილი ინგლისელი მხატვარი ჰანტი კრიტიკოსთა თავდასხმის ობიექტი გახდა, რადგან მის სურათში, სადაც ქრისტეს არაჩვეულებრივი გამოსახულებაა, მაცხოვარი დგას დახავსებულ კართან და აკაკუნებს, მაგრამ კარს სახელური არა აქვს. სწორედ ეს უკანასკნელი გახდა დავის საგანი. მხატვარს კი გაეცინა და თქვა: „ეს ჩვეულებრივი შესასვლელი როდია, იგი ადამიანის გულის კარია, რომელიც უფლისათვის ყოველთვის შიგნიდან იღებო“.

აგერ უკვე ვერცხლის ქუჩაზე ვარ, თბილისის ამ უძველეს და ულამაზეს უბანში და სადაცაა შევადებ მხატვრის სახელოსნოს, რომელიც უკვე დიდი ხანია მის გულად ქცეულა და მისი ყველაზე მაღალი და უპირველესი სტუმარიც თავად უზენაესი და უნეტარესი – უფალი ღმერთი ყოფილა. სხვანაირად წარმოუდგენელიც კია. იმ საოცარ სამყაროში, სადაც „ქარს ზანგები დააგორებენ, აქლემის კუზად ქცეულ დედამინას ბედუინივით ერთგულობს, „გამწყემსებული გაზაფხული ბალახს ცელავს“, ალუბლები კი ბატკნებივით ჰყვავიან მთაზე, ხოლო გრძნეული ასაბია დადლილ მარჯვენას უოქროვებს, შეუძლებელია მაცხოვრის ხელი არ ერიოს. ეს ჯემალ კუსალაშვილის სამყაროა, მის მიერ გამოგონილი და შექმნილი. კაცი – „ჭინჭრით ნაცემი და ნასუსხარი“ ბავშვობიდან მოსული, ბევრჯერ კოხინჯრის ჯოხით დადევნებული გაქცეულ და გამრუდებულ იღბალს, ტალახში ჯვრის მარიურაუბელი, მშვენიერების ნემსის ყუნწში გამძრომი, ფერწერული დღესასწაულების დიდოსტატი, გამცემი და არა მიმღები, ბავშვივით გულუბრყვილო და ალალი, ბრძენივით გონიერი და უხვი.

ქართული სამხატვრო სკოლის 80-იანელთა თაობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, თვითმყოფადი და გამორჩეული, აწმყოს გამსწრები აზროვნებით და ოსტატობით, – იგი მომავლის მხატვარია.

თურმე ძველ ებრაულ ენაში სიტყვა „ცოდვა“ „მიზანდაკარგულს“ ნიშნავს. და თუ ამ საზომით მივუდგებით, მაშინ ყველა მინიერისაგან განსხვავებით იგი ყველაზე უცოდველ ადამიანად მესახება მთელს დუნიაზე, რადგან მან ზედმინევნით უწყის თურას, როგორ და რისთვის აკეთებს.

„მახვილი სულისაი, ცეცხლი სარწმუნოებისაი, ერქვანი ჯვარისაი“, – დავით აღმაშენებლის მემატიანესი არ იყოს, – აი, მისი ფარი და მახვილი მხსნელი და კაცობის გადამრჩენი. მაგრამ რაფაელ მატისივით, ხატვით დადლილსა და დაოსებულს, ფერწერაზე თავდავინწყებამდე შეყვარებულს, საკუთარი სიცოცხლის ფასად მსხვერპლის გაღებაც უყოყმანოდ შეუძლია:

თუ რაფაელი თავის ფრესკისადმი მიძღვნილ ლექსში „ტანჯვის წუთები“, – ასე ამბობდა:

„შენთან შეხვედრამ ამიბნია  
მე გზა და კვალი,  
რაც რომ შეგიტკბე,  
შვების წუთი არა მქონია,“-ო  
ჯემალ კუსალაშვილი კი ასე წერს:

1. ნახვეტი ჯ. კუსალაშვილის ლექსიდან

„მშვენიერებავ,  
ბოლო უნდა მომილო ვუნცი,  
მეთაური და ეპიტროპი  
ღრიალებს აზმა“...

სიკეთისათვის – ვერგანრთვნილი მდა-  
ბიური თვალი მუდამ გვატყუებს და გვაბ-  
რმავებს. ჩვეულებრივი კაცის ამპარტავნუ-  
ლი ამბიცია უძღურია აღიაროს გვერდზე  
მდგომი გენია. მას მკვდარი ტალანტი ურ-  
ჩევნია. გოგენი და კიდევ რამდენი ბუმბერა-  
ზი... რემბრანტი, ფიროსმანი. ვინ მოთვლის  
ადამიანთა უგულობისა და გაუტანლობის  
მსხვერპლთ.



სურათებზე რომ აღარაფერი ვთქვათ,  
(გოგენი ხომ სეზანთან და ვან გოგთან  
ერთად დღეს მსოფლიოს ყველაზე „დიდი  
მაზანდის“ მქონე მხატვართა სამეულშია),  
1957 წელს ოტელ დროუში მის ერთ წერილ-  
ში 600 ათასი ფრანკი გადაიხადეს. წერი-  
ლის შინაარსი კი ასეთი იყო: „მე ამჟამად  
სიღარიბისგან წაქცეული, დამარცხებული,  
გათელილი ვარ“...

ფულები ისევ მევახშეებმა ითვალონ,  
მაგრამ ჭეშმარიტ შემოქმედებს, თანამედ-  
როვეობის გამორჩეულ სახეებს, სხვანაირი  
მოფერება და გაფრთხილება სჭირდებათ.

ჩემი სახელოსნო ჩემი ვიოლინოაო, მე  
ამ განცდილ, ბიოგრაფიაგამოვლილ სახლში  
რომ ვხატავ, ისე ვერსად ვერ დავხატავ-  
დიო, – ამბობს შემოქმედი. აბა სცადეთ და  
ერთი სიმიც რომ გაუნყვიტოთ მის გრძნე-

ულ საკრავს, განა მოისმენთ ასეთ ღვთიურ  
მუსიკას?

როცა შემოქმედი ფუნჯზე, ტილოზე და  
საღებავზე ფიქრობს... აღარაფერს ვამბობ  
სხვა რამეზე – არადა ფერის, სიტყვისა და  
მუსიკის როგორი დღესასწაულია მის საუფ-  
ლოში. უყურებ ამ მშვენიერ ნაწარმოებებს  
და ბახის „მესა“ ჩაგესმის, ხან ფრანც შუ-  
ბერტის „ავე მარია“ და ხანაც მოცარტის  
სწორუპოვარი „რექვიემი“.

მხატვრის სურათებიდან გოეთე და ბაი-  
რონი, შელი და ბოდლერი ღაღადებს, შოთა  
რუსთაველისა და დანტე ალიგიერის სიბ-  
რძნე გამოსჭვივის.

პირველად, როცა მისი ჯადოსნური  
ფუნჯის მადლი შევიტკბე, გაცეცხულს აღ-  
მომხდა:

„შენ დრო დააბი  
უკვდავების სადარ მდებლოზე,  
ეტოლმეტები „ლილეოს“ და  
თავად „ჩაკრულოს“,  
საფლავდაკარგულ  
ფიროსმანის საქართველოზე  
მიღურსმულო და ქრისტესავით  
ჯვარზე გაკრულო“, — მეთქი.

ჯვარი პატიოსანი, ანუ იტალიურად  
„სანტა კროჩე“, რომლის მკლავებზეც მაცხ-  
ოვარმა დალია სული და რომლის ბოლოებ-  
ზეც თავმოყრილია ოთხი უდიდესი სტიქიის  
კოსმიური დენი, ყოველთვის სასჯელის ზო-  
მა, ანდა ტანჯვის სიმბოლო როდია, გარკვე-  
ულწინად ჯილდოცაა შენნაირი ღვთისნიე-  
რი კაცებისთვის, ბატონო ჯემალ, რადგან  
იგი დროისა და მარადისობის გადაჯვარე-  
დინებაა.

ზემოთ აღვნიშნე და კიდევ ვიმეორებ,  
რომ კუხალაშვილი მომავლის მხატვარია,  
ამიტომ შეიძლება ხშირად გაუგებარი და  
მიუწვდომელიც.

როგორც ძველი რიტორი ამბობს: „ხე-  
ლი მონისაი ლპება, ხოლო ნანერი კი ჰგი-  
ეს უკუნითი უკუნისამდე“, –ო. ამ სიტყვების  
სისწორეს მრავალი წლის შემდეგ წუთისოფ-  
ლის ოღრო-ჩოღროზე ბრუდმავალი ჟამი,  
ალბათ, ჯემალ კუხალაშვილის მაგალითი-  
თაც გამოცდის.

მხატვარი მაგონებს თოვლში კლდეზე  
ამოსულ ყვავილს, რომელიც ცხოვრებისა-  
გან დაქანცულა, გაყინულა, მაგრამ ყვა-  
ვილის სურნელება მაინც არ დაუკარგავს  
სიცოცხლის სიყვარულთან ერთად. როცა  
მის ნამუშევრებს ნახულობ, გრძნობ, რომ  
მათგან სასიცოცხლო ენერგიას ღებულობ,  
მაგრამ მთავარი სასწაული მაინც მათთან  
დაშორების შემდეგ ხდება. აი, სწორედ მა-



შინ იწყება მათი დათვალიერება, როცა მათ სცილდება.

ტალანტი მკვდარი კაცის ნიჭიან და მხატვარიც თითქოს ყოველ ღამით კვდება და იბადება. იგი თავგანწირული, მისტიური მერანზე ამხედრებული, სამართლიანი ფუნჯით ებრძვის – უსამართლობას, ომს, სისასტიკეს. ეს იგრძნობა მის შინაგან ექსპრესიაში. ის ხომ კომპოზიციის დიდოსტატია. იშვიათად მეგულება შემოქმედი, ესოდენ დიდი გულწრფელობით, დამაჯერებლობითა და განცდით რომ გვესაუბრობდეს ფერწერული ენით. მის ნახატებს ფერუმარული არ სჭირდება შეიძლება ითქვას, შემოქმედებაში, თვით შემოქმედება დღესასწაულობს.

გრძნეულ ფერთა ამეტყველებულმა ექომ რომ არ დაგაყრუოს, პერსონაჟთა აბოპოქრებული სულის ტალღამ რომ არ წაგლეკოს და მათგან მონაბერმა ქარიშხალმა ზურგზე არ დაგცეს, შუალედების ფერწერული ქსოვილით მხატვარი ხშირად შეგასვენებს ხოლმე ლისირების ტექნიკით. მისი მრავალშრიანი და მრავალსიანსიანი კომპოზიციები – კლასიკურ ხელოვნებასთან წილნაყარი – გვპირდება ახალი ქართული კლასიკის დიდოსტატის გამოვლენას, ახალ სიმალლეზე ასვლას, ჯერ არნახული მოვლენების გათავისებას. ის არ არის მხოლოდ ჭვრეტის ობიექტი. მას არ უდის მინდვრის ბილიკების სურნელი: მათში ჭეშმარიტი ცხოვრებისათვის დამახასიათებელი ვაი-ვი-ში, შხამი და დოზანაცაა.

ვის არ შეხვდებით მის სურათებში: ბედის ნებიერ თუ უსახლკარო, მანანნალა ადამიანებს, მდიდრებს, ბოგანოებს, ლაჩრებს, ჯალათებს, მეომრებს, კაცთმოძულეებს თუ სულით აღზევებულთა სიყვარულით ანთებულ თვალებს.

აქ იხილავთ გზას – „ვია დოლოროსას“, – რომელიც მხარზე ჯვარგადებულმა ქრისტემ გაიარა გოლგოთას მთისკენ, სადაც ესვენა დედამიწის პირველი ადამიანის, ადამის თავის ქალა და მასზე ნაპკურები, ქრისტეს სისხლი, როგორც მისი განედლების სიმბოლო.

კუხალაშვილთან ისეთია „ცისფერი“, თითქოს თვით ბადახშანის ლაჟვარდის საბადოში ჩაუნიაო ფუნჯი მხატვარს.

ინდური ნითელისა და ნეაპოლური ნითელი მიწის მქონე ინდოელებსა და იტალიელებს, რომლებიც მთელ მსოფლიოს ამარაგებენ ამ ფერთ, ვინ ასწავლის ნითლის ხმარებას, მაგრამ ბატონ ჯემალთან ნითელი თეთრთან ერთად ნამდვილად ეროვნულია, ქართულია, ეროვნულ ფსიქიკაზეა

დაყრდნობილი და ამიტომაც არის განუმეორებელი.

რატომ არის მისი ფერწერული გამა ასე ჰარმონიული? ალბათ, იმიტომ, რომ მხატვარი თითქოსდა პალიტრას პალიტრაზე კი არ ეძებს, არამედ იგი მას სურათში პოულობს და ამბობს, რომ სანამ პალიტრიდან სურათზე გადავიტან ფერს, მანამდე გრძნობები იკარგება. სწორედ ასეთი ინდივიდუალობა, ქართული ფერწერული სკოლის უდიდესი პატივისცემა და ადამიანის დიდი სიყვარული განასხვავებს მას სხვათაგან.


იგი რეალურსა და ირეალურ სამყაროს შორის გადებულ ბენვის ხიდზე მავალი მანესტროა. ხშირად სიზმრისეული ხილვებიდან ისეთ მძლავრ კომპოზიციებს გვთავაზობს, რომ სადაც უნდა იცხოვრო და რომელი კუთხითაც არ უნდა დაინახო, გრძნობ, რომ შენს თვალწინ სრულიად ახალი სამყაროა, ჯერ არნახული, მაგრამ რეალური, მხატვრის გულით განცდილი და ფერწერული დღესასწაულის ნიმუში.

იმდენად იდუმალი, მისტიური და სიცოცხლის მიმნიჭებელია კუხალაშვილისეული ქუჩები, რომ შენც სიამოვნებით დააბიჯებ იქ ავტორთან ერთად. აქ თითქოსდა ყველა სახლი მხატვარს ეკუთვნის და თითოეული მათგანის კარი, მტკიცედ ჩარაზულიც კი, ღიაა მისთვის. ყველაფერი, რასაც ის ხატავს, მისი სახელოსნოს რეკვიზიტი, საგნები, – გვეუბნებიან, რომ იგი ძლიერაა შეყვარებული მშობლიური ქალაქის ხალხით სავსე ძველ უბნებზე, სადაც ცხოვრება დულს და გადადულს. მის მიერ შესრულებულ „ერთი საღამოს პეიზაჟში“ ჩანს წარსულის მისტიერიები, სასწაულის ხილვით დამფრთხალი ანგელოზები, ფეხშიშველები რომ დააბიჯებენ მის სახელოსნოში.

მისი ნამუშევრების ნახვისას ვრწმუნდები, რომ ჯემალ კუხალაშვილის შემოქმედება შეიძლება პირობითად ორ პერიოდად დაიყოს. მხატვრის პროფესიონალურმა სიმალლემ კულმინაციას სწორედ სოციალიზმის ნგრევის ეპოქაში მიაღწია. ამაზე მეტყველებს იმ პერიოდში მოწყობილი მისი პერსონალური თუ ჯგუფური გამოფენები, 1987 წელს „წლის საუკეთესო მხატვრის“ საპატიო ტიტულის მოპოვება. ქართული მხატვრების ე. წ. „საბჭოთა პერიოდის“ პროლოგი იყო მეგობარ მხატვრებთან ერთად მოწყობილი გამოფენა მხატვრის სახლში, რომელიც ცხრა აპრილის ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ქარიშხლიანმა დღეებმა ლაზარეთად გახადა და შემოქმედის რამდენიმე სურათიც ფერფლად და

ნაცარტუტად აქცია.

ადრეულ ნამუშევრებში უმეტესწილად ჩანს გრაფიკული ფერწერის უპირატესობა, რადგან შენარჩუნებულია ფერწერული კოლორიტი და გამა, მაგრამ ჭარბობს ხაზი. ეს მისთვის დამახასიათებელი წინა პერიოდის თვისებები შემდგომი პერიოდის ფერწერასაც დაეყვო.



მხატვრის ხელოვნება ბოლო ათწლეულის მანძილზე გამოირჩევა მრავალსიანიანობით. იგი არ კმაყოფილდება ემოციებისა და შემთხვევითობის ფერწერით. მისი ცეცხლით გავარვარებულ გრძნობათა ქურას მერკანტილიზმის ოხშივარი არ ასდის. ის ფულისათვის არასოდეს ხატავს. თითოეულ გაყიდულ სურათს კი მისი სულის ნაწილი მიაქვს. ამიტომაც აუჩქარებლად, დინჯად, გასაოცარი სიურჩით წერს თითოეულ ტილოს. ზოგჯერ მომქანცველი ათასი სეანსის შედეგად კი წლების განმავლობაში უამრავ კომპოზიციას (სანამ ის სრულყოფილებას არ მიაღწევს) ნაშლით ემუქრება. განცდილის სახეცვლილებით ხშირად მეგობართა გულისწყრომასაც იმსახურებს, მაგრამ მან ყველაზე უკეთ უწყის, სად უნდა გაჩერდეს. ეს მტანჯველი გზაა კლასიკური ხელოვნებისაკენ და იგი მართლაც ახალი, თანამედროვე კლასიკაა თავისი ტექნიკით. იგი ფითხთან ერთად სურათს ასრულებს ფუნჯის ვირტუოზული მონასმებით და მანამ არ სცილდება ნაწარმოებს, სანამ მის ბიოგრაფიულ ერთარსად არ იქცევა.

უადრესად მეტყველი, ქართული ტემპერამენტით გამთბარი და სიცოცხლის დიდი სიყვარულით სავსეა მისი მითოლოგიური და რელიგიური სიუჟეტები. დამნაშავე პერსონაჟებიც კი ერთგვარ სიბრალულს იწვევენ.

მხატვარი არ ჩერდება მუდმივად არც ერთ თემატიკაზე. დიდი ფანტაზიით ფრინავს ცაში, მიწაზე და სიზმრებში. მკერდზე მიდებულნი ქნარივით ეფერება და ელოლი-

ავება მიუნვდომელს, ჯერარნახულ, არსმენილ სამყაროს. არასოდეს ყოფილა ნარცისიზმის სინდრომით შეპყრობილი.

მრავალფეროვნებაშია მისი სიდიადე. არსად არ მეორდება. მისი პორტრეტები ფოტოასლებივით მშვიდ იგივეობას როდი წარმოადგენს. იგი გავარვარებულ მზის დისკოს მოგვაგონებს, რომლის წიაღიდანაც მაცოცხლებელი ნათელი ეფინება ცოდვილ დედამიწას, ხოლო მხატვარი კი ფარვანასავით იწვის ამ ნათლის ძიებაში.

უსასრულობაში მისი ნამუშევრები – დაუსრულებელიც კი სრულყოფილის შთაბეჭდილებას ტოვებს. ვიზუალურად ამაღლებულია კუხალაშვილის არტისტული თავგანწირვა და მიგვანიშნებს სიყვარულის უკვდავებაზე. მისთვის სურათი ფეხადგმული სიკეთეა. მიუხედავად იმისა, რომ ხელოვნება მეფური სამყაროა, იგი ყველა რჯულის, სქესისა და ასაკის კეთილი ნების მქონე ადამიანის წმინდა სავანე და მშვიდი ნავსაყუდელია. მხატვარი თავის შედეგებს უძღვნის ყველაზე უბრალო, მდაბიო ადამიანებს შინაგანი სრულყოფისათვის, ხოლო წარჩინებულებს, ჩინოსნებს და ავაზაკებს – სულის განსაწმენდად.

ადამიანთა გაუტანლობითა და ცხოვრებასთან ჭიდილით დაღლილი, იგი შეიძლება დაბნეულიც ნახოთ. მაგრამ მისი ნამდვილი სახის ხილვა მხოლოდ ხატვისას შეგიძლიათ. საკუთარ გრძნობებთან აღზევებულს, მიზანსწრაფულს, შემტევსა და პრინციპულს, ლუციფერიც ვერაფერს აკლებს.

პიკასო ამბობდა, რომ გენერლის ხელში საშიშია იარაღი, ხოლო მხატვრის ხელში კი ფუნჯიო. სწორედ ასეთ მხატვართა რიცხვს მიეკუთვნება ჯემალ კუხალაშვილიც. იგი ხშირად ამბობს: „რა საჭიროა ვიოლინოს შეცვლა. თანამედროვე მხატვრებს ჰგონიათ, რომ პალიტრა უნდა შეცვალონ კოლაჟითა და ავანგარდული დიზაინით. პალიტრას, ფერწერის დაცვა სჭირდება, თორემ ხვალ სკოლას დაგკარგავთ, აქამდე რომ მოგვიტანეს ჩვენი წინა თაობის ცნობილმა ოსტატებმა“.

იგი შესანიშნავად იცნობს ყველა ძირითად მიმდინარეობას, მაგრამ გამოკვეთილად არცერთი აურჩევია. იგი ეყრდნობა განცდილს, მიღწეულს, მაგრამ არაგამორებულს. როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ხატვის დიდოსტატს ნაშლაც ემარჯვება – მეთქი. ის დამტუქსველ მამასავით (არადა თვითონ ხუთი არაჩვეულებრივი ვაჟის უსათნოესი და მზრუნველი მშობელია) ნკეპლავს ფერებს, თითქოსდა ცხვრის ფა-



რას მიერეკებაო, რომ ერთდროულად და გულჩაუნვდომლად დაუკრას ფერით მუსიკა, როგორც მწყემსმა სალამური.

„გზა ზენიტისკენ მე მეგონა დედის ნაწნავი“, – ამბობს ჯემალ კუხალაშვილი ერთ თავის უმშვენიერეს ლექსში. დედის სახელის შორსგამტანის და ობლობაში დავაჟვაცებულის სავალი კი ასეთი იყო:

თბილისის სამხატვრო აკადემიის კინოსა და ფერწერის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ დამდგმელი მხატვარია ელდარ შენგელაიას ფილმისა „სამანიშვილის დედინაცვალი“. უფრო სწორად, ეს მისი სადიპლომო ნამუშევარი იყო; თბილისში მონყობილი აქვს ათი პერსონალური გამოფენა – 1987 წელს მიიღო წლის საუკეთესო მხატვრის წოდება; სამი პერსონალური გამოფენის ავტორია მოსკოვში; 1991 წელს კი სიეტლსა და ჩიკაგოში წარსდგა თავისი ნამუშევრებით. როცა მასპინძლებმა განიზრახეს მისი წარმოჩენა საბჭოთა კავშირის სახელით, პროტესტის ნიშნად მხატვარი დროშაზე დაწვა და მანამ არ გაახსნევინა ამერიკელებს გამოფენა, სანამ სახელდახელოდ არ შეკერეს საქართველოს ეროვნული დროშა. ესეც მისი ხასიათის თავისებურება და მამულიშვილობის ნიშანი. შემდეგ უამრავი ჯგუფური გამოფენები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში.



2001 წლის ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალის გრან-პრი და რაც ყველაზე მთავარი და უპირველესია, ხალხის დიდი სიყვარული. მხატვრის ნამუშევრები ინახება მოსკოვის „ტრეტიაკოვის“ სახელობის გალერეაში, საქართველოს თანამედროვე ხელოვნების მუზეუმის არქივებსა და ცნობილი ადამიანების კერძო კოლექციებში.

როდესაც ჰაინრიხ ჰაინე კანტისა და რობენსპიერის შედარებით დახასიათებას ახდენდა, მან ასე ბრძანა: „ბუნებამ ისინი გააჩინა ყავისა და შაქრის მწონავებად, ბედმა კი სხვა საგნები შეუგდო სასწორზე: ერთს მეფე, მეორეს – ღმერთი“, –ო.

ჯემალ კუხალაშვილის ბედისმწერალს კი მისი სასწორის პინებზე პოეზია და მხატვრობა, მხატვრობა და პოეზია დაუდ-

ვია. უბადლო პოეტი მხატვრობაში და უნატიფესი მხატვარი პოეზიაში. თუმცა მისი საოცარი, ღრმა ფილოსოფიური ლექსები ცალკე განხილვის საგანია, რომელიც, ჩემი აზრით, ახალი და განსხვავებული სიტყვაა ქართულ პოეზიაში.

„ბედნიერება მე მესროდა  
გრძნეულ ლიბანდაკს,  
როცა ეს ლექსი ფეთქდებოდა  
დენტის კასრივით  
და პოეზიას ჩემი სული  
მძევლად მიჰყავდა –  
სინდისზე მძიმეს,  
უსამშობლოს ემიგრანტივით“.

მეტი რალა თქვას მუზათა ტყვეობაში  
მყოფმა შემოქმედმა.

\*\*\*

მივუყვები ვერცხლის ქუჩას. აი, უკვე მის ჭიშკართან ვარ. მხატვარს ვენახი შეუნამლავს და მორჩენილი კირით კედელზე მიუწერია: „კუხალა“. ადვილად ვიცანი მისი სურათის დიდად შესრულებული ხელმოწერა. ვუკვირდები მის ეზოს, ძველ კედლებს და მეჩვენება, რომ თითქოს აქ ათასნაირი მისნები და ჯადოქრები ცხოვრობენ. ფართო, აგურის აწონილ კედლებს შორის მეგებება ჯემალ კუხალაშვილის სამყარო და ჩემთვის ჩუმად ვიმეორებ მისდამი მიძღვნილი ლექსის ერთ სტროფს:

„თუ ვაჟკაცია, ეგ სამსალა  
მეფემ დალიოს,  
ოსტატის დელგმა გაურიოს  
დღეთა ანცობას,  
იქნება მერე შენი ქობიცი ებეთანიოს,  
ანდა მიგიხვდეს როგორ უძლებ  
ნიჭს და კაცობას“.

შენ კი ამ დროს დგახარ შენი სახელოსნოს ძველ აივანზე, აკაციის ტოტებქვეშიდან გამოჭიატებული მზის სხივით დადაფნულსა და მარადისობასთან შებმულს, ვინ იცის, რა აზრები გიტრიალებს თავში. იქნებ შენც ჩემსავით საკუთარი ლექსის სტრიქონები აგეკვი-ატა და განვალეხ:

„არ დამიბნელოთ სამყოფელი  
ასგზის ნახანძრალს,  
კოზაკის ზურგით მოპარული  
მზე რომ მამბოდებს,  
გაზირთ მდელიზე უკვდავება  
სიკვდილს დახანჯლავს  
და შეაგროვებს ჩემი სულის  
გამხმარ ნაფოტებს“, –ო, რომ ბრძანებ ერთ უმშვენიერეს ლექსში.

ღმერთმა გისმინოთ დიდო მაესტრო. მუდამ მრთელი და განედლებული სულით გეგლოს დიდების შარავანდედით გაჩირაღდნებულ შენს წილ სავალ გზაზე.



თენგიზ ბუაჩიძე და მუსრან მაჭავარიანი



### ყურადღება!

ჟურნალ „ლიტერატურა და ხელოვნების“ გამოწერა შეიძლება „სახალხო ბანკის“  
ნებისმიერ ფილიალში საქართველოს მასშტაბით:

- 1 თვით 3ლ.
- 3 თვით 9ლ.
- 6 თვით 18ლ.
- 1 წლით 36ლ.

ჟურნალის გამოწერა ასევე შესაძლებელია სს „მაცნეს“ პუნქტებში.

„ლიტერატურა და ხელოვნების“ წინა ნომრების შეძენა შეგიძლიათ რედაქციაში.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

---

#### კომპიუტერული უზრუნველყოფა:

დავით გუგუშვილი  
რუსუდან ონეზაშვილი

რედაქციის მისამართი:  
რუსთაველის გამზ. 42

ტელ.: (+995 32) 93 18 69; (+995 99) 25 60 14.  
E-mail: vajao@mail.ru      Web: www.litandart.com.ge




ჯემალ კუხალაშვილი

ილიას ეტლი



დავით თურქულაძე



ავტოდორ ტრუეტი

ბ ბ 3 / 6

